საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ფორუმი

„ებლიტფო“ ამეგობრებს

№ 00003

ოქტომბერი 2014

ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმ „ებლიტფოს“ არაპერიოდული გამოცემა

ვრცელდება ლიტერატურის მოყვარულთა შორის

„ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერას აგრძელებს

ბელა ჩეკურიშვილი

„24 საათი“ 06.08.11

ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი “ვეფხისტყაოსნის” გადაწერას აგრძელებს

უკვე რამდენიმე წელია ინტერნეტფორუმები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. გადაუჭარბებელად შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალური საქართველოს ვნებათაღელვა ლიტერატურასაც არანაკლები სიმძაფრით ასკდება. ზოგჯერ ბრძოლა წესების ფარგლებს სცილდება, რაც ხშირად ჰაკერთა ჩარევასაც გულისხმობს. ასე დაემართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმს “ებლიტფოს”, რომელიც სამი წლის არსებობის თავზე ჰაკერთა მსხვერპლი გახდა. მიზეზი, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. “ებლიტფო” ყველაზე მშვიდობიანი ლიტერატურული ფორუმი იყო, ქართულ რეალობაში სამართლიანობის დამკვიდრების დროშის ფრიალის გარეშე. მაგრამ “ებლიტფოელთა” ნოსტალგიას სულზე მოუსწრო მარკ ცუკერბერგის პირმშომ და 2010 წლის 18 ოქტომბრიდან “ებლიტფო” ფეისბუქზე გამოჩნდა.

“ებლიტფო” მართლაც ბევრი საინტერესო ლიტერატურული პროექტის იდეის ავტორი და განმახორციელებელი, მხარდამჭერი და მონაწილე იყო. ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო

გაგრძელება მე-2 გვერდზე

დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ

ქეთი დიდიშვილის
თამარ ბოლქვაძის
ნინა ნეკერის
ეკა ქურხულის
მანონ ბულისკერიას
ნუკრი ბერეთელის
ზეინაბ სარიას
კნიაზ ალგეტსკის
ლანა მანველის
ნელიკო გოგუაძის
შალვა ბაკურაძის
Abuu Kappes
ლელა ლაშხის
ვაჟა ხორნაულის
ლიკანა ჭელიძის
დონ ბრაზის
ზაზა ფირცხალაიშვილის
ნინო სადღობელაშვილის
ანდრეა თორელის
მაია მარუაშვილის
ციცინო ბუკიას
ია მშვიდობაძის
მაიკო მიქაიას
მარიამ წიკლაურის
ბელა ჩეკურიშვილის
თამარ ფეიქრიშვილის
თამაზ მეტრეველის
ქეთევან ჩიკაშუას
გიორგი ბუნდოვანის
გია მურღულიას
ნუცა დეკანოზიშვილის
ნინო მშვიდობაძის
სალომე დონაძის
ლია ლიქოკელის
ქეთი ფაილოძის
ბერიტა კაკაბაძის
დავით შემოქმედელი
ეკა ქევანიშვილის
გივი ჩიღვინაძის
კობა ჭუმბურიძის
გიო საჯაიას
ნინო საძაგლიშვილის
მზია თვალაბეიშვილის
ირმა შიოლაშვილის
ირმა მალაციძის
მარი ჩიკვილაძის
თამრი ფხაკაძის
ნია მამასახლისის
ლექსებს

მერაბ ხერგიანის
თამარ ყურაშვილის
მაკა ლდოკონენის
ელენე სალარიძის
დეა ცუცქირიძის
ინგა გოგიბერიძის
ნათია როსტიაშვილის
ლუკა ხარლამენკოს
თორნიკე გურჯინთახის
ნინო თარხნიშვილის
ლევან ლორიას
რუსა ამირეჯიბის
გიორგი აღნიაშვილის
რევაზ ელიზბარაშვილის
ლიკა ყიფშიძის
ირაკლი ლომოურის
ნოდარ შოშიტაშვილის
პროზას

მარსიანის
გამოხმაურებას

ქეთი გზირიშვილის
გზაში წაკითხულ წიგნებს

დალილა გოგიას
ალექსანდრე ელერდაშვილის
ვასილ გულეურის
ნინო ქოქოსაძის
თარგმანს

თეონა გოგნიაშვილის
პერსონას

ზაზა შათირიშვილთან
ინტერვიუს

“ებლიტფოს” არქივს

„ვეფხისტყაოსნის" გადაწერა...

პირველი გვერდიდან

განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე და "ებლიტფოს" ადმინისტრატორი გიორგი კილაძე ირწმუნება, რომ განახლებული ფორუმი წინამორბედის ღირსეული მემკვიდრეა და არგუმენტად განხორციელებულ ლიტერატურულ პროექტებს გვილაგებს: "ლიტპროექტები თანამედროვე პოეზიისა და პროზის აქტუალურ პრობლემებზე, ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელობასა და ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე მხოლოდ ვირტუალური დისკუსიების გამართვას არ ითვალისწინებდა. „ებლიტფოელების" მიერ მომზადდა და უნიკუმური გამოცემების სერიით ერთ ეგზემპლარად გამოვიდა პოეზიის კრებული "ჩემი ხუთეული", რომელშიც შევიდა 92 მწერლის მიერ შერჩეული 5-5 საკუთარი ლექსი". ამავე სერიაში ჩემი მოთხრობა" - 50-ზე მეტმა პროზაიკოსმა მოგვაწოდა თითო საკუთარი მოთხრობა. სტამბური სახით გამოვეცით ალმანახ "თაობების" ორი ნომერი. ეს არის ერთგვარი ანთოლოგია, რომელშიც შევიდა თითო ავტორის თითო პოეტური და პროზაული ნაწარმოები და თავისი სიჭრელით ზუსტად ასახავდა ლიტერატურულ საიტებზე არსებულ მდგომარეობას. ცალკე კრებულებად გამოვიდა საუბრები ლიტერატურზე - "რამდენიმე კითხვა...", "ლიტერატურული მონოლოგები", "პირისპირ" - აქ მწერლები ერთმანეთს უსვამდნენ შეკითხვას, "ლიტერატურული მრგვალი მაგიდა". ვფიქრობთ, უნიკუმური გამოცემების სერიით გავაკეთებთ ამ 10 თვის განმავლობაში "ებლიტფოზე" მიმდინარე ლიტერატურულ პრესკონფერენციებს. პროექტების უმეტესობა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურის პროგრამების (ამჟამად საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილება) განყოფილებაში დაიგეგმა. დღევანდელ "ებლიტფოზე" კი ლიტერატურულ პროექტებს უშუალოდ "ებლიტფოელები" გეგმავენ და ახორციელებენ. ჩვენი აქტიურობა, რომ იტყვიან, მინიმუმამდეა დასული".

ერთ-ერთი პოპულარული სასაუბრო თემაა "ვეფხისტყაოსანი", სადაც არ უნდა ხდებოდეს ეს საუბარი - "ებლიტფოზე" თუ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. "ვეფხისტყაოსანი" ძველი რომივითაა, იხუმრა მთარგმნელმა ალექსანდრე ელერდაშვილმა: საიდანაც არ უნდა დავიწყოთ, ყველა გზა "ვეფხისტყაოსანთან" მიდისო. ინტერნეტფორუმ "ებლიტფოს" მომხმარებელთა ინიციატივით, დაიწყო "ვეფხისტყაოსნის" 21-ე საუკუნის ხელნაწერის შექმნა. რუსთაველის პოეზის ერთი სტროფის გადაწერა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ვინც ქართული ანბანი იცის და ვისთვისაც ეს ნაწარმოები ფასეულობას წარმოადგენს. გადამწერს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს სასურველი სტროფი, გადაწერილი სტროფები აღირიცხება და "ებლიტფოს" გვერდზე ქვეყნდება. ასე რომ, გამეორება შეუძლებელია. პოემას არ ექნება სარჩევი, ისევე როგორც მის სხვა ხელნაწერებს. ქვესათაურებს ერთი კალიგრაფისტი გააკეთებს. გაფორმდება ასევე მსურველთა მიერ შესრულებული ილუსტრაციებით და იქნება ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეინახება.

გიორგი კილაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე: " პირველი ხელნაწერი, რომელიც საზოგადოებისგან მივიღეთ, ცნობილ მთარგმნელს ალექსანდრე ელერდაშვილს ეკუთვნის და იგი პოემის შესავალი ნაწილის სტროფია: "ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები " გადამწერთა შორის არიან ოჯახები, გვაქვს 7 წლის ბავშვის ხელნაწერიც. ის, რომ „ვეფხისტყაოსანი"სრულიად საქართველოს კუთვნილებაა და ის სიმბოლოა განათლებული, ჰუმანური იდეებით გამსჭვალული საზოგადოებისა, გადამწერთა ვინაობაშიც ჩანს. მოგვდის საქართველოში მცხოვრები სომეხი, რუსი, ქურთი, პოლონელი მოქალაქეების ხელნაწერები. დარწმუნებული ვართ, ამ პროექტში საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის წარმომადგენელი ჩაერთვება.

ხელნაწერებს გვიგზავნიან უცხოეთში მცხოვრები ქართველები და ქართველოლოგები. ვფიქრობთ, პოემის გადაწერა წელიწად-ნახევარში დასრულდება.

ქოეზია



ქეთი დიდიშვილი

* * *

მოვიდა.
რაც ნახა, მოხვეტა,
მოხვეტა და გაანიავა,
ჰარალე.
ხან ანჯამები აჭრიალა,
ხან განჯინები ახმაურა,
დარაბებს
გამოუყვანა წირვა და
პარმაღზე
ფეხი რომ წამოკრა,
გამიბრაზდა,
არადა,
ქარი იყო,
მე რას დავუშლიდი,
ან რას ვუშავებდი,
ქაღალდებს,
ალალბედზე ნაფრიალებს,
წამოვკრეფდი და ლექსებს ვწერდი,
ჰარალე...

ქარის კაცია ჩემი ქმარიც, ქმარყოფილი,
ქარივით ვნებიანი, ეჭვიანი,
ყველა კუთხე-კუნჭულს მოივლიდა,
ყველა ღრიჭოში ცხვირს ჩაყოფდა,
აბა მე...
რომელი დევის ცოლი მე ვიყავი,
სახლში უცხო კაცი დამემალა,
ვუთმობდი.

თოვლის კაცი გამიგია,
წვიმის კაცი გამიგია,
მაგრამ ქარის?

ქარის კაცია ჩემი ქმარი, ქმარყოფილი,
ქარივით ბობოქარი, მრისხანე,
როგორც არ უნდა ყოფილიყო,
თავისი უნდა გაეტანა,
აბა, წარბის შეკვრა რად უნდოდა,
მარტო შემოხედვაც იკმარებდა,
კაცი ის იყო და უფროსი...

თოვლის კაცი გამიგია,
წვიმის კაცი გამიგია,
მაგრამ ქარის?
არ გამიგია და გაქრა...
რომელმა ქარიშხალმა გაიტყუა,
რომელმა კუდიანმა შეულოცა,
ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქით გადაკარგა.

ახლა ქარია და ქარის კაცი - აღარ,
ახლაც ქარია და ქარიშხლები,
ეს ჯოჯოხეთის მაშხალები
მახელებენ.
მიფრიალებენ თვალწინ ფარდებს
გამომწვევად,
მიჯახუნებენ კარს.

ვინ ეკითხებათ, ნეტავ?
ვინ ეკითხებათ ქარებს,
როგორც ყვავილის მტვერი,
რატომ გადააქვთ სითბო
ჩემი გულიდან შენში,
შენი გულიდან სხვაში?

შევკრავ ფიჩხის კონას, ტოტებს
თივის გადავადებ ბულულს,
აბრიალდება მუგუზალი,
შევულოცავ:
- ქარი იყო და ჩადგა,
ქარი იყო და ჩადგა.
არული კუდიანებს,
ჰარული,
ჰარალე...

თამარ ბოლქვაძე

თავი დაიცავი, ხაბრალო ნემცოვიჩ!

ყოფნა ცხოვრებისთვის ვითამაშე,
როგორც ბავშვობაში "სახლობანა".
ხსოვნა -მსხვილი ხედით, შავი კაშე,
როგორ გაფერმკრთალდა ახლოდანაც...
თითქოს ყველაფერი მირაჟია,
მხოლოდ ტკივილები ნამდვილობენ!
თუმცა, აქ არაფერ შუაშია,
გულის ჭკუაზე რომ დავდიოდი...
უკვე დავასრულე მელოდრამა,
მეტად ყოფითი და ბანალური.
ძველი სიყვარულის მონოგრამებს
დრო რა უმოწყალოდ ანადგურებს...
აწმყო გახდა ისე ფრიგიდული,
კაცს რომ დაუკარგავს ყველა ნდომას...
ამბობს ჩემი ხსოვნა მოგუდულში,
ყველა მოგონების შესანდობარს...
მცივა, რა თქმა უნდა, უქაროდაც,
განცდა აბზაცს მოჰგავს ნოველიდან.
მათ სულ ჩემი კილვა უხაროდათ,
ვისი მხილებაც მე მომერიდა...
აწყობს ფერთაკვდომის ვერნისაჟებს
ჩემი წარბშეკრული წარმოსახვა.
გეცვას "ყავისფერი" ბედის მარშზე
ნიშნავს, - საერთო ვერ გამონახე...
თავთან საჭადრაკო პარტია მაქვს,
"თავი დაიცავი, ნემცოვიჩო!"
მინდა უბრალოდ და მარტივად ვთქვა,
მძულს ეს რეალობა, შენც ხომ იცი...
ახლა ეს დრო ისე საჩემოა,
როგორც ხეიბრისთვის ცეკვა "ტვისტის".
ვზივარ ჩემთვის, უცებ თავს შემოყოფს
სულში ბუნტარიც და ანარქისტიც...
წლებთან საპატიო ვახშამზე ვარ,
ხსოვნა - მსხვილი ხედით, შავი კაშე.
მგონი, არაფერი არ შავდება,
ჩემი ცხოვრება თუ ვითამაშე...

ნინა ნეჯერი

მივესალმები განახლებულ "ებლიტ-ფოს" - ჩემს ლიტერატურულ ბავშვობას და სწორედ იმ პერიოდის ლექსს დაგი-ტოვებთ, როცა ნაბიჯებს ვიდგამდი პირველი ებლიტფოს სხვადასხვა თემებ-ში გადავიწყებული ლექსია, არადა, ამას წინათ სახლის დალაგებისას ძველ დოკუ-მენტებს წავაწყდი. დახარისხებისას სხვა საინტერესო რამეებთან ერთად, ორი ფურცელიც აღმოჩნდა - საჯაროსთვის შექმნილი ხუთეულების წიგნის ჩემი ხუ-თეულის ასლი... და სწორედ ის პერიოდი გამახსენდა, როდესაც ვწერდი:

* * *

ყოველი წიგნი-
დროებითი გაქცევაა შენი თავიდან,
ნებადართული მნახველობა სხვისი
სულის მუზეუმების,
რომლებსაც სწორედ ის ფერები მოსჭარბებიათ
შენს პალიტრას ასე რომ აკლდა...
მერე კი,
როცა დაქანცული პილიგრიმივით
მტვერდადებულ სამოსს შეიცვლი,
ხვდები - თვითონაც შეიცვალე,
ერთი ნაბიჯით მიეახლე უფლის სიყვარულს.

მერაბ ხერგიანი

წლების და სახეების ჩაქროლებას როცა ჭვრეტ...



წლების და სახეების ჩაქროლებას როცა ჭვრეტ გახუნებულ კინოფირებივით, წარმავალობის მძიმე განცდა ლოდივით მძიმეს ხდის გულს და კიდევ რაღაცას, რაც მხოლოდ გული არ არის, არამედ გულზე დიდი, - მაგრამ უხილავი შენში.
სახეები ჩაიქროლებენ...
გრძნობ, შენც მათი ქროლვის ზიარი ხარ, შენც მიჰქრიხარ მათთან ერთად მათ-სავით, მაგრამ შენი თავი მდგრადი გგონია და უძრავი.
ამ ილუზიის გამოც არის ასეთი სიმძიმე დასადგურებული შენში.
შენში შენმავე მეორემ იცის, რომ ილუზიაში ხარ და ამ ილუზიასა და შენს ილუ-ზორულ მეს შორის შიში დგას.
- ჩაქროლების შიში.
და ეს შიშია, რაც ლოდად აქცევს შენს გულს და რაღაცას, რაც გულზე დიდია შენში.
იქნებ გამოიღვიძო შიშიდან გამოღვიძებით?
არა, გეტყვის შენი ილუზია, რომელიც შენზე ძლიერია შენში და კვლავ ჩაგყვინ-თავს სიცრუის ილუზორულ, მოტკბო საყუდელში.
ზოგჯერ გრძნობ, რომ იმ ქროლვას, რასაც სხვის ქროლვად ჭვრეტ და სადაც შენ უძრავი ხარ, სადაც შენს თავს მხოლოდ მოწმედ განიცდი და არა ქროლვის მონაწილედ, ამ ქროლვას სხვაც მრავალი ხედავს და მათ ხედვაში შენც მიჰქრიხ-
არ სხვათა ქროლვას თანგაყოლილი და ამ ქროლვიით ატაცებული...
ეს შეგრძნებაც ახალ ლოდად შემოგორდება შენში და უფრო მძიმდები.
შეკრთები,
ძილ-ღვიძილში კუნთებიც კი შეიკუმშებიან მტკივნეული კონვულსიით.
გამოიღვიძებ.
მაგრამ ეს გამოღვიძება შიშის და სიცრუისგან გამოღვიძება არ არის...
შენ გამოიღვიძე სიმართლის წამიდან და გამოიღვიძე, რათა ვითომ მღვიძარემ - კვლავ ჩაიძინო სიცრუის წიაღში.
შენ ამ წამს ორ წამამდეც კი არ აცადე და მოკალი.
მიჰქრიან გარდასულთა და ჯერარგადასულთა წარსულის სახეები...
შენ კი მდგრადი ხარ, უძრავი და მარადი.
იძინე მშვიდად შენს სიცრუეში.
იძინე, სანამ ხროტინში არ გადავა შენი მოჩვენებითი, მშვიდი ფშვინვის ჩქამი...

ეკა ქურხული

ფერიცვალობას...

მსურს, ქარაფებში გადავჩეხო ავი ზარები,
მზეო, იმძლავრე,-სიყვარულის შეგთხოვ ზეობას!
გულს წავარნებში აზმორილი შავი ავაზის
ალერსის ჟინით აჟრჟოლებს და...
ექო ხეობას
უკანასკნელი ამორძალის დალეწილ ტაბუს
ნისლთა ქარავნად ჩაუტბორავს...
ელავს ცარგვალი,
გამლღვალი სალბი მკერდზე დასდის ქარების ნაბუქს,
დავეძებ ჭაბუკს, ნაისრალს და, ნეტავ, გზაკვალი
აღარ ავრიო... ცხრა მთის გაღმა შევხვდები წარსულს,
გაცრეცილს გამხმარ ღიღილოთა ბაცი სიცისფრით,
ქარაშოტებო, მიმაცილეთ!- ბოლოს დიახ, მსურს,
თქვენ დარჩეთ კვლავაც თანამგზავრად ჩემი სისხლითცლის...
მოვადექ წავარნს. წარბაზიდულ ზეცის სამსჯავროს
ბოლო სურვილად გავუბედე წამი- ხანძარი!..
ოხრავს ხეობა, მზე არ მძლავრობს- უნდა დამსაჯოს
და როცა ვნების ნაკვერჩხლები ცრემლად დავძარი,-
შეკრა კამარა ავაზამ და შეკრთა სამყარო,
შეწყდა წყვდიადში წამიერი წაწლობა წყვილის...
ფერიცვალობას, ქარაფებში, ჩემს სასაფლაოს
ცვარავს ცისფერი ღიღილო და ბაც ქობას იცვლის...

თამარ ყურაშვილი

ლიტფორუმი ებლიტფო ყველაზე საინტერესო გვერდია ჩემთვის. დიდი სიყვარულით ვუძღვნი ჩემს ერთ პატარა მოთხრობას, რომელიც გამორჩეულად მიყვარს.

უკვდავების წამალი

თუ რომელიმე თქვენგანს 2000-2002 წლებში ბოსტონში, უფრო ზუსტად კი, მედფორდში გიცხოვრიათ და 92-ე ნომერ ავტობუსით გისარგებლიათ, მაშინ აუცილებლად გემახსოვრებათ ამ ავტობუსის ხშირი მგზავრები - გრძელთმიანი, მაღალი და გამხდარი ახალგაზრდა ქალი და უზარმაზარზურგჩანთაგადაკიდებული, ასე 5-6 წლის, ბიჭი, მოკლედ შეჭრილი თმებითა და კეპით. ისინი ყოველ დილით, ზუსტად 7 საათსა და 15 წუთზე იდგნენ ავტობუსის გაჩერებაზე, შერონ სტრიტისა და ჰარვარდ ავენიუს კვეთაზე და საღამოობითაც ამ გაჩერებაზე ჩამოდიოდნენ. შერონ სთრითის პარალელურ ქუჩაზე, ლოურენს სთრითზე რომ დიდი, აივნებიანი თეთრი

* * *

გიყვები ახლა, რადგან უნდა გელაპარაკო...
რაზე? ყველაზე — ჩემზე, შენზე, მთაზე, არაგვზე.
სხვა არჩევანი ფიქრისფიქრად დაშლილს რა მაქ რო,
უნებურად ხომ ტკივილით და დარდით ამავსე...
ჩემზე გეტყვი, რომ... გამოექცა სისხლი საფეთქელს,
მაჯა ხმაურით დაილეწა, გატყდა ლავიწი.
მახსოვს — სოხუმი დაეცაო — მაშინ ასე თქვეს
და კიდევ — ბევრი დავმარხეთო... რა დამავიწყებს!
არ წამოვსულვარ, სული გარჩა წიწვოვანებში —
ასე მეგონა. თურმე, როგორ მიამიტი ვარ...
ვძლებდი (შენ ალბათ გაიოცებ) ყველას გარეშე,
თუმც გულმა ჩუმი, ცხელი ცრემლით ბევრჯერ იტირა.
ჩემზე სხვა არც რა... შენზე უნდა გითხრა, რადგანაც
ამ გულში შუქად, დაულეველ სითბოდ შემოდი!
უკვე ეს მთებიც ისე მხნედ და მშვიდად არ დგანან,
როგორც მშვიდად და უხმაუროდ იდგნენ... შენამდე!
განა ვერ ვხვდები? უცაბედად აირია გზა,
ახლა (წუწუნი მე არ ვიცი) ჩუმად ვიდარდებ.
მერე რა, თუკი დროს არსაით აღარ მიაქვს და
სასურველ ტკივილს სიკვდილამდე უნდა ვიტანდე!
განა მარტო მთა? იყო დიდი, მწვანე მინდორიც,
თვალებში — ნისლი, ელვაც იყო, მკრთალი სხივიც კი...
რა მექნა მაშინ, ჰაერივით თუკი მინდოდი
ან რა ვქნა ახლა, იმ თვალებს რომ ვეღარ ვივიწყებ.
გამოჩნდი რაღაც უცნაურად, ლაღად... რა ცუდ დროს
(გეუბნები და ეს გამხელა, იქნებ, არც ჯობდეს)...
მე რომ დამინდოს, ვინ დაინდო განა საწუთრომ
და მეც ხომ არ ვარ ის — ვიყო და ცრემლი მახრჩობდეს.
არ ვიცი, არა, ამ არეულ გზაზე ვივლი კი
ისე, რომ აღარ გამოვედო სიკვდილს! ისე, ხომ
ყოველთვის მეტად საფრთხილოა ვიწრო ბილიკი...
თუ ავდგე ახლა და ღიმილით გადავიჩეხო?!

არაგვის ხმაურს გადაფარავს როცა ფიქრები,
ტყიანი ჭალა დადუმდება, მუზად რომ ვკმარობ
(ეს ე. ი. როცა, მალე, მთაში იქნები),
მინდა, ამ ლექსმა შენეული ღიმი მოგგვაროს!

მანონ ბუღისჯერია

სახლი იდგა, მის მოპირდაპირე მხარეს პატარა ქუჩა ჩადიოდა, სალემ სთრითი, სწორედ ამ ქუჩის განაპირას იდგა დაბაღობეშემოვლებული ხის ორსართულიანი სახლი, რომლის პირველ სართულზე ამ სახლის პატრონები, მისტერ და მისის არლინგტონები ცხოვრობდნენ, მეორე სართულს კი აქირავდებდნენ, ძირითადად, უცხოელ სტუდენტებზე. სწორედ ამ სახლში ვცხოვრობდით მე და დედაჩემი.

სწორად მიხვდით, ის ზურგჩანთამოკიდებული ბავშვი მე ვარ, ის გრძელთმიანი და გამხდარი ქალი კი - დედაჩემი, ამერიკაში ახალი ცხოვრების საძებნელად ჩასული და სხვა, მილიონობით მისნაირი ადამიანის მსგავსად, შრომის თავბრუსდამხვევ რიტმში ჩართული თუ ჩათრეული. სიმართლე გითხრათ, მე მაშინ ძალიან პატარა ვიყავი იმისთვის, რომ ბოლომდე მეგრძნო და გამეგო, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ დედის დაღლილ და ხშირად გატანჯულ სახეს რომ ვუყურებდი, ვხვდებოდი, რომ მთლად ისე არ იყო საქმე, როგორც დედას ეგონა, რომ იქნებოდა. ხოლო ვინაიდან მე ბავშვობიდან არ მიყვარდა ზედმეტი კითხვების დასმა და ყოველთვის იმას ვჯერდებოდი, რასაც დედა მეტყოდა, არც ამჯერად ვაწუხებდი დედას ზედმეტი კითხვებით და ვცდილობდი, თავად წარმომედგინა ის ყველაფერი, რასაც დედა გრძნობდა და განიცდიდა.

დღემდე არ ვიცი, ზუსტად რომელ საათზე იღვიძებდა დილით დედა. მე რომ თვალს ვახელდი, დედას უკვე ეღვიძა და სახლშიც რძიანი ყავისა და შვრიის ფაფის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. სანამ მე ფაფას ვჭამდი, დედა ფანჯარაში თავგაყოფილი სიგარეტს ღრმა ნაპასებით ჩქარ-ჩქარა ეწეოდა და სულ იმას ამბობდა, ოღონდ ეხლა მისტერ და მისის არლინგტონებს არ დაენახათ. მე არ ვიცოდი, რა მოხდებოდა დედას, ასე სასაცილოდ ფანჯარაში თავგაყოფილსა და ყელმოღერებულს, თუ სახლის მეპატრონეები დაინახავდნენ, მაგრამ რადგან დედა ამას საფრთხედ აღიქვამდა, მეც ჩუმად, გულში ვნატრობდი, რომ ეს არ მომხდარიყო, ვნატრობდი, რომ დედას უსაფრთხოდ მოეწია სიგარეტი და სახლიდანაც მშვიდად გავსულიყავით. ასეც ხდებოდა. სახლიდან გასულები ჩქარი, ზოგჯერ კი ძალიან ჩქარი ნაბიჯით ავტობუსის გაჩერებისკენ მივდიოდით და უკვე ორივესთვის გაზეპირებულ ტექსტს ვისმენდი. მე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მეჩხუბა ბენთან, უნდა დამეჯერებინა მისის რამოსისთვის (დედა მას რატომღაც სულ მისის რამოსას ეძახდა) და სანამ დედა არ მომაკითხავდა, არავის, სულ არავის არ უნდა გავყოლოდი არსად. „გასაგებია?! - სკოლის ჭისკართან მისულს მკითხავდა დედა და მეც თავის დაქნევით ვპასუხობდი, რომ გასაგებია. დედა სამსახურში მიდიოდა და მე ზუსტად ვიცოდი, რომ მოსწავლეებიდან სკოლას ყველაზე ბოლოს დღესაც მე დავტოვებდი. მე ეს არ მომწონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ დედას სხვანაირად არ გამოსდიოდა და ამიტომაც არც ვბრაზდებოდი და არც არაფრის მეშინოდა. მე ზუსტად ვიცოდი, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, დედა ყოველთვის მოვიდოდა და ჩვენ ყოველთვის საღ-სალამათები და უვნებლები დავბრუნდებოდით სახლში. ამის რწმენას კი ის საიდუმლო მაძლევდა, რომელიც მარტო ჩვენ ორმა - მე და დედაჩემმა ვიცოდით.

როდესაც პირველად ამერიკაში ჩავედით და არლინგტონების სახლში დავბინავდით, ჩვენთან დედას მეგობარი, ლორა მოვიდა. მე მაშინ ინგლისური არ ვიცოდი და მათი ნალაპარაკევიდან ვერც ვერაფერი გავიგე. როცა ლორა წავიდა, დედამ მითხრა, რომ მე ძალიან მაგარ სკოლაში ვივლიდი და ამერიკელ ბავშვებთანაც ძალიან გავერთობოდი, ძალიან! ძალიან!

მართლაც, მეორე დღეს დედამ სკოლაში წამიყვანა. ის დღე ბუნდოვნად მახსოვს. მახსოვს ბევრი ბავშვი, ყველა უცხო და რაც მთავარია, სხვა ენაზე მოლაპარაკე, ავტობუსიც მახსოვს, ყვითელი „სქულ ბასი“, რომელშიც რატომღაც აღმოვჩნდი. როგორც მალევე გაირკვა, მე სკოლის გახანგრძლივებულ ჯგუფშიც ვიყავი და ვინაიდან იმ სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, აფტერ სქულ პროგრამ (გახანგრძლივებული) არ იყო, სხვადასხვა სკოლებიდან მიყავდათ ბავშვები იმ ერთ „ქენედი სქულში“, საიდანაც დღის ბოლოს უნდა წავეყვანე დედას. ეხლაც მახსოვს ის დაბნეულობა და ტირილის სურვილი, რომელიც მაშინ გამიჩნდა, როცა ავტობუსის მძღოლმა (ავტობუსში პირველად აღმოვჩნდი, თან მარტო) რაღაცეები მითხრა და მე ვერაფერი ვერ გავიგე. ერთი სიტყვით, ცუდი დღე იყო.

დედამ რომ მომაკითხა და წამიყვანა, მთელი

➲ გაგრძელება მეხუთე გვერდზე

ნუკრი ბერეთელი

ამ ძველისძველი ლექსის განწყობაზე ვარ ახლა:

ხხვიხი ბავშვობა

ქარია, ქარია ფანჯრებთან,
აწვალებს ამ ფოთლებს — მოჰიკანებს.
შესცივდა — საათიც გაჩერდა.
ქარებმა ზამთარი მოიყვანეს.

ცოტა ხნით უნდა შევეკედლოთ,
ამ ქვისგულიანს და გრძელღამიანს.
—ნახირი ბაგასთან შერეკეთო,
ამაღამ! — ბებია პელაგიამ.

მთებს უკვე დაჰხურა ფაფანაკი,
ხვალ სოფლებს მოსწვდება, მოხატულებს.
პერანგით და მისი ამხანაგით
ბაბუ საწოლისკენ მოფრატუნებს.

ხვალ თუ ზეგ დღესასწაულია,
ბაბუა ზღაპრობს და შაირობს.
ვაი, რომ ამ დღეებს ჩაუვლია,
უჩემოდ ჩაუვლია, ვაი, რომ...

ხარჯეხთან

ოო, ჩემო კარგო, დაგცემია ის წლოვანება,
როცა გეხსნება ჭეშმარიტება:
არავინ და არაფერია სარკესავით მატყუარა.
...და ეგ ქალი სულაც ვინ არის,
ვერცხლის ზედაპირს თუ აეკვრები,
თხემით ტერფამდე რომ დაგემთხვევა;
მარჯვენას რომ გადმოდგამ უკან,
ის მარცხენა ფეხს გადადგამს
სიმეტრიულად
გაოცების ყრუ აკორდის შორი თანხლებით?
რა იქნა გოგო – ფიქრლაჟვარდა და ნისლისფთილა?
შუა ხნის ქალის ეს სხეული როგორ ჩაიცვა?..
ფიფქის ასული,
ის კამკამა,
ის ნამციალა – ტანმძიმე ქალად?!.
და გაოცებამ მოიმსხვრია ფრთები სარკესთან..
. . . . . .

ოო, ჩემო კარგო, დაგცემია ის წლოვანება,
როცა გეხსნება ჭეშმარიტება:
არავინ და არაფერია სარკესავით მატყუარა.
თუ რამ გიშველის, თუ რამ აგხსნის ამ მძიმე ჯადოს,-
ის...
ის...
ის თვალები...
თვალმთვრალები...
გეგონა, სულაც აღარაფრად არ გჭირდებოდა
წყვილი ჭრილობის წარამარა შემოეკლება,
ახლა კი იცი: რაც სარკეში არა და არ ჩანს,
იქ...
იქ...
იქ ჩარჩა, იმ თვალებში აირეკლება.
უიმთვალებოდ თოში ფიქრებს წიხლავსდა ჭირხლავს,
ნეტა სად არის?მოურჩი თუ ჯერ
ისევ...
ისევ...
ისევ ჭირხარ?!.

ზეინაბ სარია

ენიაზ აღგეტსეი

* * *

შენს ბაგეს მარწყვად დავკრეფდი
გულში შროშნად რომ იალა,
თუ ერთხელ გამიღიმებდი,
ჩემ იქნებოდი მთლიანად.
გინდ მომკალ ,გინდ დამარჩინე
ქალო მინამ ვარ ჭკვიანად,
თორო თუ გადავირიე
წაგიყვან მამა-ძმიანად!

უკვდავების წამალი

➲ *გაგრძელება მეოთხე გვერდიდან*

გზა ვდუმდი. ვიცოდი, რომ რამე რომ მეთქვა, ეგრევე ტირილი ამიტყდებოდა, მერე დედაც ამყვებოდა და უარესი იქნებოდა. ამიტომ ვარჩიე, ხმა არ ამომეღო. არადა, დედა გაუჩერებლად მელაპარაკებოდა და მელაპარაკებოდა... თან უამრავ კითხვას მისვამდა, რაზეც მე ხან თავის დაქნევით, ხან თავის გაქნევით და ხანაც მხრების აჩეჩვით ვპასუხობდი. ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდით სახლში, რომ ჩემს უზარმაზარ საწოლზე გავშოტილიყავი და დამეძინა.

როგორც კი სახლში მოვედით, იმ წამსვე საძინებლისკენ გავიქეცი და ლოგინზე პირქვე დავემხე. მეტირებოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი, ვფიქრობდი, რომ დედა რომ დაიძინებდა, მერე მეტირა.

- საიდუმლოს შენახვა შეგიძლია? - მკითხა მოულოდნელად დედამ და გვერდით მომიწვა.

მე მაშინ სულ რაღაც 5 წლის ვიყავი, მაგრამ დავიჯერო, არსებობს კი ამქვეყნად ხუთი წლის ბავშვი, რომელიც იტყვის, რომ საიდუმლოს შენახვა არ იცის და თავის თავს ამ სიამოვნების მიღების საშუალებას მოუსპობს? მე მგონია, რომ არა. ამიტომაც გამოვცოცხლდი და დედას მივაშტერდი. დედას მუჭი შეკრული ჰქონდა და შეთქმულის სახით მიყურებდა. მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და გავიფიქრე, რომ ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი საიდუმლო იყო.

- ოღონდ არავის, სულ სულ არავის არ უნდა უთხრა! - გამაფრთხილა დედამ და შეკრული მუჭი გაშალა. ხელის გულზე პატარა თეთრი აბი იდო, საწუწნი კანფეტისნაირი.

- ეს იცი, რა არის? - ხმას დაუწია დედამ და ის-ის იყო, მინდოდა მეთქვა, რომ კანფეტი, და დედამ ისევ ისე, შეთქმულივით გამიღიმა, ხმას კიდევ უფრო დაუწია და თითქმის წაიჩურჩულა:

- უკვდავების წამალი.

- უკვდავების წამალი? - მინდოდა მეკითხა, მაგრამ დედამ არ მაცალა და განაგრძო:

- შეხედე? ეხლა ამ აბს მე და შენ ორ თანაბარ ნაწილად გავიყოფთ. ერთ ნახევარს მე დავლევ, მეორეს - შენ და არასდროს, სულ სულ არასდროს არაფერი დაგვემართება. ჩვენ სულ ვიცოცხლებთ და სულ ერთად ვიქნებით. ოღონდ არავის არ უნდა უთხრა! დაიფიცე!

და მეც დავიფიცე. დედამ გამიღიმა, ხელის სწრაფი მოძრაობით წამალი შუაში გადატეხა და მომაწოდა. მე თვალები დავხუჭე და უკვდავების წამალი პირში ჩავიდე. დედამ ცხვირზე მაკოცა და კიდევ ერთხელ გამაფრთხილა, რომ არავისთვის მეთქვა, იმიტომ რომ ეს ჩვენი საიდუმლო იყო.

ამ საიდუმლოს დღევანდელ დღემდე ვინახავდი.

თამარ ყურაშვილი

მაია ედოუონენი

ფაჩუნას მოთები

ნაძღვილი ამბავი — ეძღვნება ყველა მშობერსა და შემკივნებულს

პურს ქადაში ვარჩევ, პური მირჩევნია — შენი პურები, ფქვილმოფრქვეულო ფუმფულდეიდავ! სანდომიან ჩასახედზე გაგიმართავს ღუმელი და თაროები! გადმოვეშვები, ოხშივარმოდებულ დეკოლტეში ცხვირს ჩავრგავ და შევისუნთქავ შენს მადისაღმძვრელ ფერომონებს. ჯანმრთელი და გარჯილი სხეულის გასაშრობად მოსხმულ ხალათს ოფლი გისველებს და უზარმაზარი ძუძუსთავები მოგიჩანს, ისეთი კი არა ჩემი თანაკლასელი გოგონების მაისურებს რომ მოჰყვება მისამაგრებლად.

ამოაწყვე ქუნქულები შენი თორნის „ფორთოჩკიდან," ხალიჩასავით გადმოფინე, თითოეულ ნაქარგს, ხვეულსა თუ რღვეულს ფერებ-ფერებით რომ გავაყოლო თითები. ამოიზიდე და გულში ჩამიკარი, ჩამიპატიჟე, გამათბე, გამაააა!..

— რა სვინტრდალეულივით მომაჩერდი, ბიჭოო?! რამდენი პური გინდა?

— ერთიფაჩუნადეიდა.

— ცომი არ დაგაბარა დედაშენმა?

— არა.

— მაშინდელივით არ დაგავიწყდეს და ისევ არ მოიზილო აქა.

— მადლობაფაჩუნადეიდა.

— მაგის იმედი თუ აქვს დედამისს?.. შეხე, ქარქვეტასავით არ მიქიანობს?

საფუარის მჟავე სურნელი თან მიმყვება, გათოშილ თითებს შოთით ვითბობ — გულში ვიხუტებ მადლიანი მკლავით მოზელილს, გამომცხვარგამოშუშებულს. სათითაო ლუკმაპურზე შენი მკერდი მიდგას თვალწინ, ფაჩუნდეიდავ. შენი პურ(მარილ)ის მონა ვარრრ...

— ცომი კიდევ დაგვიწყნია?

— ახლავე ამოვიტან, დედა.

— იყოს.

— არ მეზარება, ჩავალ.

მორჩილად ჩავდგები სურნელოვან რიგში. იქნებ ამჯერად მაინც გაიზიდონ ირიბად ნისლია თვალები და მანიშნონ: მოოდი, ჩემი გულ(მკერდ)ის საიდუმლო გაგანდოო!

რა იქნება, ფაჩუნდეიდა, გამომარჩიო — პურსა ვჭამ, ბალახს ხომ არ ვძოვ?ულრან ტყეების გაქსელილ

ჩარჩოს შემოურკალავს ფერების

წყება - მოლოდინი ვარ.

მოუთხრობელი შენთვის ამბები

სიტყვების ნაცვლად ამ ხაზთა რწევას

ადევნებია. საღამოს ბინდში,

ჩამქრალ ბუხართან, აპრონენია ავიცია.

მწველი სურვილები, კლდიდან



გადავარდნის ან ცის უსასრულო ჭაში

ჩავარდნის, სასახლის სიჩუმეს შერთვია.

დაიხრება, აიღებს ნახშირს და

მარმარილოს ფილაზე ერთადერთი

ასო გამოჰყავს. მერე უცებ შლის

(თვალწინ მიდგას მოძრაობა მყისიერი),

და ცრემლებად იღვრება.



ეღენე საღარიძე

ნაწყვეტი რომანიდან „ერთი დაბომბილი სოფლის ტრაგედია

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

რომანში მოყვანილი შიდა ქართლის ძირძველი სოფელი მართლა არსებობს, უფრო სწორად, აღარ არსებობს! — მიწასთან გაასწორა მტერმა. რომანის გმირები, ანუ ამ სოფლის ფუძეაყრილი შვილები, ჩვენ გვერდით არიან და ჩვენგან ტკივილის გაყოფასა და თანადგომას ელიან.

რომანის თითო თავი — თითო ოჯახის ტრაგედიაა და მოურჩენელ იარად დამჩნევია უკვე ამ ფუძემოწყვეტილ და კერაჩამქრალ ადამიანებს და მთლიანად საქართველოს.

გთავაზობთ ერთ თავს რომანიდან.

ბედმა თუ უბედობამ ქართველი გოგო და ოსი ბიჭი ერთმანეთს ოკეანისგაღმა შეახვედრა...

მათ სახლებს ათიოდე კილომეტრი თუ აშორებდა. ბიჭი ცხინვალელი დიდჩინოსნის შვილი იყო, გოგო — ერთი პატარა ქართული სოფლის ინტელიგენტური ოჯახიდან.

ბიჭი ნიუ-იორკში სწავლობდა, მანჰეტენის კვარტალში. გოგომ საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა და ორთვიანი გაცვლითი პროგრამით ერთ-ერთ ამერიკულ ოჯახში ცხოვრობდა, ლექცია-სემინარები კი იმავე უნივერსიტეტში უტარდებოდა, სადაც ბიჭი სწავლობდა.

ერთმანეთი 4 ივლისს გაიცნეს, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღესასწაულზე.

როცა მორიგმა თავბრუდამხვევმა ფეიერვერკმა თვალი აუჭრელა, — ვაიმე, დედიკო, მიშველეო! — ქართულად წამოიყვირა გოგომ და ის-ის იყო, ქვაფენილზე უნდა დავარდნილიყო, რომ უცნობი ბიჭის ძლიერ მკლავებში აღმოჩნდა.

— მომესმა თუ მართლა ქართველი ხარ? — არცთუ გამართული ქართულით იკითხა ბიჭმა და გაოცებულმა თვალი ვეღარ მოსწყიტა აშოლტილ შავთვალება გოგოს.

— შენც ქართველი ხარ? — გაიხარა გოგომ ქართულის გაგონებისას და მაღალ, დაკუნთულ ბიჭს ხელი ფრთხილად გააშვებინა.

— არა, ოსი ვარ, ცხინვალიდან... ჩემი მშობლები ადრე სულ ქართულად ლაპარაკობდნენ, მეც ქართულ ბაღში დავდიოდი, მეოთხე კლასამდე კი ქართულ სკოლაში ვსწავლობდი... ვლადი მქვია, ნიუ-იორკში ვსწავლობ. შენ?

— მე ორთვიანი გაცვლითი პროგრამით ვარ ჩამოსული... მაპატიე, უნდა გავიქცე, მეგობრები უნდა ვიპოვო, აქვე იქნებიან... დიდი მადლობა, რომ დამიჭირე, თორემ ალბათ კისერს მოვიტეხდი. აბა, კარგად!.. — და გაქცევა დააპირა.

— მოიცა, არ წახვიდე, იქნებ კაფეში წავსულიყავით... ერთმანეთს უკეთ გავიცნობდით...

— მეგობრები უნდა მოვძებნო...

— მაშინ ხვალ შევხვდეთ, მე სამზე მოვრჩები, ბოლო გამოცდა მაქვს. აქვე, მანჰეტენზე, რუსული კაფეა, 4-ის 20 წუთზე შესასვლელთან დაგელოდები...

მაშინვე დათანხმდა.

— რა გქვია? — გაქცეულს მიაძახა ვლადიმ.

— თეა, თეა! — უპასუხა და მომლოდინე გოგონებს შეუერთდა.

* * *

მიდიოდა მოულოდნელ პაემანზე, თუმცა კი ფეხი უკან რჩებოდა. რა მინდა, ვიღაც ოს ბიჭთან რა საერთო უნდა გამოვნახოო, ფიქრობდა. მობილურზე საათის მაჩვენებელს დახედა. ოთხს 10 წუთი აკლდა.

— მეგონა, აღარ მოხვიდოდი... თანაც, საგამოცდო ტესტი დროზე ადრე შევავსე და... დიდხანს მომიწია ლოდინმა, — აღელვებული ჩანდა ვლადი.

— ცხინვალელი რომ არ იყო, მართლა არ მოვიდოდი. უბრალოდ, ძალიან საინტერესო შეხვედრა გამოგვივიდა. ჩემი სოფელი ზედ ცხინვალთანაა, ერთმანეთს კი ამერიკის კონტინენტზე ვხვდებით. დიდი ხანია აქა ხარ?

— მოდი, ჯერ ადგილი შევარჩიოთ და რამე შევუკვეთოთ. დილით არც მისაუზმია, შენ? — ხელი ჩასჭიდა თეას და თავისუფალ მაგიდასთან დასვა. თვითონაც გვერდით მიუჯდა და თვალით ოფიციანტს დაუწყო ძებნა.

ოციოდე წლის რუსი ოფიციანტი მაშინვე მათთან გაჩნდა.

ვლადიმ თეას მენიუ გაუწოდა, რა შევუკვეთოთო.

თეა დაიბნა.

— მეათე დღეა, რაც აქ ჩამოვედი. ასეთ ფეშენკაფეში არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ შენს გემოვნებას ვენდობი...

— მაშინ ხორციანი ბლინები ავიღოთ, კიდევ „ალადები" მოცხარის ჯემით. საფირმო შოკოლადიანი კოქტეილი და „კოკა-კოლა", კარგი? ნაყინიც ხომ გინდა? აქ ძალიან გემრიელი ნაღების ნაყინს ამზადებენ, ეგზოტიკური ხილით. შეგვიძლია მხოლოდ ბანანით მოვითხოვოთ, ან ანანასით, ან კივით, ან სულაც ასორტი... — აღარ იცოდა თავი როგორ გამოეჩინა ვლადის.

დარბაზში ბენდი რუსულ მელო-

გაგრძელება მე შვიდე გვერდზე

ჯაცები

- ვინ არი მაგარი კაცი?
- მე.
- აბა, რა ხდება, როგორა ხარ?
- მაგრად, გუშინ ბაღში ვიჩხუბე.
- რატო იჩხუბე?
- აბა დიდი კუბიკებით სახლი ავაშენე და ერთმა დამინგრია.
- მერე?
- მერე შენი მოტანილი ბოტასი მივარტყი.
- მერე?
- მერე გამზრდელმა გაგვაშველა.
- მერე?
- მერე იმან იტირა, მე არ მიტირია.
- სახლს თუ გინგრევდა უნდა გეჩხუბა, მაგარი კაცი ხარ. კიდე?
- კიდე ახალი ლექსი ვისწავლე.
- აბა თქვი.
- „ახალი წელი მოვიდა
ახალი სიხარულითა,
ყველას სიკეთეს გისურვებთ,
ჩემი პატარა გულითა“.
- მაგარი კაცი ხარ. კიდე რა ხდება, დედას ხო არ აბრაზებ?
- არა, მაგრამ ხანდახან ტირის.
- რატო ტირის, ალბათ აბრაზებ?
- არაო, შენ არ მაბრაზებო.
- აბა ვინ მაბრაზებსო?
- არ მითხრა.
- თუ კიდე იტირა, უთხარი ვინ გაგაბრაზა თქო. ახლა შენ ხარ ოჯახში კაცი.
- შენ?
- რა მე.
- შენ რატო არ ხარ ჩვენთან.
- ახლა ასეა საჭირო და იმიტო.
- რატოა ასე საჭირო?
- ხო კარგი... რამდენი წლის ხარ ახლა?
- ისევ სამის.
- ისევ სამის კაცო?
- ხო, ისევ სამის.
- აბა ელოდები ახალ წელს?
- არა, ჩვენთან უკვე მოვიდა.
- არ გამაგიჟო, როდის?
- როდის და დედამ გუშინ ნაძვის ხე მორთო და მაშინ.
- თოვლის ბაბუაც მოვიდა?
- არა, თოვლის ბაბუა ტელევიზორში დავინახე.
- გინდა თოვლის ბაბუასთან წაგიყვანო საჩუქრისათვის?
- არა.
- რატო?
- მე შენთან მინდა.
- მე ხო თოვლის ბაბუა არ ვარ.
- მოდი შენ თოვლის მამა იყავი.
- თოვლის მამა ვის გაუგონია?
- შენ იყავი.
- ხო, კარგი. რა გიყიდო?
- ემდემი.
- ეს რა არის?
- არ იცი?
- ხო, გამახსენდა.
- დედასაც ვუყიდოთ ხო.
- ხო.

* * *

- აბა ავედით კიბეზე. რამდენი საფეხურია გახსოვს?
- კი. ოცდაერთი.
- მაგარი კაცი ხარ.
- მამა!
- ხო.
- ოცი და ერთი რო არის, ათი და ერთი რატო არ არის?

- რაა? ა, თერთმეტზე მეკითხები?
- ხო.
- აბა მე რა ვიცი.
- დედამ თქვა, ყველაფერი იცისო.
- ხოო? ასე თქვა?
- ხო, ასე თქვა.
- ალბათ თერთმეტი უფრო ლამაზად გმოითქმება და იმიტომ...
- მოვედით.
- ზარი არ მუშაობს?
- არა. გაფუჭდა.
- მაშინ დავაკაკუნოთ.
- ნელა დავაკაკუნოთ.
- ნელა რატო?
- იქნებ დედას სძინავს...

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

➲ დასაწყისი მეექვსე გვერდიდან

დიებს უკრავდა. კაფეში მყოფთა უმეტესობაც რუსულად ლაპარაკობდა.

— რუსულ გარემოში თავს ალბად კარგად გრძნობ, — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა თეამ.

— უბრალოდ, ამ კაფეში შედარებით იაფად შეიძლება ისაუზმო... — თავი იმართლა ვლადიმ.

— მე კი მეგონა... — აღარ გააგრძელა თეამ.

— არ გვინდა პოლიტიკა! — აღელდა ვლადი, — რას ვიფიქრებდი, რომ ასე ლამაზ ქართველ გოგონას მანჰეტენზე შევხვდებოდი და მაშინვე პოლიტიკაზე დამიწყებდა ლაპარაკს... რამდენი წლის ხარ, თეა?

— არც ისე პატარა ვარ. მაისში 19-ის გავხდი. მესამეკურსელი ვარ, თბილისში, უცხო ენების ინსტიტუტში ვსწავლობ, ინგლისურზე, წელს ფრანგულსაც დავიწყებთ... შენ, შენ რამდენი წლის ხარ?

— მე? შენზე ბევრად უფროსი ვარ, სექტემბერში 25-ის გავხდები. ვლადიკავკაზში ვსწავლობდი იურიდიულზე, მერე აქ გამოვემგზავრე. ბაკალავრის დიპლომს ალბათ გაისად ავიღებ, ოღონდ ამჯერად ეკონომიკას ვსწავლობ...

— ამერიკელ გოგონებს ალბათ ძალიან მოსწონხარ!

— რატომ გგონია?

— რა ვიცი, მგონი სიმპათიური ბიჭი ხარ...

— მგონი, თუ... — იწყინა ვლადიმ.

— მაპატიე, ასე არ მინდოდა მეთქვა, უბრალოდ, კარგი ბიჭი ხარ. გოგონებს შენნაირი დაკუნთული ბიჭები ძალიან მოსწონთ... — თეამ აღარ იცოდა, თავი რით ემართლებინა.

— დიდი მადლობა, თუ ასე ფიქრობ. მაგრამ მინდა გითხრა, რომ ამერიკელ გოგონებს მაინცდამაინც გული არ მიუწევთ უცხოელებისკენ. თანაც, ჩემს კოლეჯში არც შენსავით ლამაზი გოგონები არიან...

— მითხარი, ჩემი მშობლები ქართულად ლაპარაკობდნენო... — სხვა თემაზე „გადაერთო“ თეა.

— ჰო, სკოლა და ინსტიტუტი ორივემ ქართულად დაამთავრეს. მაგრამ ახლა იშვიათად თუ ლაპარაკობენ ქართულად... თუმცა კარგად არც ოსური იციან და არც რუსული... ამჯერად ორივე ინგლისურს სწავლობს, ამერიკაში აპირებენ გადმოსახლებას...

— მე კი მეგონა, მოსკოვი ერჩივნათ ან სანქტ-პეტერბურგი.

— არა, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მათ ერთადერთ შვილს, ე. ი. მე, ამერიკაში მესწავლა. ორი სახლი გვქონდა, ორივე გაყიდეს და ერთოთახიან ბინაში ცხოვრობენ... რამდენიმე სემესტრი მამას მეგობარი ბიზნესმენი მაფინანსებდა, მერე დაიჭირეს და ძალიან გაგვიჭირდა. კიდევ კარგი, საღამოობით ამ კაფეში ვმუშაობ... ცოტას მეც ვეხმარები ჩემებს ჩემივე სწავლის ფულის გადახდაში, — გული გადაუშალა ქართველ გოგონას ვლადიმ.

თეამ ახლაღა შეამჩნია, კაფეს მომსახურე პერსონალს მათი მაგიდისკენ რომ გამოურბოდა თვალი.

— კარგი ბიჭი ყოფილხარ, ვლადი. მე კიდევ ინგლისურ ენაზე თავისუფალი თემა დავწერე და საერთაშორისო კონკურსში გავიმარჯვე. ორი თვით მომიწვიეს. 39 დღე დამრჩა და მშვიდობით, ამერიკა! აქ სწავლის გაგრძელებაზე ალბათ ვერც ვიოცნებებ!

— რატომ, ინგლისური მშვენივრად იცი!

— სამაგიეროდ, ჩემს მშობლებს ჩემ გარდა ოთხი შვილი ჰყავთ. ორი გოგო და ორიც ბიჭი. სახლი კი მხოლოდ ერთი გვაქვს... ისიც სოფელში!

ვლადიმ საათზე დაიხედა.

— მალე იწყებ, არა, მუშაობას? მე წავალ! — წამოდგა თეა.

— არა, საღამოს 7 საათიდან. მანამდე დრო გვაქვს. შეგვიძლია გავისეირნოთ, შეგვიძლია აქ ვისხდეთ, ცეკვაც შეგვიძლია... — გაუღიმა თეას და ბენდისკენ გაახედა, — თუ გინდა „სიმდისაც“ დაუკრავენ, მე ვასწავლე... შენც ხომ არ ცეკვავ „სიმდის“?

— როგორ არა, სკოლის ანსამბლში სოლისტი ვიყავი!

— რა დამთხვევაა, მეც სოლისტი ვიყავი. ისე, არ არის რთული ცეკვა. ქართული ცეკვები უფრო რთულია... სხვათა შორის, ქართული ცეკვა ძალიან მიყვარს. ადრე ცხინვალში რამდენიმე ქართული ცეკვის ანსამბლი ყოფილა, დღეს კი ევროპულ ცეკვებს ასწავლიან შვილებს ოსები. მართლა, თეა, ინგლისური სოფელში ასე კარგად როგორ ისწავლე?

— დედა ინგლისურის მასწავლებელია. და-ძმებში უფროსი მე ვარ. ყველაზე უკეთ იცი, როდის ავლაპარაკდი ინგლისურად?

— როდის?

— როცა დედას უმცროსების სწავლაში ვეხმარებოდი. სიმღერას და ინგლისურს ერთად ვსწავლობდით. ხომ გინახავს ამერიკული ფილმი „მუსიკის ჰანგები“, ჯული ენდრიუსი და ქრისტოფერ პლამერი რომ თამაშობენ...

— როგორ არა, რეჟისორი ხომ რობერტ უაიზია... დედაჩემის საყვარელი ფილმია და მეც შემაყვარა. თითქმის ყველაფერი წავიკითხე ამ ფილმის შესახებ. ხომ იცი, „მუსიკის ჰანგებმა“ ოთხი ოსკარი აიღო. ფილმში ერთი ავსტრიული ოჯახის ამბავია მოთხრობილი. თუ არ ვცდები, გმირების სახელებიც არ შეუცვლიათ. საზღვაო კაპიტანი გეორგ ფონ

➲ დასაწყისი მეცხრე გვერდზე

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

➲ დასაწყისი მეშვიდე გვერდიდან

ტრაპი და მისი მეორე ცოლი მარია რეალურად არსებობდნენ. კაპიტანს პირველი მეუღლისგან მართლა შვიდი შვილი დარჩენია. მეორე მსოფლიო ომის დროს ავსტრიიდან მართლა გამოქცეულან... ომის წლებში ჯარისკაცებისთვის კონცერტებსაც მართავდნენ თურმე... — გატაცებით ლაპარაკობდა ვლადი.

— მე კიდევ იცი, სადღაც წავიკითხე, უმცროსი გოგონას როლს ქართველი ემიგრანტის, ვინმე ამილახვრის შვილიშვილი თამაშობსო... ჰოდა, რატომ გავიხსენე ეს ფილმი, იცი? — ჩვენს სახლშიც ასე ვსწავლობდით სიმღერასა და ინგლისურს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ნამდვილი დედა გვყავს და თანაც მხოლოდ ხუთი და-ძმა ვართ... ისე, კონცერტებს ჩვენც ვმართავდით სკოლაში...

— ხომ მოხვალ ხოლმე ჩემს კაფეში? — მოულოდნელად ჰკითხა ვლადიმ.

— აქ ხომ ძალიან ძვირია ყველაფერი. ფული კი არც შენ გაქვს და არც მე...

— ხანდახან მაინც მოდი, — „დათმობაზე“ წავიდა ბიჭი.

— ხანდახან შეიძლება, — გაიღიმა გოგომ.

— გინდა ვიცეკვოთ? — წამოდგა ბიჭი.

— ოღონდ „სიმდი“ არა! — ბიჭის ძლიერ მკლავებს მიენდო გოგო.

კარგად ცეკვავდნენ. ბენდი რაიმონდ პაულსის მუსიკას უკრავდა.

— მომღერალი არ ჰყავთ? — იკითხა თეამ.

— ჰყავთ, ოღონდ საღამოს 7-8 საათიდან იწყება საკონცერტო პროგრამა.

— საღამოობით ალბათ ბევრი ხალხია.

— ჰო, ძალიან ბევრი.

— შენ რას აკეთებ, ბენდში ხომ არ უკრავ? მითხარი, „სიმდის“ დაკვრა ვასწავლე მუსიკოსებსო.

— არა, ოფიციანტი ვარ!

— ასეთი უნიფორმა გაცვია? — ერთერთ ოფიციანტზე მიანიშნა.

— ჰო, ზუსტად ასეთი.

— მოგიხდება ასეთი ფორმა, — მეტი ვერაფერი თქვა.

ბენდი მელოდიურ, ნელ რიტმზე გადავიდა.

— თეა, შეყვარებული გყავს?

— არა, რატომ მეკითხები?

— რა ვიცი, ისე... — უჩვეულოდ წამოწითლდა ბიჭი.

— შენ, შენ ხომ გყავს? ამერიკელია? — ჩუმად იკითხა გოგომ.

— არა, ამჯერად არავინ მყავს. თუმცა ადრე ერთი აქაური გოგო მომწონდა. იმან კი მხოლოდ ერთი თვით „ამირჩია“ ბოიფრენდად...

— როგორ მხოლოდ ერთი თვით?!

— აი, ისე, როგორც გეუბნები! მერე ჩემს ჯგუფელზე გადაინაცვლა, დღეს კი მგონი სულ სხვასთან არის... აღარც მაინტერესებს...

— მე კიდევ ვერ ვიჯერებდი, ბოიფრენდებსა და გელფრენდებზე რომ ლაპარაკობდნენ... თუმცა იმასაც ამბობენ, ამერიკელები ქორწინების შემდეგ ძალიან ერთგული მეუღლეები არიანო...

— ვერაფერს გეტყვი...

— ალბათ მტკივნეულად გადაიტანე შეყვარებულთან განშორება...

— ჰო, ალბათ! — ცალყბად ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— კავკასიელებმა ერთგულება ვიცით... ხომ ასეა?

— ჰო, ასეა! — ლაპარაკის ხასიათი წახდომოდა ბიჭს.

➲ გაგრძელება მეშვიდე გვერდიდან

➲ გაგრძელება მერვე გვერდზე

თამილა ჯაფარიძე

ირინოლა მეიფარიანო

ჰეი, ირინოლა მეიფარიანო,
ენგურს მოჰყოლიხარ და სველდები სევდებით,
მონაპირე ქვებით, მდინარეზე
შესეული ჭრელი ფოთლებით...
გახსენი კალთაბროლები - დედის სანთელხელებით,
გადამაწვინე მკლავებზე - ფიქრის ბორანზე,
ღამის ყორანი - შიშის ქვაზეგანი გამინათე,
დაუძახე მხედრებს - ტყეში შეხიზნულ მწვანე ყაჩაღებს,-
ნაძვის დევბიჭებს, ცაში ნამეხარ ქუხილებს...
წვიმის წუხილებს უმღერე ძველი სიმღერა, უმღერე!
დაჰკარ ირინოლა, ძველი სისხლკალამი,
დაწერე, დაწერე,- ჩიტბუდეებში ჩანერგე იმედები,
გადაუფრინე კოშკების სათოფურებს,
ხელისგულები აავსე თაფლით,
აქ ხომ ყოველთვის ღმერთი გადმოდის მაღლით!

ჰეი, ირინოლა მეიფარიანო!
განფინე მოწაფის შავი წინსაფარი, გაშალე მძიმე თმები და
უავდრო წელთა ატლასები...
ღამეათასები მოიხმე და დამასიზმრე სიცხადის სიზმრები,
ირმებით მოქარგული ხალიჩები,
სიცხით გათანგული ოქროს ბალიშები,
წამაკითხე ლურჯი მელნის წერილები,
გეფიცები ვიქნები მომთმენი და დამჯერი, ოღონდ
გაცხადდი და განათდი... აბრიალდი და კოცონად მაქციე!

ჰეი, ირინოლა მეიფარიანო!
მომიყვანე ჩემი დობილები, - კეთილი მეათეკლასელები,-
დამფრთხალი ბეღურები და ხელჩანთებში გულის წამლების ნაცვლად
ჩაუყარე მზეჭრელა ყელსაბამები და ბროწეულის ტუჩსაცხები,
ცისნატეხა სარკეები და უმისამართო ბარათები...
სხვა არაფერი... არც დაგვცდება აუგი რამე...
აუშვი ღამე - შავი ავაზა, ჩარაზე პირღია მიწის კარები,
გახსენი ზეცა - ლურჯ მინდორზე შეფენილი თეთრი კრავებით!

ჰეი, ირინოლა მეიფარიანო!
ფიქრდები, ფითრდები, ქვავდები და ჭკნები,
დღეები - ლაჩრები მოგდევენ ხავსებით,
ავსებდი დოქებს და წყალს მთებში დასდევდი, ასმევდი
ლექსებს შარბათებს, აბნევდი...
არწევდი ღრუბლების მაღალ საქანელებს
და დროის კამათელებს არასდროს არ ცნობდი;
ამბობდი, ამბობდი...
გარბოდი, გარბოდი, გარბოდი!

ჰეი, დედაბერო!
ჰაი, „სი ხოლა!“ სხვაგვარო ირინოლა!
ადევნებიხარ ჩამტყდარ ხიდებზე გარბენილ აპრილებს,
ატირებ ლექსებს და ჭუნირსაც ატირებ...
ან რაღას აპირებ, დადექ, დაოკდი, გახედე ნამდვილებს-
კოშკებზე ბზარები, ქვებზე ქალები...
ადექ დედაბერო, აკეცე დილა, დაბერტყე სიზმარი,
მოქსოვე სათბილო, მოგადგა ზამთარი....
კართან დგას აფთარი, - ნამდვილი სათქმელით...
პური და სასმელი ხელებზე მოიბი,
შეჩერდი, იმ მინდვრებს შენ ვეღარ მოივლი!
ყოილი დააგდე, დაკემსე ბალახი, არ გიცნობს არავინ,
სხვა არი მთავარი!

ჰაი, დედაბერო!
მოისხი თავშალი, ძვლებს ხმა რომ ჩაუდგა არ არი ხარხარი,
ვინაა მართალი, ჯერ ისევ არ იცი,
ჰაი, შე კერკეტო, გგონია დაიცდი...
წლების ჯირითებს ვერ შეაჩერებ,
ჰო, ვეღარ მაჩვენებ აპრილის ფანჯრებს...
და ვიდრე გამჩენს უსტარი ხელში აქვს,
გერჩიოს დადევი სალექსო კალამი,
დაწერე ანდერძი,-
და ირინოლას, უმზითვე სამზითვო -
საშენო ნამდვილი
სვანური ამბავი...

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

ლანა მანველი

* * *

ჩემს თვალში თელავი, ყოველთვის დარჩება ქალაქად, სადაც
ბავშვობა დამრჩა. . .
გოგონა, რომელსაც უყვარდა თეატრი, ალბათ ახლაც ნატრობს
სპექტაკლზე წასვლას,
კვლავ იფერადებს ღამეს იმ სცენებით, ყველაზე ძალიან
სულში რომ ჩარჩა
აგერ, ნადიკვრისკენ ახლახანს გაიფრინა, მისმა ოცნებების რაშმა.
ჩემს თვალში თელავი, ყოველთვის დარჩება ქალაქად, სადაც
ბავშვობა დამრჩა. . .
პატარა გოგო სევდიანი გულით, დღე და ღამ განიცდის
მშობლების გაყრას;
მერე მარტოსული, ლამპიონის შუქზე დილამდე კითხულობს
"მოხატულ ფარდას". . .
ბებიასთან ერთად დაელოდება გაზაფხულს და სუმბულების გაშლას.
ჩემს თვალში თელავი, ყოველთვის დარჩება ქალაქად, სადაც
ბავშვობა დამრჩა. . .

➲ გაგრძელება მერკე გვერდიდან

გამოგვივიდა...

ვლადიმ ისევ საათზე დაიხედა. 7-ის ნახევარი გამხდარიყო.

— ცოტა ხანს კიდევ დარჩი, — აღარ ეთმობოდა გოგო.

— არა, წავალ, ხვალისთვის სამეცადინო მაქვს. თხზულება უნდა დავწერო.

— მაშინ გაგაცილებ!

— არა, მადლობა, აქვე ვცხოვრობ. 20 წუთში შინ ვიქნები.

— ჩემი საერთო საცხოვრებელიც ახლოსაა.

— აბა, კარგად!

— კარგად, თეა!

გზას ნელი ნაბიჯით გაუყვა. გული დაწყდა, ბიჭმა რომ მორიგ შეხვედრაზე არაფერი უთხრა.

— ალბათ არ მოვეწონეო, — ხმამაღლა ფიქრი გამოუვიდა.

მოულოდნელად მხარზე ხელის შეხება იგრძნო. შეშინებული შემოტრიალდა. მის წინ აქოშინებული ვლადი იდგა.

— მაპატიე, სულ გამოვშტერდი. ხვალ ისევ შევხვდეთ, კარგი?

— ოღონდ კაფეში არა! — მაშინვე დათანხმდა თეა.

— როგორც შენ გინდა! აბა, წავედი, ხვალამდე!

და მოულოდნელად ლოყაზე აკოცა გოგოს. აკოცა და ხმის ამოღებაც არ დააცადა, ისე გაიქცა.

თეა ერთხანს გაოგნებული იდგა. მერე კი თავისი დედობილის სახლისკენ გაუყვა გზას. ჰო, დედობილიც ჰყავდა და მამობილიც. ამერიკელები ქართველ მოსწავლეებსა და სტუდენტებს ამგვარად ეხმარებოდნენ იმ საქველმოქმედო პროგრამის მიხედვით, რომლის ერთ-ერთი მონაწილეც თეა იყო.

თავისუფალ თემას, რომელსაც „საქართველო და სიყვარული“ დაარქვა, დიდხანს წერდა:

„ჩემს სამშობლოს საქართველო ჰქვია. იგი აქედან ძალიან შორს, ოკეანის გადაღმა მდებარეობს. ჩემს ქვეყანას დიდი ხნის ისტორია აქვს. იმდენად დიდი ხნის, რომ ჩვენი კულტურის ძეგლები ზესახელმწიფოების სახელგანთქმულ მეცნიერებსაც ანცვიფრებთ. დღესაც, შეერთებულ შტატებში ჩამოტანილ „ოქრომრავალი ვანის“ საგანძურის გამოფენაზე ამერიკელთა დიდი რიგები დგას... ხუმრობა ხომ არ არის, ჩვენს მიწაზე ნაპოვნი უმშვენიერესი და უძვირფასესი ოქროს ნაკეთობანი ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე-მესამე საუკუნეებს ითვლის. ამ დროს ხომ ამერიკის კონტინენტის არსებობაც არ იცოდნენ იმდროინდელმა მსოფლიო ცივილიზაციებმა...

წარსულის დიდებით მეტს არ შეგაწყენთ თავს. ერთს ვიტყვი მხოლოდ, — ცნობილი „აბრეშუმის გზა“ საქართველოზე გადიოდა. „ოქროს საწმისიც“ საქართველოდან გაიტაცეს არგონავტებმა... ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო არაჩვეულებრივი დერეფანია აზიისა და ევროპის ქვეყნების დასაკავშირებლად. ამ დერეფანზე მონოპოლიისთვის, რაღა თქმა უნდა, ჩვენი „კარგი მეზობელი“ — რუსეთი იბრძვის. თუმცა ექსპერტები იმასაც ამბობენ, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც ამ დერეფნისკენ რუსებზე ნაკლებ როდი უჭირავს თვალიო... მაგრამ პოლიტიკა ხომ უფროსების საქმეა. მე და ჩემი ქართველი თანატოლები იმაზე ვდარდობთ, რომ სწორედ ამ დიდი პოლიტიკის გამო იჭყლიტება ჩვენი პატარა საქართველო. 16 წლის წინ ჩემი ქვეყნის თითქოსდა განუყოფელი ორი ნაწილი, აფხაზეთი და ცხინვალი დავკარგეთ. ჩემი სოფელი ცხინვალთან სულ ახლოსაა. მე არ მახსოვს, მაგრამ როგორც დედა მეუბნება, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ თურმე ქართველები და ოსები. ჩემს რამდენიმე მეგობარს ოსი დედა ჰყავს. ოსზე ბევრი ქართველი ქალიცაა გათხოვილი. გული მწყდება, რომ ჩვენ შორის დაპირისპირებამ და რუსეთ-საქართველოს 16 წლის წინანდელმა ომმა არაერთი ასეთი ოჯახი დაანგრია.

და კიდევ იცით, რაზე მწყდება გული? 4 ივლისს, ამერიკელთა დამოუკიდებლობის დღეს, ერთი ბიჭი გავიცანი. არ დამიჯერებთ და ის ბიჭი ეროვნებით ოსია. ჩემს მეზობელ ცხინვალში ცხოვრობს. ცხინვალი კი არცთუ ისე დიდი ხნის წინ მხოლოდ ქართული ქალაქი იყო. გასული საუკუნის დასაწყისში იქ მხოლოდ სამი თუ ოთხი ოსური ოჯახი ცხოვრობდაო, ამტკაცი, უცნაურად წვრილი ხმით და მოკლე კისერთან არაბუნებრივად მიბჯენილი მკერდით.

➲ გაგრძელება მერკე გვერდიდან

დეა ციცქირიძე

მეცნიერი

სუფრის ექვსი წევრიდან ექვსივე დუმს.

ელენეს რა, ის ამ მაგიდასთანაც სტუმარია, ამ მაგიდის გარეთ გადაშლილ ქალაქშიც და იმ ქვეყანაშიც რომლის აბორიგენმა მოსახლეობამაც ელენეს ნასტუმრებ ქალაქს დიდი ხნის წინ დედაქალაქობა უბოძა. მოკლედ, ახლა, დროის ამ უინტერესო მონაკვეთში, ელენე, სათვალიანი, ცხვირწაწვეტებული, კანგათხელებული მეცნიერების გარემოცვაში, სტუმრის სტატუსს მორგებული, სულაც არ არის ვალდებული უხერხული დუმილის დარღვევაზე იზრუნოს.

დიასახლისი, რომლის გარეგნობაც შეიძლება მოვიხსენიოთ სიტყვით — სიმრგვალედაკარგული, როგორც ჩანს, თავს უხერხულად სულაც არ გრძნობს გამეფებული მდუმარებით, რადგან ღრმა თეფშისკენ პირველყოფილი ინტერესით ჩამხობილი, ელენესათვის ამოუცნობად უგემური წვნიანის კოვზის წვერით დაშრობას მშვიდად ლამობს. ისე, ამას დუმილსაც ვერ უწოდებ, რადგან სასადილო ოთახში, რომლის ანტურაჟიც ხაზს უსვამს სიტყვას — მეცნიერება, ამ ოთახისათვის მეტად შესაფერისი, იქნებ ერთადერთი შესაფერისი ხმა, თუ ხმაური მაინც ისმის — სადილის კოვზების ფაიფურთან შეხების და წვნიანის მორიდებულად ხვრეპის ხმა.

— აი, რატომ არის ეს ქალი ხმელი. — უხერხულ დუმილს მაინც ელენე არღვევს. მართალია, მისი ეს ქმედება ჭორაობას წააგავს გამკილავი ტონალობის გამო, მაგრამ დუმილი, ასეა თუ ისე, დაირღვა, თან, მადლობა ღმერთს, მისი ქართულად, წვნიანის საძაგებლად გამოთქმული აზრი, არავის ესმის. ან ვინ უნდა გაიგოს?! — სუფრის სამი წევრი დედაქალაქელი ფრანგია — დიასახლისი და ორი მეცნიერი მამაკაცი. მეოთხე, ისიც მეცნიერი მამრი, ლონდონელი, დანარჩენებზე ოდნავ სიმპათიური ლორდია, მეხუთე კი ბერძენი, გაურკვეველი ასაკის და პროფესიის ფაშფაშა დედა-

➲ გაგრძელება შეათ გვერდზე

სრულიად გასაგები რუსულით ლაპარაკობს. — მომეჩვენა, რომ რაღაც საკითხთან დაკავშირებული ბრძანეთ, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მესმის თქვენი ქართულის.

— მაპატიეთ, — ტუჩთან გაჩენილი პატარა ნაოჭი ადასტურებს, რომ მგონი მართლაც სწუხს ელენე. — ჩვენს ქვეყანაში, იმ ენაზე, თქვენ რომ არაფერი გესმით, სტუმარს ღვთისას უწოდებენ.

— ეს აზიური კულტურის კვალია. — თავის განსწავლულობას ამჟღავნებს ლორდი.

— დიახ, ალბათ, მაგრამ ახლა საქართველოში არავის აინტერესებს საიდან გვაქვს აღებული წესი, რომელიც ასე შეიძლება გავახმოვანოთ: სტუმარი ღვთისაა და ის არ შეიძლება მოაწყინო!

ლორდს თვალები სიხარულით უციმციმებს, ხელიდან გაგდებული კოვზის ბედით აღარც ინტერესდება და ჩანს, ახალ კითხვას უყრის თავს, ელენეს კი შორს, თავის სახლში, საქართველოში, უფრო ზუსტად კი ძველი თბილისის ერთ პატარა ეზოში მოულოდნელად წვეული თორმეტი სტუმრისთვის სახელდახელოდ გაშლილი სუფრა უდგას თვალწინ: ზინას საწებელით, ლალას ნიგვზიანი ბადრიჯნით, ქეთინოს მჭადებით, მაიას ხალადეცით, მაგდას ხაჭაპურით, ლალიკოს მოხაშული დედლით დაზნექილი ოვალური მაგიდა, სადაც მთავარი ატრიბუტი მაინც ელენეს სიხარულით გაცისკროვნებული სახეა, მისი ღიმილიანი საუბრები, მოწოდება მხიარულებისკენ, მოულოდნელად ერთად თავმოყრილი სტუმრების განწყობის სწორ კალაპოტში მოსაქცევად, მათ მოსასვენებელ-დასამშვიდებლად გათვლილი სისულელეებით.

— რაზე ლაპარაკობთ? — ინტერესდება უნიჭო, მაგრამ ზრდილობიანი მასპინძელი.

— ელენემ მეცნიერულ კვლევაზე ჩამოაგდი სიტყვა, უფრო სწორედ მისი არსის ახსნა სცადა. იფიქრა, რომ ჯერ ჩემთან გაევლო კონსულტაციები და მერე ერთად გაგვენდო თვქვენთვის დედააზრი. თანაც ჩემს რუსულს ვხვეწავ, თუ არ მიწყენთ. — დამაჯერებლად იტყუება რიჩარდი.

— რიჩარდ, რას ბრძანებთ, მე ყოველთვის აღმაფრთოვანებდა თქვენი ლტოლვა ენებისადმი! — გამხმარ ყბას უცნაურად ამოძრავებს დიასახლისი და რატომღაც, ეს სიტყვა, ლტოლვა, მისი პირიდან შეუსაბამოდ გაისმის. — თუმცა, მეც დიდი სიამოვნებით მოვისმენდი ელენეს ნააზრევს კვლევის არსთან დაკავშირებით.

სუფრის ყველა წევრი ელენესკენ ტრიალდება, ამ სუფრასთან ყველაზე განიერი ბერძენი ქალიც კი წვნიანში მოტივტივე მწვანილის ეული ფოთლის დევნას თავს ანებებს და ინტერესით შეჰყურებს მას. მეცნიერია ესეც, ასე მხოლოდ მათ შეუძლიათ ცქერა: მოვლენების მიღმა, ან მოვლენების შიგნით, ფიქრობს ელენე, თუმცა ეს ფიქრი ახლა მას ვერ გადაარჩენს — რამე დამაჯერებელი უნდა თქვას.

— რიჩარდს სამი ვარიანტი შევთავაზე განხილვისათვის. იქნებ მითხრას, რომელია მისთვის მისაღები, რომ ზედმეტად არ გადაგღალოთ? — ეშმაკობს ელენე. ჰო, რატომღაც, ლორდის იმედი აქვს, აკი მას ეკუთვნის ამ თამაშის იდეა?

— მე სამივე მომწონს! — რიჩარდის ხმა როყიოდ და ელენესთვის უიმედოდ ჟღერს. გამოდის, მამაკაცების მსოფლიო კოჰორტაა მოღალატე?! ქართველიც და ფრანგიც, ბერძენიც და ბრიტანელიც?

ელენე თავს ამაყად სწევს და რიჩარდს თვალის თვალში გაყრით უღიმის: — კარგით, სამივე ვარიანტს შემოგთავაზებთ. პირველი...

მაგიდასთან ყველა ხელებდაშვებული ზის და ახლა, ის მოვალეა მის ბაგეებს რაიმე ჭკვიანური მოსწყდეს.

— პირველი?! — ცხვირში ლანდგასული ფრანგი ყველაზე მოუთმენელი აღმოჩნდა. მოსამსახურემ კი დრო იხელთა და ყურადღებად ქცეულ სტუმრებს ცხვირწინ ციმციმ ააცალა ღრმა თეფშები. ეს ფაქტი ბერძენი ქალის გარდა მართალია ვერავინ შეამჩნია, მაგრამ ელენემ თავი დამნაშავედ იგრძნო იმ შეუჭმელი მწვანილის გამო, ბოლომდე რომ ეურჩებოდა მის მადევარს.

— კვლევა, — ძველბერძნულად წამოიწყო დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით ელენემ, — ნიშნავს დაინახო, რას ხედავენ სხვები და იფიქრო იმაზე, რაზეც არავის უფიქრია. — თქვა მან და შვებით ამოისუნთქა, რადგან ბერძენ ქალს ნამდვილად დაავიწყდა წვნიანი და სახეზე სიხარულისგან სისხლმოწოლილმა, ამ სუფრისთვის, ოთახისთვის, გამეფებული განწყობისთვის, რომელსაც თბილისში მოიხსენიებენ სიტყვით — „სვეტსკი“, ზედმეტად მოურიდებელი ყიჟინა დასცხო.

დეა ცუცქირიძე

— ბრავო, ბრავისიმო! — ეს „ბრავო“ აზრის განსაკუთრებულობის გამო ერგო, თუ ძველბერძნულის ცოდნის გამო, ელენემ ვერ გაიგო, მაგრამ ის ქალი კი ნამდვილად გააბედნიერა. თან ეს ენა, რომლის შესწავლასაც ელენემ თბილისური, გაყინული და ბნელი ღამეების 5 წელიწადი შეალია, უკვე ნიშნავდა ხარისხის ნიშანს. ის დიდებულად ჟღერდა და მთქმელის აზრს საუკუნეების სიდიადით ავსებდა. ის, მკვდარი ენა, ხაზს უსვამდა, რომ არაფერია დედამიწაზე უფრორე ღირებული, ვიდრე ადამიანური გამოცდილება, საუკუნეების

➲ გაგრძელება მეთერთმეტე გვერდზე

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

კიცებენ მეცნიერები. მეტიც, აქ ქართული ქალაქი ქართველთა მეფეს, ასფაგურს დაუარსებია ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში!.. მისი სახელწოდებაც კი სუფთა ქართულია. რცხილის ხის სახელიდან მოდის...

ამერიკაში ჩემს ახალგაცნობილ ოს ბიჭს კი არწმუნებენ, რომ ცხინვალი საქართველოს განუყოფელი კი არა, მისგან დამოუკიდებელი „ქვეყანაა“ და მასაც სჯერა! მის ადგილას რომ ვიყო, ალბათ მეც დავიჯერებდი!

იმ ბიჭს, მგონი მოვწონვარ...

ცუდი ბიჭი არ არის. მაღალი, სიმპათიური ბიჭია. ამერიკაში სწავლობს და მუშაობს კიდეც, რომ მშობლებს თავისივე სწავლის ფულის გადახდაში დაეხმაროს.

მგონი, მეც მომწონს...

მაგრამ ამაზე ფიქრიც არ შეიძლება. ჩვენ დღეს ერთმანეთის მტრები ვართ. დიახ, მტრები! ასეა და რა ვქნა!

მაგრამ მაინც რომ მომწონს? შეიძლება მიყვარს კიდეც. ხომ არსებობს ერთი ნახვით შეყვარება! მართალია, სულ ორი დღეა, რაც ვიცნობ, მაგრამ სულ მასზე ვფიქრობ... არა, არც ის არის ჩემდამი გულგრილი... რა ვიცი, შეიძლება ცოტა ხანში ჩემს ამჟამინდელ გატაცებაზე გამეცინოს კიდეც. მაგრამ დღეს, როცა ასეთ სიყვარულზე ვერც იოცნებებ, ყურებამდე ვარ შეყვარებული...

ახლა საქართველოში რომ ვიყო, ასეთ თემას ვერ დავწერდი. ასე თავისუფლად ვერ გავუმხელდი ფურცელს ჩემს სიყვარულს. მაგრამ ამერიკა ხომ თავისუფლების ქვეყანაა... მეც ხომ ის ოსი ბიჭი თავისუფლების დღესასწაულზე გავიცანი...

მე დღეს ისეთ ხასიათზე ვარ, ამერიკელებიც მიყვარს, ჩემი ქართველები ხომ მიყვარს და მიყვარს, ოსებიც მიყვარს, აფხაზებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, რუსებიც! მე დღეს მთელ მსოფლიოზე ვარ შეყვარებული!.. თუმცა კი იმ ერთი ოსი ბიჭის შეყვარების უფლება არა მაქვს! იქნებ თქვენ, ამერიკელებმა, დამეხმაროთ ამ უფლების მოსაპოვებლად...“

თხზულება რამდენჯერმე გადაიკითხა. არაფერი ჩაუსწორებია. თუმცა კი დიდხანს ყოყმანობდა, გადაეთეთრებინა თუ არა.

ბოლოს მაინც გადაათეთრა...

მესამე ლექციაზე ჯგუფის უფროსთან გამოიძახეს. შენს თემას საკონკურსოდ ვგზავნით კოლუმბიის უნივერსიტეტში, შეგიძლია იქ სწავლის გაგრძელებაზეც იფიქროო.

— არა, შტატებში სწავლაზე ვერც ვიფიქრებ, — და ცოტა ხნის შემდეგ „დააზუსტა“, — ვერც ვიოცნებებ!

— ოცნებას ვინღა გიკრძალავს?! — გაოცება ვერ დაფარა შუახნის სათვალიანმა, ინტელიგენტური გარეგნობის ქალმა, ინდულგენციაში, ანუ მეტყველების კულტურაში რომ ავარჯიშებდა თეას ჯგუფს.

— მე ერთი ღარიბი ოჯახის შვილი ვარ. მისაღებ გამოცდებზე მაღალი ქულები რომ არ მიმეღო და ინსტიტუტში უფასოდ არ ჩავრიცხულიყავი, სწავლის ფულს ვერავინ გადამიხდიდა...

— წარმოუდგენელია! ვერც სწავლაზე იოცნებებ, ვერც სიყვარულზე!.. უკვე აღარ მიკვირს, რომ სულ უფრო მეტი ქართველი ჩამოდის ჩვენთან სამუშაოს საძებნელად... მაგრამ შენს თხზულებას მაინც გავგზავნით კოლუმბიის უნივერსიტეტში.

— თქვენი ნებაა. დიდი მადლობა... — თეას ცრემლი მოერია.

იმ საღამოს „პაემანზე“ არ წასულა...

...კოლუმბიის უნივერსიტეტში თეას თემა მოიწონეს და სასწავლებლადაც მიიწვიეს, სწავლის ღირებულების ნახევარსაც ჩვენ გადაგიხდითო. ქართველი გოგონას ამ დიდი წარმატებით ყველა გახარებული იყო. თეა კი... თეას გული წყდებოდა, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა, კოლუმბიის უნივერსიტეტი მისთვის ისევ მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა. მართალია ამერიკელები თავის თავზე იღებდნენ სწავლის ღირებულების ნახევარს, მაგრამ მეორე ნახევარი ხომ გადასახდელი იყო! თეას მშობლებს მთელი სარჩო-საბადებელი რომ გაეყიდათ, ერთი წლის გადასახადსაც ვერ გასწვდებოდა!..

ოცნებაწართმეულ გოგონას ისღა დარჩენოდა, თავაზიანად გადაეხადა მადლობა ამერიკელთა დიდსულოვნებისთვის და სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სამშობლოში გამომგზავრებულიყო.

ვლადიზე, შემთხვევით გაცნობილ

➲ გაგრძელება მეთერთმეტე გვერდზე

დასაწყისი მეცხრე გვერდიდან

მიღმა დარჩენილი ენიდანაც რომ ჟონავდა და გიპყრობდა, გხიბლავდა, გიმონებდა.

— ბერძნული შოვინიზმი! — რუსულად ჩაისისინა ლორდმა, რადგან, როგორც ჩანს, მის სულსა და გონებას ელენეს ზეაღმატებული განწყობა ვერ მისწვდა.

— მილორდ! — თავი მისკენ მიაბრუნა და მრავალმნიშვნელოვანად თვალებში ჩახედა მოღალატე ლორდს ელენემ.

— კარგად გამოძვერით. — თვალებში ეშმაკები ჩაუსახლდნენ რიჩარდს, ახლა ვნახოთ დარჩენილ ორ ვარიანტს როგორს შემოგვთავაზებთ.

ელენეს მისი სიტყვებისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, რადგან ფიქრით საკუთარი, ახლადაღქმული, ძველბერძნულად გამოთქმული მოსაზრებისაკენ იყო. — კვლევა კი არა, წამებაა, როცა იმას ხედავ, რასაც სხვები ხედავენ და ამავდროულად იმაზე იწყებ ფიქრს, რასაც ვერავინ ამჩნევს... ღმერთო ჩემო! ეს კვლევა კი არ არის, ეს განსაკუთრებული ხედვაა, რომელმაც უკვე დაღუპა, საყვარელი მამაკაცის მეგობრად გადააქცია ელენე. — შენ ჩემსავით ფიქრობ!

— უთხრა ერთხელაც ლევანმა და ელენე მიხვდა, რომ თუმცა სიტყვით არ უთქვამს, მაგრამ ლევანმა გაიფიქრა, რომ ქალს, რომელსაც მის ტვინში ჩახედვის უნარი აქვს, ქალს, რომელმაც იცის რას გრძნობს, როგორ გრძნობს, როგორ ხედავს თავად, ველარასოდეს მიეკარება ალერსისთვის.

— მეცნიერების სახელით, გთხოვთ დადუმდეთ! — იმპერატიულ ტონში ირონია შეურია ელენემ და შემცბარი რიჩარდი დაადუმა.

— მეორე ვარიანტად მცირედი ჩასწორებით, როგორც ჩვენ ვამბობთ, მცირედი რედაქტირებით, თითქმის იგივეს შემოგთავაზებთ, თქვენი ანალიტიკური გონების იმედად. დიახ, იმედი მაქვს განსხვავებას ნიუანსებში იგრძნობთ, დააზუსტებთ ფაზებს, დააზუსტებთ ემოციას, დააზუსტებთ დამკვირვებლის ხედვას.

რა სისულელეებს ვბოდავ, გაიღიმა მოწყალედ და ამჯერად კარგი ინგლისურით დააბრეხვა: — კვლევა ნიშნავს დაინახო სხვების თვალებით და დაფიქრდე იმაზე, რაც ამ თვალების პატრონთ ჯერ არ უფიქრიათ.

— ინგლისურად უკეთ ჟღერს! — აშკარად აენთო რიჩარდი.

— ამას მაინც ვაჯობებ! — გაიფიქრა ელენემ და შენიშნა, რომ ლორდი საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა.

დასაწყისი მეთორმეტე გვერდზე

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

დასაწყისი მეათე გვერდიდან

ცხინვალელ ბიჭზე, აღარც ფიქრობდა.

თბილისში წამოსვლამდე სამი დღით ადრე აეროპორტის სალაროში მივიდა, თვითმფრინავის ბილეთზე გამომგზავრების თარიღი დააზუსტა და ის-ის იყო, გამობრუნებას აპირებდა, რომ ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. მიმოიხედა, აქ არავის ელოდა ნაცნობს. მოულოდნელად შეცბა. მისგან ათიოდე მეტრში ვლადი იდგა და თვალს არ აშორებდა.

— გამარჯობა, ქართველო ქალიშვილო! ძალიან უკარება ყოფილხარ, როგორ გელოდი იმ დღეს, შენ კი... დამპირდი, მოვალო და არ მოხვედი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან გამიხარდა, რომ აქ მაინც შეგხვდი. სხვათა შორის, უნივერსიტეტშიც გეძებდი და ვერსად გიპოვე. თანაც, გვარიც არ ვიცოდი შენი... — სულმოუთქმელად ლაპარაკობდა ვლადი და გოგონასთვის ხელი მაგრად ჩაეჭიდა.

თეამ ძლივძლივობით გაითავისუფლა ხელი და ვლადის გაუღიმა, — იმ დღეს ისე უხალისოდ ვიყავი, შენთან შეხვედრა აღარც გამხსენებიაო.

— რატომ უხალისოდ?

— რა ვიცი, ჩემი თემა მოიწონეს და კოლუმბიის უნივერსიტეტში გაგზავნეს...

— მერე, პირიქით არ უნდა ყოფილიყო? უხალისოდ კი არა, გახარებული უნდა ყოფილიყავი! — ვერაფერი გაეგო ბიჭს.

— იცი, ვლადი, კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მიმიწვიეს, მაგრამ ვერ მივდივარ...

— რატომ ვერ მიდიხარ?

— ხომ იცი, რა ძვირი ღირს სწავლა!

დასაწყისი მეცხრე გვერდიდან

— მაგრამ თუ მიგიწვიეს, ალბათ ნაწილობრივ მაინც დაგაფინანსებენ?

— ნაწილობრივ კი არა, ნახევარს გადამიხდიან, მაგრამ...

— ჰო, ვიცი, ჩვენთვის ძალიან ძვირია შეერთებულ შტატებში სწავლა, მაგრამ უარს მაინც ნუ იტყვი, იქნებ ვინმე სპონსორი მოძებნო საქართველოში... მე რომ ფულიანი ბიზნესმენი ვიყო და შენისთანა ლამაზმა გოგომ მთხოვოს, სწავლის ფული გადამიხადეო, უარს ნამდვილად არ ვიტყვი... — „გამოსავალი“ იპოვა ვლადიმ.

— ვლადი, მე ხუთშაბათს მივფრინავ სამშობლოში... — თეამ თვითმფრინავის ბილეთი დაანახვა ბიჭს.

— სამი დღის შემდეგ?

— ჰო, სამი დღის შემდეგ!

— ძალიან მწყდება გული, რომ ერთმანეთი კარგად ვერ გავიცანით. თუმცა მე ისე ძალიან მომწონხარ, რომ იმ შეხვედრის შემდეგ სულ შენზე ვფიქრობ... მახსოვს, მითხარი, 39 დღე დამრჩა საქართველოში წასვლამდეო. მთელი 36 დღე კი ამაოდ გეძებდი. ხომ შეგვეძლო, ყოველდღე შევხვედროდით, შენ კი რატომღაც გადაწყვიტე, რომ არ უნდა მოსულიყავი. მე კი როგორ გელოდი... სხვათა შორის, მეორე დღესაც მქონდა იმედი, რომ მოხვიდოდი. მეორე დღესაც კი არა, მას შემდეგ ყოველდღე ვფიქრობ, ვინ იცის, მაშინ რა

დასაწყისი მეთორმეტე გვერდზე

ინგა გოგიბერიძე

ყუდქნარა

კუდქნარა საქართველოში არ ცხოვრობს. რომ იცოდეთ რა ლამაზია აუცილებლად მოგინდებოდათ მასთან ყოფნა, მოგინდებოდათ როგორც ყველა სხვა ჩიტი, ან თუთიყუში ესეც გალიაში გყოლოდათ. ჰოდა მოხვიდოდით სახლში დაღლილ-დაქანცულნი და კუდქნარა რომელი ფრინველის ხმითაც გინდოდათ იმით გიმღერებდათ: შაშვის ტკბილი და ნაზი გალობა თუ მოგენატრებოდათ მაშინ დაიძახებდით მგალობელი შაშვიო და დაიწყებდა გალიაში მყოფი თქვენი ჩიტი შაშვის ხმით გალობას. ალბათ ეს მაშინ მოხდებოდა, როცა დღე საოცრად ლამაზად, სიკეთით და სიყვარულით სავსე გქონდათ გატარებული. ბულბულის ძლიერი ხმა, მელოდიური გალობა დასევდიანებულზე კუდქნარას მეორე გამოსვლა იქნებოდა... და ასე გაივლიდა დღეები ხან სევდიანი, ხანაც მხიარული და ხანაც აუწერელი ტკივილებით აღსავსე. ამიტომაც სპეციალურად არ გაგანდეთ საიდუმლო თავიდან-კუდქნარა ის ფრინველია, რომელსაც შეუძლია ცხოველთა და ფრინველთა ხმებს მიბაძოს. კარგი,ვთქვათ და ფრინველები დაფრინავენ კანტიკუნტად ჩვენი ქალაქის ცაზე,ღამითაც გალობენ, როგორც ჩვენი თანაქალაქელები ამტკიცებენ ბოლო დროს, მაგრამ ცხოველები სადღა ვნახოთ? სწორედ ამიტომ მანქანის სიგნალიზაციის ხმას მიმართეთ, მასაც კი იმახსოვრებს და იმეორებს ჩემი საყვარელი კუდქნარა. სურათი გინდათ გადაიღოთ?-გადაიღეთ და თანაც ფოტოაპარატი კარგად გააჩხაკუნეთ - იგი ამ ხმასაც დაიმახსოვრებს მეორე დღეს თქვენვე მოგასმენინებთ.

კუდქნარა ჩვენი ცხოვრების ისტორიაა, ლამაზი დღეების გალობა, სინანული, თავდავიწყება და სიყვარული. ყველაზე ანცი და საკვირველი მაშინ არის, როცა ცხოვრებაში ჩვენ უბედნიერესი წუთები გვაქვს, ის ამის დასამტკიცებლად ბუმბულებს თავზე შემოილაგებს და ჩვენს გარშემო ტრიალებს.

- ვისაც ჩიტი უნდა გალიაში კუდქნარა შეიძინოს.
- ვისაც თავისუფლება უნდა კუდქნარას მიაკითხოს.
- ვისაც საიდუმლოებებით, სიხარულით და სიყვარულით სავსე ცხოვრება უნდა ისევ კუდქნარასთან მივიდეს, ოღონდაც არ დაგავიწყდეთ- კუდქნარა ჩიტია და მას ჩიტის გული აქვს.

გაგრძელება მეთერთმეტე გვერდიდან

მოსამსახურემ განიერ თეფშებზე მოზომილ ულუფებად დანაწილებული ხორცის ნაჭრები და ბოსტნეული შემოიტანა, მორჩილი მოძრაობით დაულაგა სტუმრებს ცხვირწინ და გავიდა.

— ახლა მესამეც, ყურადღება! — მოითხოვა ელენემ. ვინ ოხერი, ყველა მას შესციცინებდა! — თითქოს ბანალურად ჟღერს, თითქოს ეს ყველამ ვიცით, მაგრამ არასდროს არ გვისაუბრია იმაზე, თუ რას ნიშნავს მეცნიერული კვლევა ემოციურად. ანუ დაკვირვება დედამიწაზე მიმობნეული ჩვენნაირი, საკუთარი კვლევის საგნით შებყრობილი ადამიანების საერთო ხედვაზე, თუ რატომ არის ასეთი საინტერესო, ასეთი მნიშვნელოვანი, როდესაც კვლევის საგანს სხვადასხვა მრწამსისა და გენის ადამიანები მთელი დედამიწის მასშტაბით, თავისივე კეთილი ნებით აკვირდებიან. არ დაგავიწყდეთ, მეცნიერება კეთილი ნებაა. მეცნიერად ქცევას ვერავის აიძულებ, ვერ დანიშნავ მეცნიერად, ვერ ასწავლი მეცნიერულ ანალიზს, ვერ მოაქცევ, თუკი ის ასეთად თავად არ ისურვებს გახდომას... ჰოდა, მგონი ოდნავ ავცდი თემას, მაგრამ აი ჩემი მესამე ვარიანტიც, მეტად ემოციური: — მეცნიერული კვლევა გვაძლევს საშუალებას ჩვენი, სამოღვაწეო გეოგრაფიულ არიალში მოქცეული ხედვა, რომელსაც, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენივე ერის გენეტიკური კოდი მართავს, სხვების სამოღვაწეო გეოგრაფიულ არეალში, სხვა გენეტიკის მკვლევარების ხედვასთან შეაჯერო და ამ ნაჯერით, მსოფლიო მნიშვნელობის პრიზმაში გადამტყდარი ხედვით, ჯერ ვერნახული დაინახო.

— დედა, რა ჭკვიანი ვარ! — გაიფიქრა ელენემ, ფრანგებმა კი ტაში დასცხეს.

— ფრანგულად უკეთესად იჟღერებდა... — გული დაეთუთქა მასპინძელს.

— ესეც ფრანგული შოვინიზმი. — მშვიდად გაიფიქრა ელენემ.

ხორცი გაცივდა და რეზინას დაემსგავსა. რიჩარდი ჩაინავლა და თავისივე თამაშს შეწირული პაიკივით მაგიდიდან გავიდა. ფრანგებმა ელენეს გამოთქმული მარტივი ჭეშმარიტება აიტაცეს და ვარიაციებად დაღვარეს. ანუ, ელენემ სუფრასთან ქართველი ქალის ერთ-ერთი ფუნქცია — მაგიდის წევრების გამოცოცხლება, წარმატებით ითავა და შეასრულა კიდეც.

ლევანი ასეთ დროს გიტარას მიაწვდიდა. ეს ადრე, სანამ გადაწყვეტდა, რომ ელენე მისი სულიერი მეგობარია და არა ვნების ობიექტი. რა სამწუხაროა, ახლა როცა რიჩარდს შესცქერის, ელენე ხვდება, რომ ლევანის განწყობილებების შექმნა-ჩამოყალიბებაში თავად მიუძღვის ლომის წვლილი. რატომ აჰყვა რიჩარდს? ხომ შეეძლო თამაშიდან დამარცხებული გამოსულიყო, გაწითლებულიყო, ხელები ჩამოეყარა... დასაცინი გამხდარიყო... მაგრამ ქალად დარჩენილიყო. ჰო, ქალად, დაუცველ და საპატრონო, თუნდაც უჭკუო ქალად.

— გიტარა გაქვთ? — მიუბრუნდა მასპინძელს.

— პიანინო.

— შეიძლება დავუკრა?

გზა

ნელიუო გოგუაძე

დავეცი ისე,
წამოდგომის არ მეყო ძალა,
გზად მიმავალ მგზავრს ხელი
საშველად გავუწოდე,
ვერ დამინახა და გვერდით ჩამიარა,
წვალებით ავითრიე სხეული
ვიწრო გზას გავუყევ. . .
ნაკვალევად გაბზარული იმედი დავტოვე.
ხიდს მივადექი,
საცალფეხო იყო და ქვესკნელს ზემოთი,
თვალი დავხუჭე და შევაბიჯე,
თეთრწვერა მოხუცი შემხვდა,
შემრცხვა და თვალი ავარიდე
/მე ხომ არასოდეს ამინთია სანთელი მისთვის/,
მან გზა მიჩვენა გზააბნეულს,
მე კი ვერ დავინახე სინათლე და. . .
გზად რწმენა დავტოვე.
მერე მათხოვარი შემხვდა,
გამხმარი პური მქონდა,
შემეცოდა და მას ვაჭამე,
წყლის ბოლო წვეთიც მას დავალევინე,
მადლობა არ მითხრა,
ბოროტად ჩაიცინა..
გზა გავაგრძელე და..
გზად მადლი დავტოვე.
მერე სოფელი დავინახე,
თურმე ბუდარიები და ბუდარიხები ცხოვრობდნენ,
ზურგი მაქციეს და არ დამაპურეს,
წყალი მწყუროდა და
ჭა ამომიშრეს,
მხრებში მოვიხარე და..
გზად სიკეთე დავტოვე.
დახეთქილი ფეხისგულებიდან
უდაბნო მოვრწყე სისხლით,
მეგონა წითელი იები ამოვიდოდა,
ეკალ-ბარდი კი გავაღვივე,
თვალი დავხუჭე და . . .
გზად თვალის სინათლე დავტოვე.
ბოლო იმედად სიკეთის მარცვალი
ჩავაგდე ხნულში,
ბოროტებამ კი იბარტყა,
ხელი ჩავიქნიე და..
გზად სიყვარული დავტოვე.
მერე ზღვა გამოჩნდა,
ზღვის პირას კლდე იყო,
კლდის თავზე კიდობანი,
მეგონა მივაღწევდი,
ზურგზე ჯვარმოკიდებულმა
ვიარე ვიწრო გზაზე,
ვერ ვზიდე ჯვარი..
“მიწა ვიყავ და მიწად ვიქეც”
და ყველაფერგამშრალმა
გზად ვიღაცის იმედად
სიცოცხლეც დავტოვე.

აქ გზა დამთავრდა.

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

შეემთხვა, ხომ შეიძლება კაფეში ერთხელ მაინც შემოიხედოს-მეთქი. შენ კი მგონი საერთოდ დამივიწყე. ასეა, ხომ? — გულგატეხილი ჩანდა ვლადი.

— არა, არ დამვიწყებიხარ, მაგრამ ვფიქრობ, ორივესთვის აჯობებს, თუ ერთმანეთისგან რაც შეიძლება შორს ვიქნებით... არ მითხრა, რომ მართალი არა ვარ!

— მოიცა, მოიცა, შენ თითქოს რაღაცას გაურბი! — სიტყვაზე გამოიჭირა ვლადიმ.

— რას უნდა გავურბოდე? — გაოცება ვერ დაფარა თეამ.

— რას და... თუნდაც სიყვარულს!

— სიყვარულს?! — გამხიარულდა თეა.

— ჰო, სიყვარულს! რაც შენ შეგხვდი, მის შემდეგ სულ შენზე ვფიქრობ. კაფეში რომ არ მოხვედი, ასე მეგონა, ყველაფერი დამთავრდა. მას აქეთ ყველგან შენ დაგეძებ... მითხარი, სიყვარული სხვა რა არის!

— მაგრამ ხომ არ გავიწყდება, რომ ქართველები და ოსები ერთმანეთის მტრად მიიჩნევენ თავს! და რომ ქართულ-ოსური ოჯახები უმეტესწილად ინგრევიან...

— მაგრამ ასე სუფთა ქართული ოჯახებიც ინგრევიან და ოსურიც! სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, მითხარი, რომ არ მოგწონვარ და იმიტომ არ მოხვედი ჩემთან შესახვედრად. ასე უფრო მშვიდად ვიქნები!.. თუმცა კი ძალიან გამიჭირდება ამის მოსმენა!

— ვლადი, არ გგონია, რომ ჩვენთვის სიყვარულზე და მით უფრო ოჯახზე ფიქრი ძალიან ადრეა? — უცბად „დასერიოზულდა“ თეა.

— ადრეა? სულაც არა! დედაჩემი შენზე ორი წლით უმცროსი იყო, როცა მე გავჩნდი!

— დედაჩემსაც 17 წლისას უკვე ვყავდი, მაგრამ ამით რისი დამტკიცება გვინდა ან შენ ან მე? შენ ასე თუ ისე შეძლებული ოსური ოჯახის შვილი ხარ, მე კი ერთი ღარიბი ქართველი გოგო, რომელიც ლანჩის ფულს იმისთვის ზოგავს, რომ თავის ოთხ უმცროს და-ძმას რაიმე ხეირიანი ჩასაცმელი უყიდოს... მე უკვე დიდი ტვირთი მაწევს მხრებზე, ვლადი, მხოლოდ ჩემს თავს არ ვეკუთვნი...

— მაგრამ შენ ხომ ისევ ახალგაზრდა მშობლები გყავს!.. — ეს „არგუმენტი“ დაუჯერებელი აღმოჩნდა ვლადისთვის.

— მაგრამ მამა კარგა ხანია სამსახურს ვერ შოულობს, თუ არ ჩავთვლით ხეხილის ბაღების მოვლას, მაგრამ რად გინდა, ხილი ვერსად მიაქვს გასაყიდად. თბილისში კი 5-10 ლარად იბარებენ 30-კილოგრამიან ყუთებს... დედას მართალია მოსწავლეები ჰყავს, ინგლისურში ამეცადინებს, მაგრამ ყველას ისე უჭირს ჩვენ გარშემო, ზოგჯერ იქით ეხმარება სხვებს!.. თავი ასე თუ ისე გაგვაქვს... ეს კი სულაც არ მაძლევს იმის უფლებას, რომ... — აღარ გააგრძელა თეამ.

— რომ სიყვარულზე იფიქრო? ამიტომ არ მოხვედი ხომ პაემანზე! მითხარი, ამიტომ არ მოხვედი, არა? მე კი რა აღარ ვიფიქრე... — სიტყვებს ვეღარ უყრიდა თავს ვლადი.

— მოიცა, რა, ვლადი! რა დროს სიყვარულზე ფიქრია. აბა, წავედი, მიხარია, რომ ისევ შეგხვდი! — და თეამ წასვლა დააპირა.

— არა, უჩემოდ ვერსადაც ვერ წახვალ! შინ მე უნდა გაგაცილო, რომ ეს ორიოდე დღე მაინც ვიყოთ ერთად! იცი, როგორ მიხარია, რომ რამდენიმე დღე თავისუფალი მაქვს. მხოლოდ კაფეში მივდივარ საღამოობით სამუშაოდ. შენც წაგიყვან, მომსახურე პერსონალის მაგიდასთან დაგსვამ და...

— თოჯინა ხომ არა ვარ! — იწყინა თეამ.

— არა, თოჯინა არა ხარ, მაგრამ ეს შენთვის „სასჯელი“ იქნება ჩემთვის წართმეული დღეებისთვის!

— როგორ თუ წართმეული დღეებისთვის?!

— ჰო, შენ ხომ უამრავი დღე წამართვი, ის დღეები, როცა ერთად უნდა ვყოფილიყავით, შენ კი არა და არ მოხვედი! ვერც ვერსად გიპოვე და ამასობაში ისე შემიყვარდი, რომ არ შეგხვედროდი, ალბათ შენს სოფელში მომიწევდა ჩამოსვლა! — აღარ ხუმრობდა ვლადი.

— როგორ არა, სულ მაშხალებით შეგხვდებოდნენ ოს სასიძოს! — გადაიკისკისა თეამ.

— თეა, მე სულ არ მეხუმრება! წავედით, სახლამდე მიგაცილებ, საღამოს კი კაფეში გელოდები.

* * *

კაფეში წასვლამდე საკმაო დიდი დრო ჰქონდა... გალაკტიონის ლექსების თარგმანზე აპირებდა მუშაობას, თუმცა ამას

გაგრძელება მეცამეტე გვერდზე

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

გაგრძელება მეთორმეტე გვერდიდან

საკუთარ თავსაც არ უმხელდა. უბრალოდ, ჩემთვის ვთარგმნიო... საყვარელი პოეტის კრებულის ძველი გამოცემა ჰქონდა თან, შედარებით მსუბუქი იყო და წამოსაღებად იმიტომ ამოარჩია. გადაფურცლა, ნაცნობ ლექსებს გადაავლო თვალი. თვალში მისთვის აქამდე უცნობი ლექსი მოხვდა. ლექსს „გორიდან“ ერქვა. გაუკვირდა, როგორ გამომრჩაო. თუმცა კი, როცა წაიკითხა, მიხვდა, რომ ეს ლექსი სხვაგან არსად შეხვედრია. დიდი პოეტი ისე წერდა გორზე, მის სოფლებზე, ცხინვალზე, თითქოს ეს ლექსი გასული საუკუნის დასაწყისში კი არა, სულ ცოტა ხნის წინ დაიწერა!.. მართლა გასაოცარი ლექსი იყო:

მე არ მეცალა, გორში დავრჩი
სულ ერთი ღამე —
როგორც კი ლიახვს მოეფინა
დილის ნიავი,
გზა ტირძნისისკენ... ვრცელი ველი
ტირიფონისა.
სამხრეთ-ოსეთის საზღვართან ვარ...
აჰა, ტყვიავი!
მაშასადამე, ერთი ბიჯი და —
საზღვარგარეთ!
საითკენაც გსურს, რომ გინდოდეს,
წავლენ სიონი...
მაგრამ რა კარგი სანახავი იშლება
გარეთ —
სულ ახლოს არის თეთრი მთები
კავკასიონის,
მთები, რომელზეც, ლეგენდების თქმით,
რა ხანია,
მუდმივი თოვლი და
მიჯაჭვული ამირანია.

„ესეც ასე! ჯერ კიდევ როდის დაუწერია დიდ გალაკტიონს, რომ საზღვარგარეთად გვიქციეს ჩვენივე მიწა! ჯერ კიდევ როდის ჰქონია იმედი მიჯაჭვული ამირანისა... ის ლექსი კი, გულზე რომ სალბუნად მოეფინებოდა ქართველ კაცს, როგორ დაგვიკარგავს და მიგვივიწყებია...“ — ეს ფიქრები აწვალებდა ოკეანის გაღმა ერთ ქართველ გოგონას, რომელსაც კიდევ უფრო დიდი სადარდებელი გასჩენოდა, — ოსი მეზობელი მგონი შეყვარებოდა!..

არა, ამ ლექსს ვერ შეეჭიდებოდა სათარგმნად. უბრალოდ, შეეძლო ზეპირად ესწავლა და სულ ეს იქნებოდა!

თეამ გალაკტიონის ის ლექსიც გაიხსენა, რომელზეც მუსიკოსმა ზაზა კორინთელმა სიმღერა დაწერა და მერე ის სიმღერა ძალზე პოპულარული გახდა. მოგვიანებით ამ სიმღერამ კონკურსშიც გაიმარჯვა, კონკურსს „პატრინოტი“ ერქვა. გამარჯვებულ სიმღერაზე გადაღებულ ვიდეოკლიპში ქართული ესტრადის ლამის ყველა ვარსკვლავი მღერის და განა მარტო მღერის, — სოხუმშიც ბრუნდება! ჰო, ასეა! ბრუნდებიან სოხუმში: ვინ მატარებლით, ვინ თვითმფრინავით, ვინ ავტობუსით, ვინ მსუბუქი და ვინ საბარგო მანქანით... პაემანზე დაგვიანებული ბიჭები სულაც ტაქსით მიდიან, სოხუმი აქვეაო!

და ეს ყველაფერი სიმღერის დასრულებისას ისევე ქრება, როგორც ლამაზი სიზმარი ან სულაც მირაჟი უდაბნოში. სოხუმი კიდევ უფრო შორდება საქართველოს!.. ცხინვალიც ასეა!..

მერე ამ კლიპის ლამის ყველა მონაწილე ღირსების ორდენით დააჯილდოვეს... ძალიან სასაცილო ამბავი იყო! ერთი სიმღერა და ორმოცდაათი ორდენი!

აფხაზეთსა და ცხინვალში დაბრუნება კი ისევ ოცნებად დარჩა!

ამბობენ, სიყვარულს მთების გადადგმა შეუძლიაო. ვინ იცის... ვინ იცის, იქნებ სიყვარულმა დაგვაბრუნოს აფხაზეთში, ცხინვალში... ვინ იცის, იქნებ სიყვარულმა ტაო-კლარჯეთის დაბრუნებაზეც გვაფიქრებინოს...

კაცი ოცნებას არ მოუკლავსო, ხომ გაგიგონიათ!

ამიტომ მოდი, ჩვენც შევეშვათ ოცნებებს...

თეა კაფეში წასასვლელად გაემზადა. ტანსაცმლის არჩევანი მაინცდამაინც არ ჰქონია. რამდენიმე ბლუზი, ორიოდე კაბა და შარვალი... და კიდევ დედობილის ნაჩუქარი ახალი სარაფანი, რომლის ჩაცმას საქართველოში აპირებდა... არც გაუსინჯავს. უკვე ჩანთაში ედო, საქართველოში წასაღებად გამზადებული. ვერ გადაეწყვიტა, ამოეღო თუ არა... ბოლოს მაინც გაშალა, სარკესთან მივიდა და აიფარა. გაეღიმა, მიხვდა, რომ მოუხდებოდა ღია კრემისფერი, დაწინწკლული კაბა. უთო ჩართო. დიდხანს აუთოებდა, ნაკეცებს უსწორებდა. თან საათს გაჰყურებდა. დრო უჩვეულოდ ნელა გადიოდა. თავს შეუწყრა, რა გემართება, სად გეჩქარება, მართლა ხომ არ შეგიყვარდა ის ცხინვალელი ბიჭიო!

ახალ სარაფანში ისეთი მიმზიდველი იყო, საკუთარი თავი მოწონებით აათვალიერ-ჩაათვალიერა დიდი სარკის წინ. ამ დროს ოთახში თეას დედობილი, გლორია შემოვიდა.

— თეა, რა ლამაზი ხარ, ეს სარაფანიც როგორ გიხდება!.. აქამდე რატომ არ იცვამდი! — აღფრთოვანებას ვერ ფარავდა გლორია, — გინდა საღამოს კაფეში წავიდეთ, მე, შენ და დევიდი. ისე, რომ იცოდე, მე და დევიდმა გადავწყვიტეთ, ხვალ გამოსამშვიდობებელი საღამო მოგიწყოთ. შეგიძლია შენი რამდენიმე მეგობარიც მოიწვიო... ახლა კი კაფეში წავიდეთ, კარგი? ოღონდ დევიდის გარეშე, დღეს გვიან დავბრუნდები შინო, დამირეკა. აქვე ახლოს ერთი კაფეა, რუსების. მგონი „კალინა კრასნაია“ ჰქვია. მართლა, რას ნიშნავს ეს „კალინა კრასნაია“, ძალიან მაინტერესებს და ყოველთვის მავიწყდება ვინმეს ვკითხო, ვინც რუსული ენა იცის!

— „კალინა კრასნაია“ მცენარეა, წითელი... მოიცათ, ლექსიკონში ვნახავ... ინგლისურად არ ვიცი, როგორ გამოითქმის... ჰო, წითელი ძახველი. სხვათა შორის, ძალიან ლამაზი მცენარეა. ზამთარში, თოვლით დაფარულ გაშიშვლებულ ხეებზე ულამაზესი წითელი მტევნები ჰკიდია,

გაგრძელება მეთოთხმეტე გვერდზე

ქართული

შალვა ბაკურაძე

თანამედროვე ქართული პოეზიის მოყვე გზამკვლევი

აგე შოთა მოძმე პოეტებთან ჩხუბებზე აპირებს წიგნის დაწერას
აგე მე
მემგონი მე წერა ისევ დავიწყე
(მორჩა, ამის შემდეგ მეს ხსენება აღარ იქნება)
აგე ბესო ველარ ჩამოვიდა ნეპალიდან (როგორ მიყვარს ბესო)
აგე ეკა ქევანიშვილი ულამაზესი ქალი (ეკასგან იწყება ფერები)
აგე მაია მერამდენედ გახდა იათაშვილების დედა (სიკვდილს ასწავლის)
აგე კატო ჯავახიშვილმა ჩამოუარა ქართულ პოეზიას (უნდა გავათხოვოთ)
აგე ამფიმიადი შეგვიყვარდა და შემიყვარდა და მასსაც ვუყვარვართ
აგე გივი ალხაზიშვილი მეასეჯერ იწყებს პოეზიასა და სიცოცხლეს თავიდან
(გივი მასწ, მაგალითი ხარ)
აგე ბათუ ღმერთის ექსკლიუზივი
შედევრი
შუამდინარეთის იქით დრო და თოვლი რომაა
იქ ცხოვრობს (გუშინ დავრწმუნდი ამაში)
აგე ზვიადი ბედზე შემაძრწუნებლად ატამაშებს უკანასკნელ სიმს გიტარაზე
(აი ვინაა გიჟი)
აგე ანდროც ვნახე ამ დღეებში და ზაზას ცოლი მანანაც
(აქ მეტს არაფერს ვიტყვი)
აგე ზაზა კვერცხიშვილი ინსულტიანი წევს სხვის ლოგინში
(ყველას გვჭირდება შენი დახმარება კვერცხო)
აგე დათო რობაქიძე გასცდა სემიოტიკის საზღვრებს და გული ოჯახში დაივანა
აგე დათო ქართველიშვილი შიგადაშიგ მონიტორზე გამომიყოფს ამერიკულ ცხვირს
და ლიტერატურას ამსჯელებს (დათო არის ბათუ ოღონდ პრიზის)
აგე დათო ჩიხლაძე იდეაში ვისაც ეძღვნება ეს ლექსი ( )
აგე თემო ჯავახიშვილი ორ ჭიქას დამალევინებს და ღმერთზე მელაპარაკება
(თემოს სახელია სიყვარული)
აგე ნატა ვარადა კელტი მომღერალი, (ძაან კი მოსუქებულხარ ჩემო ლორენა
აგე დიმა ბატუტაშვილმა საჯაია გამაცნო და მე ორივე გავიცანი და დავაფასე
აგე გავიხედე სერზე და ნიკა ჯორჯანელი შემომჯდარა ცხენზე (ამდენ დაუვიწყარ
ლექსს როდისღა აგროვებ)
აგე ანა გრიგმა არ გაუშვა ხელი გიტარას მეორე ხელით ღვინო მიიხუტა
(ანნა ტებე პორა ნაუჩიტსა ცელავატსა)
აგე წუხელ ეკო მესტუმრა და ბევრი ვუსმინეთ შემოდგომას და
მისი წელიწადის სხვა დროებს
აგე რობისთან ვმღერი და ვხვდები რა ადვილი ყოფილა ჩემი შეყვარება
(რობის ჩემი სახე აქვს)
აგე გრინჩის სახე ველარაფრით მიახატეს ქვენის დროშას
აგე ზომბი ვაღარადა ვერ შეუდგა მონაზვნის გზას
აგე ალექსამ საბა მიიღო და კიდევ უფრო დაიხვეწა
აგე გაგარინი საეჭვოდ დატოვეს პლანეტაზე სახელად საქართველო
აგე ზურა რთველიაშვილი ჩაყვირის პოლარულ ღამეებს
აგე რამდენი ხანია ნახცო არ მინახავს
აგე ბესიკ ხარანაულმა დამადო მხარზე ხელი
აგე პაატა შამუგიამაც დამადო მხარზე ხელი
აგე კოკა არჩვაძემ მომადო მკერდზე ყური
აგე მარიამ ამირეჯიბმაც მომადო მკერდზე ყური
აგე ნათია ნაცვილშვილი გათხოვდა (სხვას ვის ვუმღერო
აქ შენს გარდა არავის ვიცნობ)
აგე მამაჩემი გურამი მინისტრია (ბატონო კაპიტანო თქვენს გემზე
ვირთხები მომრავლებულან)
აგე თათია და აგე ტუკო თაკო და შაკო

გაგრძელება მეთორმეტე გვერდიდან

მოსამსახურემ განიერ თეფშებზე მოზომილ ულუფებად დანაწილებული ხორცის ნაჭრები და ბოსტნეული შემოიტანა, მორჩილი მოძრაობით დაულაგა სტუმრებს ცხვირწინ და გავიდა.

— ახლა მესამეც, ყურადღება! — მოითხოვა ელენემ. ვინ ოხერი, ყველა მას შესციცინებდა! — თითქოს ბანალურად ჟღერს, თითქოს ეს ყველამ ვიცით, მაგრამ არასდროს არ გვისაუბრია იმაზე, თუ რას ნიშნავს მეცნიერული კვლევა ემოციურად. ანუ დაკვირვება დედამიწაზე მიმობნეული ჩვენნაირი, საკუთარი კვლევის საგნით შებყრობილი ადამიანების საერთო ხედვაზე, თუ რატომ არის ასეთი საინტერესო, ასეთი მნიშვნელოვანი, როდესაც კვლევის საგანს სხვადასხვა მრწამსისა და გენის ადამიანები მთელი დედამიწის მასშტაბით, თავისივე კეთილი ნებით აკვირდებიან. არ დაგავიწყდეთ, მეცნიერება კეთილი ნებაა. მეცნიერად ქცევას ვერავის აიძულებ, ვერ დანიშნავ მეცნიერად, ვერ ასწავლი მეცნიერულ ანალიზს, ვერ მოაქცევ, თუკი ის ასეთად თავად არ ისურვებს გახდომას... ჰოდა, მგონი ოდნავ ავცდი თემას, მაგრამ აი ჩემი მესამე ვარიანტიც, მეტად ემოციური: — მეცნიერული კვლევა გვაძლევს საშუალებას ჩვენი, სამოღვაწეო გეოგრაფიულ არიალში მოქცეული ხედვა, რომელსაც, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენივე ერის გენეტიკური კოდი მართავს, სხვების სამოღვაწეო გეოგრაფიულ არეალში, სხვა გენეტიკის მკვლევარების ხედვასთან შეაჯერო და ამ ნაჯერით, მსოფლიო მნიშვნელობის პრიზმაში გადამტყდარი ხედვით, ჯერ ვერნახული დაინახო.

— დედა, რა ჭკვიანი ვარ! — გაიფიქრა ელენემ, ფრანგებმა კი ტაში დასცხეს.

— ფრანგულად უკეთესად იჟღერებდა... — გული დაეთუთქა მასპინძელს.

— ესეც ფრანგული შოვინიზმი. — მშვიდად გაიფიქრა ელენემ.

ხორცი გაცივდა და რეზინას დაემსგავსა. რიჩარდი ჩაინავლა და თავისივე თამაშს შეწირული პაიკივით მაგიდიდან გავიდა. ფრანგებმა ელენეს გამოთქმული მარტივი ჭეშმარიტება აიტაცეს და ვარიაციებად დაღვარეს. ანუ, ელენემ სუფრასთან ქართველი ქალის ერთ-ერთი ფუნქცია — მაგიდის წევრების გამოცოცხლება, წარმატებით ითავა და შეასრულა კიდეც.

ლევანი ასეთ დროს გიტარას მიაწვდიდა. ეს ადრე, სანამ გადაწყვეტდა, რომ ელენე მისი სულიერი მეგობარია და არა ვნების ობიექტი. რა სამწუხაროა, ახლა როცა რიჩარდს შესცქერის, ელენე ხვდება, რომ ლევანის განწყობილებების შექმნა-ჩამოყალიბებაში თავად მიუძღვის ლომის წვლილი. რატომ აჰყვა რიჩარდს? ხომ შეეძლო თამაშიდან დამარცხებული გამოსულიყო, გაწითლებულიყო, ხელები ჩამოეყარა... დასაცინი გამხდარიყო... მაგრამ ქალად დარჩენილიყო. ჰო, ქალად, დაუცველ და საპატრონო, თუნდაც უჭკუო ქალად.

— გიტარა გაქვთ? — მიუბრუნდა მასპინძელს.

— პიანინო.



ჯულიანა ბეგოტი

პირველი ორხულობა

ლილია გოგიას თარგმანი

ჩემში ბავშვი ვერ წარმოვიდგინე.
ბავშვის ნაცვლად, წარმომედგინა პეიზაჟი,
საკუთარ თავში ჩაკეტილი ოკეანე,
მოძრავი მთა, მინდორი,
რომელიც იშლებოდა და იკეცებოდა,
ერთი სიტყვით, ცოცხალი რუკით დაპყრობილი ჩემი სხეული.
მაშინაც კი ვერ დავიჯერე, რომ
ღმერთმა წყალობა მოიღო ჩემზე,
როცა ქვემოდან მისი ხელი დამეტყო,
ხუთი თითის ანაბეჭდი,
ცხადი, როგორც თაბაშირის პატარა ყალიბი.
ურწმუნო ვარ, თომასავით,
მჭირდება სხეული, აუცილებლად უნდა დავინახო,
როგორ ჭამს ქრისტე თეთრ თევზს,
როგორ იჩიჩქნის კბილებს თევზის ფხით,
ხელები მისი სისხლით უნდა დამესვაროს.

ლაღიდა გოგია

მუცლის მოშლის შემდეგ

ვცდილობ, არ ვიფიქრო, რომ სამოთხე მეხსიერებაა.
ბავშვს არაფერი უნახავს გარდა
მასზე გარშემოტყმული ჩემი სხეულის
ცისა და შავი წყლებისა,
ჩემი სისხლის ყბედობისა და
გულის მოუწესრიგებლობისა,
თავისი გულით მიწოდებული
სისხლის პირველი ნაკადებისა
და საკუთარი უწონო ფუსფუსისა. ამ ყველაფრის ნაცვლად,
თვალწინ მიდგას ყვავილები, რომლებსაც ახლა ბავშვებივით
ვეალერსები,
ვხედავ, როგორ იხრებიან ისინი ქარში, ღამითაც კი,
როცა ერთმანეთს ვესიყვარულებით, ვხედავ,
როგორ ირხევიან მკრთალად მოციმციმენი.
ბავშვიც სულ იქაა,
წარმოიდგინე მისი ცერა თითის ზომა, როგორ ცურავს
მისი ელვარე სხეული
ახლა უკვე შიგნიდან მოკაშკაშე
მბზინვარე კანის ქვეშ
კვირტი კი არა,
გასაშრობად დადებული, სუსტი და მყიფე,
არამედ ცვალებადი ყვავილი, ზმანება,
ზემოთ მარად მოლივლივე, მარად გაოცებული.

როცა სიყვარულზე ვერ ოცნებებ...

გაგრძელება მეცამეტე გვერდიდან

თვალს ვერ მოსწყვეტ, ისეთი მშვენიერებაა. თუ არ ვცდები, სამკურნალო მცენარეა. ძირითადად რუსეთში ხარობს... თუმცა ჩვენთანაც არის, ბაკურიანში მინახავს, ბაკურიანი სამთო კურორტია საქართველოში... ამ მცენარეზე უამრავი ლექსი და სიმღერა შექმნეს რუსებმა, ფილმიც გადაიღეს. შეიძლება თქვენც იცოდეთ, იყო ერთი რუსი მწერალი და რეჟისორი ვასილი შუკშინი. მას აქვს სწორედ ამ სახელწოდების ფილმი „წითელი ძახველი“, მთავარ როლსაც თვითონ ასრულებს... რუსული ყოფის სინამდვილეა ამ ფილმში გაშიშვლებული. შუკშინი საბჭოთა უსამართლობას ებრძოდა, ბევრი მტერი ჰყავდა, არ გაახარეს და როგორც მამამ მითხრა, გულიც ამიტომ გაუსკდა ახალგაზრდა კაცსო... ეტყობა, ამ კაფესაც შუკშინის პატივსაცემად დაარქვეს „კალინა კრასნაია“ ან სულაც იმიტომ, რომ რუსეთში ეს მცენარე ლამის სიმბოლოდაა ქცეული... სილამაზის, სიწმინდის, სამართლიანობის სიმბოლოდ...

— შენ მართლა ძალიან ჭკვიანი გოგონა ხარ, თეა! ვერც წარმოვიდგენდი, რომ შეიძლება 19 წლის გოგომ ამდენი რამ იცოდეს... ჯეკ ლონდონს და ჰემინგუეის დედანში კითხულობ... გული გწყდება, რომ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და „მეფე ლირი“ ვერ იყიდე ინგლისურ ენაზე, ძვირი ღირდაო... ნუ იდარდებ, ამაზე მე და დევიდი ვიზრუნებთ.

— მართლა? ეს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იქნება!.. — ხალისიანად წამოიძახა...

თეამ დედობილს კაფეში წასვლაზე უარი, რა თქმა უნდა, ვერ უთხრა, მაგრამ ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ამჯერად ვერც ვლადისთან ურთიერთობას დაუმალავდა. თუნდაც იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ ვლადი სწორედ იმ კაფეში მუშაობდა, რომელსაც „კალინა კრასნაია“ ერქვა, და რომელშიც თავისი დედობილი ეპატიჟებოდა.

— მისის გლორია, მეც ვყოფილვარ იმ კაფეში. იქ, იქ... ერთი ჩემი მეგობარი მუშაობს... ვლადი!.. — „მძიმე გამოცდის“ ჩასაბარებლად გამზადებულიყო თეა.

— მართლა? იქ ვიცი, რომ რუსები მუშაობენ, რუსული ბენდი უკრავს. ვიოლინოზეც უკრავენ საკმაოდ ვირტუოზულად... რუსულ სიმღერებს მღერიან! ზოგჯერ ცნობილი რუსი მომღერლებიც გამოდიან... ერთხელ მახსოვს, ალა პუგაჩოვა და მისი მეუღლე იყვნენ რამდენიმე დღით. გვარი ვერ დავიმახსოვრე...

— ფილიპ კირკოროვი, მაგრამ ეტყობა, ეს დიდი ხნის წინ იყო. კარგა ხანია, ერთმანეთს გაშორდნენ... ალა

გაგრძელება მეთოთხმეტე გვერდზე

ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐᲨᲮᲘ

ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲘᲡ ᲛᲒᲔᲚᲘ

ნება მიბოძეთ,
წარმოდგინოთ,
ჩემი ტრამალის მოსაყდრე მგელი,
მიუსაფარი...
გადაქანცული...
მარტოობის და ხმაურის დევნით.
ის იყო ერთი,როგორც ერთ-ერთი,
ის იყო შორი,როგორც ნუგეში,
გაგდებული და მივიწყებული,
გადამალული თავის ბუდეში.
ფხიზლობდა მუდამ,
სუნთქავდა ჩუმად,
დაძრწოდა ღამით,ტრამალის პირას,
არავინ ჰყავდა,არავის სურდა,
ვერავინ,
ვერსად ნახავდა მტირალს.
ძუნძულით დაღლილს აწვიმდა წლები,
მზესთან ლაციცით ირთობდა სევდას,
მის მონურ ტკივილს ზამბახებს ვფენდი,
მაგრამ დრო მაინც უსიტყვოდ სცემდა.
ძლივს მივაგენი,
სად არ ვეძებე...
როგორც არავინ,ის იყო ჩემი.
მინდოდა,მასაც ამოვეჩემე,
მიყვარდა ჩემი ტრამალის მგელი!

როცა სიყვარულზე...

გაგრძელება მეოთხეტე გვერდიდან

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა თეა.

— თეა, მგონი შენ უკვე... მოგწონს არა, ის ბიჭი? თუ გიყვარს კიდეც?

— არ ვიცი, მეც არ ვიცი, რა მომდის... — ცრემლი მოადგა თვალზე თეას.

— მოიცა, მთელი თვეა ხვდები და ჩემთვის არაფერი გითქვამს? — საყვედური გაერია ხმაში დედობილს.

— არა, პაემანზე აღარ მივსულვარ... დღეს შემთხვევით შემხვდა და მისაყვედურა. მითხრა, რომ სულ ჩემზე ფიქრობს...

— და როგორც ვატყობ, შენც სულ მასზე ფიქრობ! ლამაზი ბიჭია?

— ჰო, და ჭკვიანიც!.. აქ სწავლობს, უნივერსიტეტში, მალე ბაკალავრის დიპლომს აიღებს, ეკონომისტობას აპირებს... მითხრა, მალე ჩემი მშობლებიც აქ გადმოსახლდებიანო...

— და როგორც მივხვდი, ამ საღამოს მასთან შესახვედრად მიდიოდი კაფეში, ხომ?

— ჰო... მაგრამ თუ თქვენ მოისურვებთ, ერთად წავიდეთ, მინდა რომ გაგაცნოთ...

— გამბედაობა მოიკრიბა თეამ.

— რატომაც არ წამოვიდოდი, ოღონდ ძალიან დაღლილი ვარ და მინდა დავისვენო.

— მისის გლორია, აკი მითხარით, ერთად წავიდეთო?

— ჰო, შენ კაცი რას გამოგაპარებს! კარგი, წამოვალ, ოღონდ იცოდე, მე მალევე უნდა გამოვბრუნდე უკან. შენ თუ გინდა დაგტოვებ, ოღონდ მთელი ღამით ვერ ვანდობ შენს თავს იმ ვიღაც ცხინვალელ ბიჭს! — აწითლებული ქართველი გოგონა გულში ჩაიკრა ამერიკელმა დედობილმა, — და კიდევ, მოიცა, ბარემ გეტყვი: მინდა გაგახარო, მინდოდა ეს ამბავი დევიდთან ერთად მეთქვა, მაგრამ არა უშავს. არ შემიძლია ხვალამდე მოვითმინო...

— მეც მაინტერესებს, რითი უნდა გამახაროს ჩემმა ამერიკელმა დედამ და მამამ... — გახალისდა თეა.

— მე და დევიდმა გადავწყვიტეთ, ბოლომდე ვიყოთ შენი დედობილ-მამობილი. კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლის თანხას ჩვენ შეგივსებთ.

— არა, რას ამბობთ... მე ასე ვერ დაგავალდებულებთ!..

— მაგრამ შენ შეგიძლია პარალელურად იმუშაო, არდადეგებზეც და საღამოობითაც. ჩვენმა შვილებმაც ასე დაამთავრეს უნივერსიტეტი... უბრალოდ, პირველ წელს, სანამ ყველაფერს ალღოს აუღებ, შენზე შეფობას ჩვენ ვკისრულობთ. ხვალ მე მოვალ უნივერსიტეტში და საბუთების მოგვარებაზე ვიზრუნებ...

— არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ... — მეტი ვეღარაფერი თქვა თეამ.

— მოდი, მაკიაჟიც გაიკეთე და წავიდეთ...

...ვლადი „კალინა კრასნაიას“ შესასვლელში მიეგება თეასა და მის ამერიკელ დედობილს.

— თქვენ ალბათ მისის გლორია ხართ, თეამ ბევრი რამ მიამბო თქვენზე, — ისე შინაურულად შეხვდა მოულოდნელ სტუმარს, რომ თეამ გაოცება ვერ დაფარა. ისიც ვერ გაიხსენა, თავისი დედობილის სახელი როდისღა უთხრა...

ორ კაცზე წინასწარ გამზადებულ მაგიდას მესამე სკამიც მიემატა...

— შენც იმავე აქცენტით ლაპარაკობ ინგლისურად, როგორითაც ჩემი თეა, — შენიშნა მოგვიანებით ქართველი გოგონას დედობილმა.

— ბავშვობაში ინგლისურს ქართველი ქალი მასწავლიდა, ალბათ ამიტომ... თანაც, მე ხომ ენა ქართულად ავიდგი. ახლაღა ვხვდები, რომ ჩემს მშობლებს რუსულად ლაპარაკი მაინცდამაინც არ ეხალისებათ, ოსური ენა კი მათზე კარგად მე ვიცი... ქართველთა და ოსებს შორის დაპირისპირებამ ორივე მხარეს თავისი კვალი დააჩნია... არადა, მართლა ძალიან ახლოს ვყოფილვართ ერთმანეთთან... — და ვლადიმ უნებურად თეას ხელი გულზე მიიხუტა.

გოგონა შეცბა, თუმცა კი შეყვარებული ბიჭისთვის ხელის წართმევა არც უფიქრია. დედობილს გადახედა. გლორია წამოდგა და საათზე დაიხედა, შეხვედრაზე მაგვიანდებაო. მადლობა გადაუხადა ვლადის გემრიელი რუსული კერძებისთვის...

— ოღონდ წასვლის წინ ერთი ბოკალი შამპანურითაც დაგვლოცეთ, ქართველები და ოსები გამომშვიდობებისას აუცილებლად ადღეგრძელებენ ერთმანეთს... — და ვლადიმ რუსული შამპანურით შეავსო ბოკლები.

— ამერიკელი ახალგაზრდები უფრო პრაგმატულად უყურებენ სიყვარულს. თქვენ კი ნამდვილი მეოცნებეები ხართ. სიმართლე გითხრათ, თქვენით მოვიხიბლე. რაც დრო გადის, ჩემი შვილობილით მით უფრო აღფრთოვანებული ვარ. დღეს ძნელია იმის თქმა, როგორი მომავალი ექნება თქვენს სიყვარულს, მაგრამ ვიცი, რომ წინ იოლი გზა არ გელით... თუმცა კი დარწმუნებული ვარ, ბრძოლას შეძლებთ... ჩემი იმედიც გქონდეთ...

და გლორიამ ჯერ თეას აკოცა, მერე ვლადის და უკანმოუხედავად დატოვა კაფე.

თეას ამერიკელი დედობილი ძალიან ცდილობდა, ცრემლი დაემალა. კი უთხრა ლამაზ წყვილს, სიყვარულისთვის ბრძოლას შეძლებთო, მაგრამ თავისი სიტყვებისა თვითონაც არ სჯეროდა.

გლორიას წასვლის შემდეგ თეა ერთხანს გაუნძრევლად იჯდა. ძალიან უნდოდა დედასთან ყოფილიყო, თავი მის მკერდში ჩაერგო და ეტირა. ეტირა ისე, როგორც მაშინ, ბავშვობაში, როცა მისმა საყვარელმა

Abuu Kappes

* * *

სამუდამო დაგვიანება
ნოტებზე კვლავაც სისხლის წვეთები
დაზაფრულ განცდებს აბობოქრებენ,
სუნთქვაშეკრული აჩრდილთა ცრემლები
მელოდიისთვის ნიაღვარობენ.
მინორი... შვება... ღამის წყვდიადში
ხელისფათურით მივყვები ბგერებს,
სამუდამოდ რომ დაიგვიანე,
ლოდინით ვგრძნობ , რომ კვლავ შენთან ვრჩები...
ნოტები ჰაერში აჭრილ დროშებათ
ქარზე მძიმედ და ძლიერად კვნესის,
ამ წარმავალი ქვეყნის დინებას
და უსასრულო პასუხებს ველი,
მე, და კითხვებსაც ვერ ვუღებ ბოლოს
და ბოლოს ვიცი მაინც ერთია,
ერთია კაცის სასრუოლი მხოლოდ,
მხოლოდ უსაზღვრო სინანულია...
ნოტებზე კვლავაც სისხლის წვეთები...
არ მძინავს მე და "წითელ როიალს"
დაგვიანებულს ვერგზით შრგხვდები,
წლებს ვჩუქნი დროს და შვება მგონია...

პუგაჩოვას მრავალფეროვნება

უყვარსო, მამაჩემი ამბობს, — გაუმხილა „საიდუმლო“ დედობილს.

— ჰო, აქ მცხოვრებ რუსებს ძალიან უყვართ პუგაჩოვა. მახსოვს, მაშინ ბილეთები გაყიდეს კაფეში, უამრავი ხალხი მოვიდა. მე და დევიდი ერთ სკამზე ვისხედით... მართლა კარგად მღეროდნენ... მოიცა, თეა, ის შენი მეგობარი, ამ კაფეში რომ მუშაობს, რუსია?

— არა, ჩემი მეგობარი ცხინვალელია!

— ცხინვალი ხომ რუსებმა წაართვეს საქართველოს დიდი ხნის წინათ?

— ჰო, რუსებმა წაგვართვეს! მაგრამ...

— ბავშვობის მეგობარია?

— მისის გლორია, მე ის ბიჭი აქ გავიცანი, თავისუფლების ზეიმზე... ჩემი სოფლიდან ცხინვალამდე სულ 5 კილომეტრია, ჩვენ კი ერთმანეთს აქ, ოკეანის გამოღმა შევხვდით... —

ვასილ გუდეური

უოლტ უიტმენი

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! დასრულდა მგზავრობა, ხიფათით აღსავსე;
მიწყნარდა ღელვა და ჩაცხრა ქარიშხალი, გაუძლო ხომალდმა უამრავ განსაცდელს;
ნაპირს მივაღწიეთ, მშვიდობით დავბრუნდით. უკვე ახლოსაა, მოჩანს ნავსადგური;
ხედავ, ხალხი გველის, რეკავენ ზარები - ჩვენი გამარჯვების ჯილდო, საზღაური;
მაგრამ ო, ეგ გული! ეგ გული იცლება
სისხლისგან, გემბანზე წითელი ლაქა მოჩანს.
უკვე ვერაფერი ვეღარ შეიცვლება,
ჩემი კაპიტანი სიკვდილმა შემობოჭა.

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! წამოდექ, უსმინე, ზარი რომ გუგუნებს;
შენ გეგებებიან, მაღლა რომ ისვრიან ფერადი ლენტებით მორთულ თაიგულებს;
წამოდექ – ეს დროშა ხომ შენთვის ფრიალებს, შენთვის აჟღერებენ ბუკსა და ნაღარას,
შენ გესალმებიან, არ გესმის ძახილი? იქნება ხანგრძლივმა მგზავრობამ დაგღალა?
აქეთ, კაპიტანო! ო, მამავ ძვირფასო!
ეს ჩემი ხელია შენი სასთუმალი.
ალბათ, მესიზმრება, რომ ჩემს წინ, გემბანზე
წევხარ სიკვდილისგან ცივი და მდუმარე.

ჩემი კაპიტანი პასუხს არ იძლევა, გაფითრდა ბაგე და თანდათან ცივდება,
ვეღარ გრძნობს შეხებას, გული აღარ უძგერს, სული და სხეული ერთმანეთს სცილდება;
ხომალდმა ნაპირას ჩაუშვა ღუზა და დგას გამარჯვებული, ასრულდა, რაც გვსურდა;
მიზანს მივაღწიეთ. ხანგრძლივი, დამღლელი ეს მოგზაურობა დამთავრდა, დასრულდა;
ჩაჰბერეთ საყვირებს, დარეკეთ ზარები!
მე კი მწუხარების თრთოლვამ ამიტანა,
გემბანზე ჩამოწვა სიკვდილის მდუმარება,
  წევს გაციებული ჩემი კაპიტანი.

მარინა ცვეტაევა

ექვის მცდელობა

როგორ გიდგებათ გული სხვასთან,
ნიჩბის მოსმა – აჰ! იოლია?
ჩემი ხსოვნა სანაპირო ზოლს გაჰყოლია.
(წყალზე კი არა –
ცაზე მოდრეიფე – მე ვარ კუნძული!)
სული სულის გახდეს დობილი,
აქ საყვარლობა აკრძალულია!
როგორ გიდგებათ გული ქალთან -
ღვთიური რომ არა ებადა,
დამამხობელო,
სადედოფლო ნეტარებათა!
"სახლს ვიქირავებ,
კმარა თრთოლვა სულის, სხეულის..."
როგორ ეწყობა ვინმე რიგითს
ჩემი რჩეული!

მსუყეა თუმცა სალაფავი,
ნუ სწუხ, მიგიჩვევთ,
თქვენო ღირსებავ,
სინას მთას რომ გადააბიჯეთ!
როგორ გამოგდით ნეკნით ტრფობა -
ვიღაც მოკვდავთან!
სირცხვილი, როგორც ლაშზე ლაგამი,
როგორ არ გიწყვეტთ შუბლის მოსართავს!
როგორ ხართ? როგორ?
ჯანმრთელად ხართ?
იმღერით? ხარობთ?
სინდისზე წყლულებს როგორ უძლებთ?
როგორ? - საწყალო!
როგორ გიდგებათ გული დახლის საქონელთან,
მძიმეა ღალა?
როგორ ახერხებთ ფუყე თაბაშირთან
კარარული მარმარის ღალატს!
კლდეში ნაკვეთი, ნაფშხვენებად ქცეულხარ, ღმერთო,
როგორ გიდგებათ გული ათასმეერთესთან
ლილითის შემცნობს!
როგორ დახარბდით ბაზრის ცინცხალს,
საოცრების დაკარგეთ ცნობა?
როგორ შეეწყვეთ - ვისაც არ აქვს
მეექვსე გრძნობა!

ღირდა?
ჩამოვსხდეთ. ხელი შუბლზე, ნიკაპი მკერდთან.
არა? ამ მღვიმეს არა აქვს სიღრმე!
როგორ შეეწყვეთ, ძვირფასო, მძიმედ?
თუ უფრო მძიმედ,
როგორც მე -
ვინმეს!

ნინო ქოქოსაძე

როცა სიყვარულზე ვერ ოცნებებ...

➲ *გაგრძელება მეჩვიდმეტე გვერდზე*

ფისომ ჩიტის უსიცოცხლო ბარტყი მოათრია შინ... ან როცა მისი კლასელი გოგონას უფროსი ძმა ოსების მიერ წამებით მოკლული იპოვეს სოფლის ბოლოში. მოგვიანებით, ზუსტად იმ ადგილას გაევლო „სასაზღვრო“ ხაზი ქართულ და ოსურ სოფელს შორის... პატარა კი იყო, მაგრამ ხვდებოდა, რომ ამ პირობითმა საზღვარმა მისი საყვარელი სოფლის გარშემო ყველაფერი უკუღმა დაატრიალა. რომ რაღაც ძალიან ცუდი მოხდა. რომ ბედნიერი ბავშვობა დასრულდა!

შემდგომ იყო გამუდმებული სროლები აქეთ-იქიდან. ხან იტყოდნენ, მალე ისევ შევრიგდებით და ერთად ვიქნებითო, ხანაც ძველებურად აირ-დაირეოდნენ. ამ ბოლო დროს თითქოს დაწყნარდა, დათბა ურთიერთობები, მაგრამ რას გაუგებ მინავლებულ ვულკანს, რომელიც არავინ უწყის, როდის ამოხეთქავს ქვეყნიერების წასალეკად!..

— თეა, მოდი ვიცეკვოთ... — ვლადიმ მხარზე დაადო ხელი.

— მაპატიე, ვლად, ვერ ვიცეკვებ. და იცი, რას ვფიქრობ? ალბათ უკეთესი იქნებოდა, არ მოვსულიყავი... — თეამ თვალი აარიდა შეცბუნებულ ბიჭს.

— ამას ნუ ამბობ. იცი, როგორ გეძებდი? რომ არ მეპოვე, თავს ალბათ ყველაზე უბედურ კაცად ჩავთვლიდი.

— გავიდოდა კიდევ ერთი თვე და ვინმე ამერიკელ ლამაზ გოგოს შეიყვარებდი, ჩემი არსებობაც სულ მალე დაგავიწყდებოდა.

— ასე არ არის, თეა! გულს ვერ უბრძანებ! მე ხომ უკვე მიყვარხარ და ისიც ხომ ცხადია, შენც არა ხარ ჩემზე უკეთეს დღეში!... ხომ ასეა, ჩემო პატარა ქართველო დედოფალო...

ვლადიმ თეა მკლავებში მოიქცია და მომცრო საცეკვაო მოედნისკენ გაიტაცა. ბენდი რომელიღაც ძალზე სევდიან მელოდიას უკრავდა.

მოცეკვავე წყვილებს შეუერთდნენ.

გოგონა ვაჟის მკლავებს მინდობოდა.

ჯერ ყელზე იგრძნო მხურვალე კოცნა, მერე ტუჩებმა თავისით მოძებნეს ერთმანეთი. ბიჭი თავდავიწყებით კოცნიდა. გოგო მოკრძალებით პასუხობდა. ეს მისთვის პირველი, სულ პირველი კოცნა იყო, გაუბედავი და თავბრუდამხვევი... მოულოდნელად ბიჭს ხელი ჰკრა, გარშემო მიმოიხედა და უმწეოდ წამოიძახა:

— რატომ, რატომ მომექეცი ასე!..

— როგორ ასე?! მე ხომ მიყვარხარ, თეა! შეყვარებულები კი ასე კოცნიან ერთმანეთს. სხვათა შორის, შენც მშვენიერი კოცნა გცოდნია. ასე რომ, სულ ტყუილად მიბრაზდები... — და ისევ საკოცნელად გაიწია ბიჭმა.

გოგომ სახეზე ხელები აიფარა...

— ჰო, კარგი! აღარ გაკოცებ, ოღონდ ნუ იტირებ, თორემ ვიფიქრებ, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი ნაძირალა ვარ, ვისაც შეუძლია შენსავით ლამაზ გოგოს გული ატკინოს...

— გული არ მტკენია! უბრალოდ, ჩვენ სიყვარულზე ოცნებაც არ შეგვიძლია. ჩვენ ერთმანეთის მტრების შვილები ვართ... მე არ მითქვამს შენთვის, რომ ჩემს მშობლებს ცხინვალისკენ გახედვა და ოსის სახელის ხსენებაც კი არ უნდათ. დედას რამდენჯერ უთქვამს, ყველა უბედურება იქიდან მოდის ჩვენს ოჯახშიო. იცი, დედაჩემის ძმა ქართულ-ოსური კონფლიქტისას მძიმედ დაიჭრა და ყავარჯნით დადის. პაპაჩემმა შვილის საცოდაობის შემყურემ მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა, დარდით გაუსკდა გული. ორმოციც არ იყო გასული, ბებო რომ გარდაიცვალა. და როგორ ფიქრობ, მე რომ დედას ვუთხრა, მანჰეტენზე ცხინვალელი ბიჭი გავიცანი და შემიყვარდა-მეთქი, როგორ ხასიათზე დადგება!..

თეა კარისკენ წავიდა. ვლადი მკლავზე წაეტანა.

— მაგრამ, მაგრამ...

— რა მაგრამ, ვლადი! აბა, ერთი დედაშენსაც ჰკითხე, თუ მოგცემს ქართველი გოგონას შეყვარების უფლებას!

— ჩვენ... ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი სიყვარულისთვის! — სხვისი ხმით ლაპარაკობდა ვლადი.

— ბრძოლასაც თავისი კანონები აქვს! სიყვარული მხოლოდ ჰეფიენდიან ფილმებში იმარჯვებს ან სულაც იმ ზღაპრებში, რომლითაც ბავშვობას გვილამაზებდნენ. მშვიდობით, ვლადი! გმადლობთ, რომ შენს კაფეში დამპატიჟე...

— სახლამდე მაინც მიგაცილებ, თეა...

გოგონა სწრაფი ნაბიჯით გაეცალა კაფეს. ვლადიმ დადევნება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. კაფეს კართან მანამდე იდგა, სანამ გოგონა თვალს არ მიეფარა...

კარი დედობილმა გაუღო თეას.

— ჩვენ დავშორდით, მისის გლორია! ჩვენი სიყვარული არ შეიძლება! — თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ გადაუშალა გული დედობილს.

— ჩემი პატარა, საცოდავი გოგო, — ამ სიტყვებით ჩაიხუტა დედობილმა და ფრთხილად აკოცა, ისე, როგორც დედა კოცნიდა ხოლმე.

— დედა მომენტარა, მისის გლორია! — ამოისლუკუნა და მისმა ცრემლებმა ერთი შეხედვით მკაცრი ამერიკელი ქალის გულიც კი მოალბო.

* * *

საქართველოში გამომგზავრების დღეც დადგა. თეამ დედობილსა და მამობილს სთხოვა, ნუ წამომყვებით, გამომშვიდობების სცენები არ მიყვარსო...

გლორიამ ხუთი ასდოლარიანი აჩუქა შვილობილს, — ხუთნი ხართ, შენთვის და შენი და-ძმებისთვის ცოტა რაღაცას მაინც იყიდიო.

— არ გამოგართმევდით, მაგრამ ხუთივეს ძალიან გვჭირდება კომპიუტერი... დიდი მადლობა, ამ ფულით კომპიუტერს შევიძენ... ჯერ მე და ჩემი სტუდენტი დები ავითვისებთ კომპიუტერზე მუშაობას, მერე კი უმცროსი ძმებიც ჩამოვლენ თბილისში სასწავლებლად და მათაც დასჭირდებათ... — სიხარულს ვერ ფარავდა თეა.

გოგონას სიტყვებმა მამობილი ააღელვა. თავის კაბინეტში შევიდა და ნოუთბუქი გამოიტანა.

— ჩემს ნოუთბუქს გაჩუქებ, თეა! უახლესი მოდელი არ არის, მაგრამ კარგად მუშაობს. ჩემთვის სხვას ვიყიდი... ეს ნოუთბუქი ძალიან პრაქტიკულია, სოფელშიც შეგეძლება წაიღო ხოლმე... — მამობილისგან კიდევ ერთ და თანაც ასეთ სიურპრიზს აღარ მოელოდა.

— მართლა თქვენი შვილი ხომ არა ვარ, მრცხვენია. ჯერ იყო და სწავლის ფულის გადახდას დამპირდით, ახლა ეს კომპიუტერი... თქვენ ხომ გამუდმებით კომპიუტერს უზიხართ... არა, ვერ ავიღებ ამ საჩუქარს... — წინააღმდეგობის გაწევა სცადა თეამ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

აეროპორტშიც თავიანთი მანქანით წაიყვანეს დედობილ-მამობილმა, თუმცა კი გოგონას სურვილს, გამომშვიდობების სცენები არ მიყვარსო, ანგარიში გაუწიეს და შესასვლელშივე გამოემშვიდობნენ.

თეამ საკმაოდ მძიმე ზურგჩანთა შეისწორა, გორგოლაჭებიან მოზრდილ ჩანთას კი ორივე ხელი ჩასჭიდა და რეგისტრაციის ადგილს დაუწყო ძებნა.

— აი, თურმე სად ყოფილხარ! მე კი ლამის მთელი აეროპორტი მოვიარე! თვითმფრინავის გაფრენამდე მხოლოდ საათ-ნახევარი დარჩა! — თეას წინ ღიმილადქცეული ვლადი იდგა თეთრი ქრიზანთემებით ხელში.

— რატომ მოხვედი... — ეს კი თქვა, მაგრამ ქრიზანთემები სიხარულით გამოართვა ჯიუტ თაყვანისმცემელს.

— იმიტომ მოვედი, რომ მიყვარხარ! — სიტუაციით „ისარგებლა“ ვლადიმ და ჯერ ზურგჩანთა ჩამოართვა თეას, მერე კი გორგოლაჭებიანი ჩანთის სახელურსაც დასწვდა, — აბა, წავედით, შენი თვითმფრინავის რეგისტრაცია მეორე დარბაზშია, მეხუთე გასასვლელთან. ხომ ხედავ, რა მაგარი ვარ, უკვე მთელი აეროპორტი ავითვისე.

...მერე იყო გამოსამშვიდობებელი კოცნა, ცრემლიც. და ის-ის იყო, თეა მხოლოდ მგზავრებისთვის განკუთვნილ დახურულ მოსაცდელ დარბაზში უნდა შესულიყო, რომ ვლადიმ, ერთი წუთითო, — მიაძახა.

— კინაღამ დამავიწყდა! ეს მობილური გუშინ ვიყიდე შენთვის. ხშირად რომ არ დაგირეკო, ალბათ გავგიჟდები. ხანდახან შენც დამირეკე, ხომ... ჩემი ნომერი მანდ წერია. კიდევ ბარათიცაა შენთვის. ჰო, მართლა, სატელეფონო ხარჯებს მე დავფარავ. ჩაფრინდები თუ არა, მაშინვე დამირეკე, ხომ? და კიდევ იცი, რა?

➲ *გაგრძელება მეცხრამეტე გვერდზე*

ვაჟა ხორნაული

ზმანება

ცხენს ცისკენ მივაქროლებდი
ქვეყანა დაბლა რჩებოდა
ისმოდა ფეთქვა მთებისა
ნალისგან სიპი სკდებოდა
ქარი მაყრიდა ყვავილებს
გული სივრცისგან თბებოდა
ხანდახან ჩრდილსა ვკარგავდი
მაინც ჩემთანა ჩნდებოდა
შორს მაღლა კოშკი მოჩანდა
დილის მზეს ეგებებოდა
ისმოდა ტკბილი გალობა
ცა-მიწას ეფინებოდა

შენ გეძახოდი ძახილზე
მწვერვალებს ეღიმებოდა.

***

პასუხმა სივრცე გაუნათა
და კითხვის ნიშანი
გაიშალა და სანთელს დაემსგავსა.

***

ბიჭმა შორიდან გაუღიმა
და სანთლის ალივით
შეირხა გოგო...

***

აიწონა-დაიწონა:
დარდი და სიხარული
სიყვარულის საქანელაზე.

***

შუაღამისას შვილის სამარეში
დადუმდა საათი
და დედას გაეღვიძა...

***

გახსოვდეს პირველი სიყვარული
როგორც დედამიწას პირველი ყვავილი
როგორც ზეცას პირველი ვარსკვლავი.

ეკა ქევანიშვილი

ბრილიანტის ბეჭდის ამბავი

დიახ,
მე გავყიდე ბრილიანტის ბეჭედი!
მანამდე დიდხანს ვათვალიერე,
თვლები დავუთვალე. ვწმინდე, ვაკრიალე
გავიხსენე ის წამები, როცა მაჩუქეს
და ამ ჩუქების დანიშნულებაც გავიხსენე.
მოვიხმე სინდისი და ვიფიქრე შთამომავლობაზე,
დედაჩემის რეაქციაზე,
ჩემს თავზე – როგორ ვუახლოვდები ოქროს ბირჟას
მორცხვად მიჭირავს ხელში ქორწილში ნაჩუქარი ბრილიანტის ბეჭედი,
მინდა თავიდან მოვიშორო,
მერე კი, აღებული ფულით თმა მწვანედ შევიღებო
ან კაშკარა წითელი ფეხსაცმელი ვიყიდო!
აი, მივუახლოვდი ჯერ ერთ, მერე მეორე გადამყიდველს,
რომელიც მზად არის გროშებად მიყიდოს და გამყიდოს,
მერე ოქრომჭედელს სქელლინზიანი სათვალით,
ისიც მზადაა სიხარულით მომატყუოს – სინათლეზე გახედ–გამოხედოს,
უკმაყოფილოდ თავი გადააქნიოს,
გადამიხადოს ოქროში ალუმინის ფასი
მე კი ასევე მორჩილად გავცვალო მის შეჩვეულ ტყუილში
ჩემი ბრილინატის ბეჭედი!
ასე გავყიდე და არც ვნანობ.
მას მოჰქონდა აუტანელი სევდა და მიჯაჭვულობა წარსულზე.
უჯრაში გამომწყვდეული ჯინივით
ყოველ ჯერზე უკან დაბრუნებას რომ მთხოვდა,
მე ის თავიდან მოვიშორე, გავათავისუფლე.

არ დაგენანოთ უგემოვნო ზარდახშებში
გამოკეტილი ბრილიანტის ბეჭდები,
გაუგებარი მომავლისთვის გადადებული ძვირფასეულობა,
ის უბრალოდ თავისთვის ბრწყინავს და
არ ანათებს თქვენს ცხოვრებას.

ლიანა ქელიძე

წამოდექი

გაექეცი საკუთარ თავს და წადი...
უბრალოდ ადექი და ყველაფერს წერტილი დაუსვი...
დაანებე მძიმის ან წერტილმძიმის დასმას თავი...
გაბევდე და დასვი წერტილი..
გაიხსენე ყველა შეცდომა,რომელზეც აპირებდი გესწავლა და მაინც არ ისწავლე
და მაინც თავიდან დაუშვი და მიუშვი...
მოუშვი შენს სულთან ყველა მოკვდავი,რომლებიც ვერ იტანენ,
რომ შენ მოკვდავებისგან
რაღაცით განსხვავდები,
რომ ებრძვი და ეწინააღმდეგები წყობას,
განწყობას,
თანწყობას და
დედაც ვატირე ყველა შეწყობის და შეგუების
ძალით,
ჯანდაბამდე გზა ჰქონია
მორალის კითხვით დათანხმებულ წერილმძიმეს...
ადექი და დასვი ეს ოხერი წერტილი...
ნახე,სული ისე დაგიმძიმდა,რომ ვეღარ მიათრევ
,მიითრევ ფეხებს,მიირთმევ ცოდვებს საგზლად და
გზადაგზა ანაწილებს საგზალს ბოლომდე,რომ გეყოს...
რას იზოგავ? ცოდვებს რა გამოლევს...
მიდი,მიირთვი თამამად...ეგ ერთადერთია,
რასაც მოგაწვდიან და გამოგკვებავენ...
გიჭირს? ჩაიმუხლე...დაასვენე სხეული სულის ტვირთისგან....
არ დაუჯერო შენ ინტუიციას...
დაივიწყე ლოგიკა და ანგარიში,გაანგარიშებული ურთიერთობები და
მიყევი დინებას...მიალივლივდი და მოგალივლივდება...

* * *
მომაბეზრებელია არა?! ვიცი,მაპატიე გამოლივლივდი ამ დინებიდან...
არ გინდა მასა...
მაშ ასე,დაიწყე ფიქრი...მოიგლიჯე სულიდან ვალდებულებები და
მანამ დასვი წერტილი,სანამ თვითონ ცხოვრება დაგსვამს წერტილის შემდეგ..
ისუნთქე...
ისუნთქე...
მიდი იყვირე...მთელს ხმაზე...ძნელია? გიჭირს...

გაიჭირვე...გაიჭირვე და აჰა...
თამამად წამოდექი...ნახე როგორ ამჩატდი?

გადააბიჯე ახლა შენს დასმულ წერტილს და.....

როცა სიყვარულზე ვერ იოცნებებ...

➲ გაგრძელება მეთვრამეტე გვერდიდან

— რა? — დაიბნა თეა.

— ერთიც მაკოცე!

თეამ ღიმილი ვერ შეიკავა და ბიჭს ლოყაზე აკოცა...

„ბოინგის“ სალონში ვლადის ნაჩუქარი მობილური ამოიღო. მესამე თაობის „მოტოროლა“ იყო. ყურადღებით გაეცნო ინსტრუქციას. „აღმოაჩინა“, რომ ამ ტელეფონს დიქტოფონადაც გამოიყენებდა, ფოტოებსაც გადაიღებდა, რადიოპროგრამებსაც მოუსმენდა და ინტერნეტმომსახურებითაც ისარგებლებდა... მესიჯებს ხომ გააგზავნიდა და გააგზავნიდა!

მობილურის ყუთში, ყურსასმენის თავზე თეთრი კონვერტი შენიშნა. ახლაღა გაახსენდა, ვლადიმ რომ უთხრა, შენთვის ბარათიცაა.

„ჩემო უკარება ქართველო დედოფალო, — წერდა ვლადი გაუწაფავი ხელით, — არ მიწყინო, რომ ასე „ტრაფარეტულად“ გწერ. სიყვარულს არ უყვარს სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევაზე ფიქრი... თავს არ მოგაწყენ ბევრი წერით, თანაც, მაინცდამაინც არ მიყვარს წერა. ქართულადაც მთლად გამართულად არ გამომდის და... მინდა, ერთი რამ შეგახსენო, რომ ძალიან, ძალიან მიყვარხარ და ამ სიყვარულისთვის, როგორც შენი დედობილი მიმიხვდა, ბრძოლას ვაპირებ. ნახვამდის, იფიქრე ჩემზე. ამერიკაში სწავლაზეც იფიქრე... დარწმუნებული ვარ, ბედი ისევ შეგვახვედრებს ერთმანეთს... და ალბათ, სამუდამოდ!..“

ვერ წარმოიდგენდა, თუ ვლადის ასე გულისამაჩუყებლად წერა შეეძლო.

* * *

თბილისის აეროპორტში მხოლოდ მამა დახვდა.

— სხვები სად არიან? — აქეთ-იქით იხედებოდა თეა.

— სხვები? ვინ სხვები?! — ფერი აღარ ედო სახეზე მამას.

— რა მოხდა, მამა? — თეა მიხვდა, რომ ოჯახში ყველაფერი მთლად რიგზე ვერ იყო.

— დედა საავადმყოფოშია, ალბათ რამდენიმე დღეში გამოწერენ. ორი კვირის წინ გავუკეთეთ ოპერაცია...

— მერე მე რატომ არ დამირეკეთ?

— არ გვინდოდა გენერვიულა!

— სად, რომელ საავადმყოფოშია?..

— გამაგრდი, შვილო, დედა ძალიან მძიმედაა, ონკოლოგიურში წევს, ორივე ძუძუ მოკვეთეს...

— და მეტასტაზებიც წასულიაო, არა? — მამას მკერდში ჩაეკრა და გულამოსკვნით ატირდა.

ზაზამ ძლივს გააღო მანქანის კარი. ნერვიულობისგან ხელებს ვერ იმორჩილებდა.

— თუ გინდა, სოფელში წავიდეთ, შვილო! ერთი დღე მაინც დაისვენე და მერე უკან გამოვბრუნდეთ, თბილისში... დედასთან შესახვედრად მოემზადე. ბავშვებიც არ ამომიყვანია ონკოლოგიურში. არ მინდა დედის სიკვდილზე იფიქრონ. მათთვის არც მითქვამს, რა უბედურებაც გვჭირს... საამისოდ ჯერ პატარები არიან... რა ვიცი, იქნებ ნანა გადაგვირჩეს კიდეც. თუმცა, სასწაულების ნაკლებად მჯერა!

— ბავშვებმა მართლა არაფერი იციან?

— იციან, რომ დედამ ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გაიკეთა და მალე გამოწერენ...

— მამა, მე რატომ გამიმეტე, მე რატომ გამიმხილე ყველაფერი... — ცრემლი აუკიაფდა თვალზე თეას.

— რა ვიცი, შვილო! დავიღალე ამდენი ტკივილით და ჭირის მალვით... ვინმესთვის ხომ უნდა მეთქვა! თან შენი იმედი მაქვს, შენ უნდა გადაგვატანინო მე და დედას ის საშინელება, რაც წინ გველის...

* * *

თეას დედა ონკოლოგიურიდან მხოლოდ 2008 წლის 5 აგვისტოს გამოწერეს. ზაზამ კი იცოდა, რომ სოფელში ბოლოხანს ძალზე დაიძაბა ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის, რომ წამდაუწუმ ისროდნენ ცხინვალის მხრიდან მის სოფელში ავტომატით თუ ყუმბარმტყორცნებით, მაგრამ ომზე არც უფიქრია. მორიგი „საზაფხულო აფეთქება“ იქნება და მალე გაივლისო, გულუბრყვილოდ სჯეროდა... თუმცა კი როცა ორი დღის შემდეგ მათ ეზოში ჩავარდნილმა ყუმბარამ მთელი სოფელი შეძრა, ჯერ სარდაფში დაიპირა „თავშესაფრის“ მოწყობა, მაგრამ პირველ ყუმბარას მეორე მოყვა, მეორეს — მესამე და...

სოფლიდან 8 აგვისტოს, ღამით გამოაღწიეს. ნათურებჩამქრალი მანქანით, ნელი სვლით მოდიოდნენ. ხელთ რაც მოჰყვათ, ის მიჰქონდათ თან.

— ნეტავ ოპერაციის დროს მოვმკვდარიყავი და ამ უბედურებისთვის არ მეცქირაო, — მოთქვამდა ნანა.

თბილისში, ერთ-ერთი საბავშვო ბაღის შენობაში მოათავსეს ლტოლვილებად ქცეულნი.

ზაზამ სოფელში მიბრუნება გადაწყვიტა. ბევრი ემუდარა თეა, მაგრამ არაფრით დაიშალა. გვიან ღამით კი ისევ საბავშვო ბაღს მოადგა, ტყვიავს იქით აღარ გამიშვესო.

მეორე თუ მესამე დღეს საბავშვო ბაღში მათი მეზობლები შემოასახლეს. პირველი თქვენი სახლი დაბომბეს, ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული, ვაშლის ხეებსაც კი ცეცხლი ეკიდაო, — შესტირა თეას მისმა კლასელმა გოგონამ, თუმცა კი სთხოვა, შენებს არაფერი უთხრა, დედაშენმა რომ გაიგოს, ამდენ ტკივილს ალბათ ვერც გადაიტანსო.

ამდენი მოულოდნელი ფათერაკი თუ უბედურება ერთად დაატყდა თავს თეას. იდგა ყოველდღიურად სხვა ლტოლვილებთან ერთად პურისა თუ მაკარონის რიგში და აღარ იცოდა, რა ედარდა: ის, რომ მისი ოჯახი უსახლკაროდ და უსასოოდ დარჩა თუ ის, რომ დედა ხელიდან ეცლებოდა; ან იქნებ ის ედარდა, რომ ვლადიზე ფიქრი თან სდევდა, იმ ვლადიზე, რომლის სიყვარულზე ოცნებაც აღარ შეეძლო უკვე.

...ახლაღა გაახსენდა ვლადის ნაჩუქარი მობილური ტელეფონი, როცა ნომერს აიღებ, აუცილებლად დამირეკეო, რომ სთხოვა.

დაურეკოს?! დაურეკავს, მაგრამ რა უთხრას, ისევ მოსისხლე მტრებად ვიქეცით ქართველები და ოსებიო?! ისევ ცეცხლის კალო ტრიალებს ჩვენს მიწაზე და ეს კალო რუსების დახმარებით შენმა თანამემამულეებმა მოგვიწყესო? არა, რა თქმა უნდა, არ დაურეკავს! მის ნაჩუქარ მესამე თაობის, ძვირად ღირებულ „მოტორელასაც“ გაყიდის და იაფფასიან მობილურს იყიდის. ამერიკელი დედობილის ნაჩუქარი 500 დოლარიც ხომ აქვს... დედას მკაცრი დიეტა და დიდი ყურადღება სჭირდება...

სიყვარული? სიყვარულისთვის აღარავის სცხელა! ცხინვალელი მეზობლის სიყვარულზე კი ფიქრიც წარმოუდგენელია! თანაც თეას, ოთხი და-ძმის უფროს დას, მომაკვდავი დედის დარდიც უღრღნის გულს.

* * *

ერთ დიდ, მოურჩენელ იარად ქცეულიყო მშობლიური, დაქცეული სახლ-კარიდან იძულებით გამოხიზნული შიდა ქართლის მოსახლეობის სატკივარი. ეს იარა დღითი დღე იზრდებოდა და დასასრული ჯერაც არ უჩანს...

იხსნის თუ არა ლიტერატურული ერიტიკა პოეზიას უნიქობის ხენისგან?

ლიტერატურული კრიტიკის არსებობა-არარსებობის, კრიტიკულად ნათქვამის კარგად გამგების პრობლემა ლიტერატურულ წრეებში აქტუალურია. ამიტომაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ებლიტფოზე“ არავის გაუკვირდა, როცა ახალგაზრდა პოეტის, გიორგი საჯაიას, ინიციატივით წამოწყებულმა საუბარმა დისკუსია გამოიწვია.

გამოხმაურება იმდენად საინტერესოდ მოგვეჩვენა, რომ გადავწყვიტეთ, სამი პოეტის საუბარი, ხანდახან კი — კამათი, „ებლიტფოს“ საზღვრებს გარეთ გავიტანოთ და უფრო დიდ აუდიტორიას მივაწოდოთ. იმ სამი ახალგაზრდა პოეტის, რომელთა აზრებს თანამედროვე კრიტიკასა და მის დანიშნულებაზე ქვემოთ გაეცნობით, არიან: გიორგი საჯაია და ჰექსე (ახალგაზრდა პოეტმა ქალმა თავისი ნამდვილი სახელისა და გვარის გამხელა არ ისურვა, ამიტომ „ახალი 7 დღის“ მკითხველთათვის ისევე, როგორც, „ებლიტფოს“ წევრებისთვის იგი უბრალოდ ჰექსედ დარჩება) და მათი უფროსი კოლეგა პოეტი და მთარგმნელი გივი ალხაზიშვილი.

➲ გაგრძელება მეოცე გვერდზე

დონ ბრაზი

* * *

ბევრი რამ მაქვს ნაფიქრალი მომავალზე,
თუმცა წარსულს ვერა და ვერ გავექეცი.
წამოდგომა რომ მესწავლა, თქვენ არ იცით,
მუხასავით მერამდენედ წავიქეცი...
გარს მეხვია მუმლი, მცვენდა შემოდგომა
ფოთლებს,
ყვითელს,
სიცოცხლისგან გამოლეულს,
არ ეწერა გამწვანებას ჩამოდგომა,
არ მეწერა დამშვიდება ბრაზმორეულს...
ქროდა ქარი, ბობოქრობდა დეკემბერი,
დაზაფრული მოველოდი პირველ თოვას,
ჩემს ფანჯრებთან შეკრებილი ბელურები,
დასტიროდნენ ფერად დაღვრილ შემოდგომას...
ერთგულებამ მოუყინათ ციცქნა ფრთები,
შიმშილის პირს მიწას თოვლი მოუვლინათ,
ერთგულებამ დაუნგრიათ ძველი ბუდე,
არსებობა მერამდენედ შეუგინათ...
ვუყურებ და მიკვირს ძლიერ, რად იცდიან?!
რად არ გაჰყვნენ თბილ ქვეყნებში მერცხლებს უკან?!
იქნებ არ სწამთ?
იქ რა ელით არ იციან?!
ფანჯრისპირას, ალბათ, ახლა მიტომ სდუმან...
გაებედათ, მოესინჯათ გადაფრენა,
ფრთები მქონდეს, რას მიქვიან ჯდომა უქმად?!
თუმცა ნაცნობ მიდამოსგან განშორებას,
შინაგანი რაღაც დიდი ძალა უნდა...
მერე და რომ ყველას არ გვაქვს მაგის ნიჭი?!
მხოლოდ სუსტებს დაგვჩვევია ერთგულება...
ნეტავ, მაინც, იმ ფანჯრამდე მიმაფრინა,
სადაც ახლა ჩემი გოგო მეგულება...

ნათია როსტიაშვილი

პოტენციური შინაბერა

წუხელ ,,სულ რაღაც" ოცდაათი წლისამ დავიძინე, დღეს კი — ბრახ! ოცდათერთმეტისას გამეღვიძა. მხოლოდ ჩემთვის გასაგები ლოგიკით, სანამ თვალებს არ გავახელ, ოცდათერთმეტისად ჯერ არ ვითვლები. ჰოდა, ვწევარ თვალდახუჭული, სად მეჩქარება?.. მე შენ გეტყვი, საწოლში ლანგრით მორთმეული ყავა გამიცივდება, ან საბანზე მიმობნეული მაგნოლიის ფოთლები ჩამოჭნებიან...

მორჩა, რამე სასიამოვნოზე უნდა ვიფიქრო. მაგალითად იმაზე, რომ ახალი პიჟამო მაცვია, ზედ მზის წნულთან მიხატული გაურკვეველი სქესის თეთრ-შავი პინგვინებით. იდეაში, დედალ-მამალია, მაგრამ თავს ვერ დავდებ. რაზეც თავი დავდე, ისიც ვერაა კარგ დღეში. დედაჩემის სტუდენტობის დროინდელმა ალუმინის ბიგუდებმა შეუბრალებლად დაბეჟეს ბალიშის ბუმბულოვან-ფაფუკოვანი ფიზიონომია. ჩატკეპნ-ჩაწიხლეს და ლეიბთან გასწორეს. რა გამიხდა, მართლადამართლა, ნორმალური ბიგუდების ყიდვა? რაღა დროს ალუმინი და რკინა-ბეტონია?! მისკდება თავი. გარედან ბიგუდები მწიწკნის, შიგნიდან - სრულიად არაფრის მომცემი ფიქრი პინგვინური წყვილის უსქესობასა და ჩემს დაუწყვილებლობა-უსექსობაზე. ბუნებრივია, საშინელ განწყობაზე ვარ.

,,ნუცა, მისმინე, - ვეუბნები საკუთარ თავს. - თუ ბუნებრივია, ე.ი. ყველაფერი როგორც წესი და რიგია, ისეა. ,,წესრიგია" ნიშნავს - ყველაფერი კარგადაა. თუ კარგადაა, ე.ი. არ მაქვს საბაბი ცუდად ვიყო. ჰოდა, თუკი საბაბი არ მაქვს, რატომ უნდა ვიყო ცუდად? დასკვნა: ბედნიერი ვარ!"

ეს სოფისტური ავტოტრენინგიც აღარ მშველის, რაა. ჩემმა დაქალმა ბეტამ მასწავლა, ოცდაერთის რომ გავხდი. რა ვიცი, მაშინ კი მიშველა და...

სხვა გზა არაა, ამ ამბავს უნდა შევეგუო - დიდი გოგო ვარ. იმდენად დიდი, რომ სიტყვა ,,გოგო" უკვე სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ რომ არც ქალი ვარ?! ამ ასაკისა რომ მოიყრები და აღმოაჩენ - შენი გული და ხელი ჯერ არავის უთხოვია და რაც უთხოვიათ, იმის მიმცემი ათასი წელი არ იქნები შენი ქართულ-ტრადიციული აღზრდის გამო, რა გამოდის? პოტენციური შინაბერა ქალიშვილი ხარ და არა ოცდაათს გადაცილებული დიდი გოგო. რა საწყენია... არადა, თითქოს არ ვარ მთლად შეუხედავი.

ოთახის კარზე კაკუნის ხმამ უცებ ისე შემაშინა, კინაღამ თვალები დავჭყიტე და თავი ნაადრევად დავიბერე.

— იუბილარს მიესალმება მსოფლიოს უსიმპათიურესი ბაბუა!

ბაბუ მართლა უსიმპთიურესი და უსაყვარლესია. ჩვენი ოჯახის სავიზიტო ბარათი - შხვართი, ოდნავ მხრებში მოხრილი და თეძოგანიერი ცხვირიც კი საყვარლად გამოიყურება მის ფუმფულა სახეზე.

— შემოდი, ბაბუ, ჩამოჯექი.

— ვზივარ, კაცო, უკვე! რატომ არ მიყურებ? გაახილე!

— ვერა... გუშინდელი კალენდარული დღის ნარჩენებს ვებღაუჭები.

— ჩაბღაუჭება ფართოდ დაჭყეტილი თვალებითა და სასოწრკვეთილად დაფჩენილი პირით ვიცი, ბაბუ, მე!

გამეცინა. სკამი ჩემს საწოლთან ახლოს მოახოხა.

— აბა, პრინცესა, — დაიწყო... ჩემი რეალობას მოწვეტილი ბაბუ... — ამოირჩიე: საჩუქარი, თუ ბრძნული რჩევა?

უსიტყვო შეთანხმება გვაქვს. ქვის ხანიდან მოყოლებული, ნამდვილი ბრძენივით, ყოველთვის რჩევას ვირჩევ.

— მაიტა საჩუქარი. — ამქვეყნად მარადიული არაფერია...

ცალ თვალს ვახელ, რეაქცია მაინტერესებს. ეგეც შენი 30 და 6 თვე.

— არაგონივრული პასუხია! — სერიოზულად ბრაზდება. იმდენად სერიოზულად, რომ ლოყები უწითლდება. ჩემი ბაბუ...

— კარგი, ჰო... რჩევა, თანაც ბრძნული, ძალიან მჭირდება. რას ურჩევდი ჭკნობა და ცელულიტშეპარულ, პოტენციურ ქალიშვილ შინაბერა პრინცესას?

— მეორესაც ვახელ, რომ მერე თვალი ჩავუკრა. მორჩა, 31-ია. ამას უკვე აღარაფერი ეშველება.

— პოტენციური ქალიშვილობა რაღა უბედურებაა, კაცო?!

უბედურებაა, აბა რა ჩემი ფეხებია...

ჩემს ,,წისქვილის დოლაბებით" დახუნძლულ თავს აქეთ-იქიდან მხრები შევუდგი, ჰაერი შევისუნთქე და პრესდაჭიმულმა ნელ-ნელა წამოვწიე.

— იმედია, შენი საჩუქარი ასე არ

➲ გაგრძელება ოცდამეერთე გვერდზე

„ეროვნული" არქივი

იხსნის თუ არა ლიტერატურული ჯრიტიკა ...

➲ გაგრძელება მეცხრამეტე გვერდიდან

გიორგი საჯაია: მოჰამედის არ იყოს, თუ კრიტიკა არ მოდის ჩვენთან, ჩვენ თვითონ უნდა მივიდეთ კრიტიკასთან. მაგრამ იმისათვის, რომ ერთმა ავტორმა მეორე ავტორის ნაწარმოების მეტ-ნაკლებად პროფესიონალური და ზუსტი ანალიზი მოახდინოს, სულ მცირე საჭირო ტერმინოლოგიის ცოდნაა სავალდებულო.

საჭიროა, გაიხსნას თემა, სადაც მცირე განმარტებითი ლექსიკონის სახით მოხდება ვერსიფიკაციასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის აკუმულირება. ამით ლიტერატურული ფორუმის მომხმარებლებს საშუალება ექნებათ მიიღონ საჭირო ინფორმაცია. შემდეგ უნდა გაკეთდეს მონახაზი, ერთგვარი სახელმძღვანელო, რომლითაც განსაზღვრული იქნება პოეტურ ნაწარმოებზე ანალიტიკური მუშაობის ალგორითმები. ერთი სიტყვით, საჭიროდ მიმაჩნია ლიტერატურული კრიტიკის საფუძვლების შესწავლა, თუნდაც იმისათვის, რომ, როდესაც რომელიმე ავტორის ნამუშევრის განხილვას დავაპირებ, ყელში არ მეცეს (როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ხდება) და მისთვისაც გასაგები იყოს, რაზეა საუბარი.

არ ვიცი, ამ იდეის განხორციელება რამდენად იქნება შესაძლებელი, მაგრამ მიმაჩნია, რომ სხვანაირად არაფერი გამოვა და ფორუმზე ლიტერატურული კრიტიკის კულტურის დამკვიდრების ნებისმიერი მცდელობა, წყლის ნაყვა იქნება და სხვა არაფერი.

ჰექსე: ამ თემის გახსნა უდაოდ კარგი იქნება. თუმცა, მიმაჩნია, რომ ლიტმ-ცოდნეობითი ტერმინოლოგიის შესწავლა ლიტერატურული დისკუსიის კულტურის დამკვიდრებისათვის გადამწყვეტი არ არის (ხაზს ვუსვამ, საჭირო და სასურველია, მაგრამ გადამწყვეტი და სავალდებულო — არა). ტერმინების სწავლა ძალიან ადვილია და არა მგონია უმეტესობამ არ იცოდეს ისინი. ასევე, ადვილია ტექსტის წაკითხვაც, მაგრამ ეს ორი რამ არც თუ პირდაპირ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და წაკითხულის აღქმას ვერც ტერმინების ცოდნა წაადგება დიდად და ვერც "პოეტურ ნაწარმოებზე ანალიტიკური მუშაობის ალგორითმები". ეს უკანასკნელი მეც არ მესმის და შესწავლა მომიწევს. თუმცა, ცუდი მკითხველი არა ვარ და ლიტერატურის შესახებ საუბარი ფორუმის დონეზე მაინც შემიძლია.

ვფიქრობ, ლიტერატურული დისკუსიის, ლიტერატურული კრიტიკის კულტურის ჩამოყალიბებას ბიძგი, სტიმული, მოტივაცია სჭირდება. აუცილებელია დისკუსიის წამოწყება, ლიტერატურული კრიტიკის კუთხით მაქსიმალურად ბევრი ავტორის ნაწარმოების განხილვა იმ ადამიანების მიერ, ვინც ამ საკითხში საკუთარ თავს მეტ-ნაკლებად კომპეტენტურად მიიჩნევს. ფორუმში არსებობს გივი ალხაზიშვილის მაგალითი, რომლის აზრს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. იგივე ემხვარი, რომელიც ტერმინოლოგიის გარეშე, მხოლოდ საკუთარ ინტუიციასა და ემოციურ აღქმაზე დაყრდნობით "კითხულობს" და წერს, მგონი არანაკლებ საინტერესოა და, მოდი, ნუ მოვთხოვთ ასეთ მკითხველებს, ტერმინოლოგიას "ჩაუჯდნენ" და ლექსებში მარცვლები გვითვალონ. ასევე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ფორუმის სივრცეში მე არასოდეს მიგრძვნია, ან წამიკითხავს ვინმესგან ვინმეს "ყელში წვდომა". ვერ ვხვდები, რა აძლევს გიორგის ამის თქმის საფუძველს. მით უმეტეს, რომ თვით საჯაიას ავტორობით ამა თუ იმ ლექსის კრიტიკული განხილვა, ან სერიოზული შეფასებები თვალში დიდად არ მომხვედრია. ნებისმიერი მიზნის მიღწევისას მენტორულ ტონსა და გამოსავლის მესიანურ ძიებაზე მეტად პირადი მაგალითი ამართლებს.

გიორგი საჯაია: ლიტერატურულ სივრცეში ძალიან ბევრი (კარგი გაგებით) "თვითნაბადი" ავტორია, ვისაც გივი ალხაზიშვილის კომენტარები არ ესმის. არადა კარგი იქნებოდა გაეგოთ. ისევ მათთვის იქნებოდა სასარგებლო. ლიტერატურაში და მით უფრო პოეზიაში, არც ისე იოლად არის ყველაფერი, როგორც შენ ახლა ცდილობ წარმოაჩინო. კრიტიკა რომ მხოლოდ ინტუიციასა და ემოციას ეყრდნობოდეს, მაშინ დღეს ყველა პოეტი ან მწერალი იქნებოდა. უბედურება ის არის, რომ ამის ტენდენცია უკვე არსებობს და ეს ძალიან საშიშია. დღეს წერას ეპიდემიის სახე აქვს მიღებული, რომლის პროვოცირებასაც ინტერნეტ-სივრცე ძალიან უწყობს ხელს და რომ არა ამ საკითხისადმი პროფესიონალური მიდგომა და ამ „სენის" დროული აღმოფხვრა, ეს შესაძლოა ფატალურიც აღმოჩნდეს ქართული ლიტერატურისთვის. შენ სრული უფლება გაქვს წერო და იკითხო ისე, როგორც საჭიროდ მიგაჩნია და სულაც არ იღო ყურად არავის აზრი, მაგრამ არსებობენ ადამიანები, მათ შორის „ებლიტფოზეც", ვისაც აინტერესებს როგორ და რანაირად უნდა იყოს ვერსიფიკაციით დადგენილი წესის და კანონის გათვალისწინებით პროზა და პოეზია ერთმანეთისგან გამიჯნული. მხოლოდ „ინტუიციის" დონეზე შენი ბევრი ლექსი შეიძლება უბრალოდ ლამაზ პროზაულ მინიატურად აღვიქვა და შესაბამისად, მყარი არგუმენტი მჭირდება იმისათვის, რომ ის პოეზიის სივრცეში დავტოვო. თუ სერიოზულ კრიტიკაზეა საუბარი, მაშინ ყველაფერი ნულიდან არის დასაწყები. შემიძლია "შავი სამუშაო" საკუთარ თავზეც ავიღო, შემიძლია არც ავიღო და უბრალოდ ჩემი საქმე ვაკეთო, ანუ ვწერო და პერიოდულად თვალი გადავავლო ფორუმზე განთავსებულ საინტერესო კომენტარებს, რომლებიც არც თუ ისე ხშირია.

ჩემს მიერ განხილული ტექსტი და მისი შეფასება რომ არ შეგხვედრია, ეს

➲ გაგრძელება ოცდამეერთე გვერდზე

პოტენციური შინაბერა

ოცდამეორე ყვერდიდან

ჟღერს: ქალი სახლში იჯდეს, ხელისა და გულის მთხოვნელს ელოდესო. არ ამართლებს, ვადა გასული სიბრძნეა, მით უმეტეს, ვადა გასული გოგოებისთვის.

— ახლებური ინტერპრეტაციით შემოგთავაზებ, ბაბუ! ელოდე გულისა და ხელის მთხოვნლეს, მაგრამ არა გულხელდაკრეფილი! და კიდევ... — წელს, როგორც ჩანს, საჩუქარს ბონუსიც მოყვება. — ვადაგასულობა რომ დაიბრალო, სულ ცოტა, ბებიაშენივით უნდა დაგიმჟავდეს ხასიათი. — ჩამჩურჩულა და ცხვირზე მომქაჩა. მე კიდევ ეს მინდოდა? ისედაც ყველაფერი გრძელი მაქვს: ცხვირი, თმა, ენა და ქალიშვილად ყოფნის პერიოდი.

— გავედი ახლა მე, პრინცესა. წამოდექი. მე შინაური ვარ, მაგრამ ბებიაშენს და დედაშენს საწოლში ხომ არ დახვდები, არა?! უხერხულია. — მიყვარს ბაბუს გრილი იუმორი. — შენი ძმა და რძალიც გვესტუმრებიან, ალბათ. ჰა, ადექი, მომლოცველები გელიან!

— უთხარი, რაა, მომლოცველებს, არ შემოვიდნენ. რაღაც საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, მერე თვითონ გამოვალ.

საქმე არა ფეხები.

ინტერნეტში შევედი, პირველ მილოცვას მექანიკურად ვუპასუხე: ,,დიდი მადლობა, საყვარელო!" და კოცნის სმაილიკიც მივაწერე, თუ მივახატე. კიდევ კარგი, ვერ მხედავენ. კოცნა და ღიმილი კი არა, ერთმანეთზე მაქვს წარბები გადანასკვული... ,,დავაქსეროქსე" ეს ჩემი მადლობა (გაახარებს ღმერთი ,,ქოფიფეისთის" მომგონს) და ვალმოხდილმა გავთიშე კომპიუტერი. რამდენიმე ესემესსა და ზარსაც ვუპასუხე. მორჩა, ეგეც ჩემი საქმის მოგვარება. ოთახიდან უკვე გამოვდიოდი, კიდევ ერთი ესემესი რომ მომივიდა: ,,ნუც ერთი კველას კარგიც მ ცამო დგეს დავთვრეთ" ბეტაა. პრინციპულად უარს აცხადებს სასვენი ნიშნების ხმარებაზე. განა გრამატიკა არ უყვარს, პირიქით.

— რომ მიყვარს, მაგიტომ არ ვხმარობ. სიყვარული სუფთა რამაა, ნუც. — ასე ამიხსნა.

ბავშვობის მეგობრებიდან მარტო ბეტა შემომრჩა. სკოლაში ერთ მერხთან ვისხედით, ამ გადასახედიდან, ორი უფერული არსება. ორივე ფრიადოსნები და მუდოები. ჩემთვის დღემდე გაუგებარი მოტივაციით, იმას ბებია ეძახდა პრინცესას, მე — ბაბუა. არადა, არც ერთის სილამაზე მოგჭრიდა თვალს და არც მეორის ძვირფასი კოლიეს მრავალკარატოვანი ელვარება. ორივე ბედკრულები (ამას რამდენიმე წლის წინ მივხვდი), ღარიბი მშობლებისა და დაქცეული ქვეყნის შვილები ვიყავით. ბაბუაჩემისგან განსხვავებით, ბეტას ბებიას მცირე საბაბი მაინც ჰქონდა, შვილიშვილისთვის პრინცესა ეწოდებინა, რაც არ უნდა იყოს, ელიზაბეტა დედოფლურად ჟღერს. მართალია, ბეტას მაშინ ელისოს ვეძახდით, მაგრამ სიაში ხომ ელიზაბეტა ეწერა?..

სტუდენტი ელისო გერმანიაში წავიდა რამდენიმე წლით და იქიდან ბეტად დაგვიბრუნდა. უფრო სწორად, მუდო ელისოს ნაცვლად მოლაქლაქე ბეტა დაბრუნდა. თითქმის გადახოტრილი თმა, დაბოხებული ხმა და ხმამაღალი სიცილი — ეს ბეტა იყო. ძველ ელისოს მე უფრო ვგავდი: ისევ გრძელი თმა მქონდა და ხელის პირზე მიფარებით ვიცინოდი. ნუ, ისევ ქალიშვილი — თავისთავად. ქალიშვილობა ხომ ჩემი ბედისწერაა.

— აეეე!.. — სამზარეულოდან ჩემი ძმის ხმა შემომესმა. დედამ კარზე მომიკაკუნა — დიტო და სალი მოვიდნენ, გამოდი.

— ნუ-ცაა! — ბიგუდებდახვავებული თავი სამზარეულოში შევყავი თუ არა, გაბადრულმა ბებიამ მკლავები ფართოდ, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაშალა. ბებია-ბაბუა მაინც სხვანაირად ყურადღებიანი და თბილი ხალხია, რაა... სანამ მადლობის სათქმელად პირს გავაღებდი, უკვე გულში ვყავდი ჩახუტებული.

— ნუცა, ბები, უნდა გაგახარო!

— შენც სიბრძნე უნდა გადმომცე? — შევცინე.

— რაის სიბრძნე, ბები, ახალი და ბედნიერი ამბავი უნდა გახარო!

— რა ხდება, ვთხოვდები? — ავტოტრენინგი არ გამომდის, თორემ თვითირონია — იცოცხლე.

— ბები, სალია ორსულად!

სალიმ მორცხვად შემომღიმა, დედაჩემმა გულში ჩაიკრა, ბაბუამ დიტოს მხარზე ხელი დაუტყაპუნა.

— აეეეე! — დაიყვირა შეზარხოშებულმა დიტომ და დაასლოკინა.

— ვა, რა მაგარია! — გამეხარდა მე და სადღაც, გული დამწყდა, ჩემი იუბილარობა ბაბუას გარდა არავის რომ არ გაახსენდა.

— დიმიტტტრი ბეჟანოვიჩ!.. — ბაბუს დაჰყვირა ჩემმა ძმამ, თავადაც დიმიტრი ბეჟანოვიჩმა. მამა ბეჟან დიმიტრიჩი იყო. მარაზმია, რა, ეს ტრადიცია, ორ სახელს ატრიალებს მთელი გვარი.

— რასაც იტ..ტყვი... იმას ვარქმევ... ვსო! აეეე!.. იტყვიიი თეოფილეს — ვარქმევ თეოფილეს... იტყვიიიი ტაბურეტკაააას — ვარქმეევ ტაბურეტკას... იტყვი დიმიტრი ბეჟანოვიიიჩს... ვარქმევ...

სალის გავხედე. ნერვიულობისგან ტუჩებს კევივით ღეჭავს და თითებს იტაცუნებს. აი, ეგეთი უსიტყვო ნერვიულობა მე არ გამომდის. რაღაცნაირი გოგოა, ჩემს მუდო ბავშვობას მაგონებს. მუდო ეძახე და მე თუ ოცდათერთმეტი წლის ქალი ისევ გოგო ვარ, ეგ ოცდაერთი წლის გოგო უკვე ქალია. ფაქტს აღვნიშნავ, თორემ კი არ მშურს, ღმერთმა დამიფაროს. როგორც ყველა ჩემი ასაკისა და მდგომარეობის ქალიშვილი, მეც იმით ვიმშვიდებ თავს, რომ მუქთახორა (ჩემი ძმისნაირი) კაცის ცოლობას სულ გაუთხოვრად დარჩენა ჯობია.

— რაიო? ტაბურეტკას გავაფუჭებინებ, ბიჭო, ჩვენს მეფურ გვარს?! — ბაბუმ ისე ამაყად გადაიწკიპა ულვაში, მგონი მართლა სჯერა, რომ მეფური გვარი გვიბოძა. ერთი გვარი მაქვს მეფური და მეორე — ცხოვრება:

გვარი: სირაძე;

ასაკი: ოცდაათს გადაცილებული;

სტატუსი: პოტენციური შინაბერა ქალიშვილი;

საქმიანობა: დროებით უმუშევარი;

ფინანსური მდგომარეობა: ქრონიკულად უფულო.

— თუ გოგო გაჩნდაა... დავარქვაათ...

ბაბუ საუბრისას საინტერესო ადგილას დაბრეხვებულ პაუზებზე გიჟდება.

დედა ხახვს ჭრის, სალის ცრემლი მოსდის.

ბებო იატაკს წმენდს, სალი ცრემლს იმშრალებს.

ბაბუ პირს აღებს. სალი ტუჩს იკვნეტს.

ახლა ბაბუამ რომ თქვას, ბეჟანუშკა დავარქვათო, ნერვებს ვინ ჩივის, ნამდვილად მუცელი მოეშლება ჩემს რძალს.

— დავარქვათ თამარი. რას იტყვი, რძალო?

,,რძალოს" უხარია. დაკვნეტილი ტუჩებით იღიმება და დატკაცუნებულ თითებს თმაში იცურებს. ეგეთია. ნერვიულობაც უხმო იცის, სიხარულიც. მუნჯი გეგონება.

უცებ — თხლაშ! — ბებომ რის ვაივაგლახით გაწურული ტილო ისევ წყლიან ტაშტში ჩაანარცხა და ისეთი ხმა ამოუშვაააა!

— გაგათამარებ, მე შენ!

ა, ქალი. ბრაზდება — ხმაურობს, უხარია — ხმაურობს, ტილოს აგდებს — ახმაურებს.

— რა იყო, ქალო, მეფის სახელია, აბა შენსავით მელანოს ხომ არ დავარქმევთ. — თვალი ჩაგვიკრა ბაბუმ. თავი უშიშრად უჭირავს, მაგრამ ორი-სამი ნაბიჯით უკან იხევს, ვითომ ფანჯრიდან გადასახედად.

— მაშ, თამარი მეფეა და მე — მდაბიო, არა?!

ო, მელანო, მელანო... ხმაურიანი გაბრაზება რომ შეგეძლო კი ვიცოდი, მაგრამ ასეთი?! თან რის გამო?

— იყოს მელლანნო... ბაზარი არაა! — ასლოკინებს დიტო. სალის თვალები ისევ ეცრემლება. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, არ უნდა მელანო. ჰო, რა, რომელი საუკუნეა, რა დროს მელანოა? წარბების აწევ-დაწევით ქმარს რაღაცას ანიშნებს, ალბათ არ გვინდა მელანო და ტაბურეტკა, თამარი ჯობიაო. დიტო ახლა აწეულ და დაწეულ წარბს კი არა, ბაბუას და ბებიას ძლივს არჩევს ერთმანეთისგან.

— მაშ, თამარს არქმევს ვაჟბატონი?! — თავშლის კვანძი ნერვიულად გახსნა და ხელხლა გამოკვანძა ბებომ.

— მაშ, მოგენატრა თამრო-თამროს დაძახება, არა?! მაშ, იმ გათახსირებული გომბიოს სახელი გიტრიალებს თავში, არა?!

ვაჰ, ეჭვიანობს? ძლივს ვიკავებ თავს, რომ არ გადავიხარხარო. ისე, ბეტას ბებოსაც თამრო ერქვა, ხომ იცი!..

ბაბუ აშკარად დაიბნა. ბოთლი აიღო და ქოთნის ყვავილის მორწყვა დაიწყო — სიცოცხლეში პირველად. თან ცდილობს, სიმხნევე შეინარჩუნოს:

— შენცა, რა, ქალო... ოცდაათი წელი გავიდა, რით ვერ დაივიწყე. ერთხელ იყო და მორჩა.

— თან წლებიც რომ დაუთვლია! — დოინჯი შემოირტყა გაკაპასებულმა მელანომ.

— არყის ბოთლი რა იქნა, ტო? — უკვირს დიტოს.

ბაბუ შემცბარი ატრიალებს ხელში ცარიელ ბოთლს.

— ვაიმე! — კივის დედა და ქოთანს ხელსახოცით წმენდს. — ამ ყვავილის საყიდლად მთელი ქალაქი შემოვიარე გუშინ!

— მორწყა, ტო? — უკვირს დიტოს.

სალი ცმუკავს, თმის ბოლოს აწვალებს. რაღაცის თქმა უნდა. ახლა რომ თქვას — ეი, თქვენ! მიმიფურთხებია თქვენი აზრისთვის, ჩემს შვილს რასაც მინდა იმას დავარქვამო — ტაშს დავუკრავ. მე ვიყო სინდიოფალა, ტაში თუ არ დავუკრა და ვაკოცო. თან ვეტყვი — სალი, მაპატიე, რომ გულში მუნჯს გეძახდი. დღეიდან შენი ფანი ვარ.

— აჰუმ... — ჩაახველასავით სალიმ და მორიდებლი ხმით თქვა:

— ხახვი დაგეწვათ, დედა.

შეძლებისდაგვარად გავიპრანჭე. სისხლისფერი ლაქი მისვია, ამ ლაქისფერი კაბა მაცვია და კაბისფერი ჩრდილებიც მივისვ-მოვისვი თვალის კუთხეში, ახლადდაჩეკილ ნაოჭებზე. ,,ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი..." — გავიმხნევე თავი სარკესთან. პოეტურმა ფრაზამ რომ არ გასჭრა, პროზაულად დავამატე — ,,ლურჯის ტონალობები ძალიან გიხდება, ნუც." ასე ვიქებ თავს და ვეხუმრობი, აბა რა ვქნა? თან საკუთარ თავთან ხუმრობას ერთი უპირატესობა აქვს, ახსნა არ გჭირდება. სხვისთვის რომ მეთქვა, სისხლისფერში ვარ გადაწყვეტილიო, ხომ მკითხავდა, აბა, წითელი რატომ არ გაცვიაო? მერე უნდა ამეხსნა — ,,მე ხომ ცისფერსისხლიანი ვარ..." — და იმ ვიღაცის ირონიული ჩაღიმილების გამო განწყობა მომშხამვოდა.

ისე, მე თუ მკითხავთ, სარკის ზედა მარჯვენა კუთხეში (ცაციებისთვის - მარცხენა კუთხეში) ღილაკი უნდა იყოს დამონტაჟებული. დილით, სახლიდან გასვლის წინ ამ ღილას თითს მიაჭერდი და -

ჩხაკ! გადაღებულია.

საღამოს, სახლში შემოხვიდოდი თუ არა -

ჩხუკ! ესეც გადაღებულია.

მერე წკაპ-წკუპ! - გვერდიგვერ ამოგიგდებდა ,,დო ი პოსლე" ვარიანტს. შეადარებდი და მიხვდებოდი, რამდენად სასიამოვნო დღე გქონდა.

გენიოსი ხარ, ნუც!

თავს ობიექტივის თვალით შევხედე: მშვენიერი კადრი ვარ! მთავარია, საღამოს რომ დავბრუნდები, ,,ჩხუკზე" ფოტოს ნაცვლად ტექსტი არ ამომიგდოს: ,,ბოდიშს გიხდით, მოწყობილობა წაშლილ ნაკვთებს ვერ კითხულობს."

სამზარეულოდან ისევ ყვირილის, ტირილისა და კბილთა ღრჭენის ხმა ისმის. სახლი კი არა, საგიჟეთია. გავედი მე პაემანზე.

— სად გაიქეცი? ნანი და ლილი და მაგული უნდა მოვიდნენ! — მომაძახა დედამ.

გაგრძელება მეოცე ყვერდიდან

ნინო საღლოობელაშვილი

• • •

მოდით, ირმებო,
ამიტოკეთ რქებით სხეული,
მოდით, ჩემო ახდენილო სურვილებო,
ქვაში შენახულო გახდილო პერანგებო,
ჩემო ჩავლილო მდინარეებო,
მოდით ირმებო, მოდით..
მომიტანეთ პირით იის ცვარი,
დილდილაობით რომ წასკდება ხოლმე ჩვილი ცრემლებით,
უკან მომიტანეთ ჩემი გული, ღვიძლი, ნერვები,
ჩემი თეთრი კაპილარები — რქები რომ გეხლართებათ მათში..
უკან მომიტანეთ ჩემი მშვილდი და ჩემი ისარი,
ღრმად გაროჭობილი თქვენს მუქ წიაღში..
გემუდარებთ, დაიძრეთ გვერდებიდან ჩემი ისრები.
ჩემი უთავბოლო გზები
და მოიმიტანეთ..
მაბანავეთ მთების რძეში, ცხელ რძეში,
ქნებ სხვა ვინმედ ვიქცე..
ჩამყვირეთ ყურში, რაც კი ხმებია,
რაც კი გსმენიათ, ცაზე ჩუმად თავმიდებულებს,
ჩამყვირეთ თქვენი მარტოობა,
ჩამძახეთ მთები!
მოდით — ოღონდ მალულად არა,
ქურდულად არა,
მოდით, როგორც მე მოვდიოდი თქვენკენ
გიჟივით, ტუჩზე ვნების ქაფმორეული,
სადღაც, ნიავის კენწეროზე რომ ფრიალებდა ჩემი პერანგი
და გნადირობდით ნაალაფრით თავბრუდასხმული
და გესროდით უკურნებელ, შეყვარებულ ისრებს.
ბევრნი იყავით!
ჩემი ახდენილი ოცნებები,
გახდილი პერანგები,
მომდიეთ ახლა უკანასკნელ მღვიმემდე, მოდით..
რადგან უკვე თქვენი ჯერია!
გზები ბრუნდება შინისაკენ, მეც დამაბრუნეთ!
მიწა ვარ - მოდით!
ქარი ვარ - მოდით!
ქვამარილი ვარ!
შემოაბრუნეთ ჩემი გზები და დამიბრუნდით
რისხვად, სასჯელად,
რადგან ძნელია დროის არჩევა
და მირჩევნია ახლა მოხვიდეთ
სანამ ზამთარი გადაქანდება.

და თუკი მაინც დაგაგვიანდათ
და რომელიმე ნატვრის ხეზე შაქარივით შეყინულს შემხვდით,
ნუ გაბრაზდებით,
კბილი იყო თქვენი ლოდინი.
და დამაფარეთ ატმისფერი
ბოდბის ღვთისმშობელი.

ზაზა ფირცხალაიშვილი

სიყვარულის გეომეტრია

გვქონდა პირობა მიცემული ერთმანეთისთვის -
გვსურდა შეხვედრა, უფრო მეტად ჩადენა ცოდვის.
ინსტიქტებს ვენდეთ -
და ასეთი პირობა იყო:
A და B პუნქტებიდან C პუნქტისაკენ
ერთმანეთის შესახვედრად და ასე შემდეგ...

ჰოდა, ჩვენც შევხვდით -
დათქმულ დროს და ზუსტად ჩ პუნქტში,
(ასეც ვიცოდი) -
C პუნქტია შუა წერტილი!
A და B ბოლო წერტილები გადავდეთ გვერდზე,
ჩამოვაფარეთ რიდე სარკეს,
რომელიც ადრე გვირეკლავდა ცალკე პუნქტივით
და მას შემდეგ ამაოდ გვეძებს.
ჩვენი სუნთქვის დიალოგის გავუშვით ტიტრი
და დავრჩით ჯამი: ერთს + ერთი,
ორის ვალსი... ისე მოვეშვით, ახლაც ვარკვევთ ,
თურმე რამდენ ხანს გვიძებნია საერთო რიტმი.

მოცემულობის თანახმად კი დაგვრჩა შემდეგი:
C პუნქტიდან A და B პუნქტებისკენ და ასე შემდეგ...

კითხვის დასმამდე თავს ვიკავებთ, მერე კი ვხვდებით:
პასუხებიდან რომ არცერთი არ არის სწორი!

პუნქტი A და B, ვცხოვრობთ ცალ-ცალკე,
სახლები მშვიდი, მთვარე მოხრილი
სანამ დრო არის - ცოტა მაცადე -
C ქოხს ავაგებ ერთად ყოფნისთვის!

პოტენციური შინაბერა

➲ ოცდამეორე ფურცლიდან

— მით უმეტეს... — უკვე მიხურულ კართან ჩავილაპარაკე.

დედაჩემის ამ სამ დაქალს ,,სიამის სამაია" შევარქვი. სიამის ტყუპებივით, ყველგან ერთად დადიან. კარს გააღებ და ერთი გიგანტური სხეული დგას, მიყოლებით ჩამომწკრივებული სამი თავით. ასე მგონია, ერთხელაც ერთ-ერთი დაქალის გარეშე რომ მოვიდნენ, დანარჩენ ორს, მხარ-მკლავის ჩაყოლებაზე, აუცილებლად ექნება ახალმოშუშებული, გრძეელი ნაწიბური.

,,სიამის სამაია" გიჟდება შეკითხვაზე: ,,ნუციკო, უკვე დროა, რატომ არ თხოვდები?" როგორც კი ამ კითხვას მისვამენ, ნათლად ვგრძნობ, რომ საგულდაგულოდ დაეპილატორებულ მკლავებზე, არ არსებული ბალანი ყალყზე მიდგება. როგორც ჩანს, დედაც ხვდება და მუდარის თვალით შემომყურებს. დიტოსგან განსხვავებით, წარბის ოდნავ შესამჩნევი აწევ-დაწევაც მყოფნის მისახვედრად... სხვა რა გზაა, ჯერ კოპებსა და შეკრულ კრიჭას ვხსნი, მერე ჩემი არგათხოვების მიზეზს:

— ნანი (ლილი, მაგული) დეიდა, რომ მინდოდეს, ხვალვე გავთხოვდები, მაგრამ ხომ უნდა ღირდეს?..

სინამდვილეში, რაც არ უნდა მინდოდეს ხვალ გათხოვება, არაფერი გამომივა. სულ ორი მამაკაცი არსებობს ჩემს ცხოვრებაში. ერთია ოთო, რომელსაც ჩემთვის გაუგებარი მიზეზით მოვწონვარ და მეორე — ჯიო, რომელიც ჩემთვის გაუგებარი მიზეზით მომწონს. ცოლობას კი პირველიც კი არ მთავაზობს, არათუ მეორე.

ჯიო მე და ბეტას კლასელია, სკოლაში არ ვეურთიერთობოდით — სამოსანი იყო. სტუდენტობის პერიოდში შემთხვევით ქუჩაში შეგვხვდა, ძალიან სიმპათიურად გამოიყურებოდა... იმ დღიდან დავმეგობრდით.

ოთო რამდენიმე თვის წინ გავიცანი, ინგლისურის რეპეტიტორთან. განათლებული, მაგრამ როგორღაც, თონთხლო ტიპია. დარწმუნებული ვარ, სკოლის პერიოდში ყველა კლასელი გოგონა მასთან დამეგობრებას ცდილობდა, სტუდენტობისას — არც ერთი. ამათი ერთმანეთში გადაზელვა და ერთი კაცის გამოდნობა რომ შეიძლებოდეს...

დღეს ოთოს უნდა შევხვდე. ამ ამბით აღფრთოვანებული არ ვარ, მაგრამ დაბადების დღეზე მარტო ბეტასთან ერთად გამოთრობა არარომანტიკულია. ჯიოს არც მოულოცავს და რომც მომილოცოს, არა მგონია სიმპათიური თავი ჩემი სადმე დაპატიჟებით შეიწუხოს. თან ეს ჯიო უკვე ფეხზე მკიდია, რაა. თავმოყვარეობის ამბავია, აწი რომც მეხვეწოს, არ შევხვდები. ნუც, ვინ არის ჯიო? ვინ ჯიო? აი, ხომ ხედავ, უკვე მისი არსებობაც აღარ მახსოვს. ოთოს რა სჭირს ჩემი დასაწუნი? წესიერი ადამიანია, ბევრს მუშაობს, ცოტას სვამს, კიდევ უფრო ცოტას ლაპარაკობს და საერთოდ არ ეწევა. ძალიანაც მიხარია, მასთან პაემანი. მთავარია, სადმე ისეთ რესტორანში წამიყვანოს, სადაც ჯიოს ყოფნის დიდი ალბათობაა.

იდიოტია, რაა. მინდვრის ყვავილების უზარმაზარი თაიგულით ხელში დამხვდა. მარჯვენა ხელში ყვავილები, მარცხენაში — გალიით ლეკვი. პატარა, საცოდავი, ჩემსავით სევდითა და უიმედოობით სავსე თვალებით. ყელზე სულელური, მდაბიოთა სისხლისფერი ლენტით. რა მექნა, გამოვართვი. მარცხენათი თაიგული, მარჯვენათი — გალია.

— ,,ბროლის ქოხში" შევიდეთ, ნუცა? სასიამოვნო გარემოა, თან აქვეა.

ვაიმე! ჯიოს საყვარელი რესტორანია. თაიგულით და ლეკვით ხელში რომ დამინახოს, კოსტიუმიან კაცთან ხელკავით, კი არ იეჭვიანებს, დამცინებს. ჯიომ რომ დამცინოს — მოვკვდები. მე კი არ მინდა ქალიშვილად მოვკვდე. თან ასეთ უცნაურ ასაკში, ცხოვრების დასამთავრებლად ძალიან ადრე რომაა და ახლიდან დასაწყებად კი საკმაოდ გვიანი.

— არა, არ გვინდა რესტორანი. გზის იქით, პარკში ჩამოვსხდეთ. — მეც კარგი ეშმაკი ვარ, ორ კურდღელს ვიჭერ: ჯიო ვერ დამცინებს და ოთოს ეგონება, მის ბიუჯეტს ვუფრთხილდები.

სანამ პარკამდე მივიდოდით, მილიონჯერ მაინც დავაცემინე. პირველ სამ დაცემინებაზე ,,სიცოცხლე" ,,ჯანმრთელობა" და ,,ბედნიერება" მითხრა. მეოთხეზე:

— ნუც, შემთხვევით, ალერგია ხომ არ გაქვს ძაღლის ბეწვზე?

— არა, — გავუღიმე შეძლებისდაგვარად მომხიბვლელად. — ძაღლზე არა, ყვავილებზე.

გაფითრდა. თაიგული გამომართვა და შეშინებულმა ჩამხედა თვალებში:

— ცრემლებიც ყვავილის ალერგიის ბრალია?

— არა, — ისევ შევღიმე. — ყვავილის არა, ბეწვის...

ხის გრძელ სკამზე ჩამოვმწკრივდით: მე, ლეკვი, თაიგული და ის. რაღაცების ბუტბუტი დაიწყო, საიდანაც მხოლოდ ,,მაპატიე" გავარჩიე. მობილურმა დარეკა. გაახარებს ღმერთი, ვინც არ უნდა იყოს.

— ნუციო, შვილო, მაპატიე — ვერ მოგილოცე... ხომ ნახე რა ხდებოდა. შენი ძმის ხელში კიდევ კარგად ვარ. ასეთ ბედნიერ დღეს მაინც როგორ გამოტყვრა არყით?! არ ვიცი, რა... ახლა ამ ყვავილზე რა დამემართა?! შენ რომ წახვედი, მერე ბებიაშენს გული გაუხდა ცუდად... აი, მაგასაც უნდა მოლოცვა, მოიცადე...

,,მაგასაც" თორემ თვითონ ხომ რას ამბობ, მომილოცა...

— ბები, ეს რა მომივიდა, მე გამოყურყუტებულს, როგორ ვერ მოგილოცე... გახარებული მეყოლე, კარგ ბედში ჩავარდი, ბებიკო, გამრავლდი! პატარა საჩუქარი მოგიმზადე, შენს ოთახში დავდებ. ჩემთვის ძალიან ძვირფასია, შენი ხნის რომ ვიყავი, იმ დროის მოსაგონარი. რა ვქნა, ბები, ძველი დრო იყოს — სხვანაირად მოგილოცავდი.

ლეკვი უძრავად ,,დევს", მხოლოდ თვალებს ახამხამებს. ოთო ადგილზე ცმუკავს. საერთოდაც, ეგ მგონი, ავადმყოფია, მთელი ამ დროის მანძილზე ერთხელაც არ ამდგარა. ლეკვზე ვამბობ.

— აი, ჩემს ოთახში რომ პატარა გარდერობი მიდგას, მაგის ზედა თაროზე — ამასწინათ რომ ჩამოვარდა და ბაბუაშენს ძლივს დავწერე ჯვარი დაემაგრებინა... ე, მაგ თაროზე ვაწყობდი გაუთოვებულ-გატკიცინებულ თეთრეულს. თეთრეულის ქვეშ, როდის გინდა შეგეხედა, რაღაც ორი კაპიკი ყოველთვის მქონდა გადამალული. ვინმეს კი არ ვუმალავდი, ბები, სულ თქვენთვის არ მინდოდა ყველაფერი?.. უი, ჩავირთე პატეფონივით, დავუხარჯე დედაშენს ანგარიში... აი, სხვებსაც უნდათ, მოგილოცონ. გაკოცე, ბებიკო, ჭკვიან შუბლზე!

სიჩუმე. მივხვდი, სალი მილოცავდა.

ბოლოს დიტომაც დამაფასა:

— აეეეეე!..

გავთიშე.

— ოჯახის წევრები მილოცავდნენ. — ვთქვი და დავაცემინე.

— აი, დაამტკიცე. — იხუმრა, თან თაიგული თავისკენ მისწია. — რა დიდხანს გილოცავდნენ...

— ჰო, ძალიან თბილი და ყურადღებიანი ხალხია. — თვალზე ცრემლი მომადგა.

მიხვედრილი ბიჭია ოთო, გალიაც თავისკენ მიაჩოჩა. ესეც ასე. ახლა რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?

უხერხულ დუმილს ბეწვზე გადავრჩით. ერთი გამხდარი, კეთილსახიანი ბაბუა მოგვიახლოვდა გასაბერი კი არა და, გაბერილი, გულის ფორმის ბუშტებით ხელში.

— იყიდეთ, რაა, შვილებო...

ოთომ ხელი ჯიბისკენ წაიღო.

— არ მინდა! — სასოწარკვეთილმა შევძახე. ამ ლეკვს და ყვავილებს ბუშტებიც რომ დაემატოს, ჯიო და ბეტა კი არა, მეც დავცინებ საკუთარ თავს.

— უყიდე, შვილო, უყიდე!!! — თხოვნიდან ბრძანებაზე გადავიდა თვალთმაქცბაბუა. — ერთი რაა, კაცო, სამი მაინც არ უნდა აიღო?! — თან რომ ანამუსებს კიდეც! რა კეთილი სახე, რის სათნოება, ფაცხა-ფუცხით ჩასჩარა დაბნეულ-დაძაბულ ოთოს მუჭში პლასტმასის ჯოხები, ზედ დაკოსებული ფერადი გულებით. ეს საწყალიც, ვხედავ, ბუმაჟნიკს ხსნის. აი, ძალიან გავბრაზდი! დავტაცე ხელი ბუშტებს და გაცეცხლებულმა მივაჩეჩე აფერისტბაბუს. მოხუცმა ისევ საბრალოს გამომეტყველება მიიღო და გაგვეცალა.

— რა პრობლემა იყო, ნუცა, გვეყიდა, ცოდო იყო... — არა რაა, ეს კაცი ოჯახის თავად არ გამომადგება.

— ძალიან მომეწონე შვილო, ლამაზი გოგო ხარ. — მობრუნებულა ჩვენი მებუშტე! და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — ლამაზი გოგო ვგონივარ. — აჰა, შენ ერთი ბურთი.

გამოვართვი შერცხვენილ-დარცხვენილმა, გადავიჭიმე ღიმილი მარჯვენა ყურის ბიბილოდან მარცხენამდე.

— ძალიან მშვენიერი გოგონა ყოფილხარ, წელარ როგორ ვერ შეგამჩნიე?.. აჰა, შვილო, მეორე ბურთიც...

გავიბადრე, წამოვწითლდი...

— თან იუბილარია დღეს. — ახარა ოთომ.

— რას მეუბნები, კაცო! — აშკარად გაეხარდა. მე კიდევ, რა საძაგელი ვარ, ხან აფერისტი ვეძახე, ხან თვალთმაქცი... — აჰა, მაშინ ყველა ბურთი იუბილარს!

სანამ მე მადლობებად ვიფრქვეოდი, ოთოს მიუბრუნდა, ხელი გაუწოდა:

— ათი ლარისაა, შვილო.

ვიდრე იმ ბარამდე მივიდოდი, სადაც ბეტა მელოდებოდა, საკუთარ თავს ვლანძღავდი. რა მინდოდა პაემანზე კაცთან, რომელთანაც ინგლისურის რეპეტიტორის გარდა, სხვა საერთო არაფერი მაქვს?

— ნუთსა, გილოთსავ! — ბარში შესულს ვიღაც ბლანჟეიანმა ტიპმა ხელი ამიწია. საერთოდ, ქერა კაცზე ბლანჟე არ მომწონს, მაგრამ თუ ასეთი დაკუნთული სხეული აქვს...

— აქ ვართ! — ასეც ვიცოდი, გვერდით ბეტა უზის.

— ეს ჩემი სულ ახალთ-ახალი მეგობარია, მეზობელი სუფრიდან. შამპანიურივით შუშხუნა და მათრობელა გრეგორი. — გამაცნო ბეტამ.

— ახალტ-ახალი, ცკელ-ცკელი! — გულიანად გაიცინა მისტერ ბლანჟემ. ვიღაცას მაგონებს, ნეტა ვის?...

სიცილში ბეტაც აჰყვა. როცა დამშვიდდნენ, ბეტამ კოლოფიდან სიგარეტი ამოაძრო, ბლანჟემ სანთებელა გააძრო. ბეტამ სანთებელას შეჰღიმა და სიგარეტგარჭობილი ხელით ვისკის ჭიქა აიღო.

— შენ გაგიმარჯოს, ნუც! შენი საჩუქრის ნაწილი გრეგორის ვუფეშქაშე, ნაწილი მივითვისე და არც ისეთი უსინდისოები ვართ მე და გრეგორი, შენთვისაც არ შეგვეხვედრებინა. — როდის მოასწრო ამდენის დალევა?..

— აბა რა! — დაეთანხმა ბლანჟე. ვაჰ, ვის მაგონებს?.. ვითომ ბრედ პიტს? სანამ მე ვაკვირდებოდი და ვმკითხაობდი, ვისკის ბოთლს დასწვდა და მიმტანს გასძახა:

— ჩიკა საჩუკრის ჩასხმისტვის!

ბეტა სიცილისგან ჩაბჟირდა. ბლანჟეც აჰყვა. მე თუ მკითხავთ, ქერა კაცს ბლანჟეს ტარებას კანონი უნდა უკრძალავდეს. არანაირი ,,ეს ხომ ათლეტური ქერაა" და სხვა შემამსუბუქებელი გარემოებანი.

გიჟებივით იცინიან, ვერ წყნარდებიან. საშინელ განწყობაზე დავდექი. ჩემმა ტელეფონმა წაიმღერა. მესიჯი უგულოდ გავხსენი და უცებ გული გამიტკაცუნდა — ჯიოსგან იყო.

,,ნუცა, შენი ნახვა მინდა. საკმე მაკვს." ვიცოდი, ვი-ცო-დი, რომ ჩემი დაბადების დღე არ დაავიწყდებოდა!

,,მეთს." – მივწერე და სანამ პასუხი მოვიდოდა, ერთი ყლუპი საჩუქარი გადავკარი. მესიჯი გადავიკითხე და ჩემს თავზე ნერვები მომეშალა. სად მეჩქარებოდა? ხომ შეიძლება ეგონოს, რომ მეც საქმე მაქვს? არადა ვიგულისხმე: მეც მინდა შენი ნახვა.

,,რა საკმე გაკვს?"

,,საკმეზე არა, ნახვაზე ვტკვი." - რაღა ლათინური შრიფტით დაწერილი ესემესი წაგიკითხავს, რაღა - გრეგორ ქერას ქართული მოგისმენია...

,,სად ხარ?

,,პეროვზე ბეტასთან ერთად. მოხვალ?"

,,აუ, მანდ რა გამოვა აკედან... ოკ, მასინ მოგცერ."

პულსი ამიჩქარდა. კიდევ ერთი ყლუპი გადავყლურწე. ახლა ცოლობა რომ მთხოვოს, ყველა წარსულ წყენას ვაპატიებ.

,,დაბდგეზე მივდივარ, ფული მჩირდება დზალიან სასცრაფოთ. რამე შანსი გაკვს? ბეტას უთხარი, მაგას ეკნება."

გული გამიჩერდა, ლოყები ამეწვა და

➲ გაგრძელება ოცდამეოთხე გვერდზე

პოტენციური შინაბერა

ოცდაშვიდაშე ვერდიდან

შუბლზე ოფლმა დამასხა. ტელეფონი გამოვრთე.

— ცკელა? — ბლანჟემ ჭიქა შემივსო.

— ნუც, გინდა გითხრა, რატომ გცხელა? — ბეტა ისეთი ნასვამი იყო, თვალების დახამხამება ავიწყდებოდა. — იმიტომ, რომ დაგმანული ხარ.

— ეგ რა არის? — იკითხა ბლანჟემ.

— რა და ნუცა უმანკოა, ზავადსკოი მოხუფულია, ზაკრიტა. აი მე რომ ლაპარაკისას პირს ვაღებ, შიგნით სკვაზნიაკი მაქვს და ვნიავდები. ეს ვერა. ნუცაში ჰაერი არ ტრიალებს, კანეშნა, დასცხება.

ბლანჟე ჯერ ვერ მიუხვდა მჭერმეტყველებას, მერე გაიაზრა და იმდენი იცინა, სკამიდან ჩამოვარდა. ახლა ბეტას აუტყდა ხარხარი. ამ დუეტის ატანა უკვე ნაღდად აღარ შეიძლებოდა.

— წავედით! — ბეტა ძლივს ავაგლიჯე სკამს და გარეთ ,,გავიტანე.” კიდევ კარგი, იქვე ცხოვრობს.

სახლში რომ დავბრუნდი, ყველას ეძინა. ჩემს ოთახში, საწოლზე, წერილი და შინდისფერი ხავერდის ნაჭერში გახვეული საჩუქარი დამხვდა. ბებოს საგულდაგულოდ ამოეკემსა ნაპირები და დაკემსილი ფუთა ერთ დროს თეთრი, ახლა — გაყვითლებული მაქმანით გაებანტა. ნაფტალინის მსუბუქი სურნელი იდგა ოთახში. გული შემეკუმშა... მთელი დღის ნაგროვებმა დაძაბულობამ, წყენამ, ბოღმამ, იმედგაცრუებამ, ერთად ამოხეთქა. საჩუქარი გულში ჩავიხუტე და ავღრიალდი.

ამდენი ცხოვრებაში არ მიტირია. თუმცა, ტირილის მერე ასეთი შვებაც არასდროს მიგრძნია. ერთი ეგაა, ცრემლებისა და წვლინტების წმენდა-დაშრობაზე მეტად არაფერი მეზარება...

ავ ფიქრებს არ დანებდე, ნუც!

კაცმა რომ თქვას, სულაც არ ვარ ცუდად, უბრალოდ, ცხოვრებაში არასდროს გადამიბიჯებია ოცდაათისთვის. კი ბატონო, ოცდაათს მიკაკუნებულიც ვყოფილვარ, მიტანებულიც, ,,პად ტრიცატიც,“ მაგრამ გადაბიჯებული - არასოდეს. ხოდა, ზოგჯერ სიახლეებმა იციან ემოციის გამძაფრება... მორჩა, შესანიშნავ განწყობაზე ვარ! თანაც, დღე ჯერ არ დასრულებულა, მთელი რვა წუთი აკლია თორმეტს, რა იცი, რა ხდება?..

ცალ ხელში საჩუქარი მიჭირავს, მეორეში - წერილი. დედაჩემის სუნი აქვს წერილს.

,,ნუციკო, ხვალ არსად გამექცე, იცოდე. მაგულისთან მივდივართ (როგორ, მხოლოდ მაგული? ანუ ორივე გვერდზე იქნება ,,ჩასტროჩკილი“ გრძეეელი ნაწიბურით?). ძმიშვილი ჩამოუვიდა მოსკოვიდან, ისეთი სიმპათიური ბიჭია (ვაჰ, მგონი ბედი მეხსნება. ვინ თქვა, რომ საშინელი საღამო მაქვს? აქეთ ბებოს საჩუქარი, იქით - ბედის საჩუქარი... ნეტა რა დევს ფუთაში? ალბათ ბებოს დედის ნაქონი სამკაული. ბებომ იცის, რომ ვგიჟდები ძველებურ ბეჭდებზე...), გამორიცხულია არ მოგეწონოს. განათლებული, მაღალი, მხარბეჭიანი (აუჰ, რა მოიცდის ხვალამდე...), გარეგნობით ევროპელია, ქერაა, მაგრამ ძალიან საყვარელად ლაპარაკობს ქართულად. გრეგორი ჰქვია (კვანძი გახსნილია, ბატონებო! თურმე, რა ბრედ პიტი, რის ლეონარდო... მაგული მამიდას ჰგვანებია ბიჭი!)...“

კითხვის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. ბედის საჩუქარმა არ გაამართლა, მაგრამ ბებოს საჩუქარი სად წამივა? ერთი კარგი ბეჭედი სამ ისე-რა კაცს აღარ ჯობია? თუმცა, ერთ ბეჭედს ამხელა შეფუთვა რად უნდა? აქ მგონი მთელი ზარდახშაა გახვეული...

მოუთმენლად შემოვარღვიე ხავერდი და...

ბიგუდები.

ალუმინის.

„იმერეთის" არქივი

იხსნის თუ არა ლიტერატურული ჯრიტიკა ...

ოცდაშეოთხე ვერდიდან

სულაც არ ნიშნავს, რომ არაფერი მაქვს სათქმელი. პირადად შენთვისაც ბევრი მაქვს სათქმელი და გეტყოდი კიდეც, რომ არა შენი ერთი უცნაური თვისება. ყველაფერზე საკუთარი მოსაზრება გაქვს და უარყოფით აზრზე ისე რეაგირებ, როგორც ბუში ირანის ატომურ პროგრამაზე. კრიტიკის კულტურის გარდა, სხვა კულტურაც არსებობს, რომელსაც მოსმენის კულტურა ჰქვია და რომლის არმქონე ავტორის ნაწარმოების განხილვის სურვილი, რაღა დაგიმალო და არავის აქვს. შევეცადე, ერთხელ შენთვის მეგობრული რჩევა მომეცა, მაგრამ მაშინაც საპასუხოდ არაადეკვატური რეაქცია მივიღე. ასე რომ, კრიტიკამდე ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს სასწავლი და პირველ რიგში ის, რომ სიტყვა "სწავლა" არამც და არამც არ არის შეურაცხმყოფელი.

ჰექსე: გიორგი, მე მგონი, შენ არასწორად გამიგე. ნებისმიერ წამოწყებაში წარმატებას გისურვებ და მივესალმები ასეთი თემის გახსნას. არ ვიცი, რატომ მოგეჩვენა, რომ მე ვცდილობ, იოლად წარმოვაჩინო ყველაფერი. ხელოვნურ და არაგულწრფელ გართულებას რომ ვერიდები, სხვა საკითხია. ნამდვილად არ მგონია, რომ წერა "სენადაა" ქცეული და მით უმეტეს, მავანის პირველი ლიტერატურული მცდელობები ფატალური შეიძლება გახდეს. ლიტერატურული საიტები იმისთვის არსებობს, რომ ნებისმიერმა მსურველმა დადოს თავისი ნაწერი და ამაში ლიტერატურის განვითარებისთვის ვერც ცუდს და ვერც საბედისწეროს ვერაფერს ვხედავ. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ სწორედ დამწყებ ავტორებს არ ახასიათებთ ამბიციურობა და პრეტენზიულობა, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ ცნობად ავტორზე და მოდი, მაშინ ვთქვათ, რა უფრო ცუდია ლიტერატურისთვის, როცა ღიმილისმომგვრელი და უპრეტენზიო ტექსტები უჩუმრად იკარგება საიტების არქივში, თუ როდესაც ამა თუ იმ ავტორის საეჭვო ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებს შედევრად გვასაღებენ. თუმცა, ეს სულ სხვა დისკუსიის თემაა. ბატონი გივის კომენტარები, რომელიც ამა თუ იმ ავტორის ლექსს მოჰყვება ხოლმე, ბუნებრივია, შენ წარმოიდგინე, გასაგებიც კი (ავტორებზე ასეთი დაბალი აზრის ნუ ხარ) და რაც მთავარია, აზრიც აქვს და ავტორსაც უწყობს ხელს განვითარებასა და თვითრწმენის მოპოვებაში, თუნდაც შეცდომების გადალახვაში, რაც მე საკუთარ თავზეც გამომიცდია და სხვების მაგალითზეც მინახავს. ბევრისთვის შენი კომენტარები და შენიშვნებიც ძალიან საინტერესო იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ამისთვის თემის სახით ცალკე სივრცე არ არის აუცილებელი. ისედაც დიდი ყურადღებით მოგისმენს ნებისმიერი ავტორი, მათ შორის მეც და არაფერი გიშლის ხელს, რომ შენი გამოხმაურებებით და თუნდაც კრიტიკით ხელი შეუწყო შენთვის საინტერესო პროცესების განვითარებას. რაც შეეხება მოსმენის კულტურის არქონას და "უარყოფით აზრზე რეაგირებას", ამ შენიშვნას ვერ მივიღებ. როცა ასეთ რამეს ამბობ, მეტი არგუმენტაცია და დამამატკიცებელი საბუთი გჭირდება, თორემ აქედან შეურაცხყოფამდე არც თუ ისე შორია.

გიორგი საჯაია: თავად ვარ ერთ-ერთი პროექტის თანაავტორი და კარგად ვიცი, ლიტერატურული საიტები იმისთვის არსებობს, რომ ემსახურებოდნენ:

ა) ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდების წარმოჩენასა და შემდგომ პოპულარიზაციას;

ბ) საქართველოში მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესის ამაღლებას;

გ) მხატვრული ლიტერატურის როლის გაძლიერებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

დ) თანამედროვე ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთ ინტეგრაციას;

ე) ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანთა ურთიერთგაცნობას, ინტერნეტ კონფერენციებისა და დისკუსიების გამართვას;

ვ) ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას;

ზ) ლიტერატურის ისტორიის ფართო მასებისათვის გაცნობას.

ლიტერატურულ ინტერნეტ-სივრცეში რომ ასეთი არეულობაა, სწორედ კრიტიკისა და ცენზურის არარსებობის ბრალია.

გივი ალხაზიშვილის კომენტარები რომ ბუნებრივი და ზედმიწევნით ზუსტია, ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ რამდენად გასაგები, ეს სულ სხვა თემაა. რა დააშავეს მათ, ვინც არ იცის და აინტერესებს ვერსიფიკაციასთან დაკავშირებული ელემენტარული ტერმინოლოგიის განსაზღვრება? ამიტომაც ვამბობ, მგონი არ იქნება ურიგო, ასეთი "ლექსიკონისთვის" ერთი თემის გამოყოფა.

ავტორებს ძალიან დიდი მოთმინება და თავშეკავება გვმართებს მკითხველთან ურთიერთობისას და მასთან პოლემიკაში შესვლა, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ უარყოფითი აზრი გამოთქვა (თუ რა თქმა უნდა ეს აზრი შეურაცხმყოფელი არ არის), დადებითად ვერანაირად ვერ აისახება ვერც ჩვენს იმიჯზე და ვერც ჩვენს შემოქმედებაზე. შენიშვნა, სხვა არაფერია თუ არა სტიმული, რომ უკეთესად ვწეროთ.

ჰექსე: ლიტერატურული საიტების დანიშნულებაზე კამათს არ ვაპირებ. კონცეფცია გასაგებია. შენს მიერ ჩამოყალიბებული შვიდივე პუნქტი შესანიშნავად ჟღერს, მაგრამ სად დაინახე შენ წინააღმდეგობა ამ პუნქტებსა და ჩემს ნათქვამს შორის. განსაკუთრებით პირველი პუნქტის განხორციელება რანაირად გესახება, თუ ავტორებს ნაწარმოებების განთავსების უფლება შეზღუდული ექნებათ? ან როგორ შეიძლება კრიტიკისა და ცენზურის (მე აქ ლიტერატურულ ცენზურას ვგულისხმობ და არა ეთიკურს) ერთსა და იმავე კონტექსტში გვერდიგვერდ მოხსენიება? კრიტიკა თუ მოისუსტებს, ეს შემფასებლების ბრალია და არა იმის, ვინც წერს და აქვეყნებს. ცენზურა საერთოდ რა მოსატანია. მხოლოდ "არეულობაზე" საუბარი, არ არის გამართლებული, როცა რეალურად არაფერი კეთდება მიმართულებებისა და ტენდენციების დასადგენად, ზღვა მასალის გარკვეულ კალაპოტში მოსაქცევად, როცა ახალ ავტორებს შემფასებლების უმეტესობა არც კი კითხულობს და ინტერნეტ-სივრცეს ერთმანეთისთვის დითირამბების საწერად იყენებენ. ჩამოწერილი პუნქტები მეტისმეტად ლამაზად ჟღერს. იქნებ ყველამ საკუთარ თავს დაუსვას შეკითხვა, რას აკეთებს ამ პრინციპების განსახორციელებლად. საქმეც მაგაშია, რომ ინტერნეტ-სივრცე, გარდა ტექსტების განთავსებისა, დიალოგისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, პოლემიკისთვისაც არსებობს. ალბათ დამეთანხმებით, ცუდია, როცა ლიტერატურული პოლემიკა ვინმეს აშინებს და მეც ამის დამტკიცებას ვცდილობ. არც ერთი კრიტიკული აზრი არ დამიტოვებია უყურადღებოდ. თუმცა, კრიტიკა ბევრი არც მიმიღია, რასაც ვერ ვიტყვი შეურაცხყოფაზე. ჩემთვის მიუღებელი და აუტანელი პოლემიკაში პიროვნუ-

გაგრძელება ოცდაშვიდაშეოთ გვერდზე

თბილი თათები

(ვუძღვნი იმედს)

ადრიანი დილიდან, ალბათ, დაახლოებით 4 საათიდან ვიწექი იმ მართლაც რომ ყინულივით ცივ, თოვლის სქელ "ლეიბზე". რამდენიმე საათი გავიდოდა, რაც განუწყვეტლივ, თითქმის ისტერიულად ვფიქრობდი, გონებაში ვიმეორებდი: "ამ სახიფათო, დათოვლილ გზაზე არ უნდა წამოვსულიყავი თანაც, მარტო ამ სახიფათო, დათოვლილ გზაზე არ უნდა წამოვსულიყავი თანაც, მარტო" უკვე დილის 7-8 საათი იქნებოდა ან ასე მეჩვენებოდა, რადგან როცა ცუდად ხარ, დრო უსაშველოდ იწელება. არ მეგონა, თუ ასეთ სიცივეში, ყინვაში თითქმის უმოძრაო ადამიანს ამდენ ხანს შეეძლო ეცოცხლა (თუკი მართლა ისევ მედგა სული) იქნებ, მეჩვენებოდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი დამტვრეულ, დახლეჩილ ფეხებში ყინვისგან თანდათან მგრძნობელობა მიქვეითდებოდა, მიქრებოდა და იმ დროისთვის მათ ველარ ვგრძნობდი. გაყინული ფეხები აღარ მტკიოდა, მაგრამ მცირე განძრევისასაც კი წელის არეში საშინელ, სუნთქვის შემკვრელ ტკივილს კვლავ ვგრძნობდი და მალე განძრევა, გახოხვა, მითუმეტეს, წამოჯდომა აღარც მიცდია. ყვირილიც შევწყვიტე -- გული დამეღალა. თანაც, გადამეტცივებამ სამეტყველო აპარატიც თითქმის მთლიანად გამომიყვანა მწყობრიდან. სავარაუდოდ 7-8 საათისთვის მთელი წინა დღის მანძილზე შეწყვეტილი თოვა განახლდა და უკვე თოვლითაც ვიფარებოდი. ალბათ, ჩემი დალეწილი მანქანაც სადღაც იქვე ეგდო აყირავებული, თუმცა მას ვერ ვხედავდი: მანქანაში რადიო ჩართული მქონდა და შორიდან მესმოდა, რომ ის ისევ მუშაობდა, "მემსახურებოდა", რათა არ მომეწყინა იმ მომაკვდინებელ სიმარტოვეში უმწეო ჩვილივით მწოლს. იმის მიუხედავად, რომ (როგორც აღმოჩნდა -- გამძლე) რადიომიმღები ავტოავარიის შემდეგაც ზრუნავდა ჩემზე, რადიოეთერში გასული მუსიკისა და გადაცემების

➲ გაგრძელება ოცდამეექვსე გვერდზე



ეუა ხარიამენეო

„ეროვნული" არქივი

იხსნის თუ არა ლიტერატურული ერიტიკა ...

➲ ოცდამეოთხე გვერდიდან

ლი ფაქტორების გარევაა. მე ეს ზღვარი არასოდეს გადამილახავს და შესაბამისად, უფლებას ვიტოვებ, სხვებისგანაც იგივე მოვითხოვო ჩემს მიმართ.

გივი ალხაზიშვილი: ნუ ვიკინკლავებთ, მეგობრებო. ვეჭვობ, ვერსიფიკაციის სწავლა საკმარისი იყოს პოეზიის შესაქმნელად, მაგრამ ვაგნერმა თუ იცოდა ვერსიფიკაცია, რატომ არ უნდა იცოდეს პოეტობის მოსურნემ? რომელიმე სალექსო ფორმის ან საზომის აპრიორულად უარყოფა სიბრიყვეა და ამ ჭრილში რომელიმეს პოეზიად მიჩნევა, ან უარყოფა ნონსენსია. ლექსის მხოლოდ ფორმალისტური მხარე, მხატვრული მთლიანობის გაუთვალისწინებლად, ჩემთვის მიუღებელია. ნუ შევალთ ჩიხში და ნუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს პოეზიის გამოხატვის საშუალებებს. უფრო პროფესიონალური საუბარი გვმართებს. თუ ვინმე ტერმინებით საუბრობს და მკითხველს არ ესმის, ამისთვის საჭიროა ლექსიკონში ჩახედვა და ელემენტარული განსწავლა.

უვიცობა, უწიგნურობა, წერის სენი, ამაზე მეტად იყო საუკუნის დასაწყისში, შემდგომ პერიოდებში და ჩემი სტუდენტობის დროსაც 60-იან წლებში.

უნივერსიტეტში ათასამდე სტუდენტი წერდა. სად არიან ისინი? თუმც, რა საკვირველია, მას შემდეგ ხომ მრისხანე 48 წელია. გალაკტიონი.

გადარჩება მხოლოდ ნიჭიერი ავტორი, და იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ბორხსისა და ბონფუასი არ იყოს, არსებობს მწერლის დროებითი უკვდავება და არა უკვდავება. შეიძლება ჯერ ამ თემაზე არც გიფიქრიათ, მაგრამ მოგიწევთ.

გავაგრძელებ: გადარჩება მხოლოდ ის, ვისაც თავისი ნიჭი გადაარჩენს.

ნიჭის თვისება კი გარჯა, შემეცნება, სწრაფვა, კლასიკური გამოცდილების ათვისებაა და მხოლოდ ამის შემდეგ არის სიახლის გამუდმებული ძებნა. პოეზია არავისგან არ ისწავლება. ინდივიდმა თვითონ უნდა ისწავლოს დიდი ავტორებისგან, წიგნებიდან და რაც მთავრია, ტრანსცენდენტისგან. ეს პროცესია და არა სემინარული მეცადინეობა. ვინც ვერ ხვდება რა უნდა ისწავლოს, მას შემდეგაც კი, როცა მეგობრულად ურჩევ რამეს და არამც და არამც დაცინვით, უნდა მივხვდეთ რომ ნაკლულ ნიჭთან გვაქვს საქმე და უნდა შევეშვათ.

70-იან წლებში ნაყეს წყალი შოთა ნიშნიანიძემ და მამუკა წიკლაურმა. ერთი კლასიკურ ლექსს იცავდა და ვერლიბრს ანადგურებდა, ხოლო მეორე ვერლიბრს აღმერთებდა. ეს უკვე იყო და ასეთმა დავამ არაფერი მოგვცა. ზოგად-თეორიული სახის ლექციებს კონკრეტულ ლექსებზე მსჯელობა სჯობს. ამ მსჯელობისას, გინდა ტერმინები გამოიყენეთ, გინდა არა. ვისაც რაიმეს გაგება სურს, აიღებს ლექსიკონს, იპოვის მაგალითს და გეზსსაც მიაგნებს. დასავლეთის უნივერსიტეტებში ლიტერატურით დაინტერესებული სტუდენტები დაოსტატების კურსებს გადიან. თითოოროლა თუ გამოდის მათგან მწერალი. დანარჩენებმა მხატვრული ნაწარმოების შექმნის მთელი სამზარეულო იციან, მაგრამ ნიჭი არსად ისწავლება.

აკაკის დროს მასზე პოპულარული პოეტი გრიგოლ აბაშიძე იყო, გალაკტიონის დროს — ვინმე ხეჩუაშვილი. პოპულარობა არასოდეს არ განსაზღვრავს ხარისხს, პირიქით, პოეტის პოპულარობა იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია საეჭვო გემოვნების მკითხველებით (ისინი ყოველთვის უმრავლესობაში არიან), მანიპულირება. პროფესიონალთათვის ეს მყისიერად მისახვედრია, მაგრამ სახელი გვიან ერქმევა. ამ საცდუნებელს ბევრი გადაჰყვა და ისინი ნაკლული ნიჭის ადამიანები იყვნენ. ასეთები დღესაც არიან.

გიორგი საჯაია: ჰექსე, ყველა პუნქტს აღარ ჩავუღრმავდები. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ფაქტები თავად მეტყველებენ ჭეშმარიტებაზე.

ცენზურაში იმას არ ვგულისხმობ, რომ ფორუმის ადმინისტრაციამ შენიშვნა მომცეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემს მიერ მიწოდებულ ტექსტში, რაიმე ზედმეტად ვულგარულად მოეჩვენა. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, არა მგონია, კონკრეტული მაგალითების მოყვანა იყოს საჭირო. დღეს რომ „თრეში" გაცილებით უფრო აქტუალური და პოპულალურია, ვიდრე მეტ-ნაკლებად ღირებული ლიტერატურა, ჩემი აზრით, ეს უკვე ტრაგედიაა და სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა „ფატალურ" შედეგებზე მქონდა საუბარი. პოლემიკა ცუდი არ არის, პირიქით, ჭეშმარიტება კამათში იბადებაო — ნათქვამია, მაგრამ გააჩნია ვითარებას და რაც მთავარია, საგანს. ლიტერატურული კრიტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით „საიტის მესვეურებს" სერიოზული და ძალიან შრომატევადი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი, მაგრამ მთავარია საიდანღაც დავიწყოთ. ჩემი აზრით, ნულიდან, „ანა-ბანადან" უნდა დავიწყოთ და არა ასე ქაოტურად, როგორც ახლა ხდება.

როდესაც გივი ალხაზიშვილი უვიცობაზე, უწიგნურობაზე, წერის სენზე საუბრობს, ერთი, ფრიად დელიკატური მომენტია გასათვალისწინებელი. დღეს, უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაში, „ავტორთა თვითრეალიზაციისთვის", გაცილებით მეტი იოლი და მოქნილი მექანიზმი არსებობს, ვიდრე თუნდაც ოციოდე წლის წინ.

ციტირებას ვახდენ ზაზა ბიბილაშვილის 2001 წლის სტატიიდან: „ავანსცენაზე მოქმედი ენერგიული კონტინგენტის აქტიურობა ქმნის ილუზიას, რომ ლიტერატურა დღეს ზუსტად აი, ამ მიმართულებით ვითარდება. ეს ილუზია დროთა განმავლობაში, ფსიქოლოგიური ზეწოლის წყალობითა და სხვა მიზეზებით, რეალობად იქცევა.

ზაზასი არ იყოს, ეს საკითხი მეც ძალიან მაფიქრებს. არ შეიძლება ნებისმიერი ტრიბუნა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ ნებისმიერი „ავტორი" ავიდეს მასზე და ლექსი წაიკითხოს! ნუთუ ასე იყო ადრეც? არამც და არამც. ღმერთმა იცის, ასე სადამდე მივალთ.

გივი ალხაზიშვილი: გიორგი, მე არაფერი მითქვამს ქაოტურად. უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვთქვი საიტელთა განსწავლის თაობაზე. ვახსენე დასავლეთის უნივერსიტეტების ე. წ. მასტერ-კლასები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან ავტორიტეტებს მიჰყავთ. თავის დროზე, დაოსტატების კურსებს რობერტ ლოუელი, ბროდსკი და სხვები უძღვებოდნენ. ამ საიტზე მსგავს ავტორიტეტებს, თუნდაც ისეთს, ჩვენს დღევანდელობას რომ შეეფერება, ვერავის ვხედავ, ჩემი ჩათვლით. ვისაც ჰგონია, რომ ამ სირთულეს დაძლევს, მანვე იკისროს ამ წამოწყების შესრულება.

რაც შეეხება ჰექსეს, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ვირტუალურ სივრცეში და იგი შენიშვნასაც ითვალისწინებს, მისმენს და წარმატებითაც ვითარდება. როცა მის ლექსებს შენ პროზაულ მინიატურებს უწოდებ, ჩემს ბოსტანში ისვრი კენჭებს.

თითქოს მე ვერ ვარჩევდე ლექსს პროზისაგან, ასე გამოგივიდა. ჩვენმა მიმოწერამაც დამანახა, რომ ჰექსე ნიჭიერებასთან ერთად, წიგნიერი და კულტურული ადამიანია, მე ბევრს ველი მისგან. შენ თუ არ გჯერა, ეს შენი საქმეა და ვერც ვერავინ დაგიშლის. მიმოწერებით ვთანამშრომლობ კიდევ რამდენიმე ნიჭიერ პოეტთან, მათგანაც ბევრს ველი, მაგრამ აღარ

➲ გაგრძელება ოცდამეექვსე გვერდზე

თბილი თათები

ოცდაშვიდუთერ გვერდიდან

შევარდისფერებული თოვლი თეთრმა, ახალმა თოვლმა ასევე სრულად დაფარა, -- ჩემს წინ, დათოვლილ ბილიკზე (რომელიც პატარა სანგარს უფრო წააგავდა ორივე მხრიდან კედლებივით აღმართული თოვლის გამო) რაღაც "მოყავისფრო მოძრაობა" შევნიშნე ვიღაც თუ რაღაც მორბოდა და თავის ყავისფერ ტანს ნაწილ-ნაწილ აჩენდა სითეთრის ფონზე, გეგონებოდათ, სუფთა, თეთრ ქაღალდზე ვიღაც სწრაფად ხატავსო უჩინარმა "მხატვარმა" ხატვა თავით დაიწყო და შემოქმედის ქმნილება მალევე გავარჩიე, ამოვიცანი: ეს იყო ყურებჩამოშვებული, ყავისფერბალნიანი ძაღლი ის ჩემკენ მორბოდა ენაგადმოგდებული და თითქოს მიღიმოდა კიდეც... არასდროს გინახავთ მომღიმარი ძაღლი, ჰო?.. მე კი მინახავს თანაც, თბილად, კეთილად გაღიმებული თითქოს ის ძაღლი მეუბნებოდა: "ნუ ნერვიულობ, ნუ გეშინია, შენთან მოვრბივარო" უეცრად გული აუხსნელი სიხარულით ამევსო და ამიჩქარდა. ასეთი სუფთა, მოზრდილთათვის დამახასიათებელ სკეპტიციზმთან შეურეველი სიხარული ჩემი ბავშვობის შემდეგ არ განმიცდია ალბათ, იტყვით, -- რა გიხაროდა, მხოლოდ უპატრონო ძაღლი ხომ ვერ გადაგარჩენდაო, -- მაგრამ მაშინ მაგაზე არც მიფიქრია მომაკვდავსა და შემდეგ აფორიაქებულს. ჩემი გამხარებელი და "მხსნელი" უკვე მთლიანად "დახატულიყო" თეთრზე. ის მომვარდა და სახის ლოკვა დამიწყო. მისი ცხელი სუნთქვა ეამა ჩემს დათრთვილულ კანს მეც გავუღიმე მას და მოხდა სასწაული: ძაღლს ოთხივე ფეხი გაუმსხვილდა, შემდეგ კი დაუგრძელდა, ტანიც გაუდიდდა და ის მაღალი, საკმაოდ ტანხსვილი ადამიანივით დადგა უკანა თათებზე წინა თათებით (ხელებით) მან თოვლის სქელი ფენა გადამფერთხა, როგორც "თოვლის საბანი" გადამხადა და მარცხენა თათზე ფეხებგადაკიდებული ამიყვანა, თბილ, ფაფუკ მკერდზე მიმიკრო აღარ მციოდა პირიქით: გავთბი ისე, როგორც ჩემს ღრმა ბავშვობაში ვთბებოდი ხოლმე, როცა ჩემი მშობლები ზამთრის ცივ დღეებში მფუთნიდენ ჩემს უთბილეს, ირმებიან და ესკიმოსებიან პლედში მაშინ უკვე გავიგონე, რომ რადიოეთერით ჩემს ერთ-ერთ საყვარელ სიმღერას გადმოსცემდნენ ზღაპრულ ძაღლს სადღაც მივყავდი დამშვიდებული თბილ თათებში მოდუნებულსა და ჩამთბარს ღრმად ჩამეძინა

ბელა ჩეჯურიშვილი

* * *

"წარვედ წყალის პირს"
ნიკ. ბარათაშვილი

რაინი დიდი მდინარეა, დე, რაინზე გემები დადიან.
თუკი ვიფიქრებ, რომ ნაფოტი ვარ, არყისხისა, გინდ ცაცხვის,
ლუკმად არ ვეყოფი რაინს.
ან უნდა გემად გადავიქცე, თავი ჩავღუნო და მგზავრები ვატარო,
ან თოლიასავით ყაშყაშით გავყვე ტალღებს.
აქ მიწას ჩემი სახელი არ ჰქვია დე,ვერც ქვად ვიქცევი, ვერც კედლად.
ხომ ამბობდი, სადაც მიწას ხმას ვერ გადავაწვდენთ,
ნურც წყლისგან ველოდებით პასუხს.
მაგრამ თუ მოვახერხებ და ჰაერში ავიწევი,
თვალს ამარიდებენ და ხელსაც
უბრალოდ ამიქნევენ და მეც იქნებ ავფრინდე,
აქ ხომ არც ტოტი მაქვს, არც ფესვი,
როცა სიტყვები აღარ გაბადია, როცა ფიქრიცარ კრთის გულში,
რამ უნდა ჩამოგაგდოს, ან რამ დაგამძიმოს,
თავისკენ რა მიგიზიდავს, რა დაგსჯის?
შორს კი ვერსად წახვალ, ერთი ნაპირიდან
მეორე ნაპირამდე მხოლოდ სეზონებს თუ წაშლი,
მაგრამ ნაცადია და ამბობენ, დრო მოვა,ყველა ასე იფრენს ცაში.
რაინზე რამ უნდა შემაშინოს, დე, რაინი ხომ დიდი მდინარეა და
აგერ გემებიც მიუყვებიან რაინს...

იხსნის თუ არა ლიტერატურული ურიტიკა ...

ოცდამეოთხე გვერდიდან

დავასახელებ, არ არის საჭირო. ვფიქრობ, ეს კონკრეტული საქმეა და ასეთი ფორმატი მირჩევნია თვითმიზნურ დისკუსიებს თანამშრომლობისთვის.

შენ რა გინდა, ინტერნეტის გაკონტროლება და ამ საშუალებით "წერის სენის" ამოძირკვა? მეორედ შეგეშალა. ფიქრობ მე არ ვიცი, რომ ახლა მეტი საშუალებაა პროფანაციისთვის? საწყალი გივი, ინტერნეტს უზის დღედაღამ და არ იცის, რომ 60-იან წლებში ყოველივე ეს არ იყო? მე არ მჯერა თანამედროვე მესიების, არც იმის, ვისაც ჰგონია, რომ იმიტომ მოევლინა ქვეყანას, რომ პოეზია იხსნას უნიჭოთა სენისგან. შენ ერთი რამ შეგიძლია — წერო უკეთ. მეტს ვერაფერს შეძლებ.

გიორგი საჯაია: არამც და არამც მეგობარო. მე არ მითქვამს, რომ თქვენ სადმე, როდესმე ქაოტურად საუბრობდით. ასეთი რამ არც კი მიფიქრია. რაც შეეხება „ბოსტანს", როდესაც ჰექსეს ლექსებზე ვსაუბრობდი, უბრალოდ ვლაპარაკობდი პირველ პირში, სინამდვილეში კი ვგულისხმობდი იმას, რომ ძალიან ბევრისთვის, ნიშნიანიძე-წიკლაურის სადავო თემა დღემდე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და არ იქნება ურიგო, თუ ამ საკითხს საბოლოოდ ფარდას ვერ ავხდით, ის მაინც გავაკეთოთ, რომ ვისაც ამის სურვილი ექნება, განვუმარტოთ, რა არის ვერლიბრი. მე პირადად, არც მისი პოეზიის (ცალკეული შემთხვევების გარდა) და მით უფრო არც ვერლიბრის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. არაერთხელ აღმინიშნავს თანაფორუმელებთან პირად საუბრებში, ჰექსეს ნიჭიერება.

გივი ალხაზიშვილი: რა არის ვერლიბრი? ეს არის პოეტური ტექსტი, რომელიც თავისუფალია კონვენციური ვალდებულებებისაგან და არა ნიჭისგან.

კონვენციური ვალდებულებები: რითმა, სტროფი, რიტმი და ა.შ. დასავლური ვერლიბრი უმეტეს წილად ინარჩუნებს რიტმს მკვეთრი მახვილის მეშვეობით და ასე ხდება ტექსტის მუსიკალური ორგანიზება. რადგან ქართულში მკვეთრი მახვილი არ გაგვაჩნია, ვერლიბრში საჭიროა რაიმეთი მისი კომპენსირება და ეს რაიმე არის რიტმი, რომელიც მარცვლების თითებზე დათვლით კი არა, მუსიკალური სმენით ხერხდება. ამას ჩვენში ვერლიბრისტები არ აკეთებენ, ან ვერ აკეთებენ და ხელთ გვრჩება ტექსტი, რომელიც სიმბიოზია და არც ერთ ჟანრს არ განეკუთვნება. ახლა რიტმზე ზოგიერთი ჩვენი საიტელი ზრუნავს.

გიორგი საჯაია: აგაშენათ ღმერთმა! აბა მე თოფი კი არ მისვრია. უბრალოდ ვთქვი, რომ კარგი იქნება, თუ ამ ყველაფრისთვის ცალკე თემას გავხსნით, იოლად ხელმისაწვდომობისთვის. ამ იდეით ადმინისტრაციას მივმართე და რატომ გახდა ის ასეთი დავის საგანი, ვერ ვხვდები.

ჰექსე: ვერ გავიგე, ვერლიბრთან დაკავშირებით ჩემი სახელის ხსენება რას ნიშნავდა. მე მჭირდება ვერლიბრის მნიშვნელობის განმარტება, თუ ჩემი სახელი უბრალოდ ისე, მაგალითისთვის არის მოხსენიებული. ნებისმიერ შემთხვევაში, „გავატარე". მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ კითხვის ნიშანი, რომელზეც შენ საუბრობ, დიდი ხანია მოხსნილია. ახლა აღარავინ დაობს იმაზე, ვერლიბრი სჯობს თუ კონვენციური ლექსთწყობა. სირცხვილიც კია საკითხის ასე დაყენება. ასეთი თვისობრივი შედარება თანამედროვე ლიტმცოდნეობაში არც არსებობს, უფრო სწორად, განვლილი ეტაპია. და კიდევ ერთი, თემის გახსნასთან დაკავშირებით სადაო არც არაფერია. დავის საგანი ამ შემთხვევაში ზოგადი დამოკიდებულებაა და არ მიმაჩნია, რომ ამაზე საუბარი გასაკვირია, ან უაზრო. მაინც მტკიცედ ვრჩები ჩემს მოსაზრებაზე, რომ მას, ვისაც მართლა და არა მოჩვენებითად, რაიმე დადებითის გაკეთება სურს თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისთვის, დამატებითი თემებისა და სტატუსების გარეშეც აქვს ამის ყველანაირი საშუალება, მით უფრო, ვირტუალურ სივრცეში. ხოლო თუ „კონკრეტულად ადმინისტრაციას" მიმართე (თუმცა, კარგად არ მესმის ფორუმის საჯარო სივრცეში ეს რას ნიშნავს, როცა პირადი მიმოწერის უამრავი საშუალება არსებობს?), მაშინ ისიც დაგემატებინა, უბრალო მოკვდავმა „იუზერებმა" აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავონო და ხმასაც არ ამოვიღებდი.

ბატონო გივი, დიდი მადლობა იმ შეფასებებისთვის, რაც თქვენს კომენტარებში ჩემს მიმართ გამოთქვით.

გივი ალხაზიშვილი: სამადლობელი არაფერია. მე ვთქვი ის, რასაც ვფიქრობ.

არ არსებობს ცუდი და კარგი სალექსო ფორმა, არსებობს ცუდი და კარგი პოეტი. იძულებული ვარ ისევ გავიმეორო ეს ძველისძველი გამონათქვამი.

გიორგი საჯაია: ჰექსე, მართლაც ზედმეტი მოგდის, როცა ამბობ: „ვისაც მართლა და არა მოჩვენებითად რაიმე დადებითის გაკეთება სურს თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისთვის, დამატებითი თემებისა და სტატუსების გარეშეც აქვს ამის ყველანაირი საშუალება, მით უფრო ვირტუალურ სივრცეში." ვის რა სურს და რას და როგორ აკეთებს, ამაზე ახლა ლაპარაკი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. მე შენგან არ მესწავლება, ლიტერატურისთვის რა და როგორ უნდა გავაკეთო!

რაც შეეხება კითხვის ნიშანს, ბატონმა გივიმ ძალიან კარგად გასცა ამ კითხვას პასუხი, ტერმინ ვერლიბრის განმარტებით. უბედურება კი ის არის, რომ "ამას ჩვენში ვერლიბრისტები არ აკეთებენ, ან ვერ აკეთებენ და ხელთ გვრჩება ტექსტი, რომელიც სიმბიოზია და არც ერთ ჟანრს არ განეკუთვნება." ეს, როგორც წესი, ძირითადად სწორედ იმ ავტორებს ეხებათ, ვინც ამ "კითხვის ნიშანს" აბუჩად იგდებს.

ჰექსე: გიორგი, შენგან განსხვავებით, კომენტარებში მენტორულ და ჭკუის დამრიგებლურ ტონს არ ვატარებ. ღმერთმა დამიფაროს, ჩემგან რამე გესწავლებოდეს. ეს აზრადაც არ მომსვლია. მგონი არც თუ ისე ძნელი გასაგებია, რა ვიგულისხმე.

ხოლო რაც შეეხება "კითხვის ნიშნის აბუჩად აგდებას", ამაზე შემდგომში კონკრეტულ ტექსტებზე დაყრდნობით ვისაუბროთ. ცხადია, თუ შენ საჭიროდ ჩათვლი, თორემ ასე ცარიელი სიტყვების რახა-რუხი გამოგვდის. კიდევ ერთხელ გამოვხატავ პოეტ გიორგი საჯაიას მიმართ ჩემს პატივისცემას.

გიორგი საჯაია: როგორც მამაკაცი, ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, „ბოლო სიტყვის" უპირატესობა ჩამოგართვა. აღარაფერს გპასუხობ, გარდა იმისა, რომ მეგობრულად მოგიწოდებ სიმშვიდისკენ.

ჰექსე: მშვიდი გაღიმება ნინოსაგან, ნიშანი იმისა, რომ კამათი კამათად და ადამიანობა პირველ რიგში.



დავით შემოქმედელი

* * *

აცეკვებს წვიმას ქარის შოლტები,
დაიფრენს ღრუბლებს უბირს და უნდილს,
მამის თბილ ტახტზე გავიშოტები,
ცა იმოსს მთვარის სხივნაქსოვ მუნდირს.
დღეც ჩემთან ერთად ღონემიხდილი...
შორს ჩამომქრალი ცის ლიცლიცია,
მერევა თვლემა — მცირე სიკვდილის
იწყება უხმო რეპეტიცია.
არყოფნა ... სული დამდგარა ზღვართან,
ხეებს ფოთლები სცვივა უძალო,
არც ისე ძნელი ყოფილა წასვლა,
მტრედების ფრთების ქოხში, უფალო...

თამაზ მეტრეველი

თუ გინახავს ტბაზე ვალსი

რა ლამაზი იყავ მაინც,
გიხდებოდა გედის ყელი,
ყვავილების სუნთქვასავით,
ნატიფი და მიმზიდველი...
თუ გინახავს ტბაზე ვალსი,
გედები რომ ასრულებენ,
არის რაღაც ჯადოს მსგავსი,
ერთურთს ფრთხილად ფრთებს რომ ხვევენ...
ყელს ყელზე რომ გადაწნავენ,
და ტრიალებს თეთრი ტანი,
ლერწმის ჩრდილში წვება მთვარე,
ამ ცეკვების ნახვით მთვრალი...
ვარდობის თვე როცა მოვა,
ტბის ნაპირას მოდი მარტო,
ყელი ყელზე, რომ ჩვენც ორმა
გედებივით გადავხლართოთ...

* * *

ჩვენ, ვისაც აღარ შეგვრჩა ცრემლი,
თვალებიდან ვიფერთხავთ ნაცარს
გადამწვარი ჩვენი სახლების...

ჩვენ, ვისაც აღარ შეგვრჩა სისხლი,
ჩვენს სისხლიან დოლბანდებს ვრეცხავთ,
რომ ქათქათა და სტერილური ისტორია
ვარგუნოთ შვილებს...

ჩვენ, ვისაც აღარ შეგვრჩა ძვლები,
წინაპრების საფლავები დაგვაქვს ზურგებით -
რომ წარსული ვარგუნოთ შვილებს...

ჩვენ, ვისაც აღარ შეგვრჩა სიტყვა -
ჩვენს სიჩუმეს ვიფარებთ ფარდად,
რომ სათქმელი ვარგუნოთ შვილებს...

ჩვენ
უცრემლოებს,
უსისხლოებს,
უსამშობლოებს,
ჩვენ,
ვისაც აღარ შეგვრჩა მთელი ნაწილი სულის...

თამარ ფეიქრიშვილი

თორნიკე გურჯინთახი

მოვდივართ, მაგრამ ვინ გვიშვებს

ჩოხატაურელი ვარ. არავის აღარ უნდა აქ ცხოვრება, ყველა გაქცევაზეა, რა თქმა უნდა ჩემს თაობას ვგულისხმობ. რით გამოვირჩევი სხვებისგან? ნამდვილად ბევრი რამით. მაგალითად, სახეზე უშველებელი ტყლიპი მაქვს, გუბაზოულში სამ წუთს ვძლებ წყლის ქვეშ და ფეხი მაქვს ორმოცდაშვიდი. დედაჩემი მეუბნება: შენი ბრალია, აბა, რა გეგონა, ფეხშიშველა რომ დადიოდი სკოლაშიო. ჩოხატაურში, რატომღაც, ყველა დარწმუნებულია, რომ უფეხსაცმლოდ ხეტიალს აუცილებლად ფეხის გაზრდა მოჰყვება. უცნაური ხალხი ცხოვრობს აქ. საღამოობით ციცინათელებს დავსდევდი, რომ ცისანასთვის მეჩუქნა. გელამ რომ მიუტანა თავის შეყვარებულს, იმ დღესვე ქორწილის თარიღი დათქვეს. მეგონა, მეც გამიმართლებდა, მაგრამ ამ ოხერ ციცინათელებს ვერა და ვერ დავეწიე. სიმართლე გითხრათ, ცისანაც არ იკლავდა ჩემი გულისთვის თავს. ნოდარ დუმბაძის სახელობის სკოლა დავამთავრე და ცნობილი რეპერის სახელი მოვიხვეჭე. ჰო... 2ჩ-ი რომ მოვისმინე, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკი ორ თვეში დავამუღამე, თან, გურულები ხომ ისედაც არ ვართ ნელები. მუსიკალურ ინსტრუმენტებს პირით ვახმოვანებდი და ჩქარა ლაპარაკს გარეპვაც შევაპარე. მაგნიტოფონები გურიაში ვიღას უკვირს?! არც არავის, მაგრამ მე ჩემი წამღერებული უფრო მევასება. გამოსაშვებ საღამოზე მაგრად შევუბერე. უნდა გენახათ, რა ტაში და გრიალი დავიმსახურე. ცისანამაც მაკოცა, ოღონდ ლოყაზე. გურულებს ტუჩებში კოცნა ჯერ-ჯერობით არ მოსწონთ, განსაკუთრებით ხალხის თანდასწრებით. ნოდარ დუმბაძის სახელობის გუბაზოულის თავზე გადაჭიმულ ხიდზე გადავედით და ნოდარ დუმბაძის ქუჩით ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში ავედით. მოსახვევში კი დიდი ბილბორდი შეგვხვდა წარწერით:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი!“

ნ. დუმბაძე

სახლ-მუზეუმის ეზოში ცისანას მკვახე ვაშლები დავუკრიფე. რომ ჩაკბიჩა, სიმჟავისგან დაიჭყანა. თურმე, მკვახე ვაშლს ვერ იტანდა, აბა, რაღას ჩაკბიჩა?! სიყვარული გარეპვით ავუხსენი და ამაზე უფრო დაიჭყანა. ეზოში დიდ ქვაზე ჩამოვსხედით. საოცარი სითბო იგრძნობოდა, თითქოს ოლღა ბებია და ზურიკელა ახლაც აქ ცხოვრობდნენ. ჩუმად ვისხედით.

— მოგეწონა?

— რა?

— რომ გავრეპე.

— ისე რა... ვეღარ მოვითმინე, ორივე ხელით ყურებში ვეცი, რომ ძალით მეკოცნა. რას ვიფიქრებდი, ჯანითაც თუ მაჯობებდა. ცოტაც და, მოგვერდსაც ჩამიტარებდა. ძლივს დავაწყნარე, გეხუმრე, რა დაგემართა-მეთქი. მომკალით და, თვალებზე ეტყობოდა, რომ ვუყვარდი. თბილისში წამოვედი გეპეიში ჩასაბარებლად და ცისანა ჩოხატაურში დავტოვე. 2ჩ-ისა და შ-ის სმენას კვლავ განვაგრძობდი. დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება კაცი, რომელიც ჩემზე სწრაფად შეძლებს გარეპვას. თბილისში პირველად ჩამოვედი და რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი ავითვისე. ვცდილობდი, არ შემემჩნია, მაგრამ სულ გურიაზე და ცისანაზე ვფიქრობდი. ჯონდო ბიძია რომ არ ყოფილიყო, გეპეიზე ვერც ვიოცნებებდი. დედაჩემმა მითხრა, თორემ რას წარმოვიდგენდი, ხიდისთავის პატარა მაღაზიის ბოტებიანი გამყიდველ-დირქტორი ჯონდო თბილისის ღვაწლმოსილი პროფესორი თუ აღმოჩნდებოდა. უნდა გენახათ, გეპეის დერეფნებში რა გაჯგიმული დაიარებოდა. არა და, ჩოხატაურში მოკაკვულს ვხედავდი. ასეა თუ ისე, ჯონდომ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს გასტუდენტებაში. მეგონა, სწავლას შევუბერავდი, მაგრამ პირიქით მოხდა, სულ ჩემს გაგდება-პატიებაზე იყო ლაპარაკი. სამაგიეროდ რეპერებს მივაგენი, ნაღდ გორელ

➲ გაგრძელება ოცდაშვიდე გვერდზე

დავაგვიანე?

ქეთევან ჩიჯაშუა

ისეთი შეგრძნებით ვცხოვრობ,
დავგვიანე მოსვლა,
ან ადრე გავჩნდი სულაც,
ეს აზრი სულს მიხუთავს,
ვერ მივაგენი ნიშას
საჩემოდ მონიშნულსა.
ღმერთო არ ვიცი რა ვქნა,
არ მომასვენა დარდმა,
რისიც ვისურვე შექმნა,
გაკეთებული დამხვდა.
ადგილი მოვნიშნე ერთი,
მირონცხებული, წმინდა,
ტაძრის აგება მსურდა,
თურმე ნუ იტყვით უკვე,
უშენებია უტას,
შორენაც შეყვარებია,
მარჯვენაც მოუკვეთიათ,
დიდება და და სახელი
უჩემოდ მოუხვეჭია.
სიმღერა წავიღიღინე,
არვინ შემიწყო ხმებია,
მრავალჟამიერს ბანს აძლევს,
კავკასიონის მთებია.
ხელი გავშალე , ვინდომე
როკვა -თამაში დავლურის,
ტყუილად ცდილობ სუხიშვილს,
დიდი ხნის წინ აქვს დადგმული.
გალაქტიონს დაუსწრია,-
ნიკორწმინდა შეუქია,
ტანო ტატანოც მუხლ-ჩოქით
უჩემოდ წაუკითხიათ.
შვილის გამოზრდა ვინდომე,
საარაკოსი, გმირისა,
ცხრა ძმის გამზრდელმა დამასწრო,
საომრად ისიც მიდისა.
ყველა აზრი ნაფიქრია,
ყველა სიტყვა ნათქვამია,
დასაწერი დაწერილი,
შესაქმნელი დიდი ხნის წინ
რუდუნებით შექმნილია.
დიდ ერეკლეს ყველა ომი,
ჩემს გარეშე მოუგია.
ნეტა ჩემმა გამჩენელმა
რაღა ჭირად გამაჩინა,
იქნებ ჯობდა მოვსულიყავ
საუუკუნეების წინა.
რუსთველს კალამს გავუთლიდი,
უტას ლოდსაც მივაწვდიდი,
ქეთევანის დაფლეთილ მკერდს
გოჯა-გოჯა დავკოცნიდი,
ანდა სულაც გავხდებოდი,
ღირსი დიდი მისიისა
სხეულს ჩვენი მესიისას
ჯვრიდან ფრთხილად გარდმოვხსნიდი.
ასე ყოფნა მიჭირს ღმერთო,
ვერ ვიპოვე ჩემი ნიშა,
სამოსნობა აღარ მინდა
ვერ ველირსე მაღალ ნიშანს.
იქნებ მე ვერ ვხვდები მთავარს,
შენგან დასამოძღვრად ნათქვამს,
ჩემგან ითხოვ მხოლოდ ერთსა,-
ვეთაყვანო მაღალ ღმერთსა.

18.01.2013
სტამბული.

მივდივართ, მაგრამ ვინ გვიშვებს

➲ ოცდაშვიდე გვერდიდან

რეპერებს. გაოგნებულები დარჩნენ ჩემი სისხარტით. ჯეოსტარის კონკურსი იწყებოდა და ქასთინგზე რომ არ გავსულიყავი, არ შემეძლო. რიგში დგომამ დიდხანს მომიწია და როგორც იქნა გამომიძახეს. ბნელი დერეფანი გავიარე და სცენაზე აღმოვჩნდი. მაშინვე წარმოვიდგინე: ფილარმონია, ყვავილები, გურული რეპერი, გასტროლები, კლიპები, ჩემით ამაყი ჩოხატაურლები. მაგიდასთან ჟიური იჯდა, სამნი იყვნენ. ერთი კაცი და ორი ქალი. კაცი ნაღდი გურული იყო, ქერა, მორიჟაო თმები ჰქონდა.

— აბა!

— დევიწყო?

— აბა, დაიწყე. — მითხრა შუაში მჯდომმა შავთმიანმა ქალმა. მარჯვენა მტევანი მოვხარე და ხელი 2ჩ-ისებურად წინ გავფშიკე. წამიერი პაუზა... და შევიყვანე:

„წამოი ჩემთან, ძამია,
ცხოვრება ერთი წამია,
ცისანა, დათო, ზაური,
ცეკვავდა ჩოხატაური,
რეპი და ჩემი ნაშრომი,
ვერ ვხვდები, ძამა, რას შობი“...

— სტოპ! სტოპ! სტოპ! ჰო! ჰო! გეყო! გეყო! გეყო! ¬— აყვირდა შუაში მჯდომი ჟიური. გურული კაცის გარდა ორივემ გამიღიმა და ღიმილი შეაშრათ სახეზე. ავცქმუტდი, დარწმუნებული ვიყავი, სასიხარულო პასუხს მივიღებდი.

— წაი ახლა, ძამია, წაი... — აღარ დავკვირვებივარ რომელმა ქალმა მითხრა. კაცის ხმა არ გამიგია, ეტყობა, გურულობის პონტში გაუტყდა და დამუნჯდა.

— ეჰ, ღმერთო, რა არის, რა... — წავიწუწუნე და მივხვდი, რომ ღმერთი პირველად ვახსენე. ათეისტი ვიყავი. არაფრისაც არ მწამდა. რატომღაც, ღმერთი ძალიან შორს იყო ჩემგან, იმდენად შორს, რომ მასზე ფიქრიც კი უაზრობად მიმაჩნდა. დედაჩემი მწყევლიდა ხოლმე, შენ მოუკვდი დედაშენს, შე ურწმუნოო.

ფეხით სეირნობა ისე მსიამოვნებდა, დღეში, მინიმუმ, ორ კილომეტრს დავდიოდი. ღმერთზე ფიქრი მინდოდა, მაგრამ არ გამომდიოდა; მეგონა, აუცილებლად მისი სახე უნდა წარმომედგინა, წარმოდგენით კი ვერაფერს წარმოვიდგენდი. რეპერების ჯგუფი დამეშალა. ვითომ ყველაფერი პერსპექტიულად ჩანდა, მაგრამ მოულოდნელად გორელები გორში დაბრუნდნენ.

„საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე“...

ბილბორდი შემხვდა სააკაძის მოედანზე, ლადო ასათიანის დანარჩენი სიტყვები წვიმას წაეშალა... ცისანა მომენატრა და დავურეკე. სანამ ზარი გადიოდა და მიპასუხებდა, წამიერი გარეპვა ჩავატარე. უმნიშვნელო საუბარი გვქონდა, უღმერთო და არაფრის მთქმელი. უფრო სწორად, არაფრის მომტანი. ენერგია მომაწვა, ისეთი შეგრძნება მქონდა, გულმკერდს გამომინგრევდა. იმდენი ვიარე, ვაკეში აღმოვჩნდი. ჭავჭავაძეზე სამების ეკლესიას ჩავუარე, პირჯვარი გადავიწერე და შემრცხვა, რადგან იმდენად უცხო იყო ეს ყველაფერი ჩემთვის, რომ ხელი ძლივს დავიმორჩილე. დიდხანს ვისეირნე, მუხლების ატკივებამდე. ვიღაც ჰიპჰოპელებს გადავეყარე ვაკის პარკთან, ასე მითხრეს, სოლისტი გვჭირდებაო. სარდაფში ჩამიყვანეს და ვიღაც ხანში შესულ კაცთან მიმიყვანეს.

— დევიწყო?

— დეიწყო?! წაი, ბიძია, სახლში, წაი! – აშკარად დამცინა გურულ კილოზე. ერთი, ამათი დედაც ვატირე-მეთქი, ჩავიჩურჩულე ჩემთვის და ავტობუსის ბილეთის საყიდლად წავედი. რიგში დგომამ არ მომიწია, ჩოხატაურში ვინღა დადის, მითუმეტეს ბრუნდება?!

ცისანას სახლს მივადექი. ჩამეხუტა. სულ დაბრუნდიო, — მკითხა.

— ჰო... რა ვიცი...

ნაღდად ვუყვარდი. მისი დანახვისას ღმერთი გამახსენდა და თავი ჩავხარე.

— ვერაფერი მოახერხე ქალაქში?

— უღმერთო კაცმა რა უნდა ქნას?! — არაფერი უთქვამს. გიზოია დანანებით შესცქეროდა ჩემს სავალალო მდგომარეობას. რეპერს რომ არ გაარეპინებენ, წარმოგიდგენიათ, რა დღეში იქნება? ეეე! ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. ლაპარაკითაც ვეღარ ვლაპარაკობ, ჩემდა უნებურად ავაჩქარებ ხოლმე.

— მე გეტყვი მაგარს, — მითხრა თხის რძით მოვაჭრე გიზოიამ.

— რას? — ისე ვკითხე, დიდად არ მაინტერესებდა.

— მედავითნედ წაი!

— რაა?

— მედავითნედ! აი, ლოცვებს რომ კითხულობენ. მე დაველაპარაკები მამა ზოსიმეს, მაცხოვრის ტაძარში რომ არის.

— საად?

— მაცხოვრის ტაძარში, შემოქმედში.

— და რა?

— ლოცვისთვის არ მოგისმენია?

— არა.

— გარეპვას ჰგავს, ეგენიც ჩქარჩქარა კითხულობენ, გულს მაინც მოიოხებ.

— შენც ჩემსავით უღმერთო ხარ, ძამია, — ვუთხარი და გამეღიმა. — კარგი რა, სად მე და სად ეკლესია.

— მიდი, მიდი, მოკლედ, ვურეკავ მამა ზოსიმეს.

ღმერთს მთელი ცხოვრება ვემალებოდი და მეგონა, ბოლომდე ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ ახლა ჩემი ფეხით მივდიოდი მის სახლში. იმ ჩემი ცოდვით სავსე გიზოიას მოუტყუებია მამაო, ჩემზე უთქვამს, გამოცდილი მედავითნეაო. მრევლი გაფაციცებით მელოდა. ლოცვანი დავიჭირე და სხაპასხუპით დავიწყე, მღვდლები და მორჩილები კმაყოფილები შემომცქეროდნენ. შუა კითხვაში სულ დამავიწყდა, სად ვიყავი და რას ვკითხულობდი და... წავა2ჩე. თავიდან ვერ მიხვდა მამა ზოსიმე, მაგრამ რამდენიმე წამში ქეჩოთი გამომათრია. უღმერთო ვარ-თქო, ხომ ვერ ვეტყოდი, ხელები გავშალე და 2ჩ-ისფანი ვარ-მეთქი. მიდი, გააგრძელე, მაგრამ შენი გარეპილი არ დავინახოო. რა მექნა, ლოცვისას ტუჩებს ვიკვნეტდი და თავს ვიკავებდი. ფსალმუნის კითხვისას, რაც შემეძლო, სისწრაფეს ვუმატებდი და ემოციებს ვიცხრობდი. ერთხელაც, კინაღამ ისევ გამექცა ენა და რომ უნდა შემეყვანა, მამა ზენონმა მითხრა, იცოდე, ანაფორას გავიხდი და მაგრად გაგასილაქებო. უეჭველი გამხდელი იყო.

ასე გაგრძელდა ერთი თვე. უკვე სამი დღეა ეკლესიის ეზოში მარტო ვრჩები და ღმერთს ველაპარაკები, ცისანაზე ვუყვები. რეპერობა თითქმის გადამავიწყდა და ახლა, რაც შეიძლება ნელა, ვკითხულობ ფსალმუნებს. თუმცა, ყველა მეუბნება, შენი ნელიც ჩქარიაო. ერთი სული მაქვს ხოლმე, მარტო დავრჩე ღმერთთან და ცისანაზე ველაპარაკო. ნეტავ თუ ვუყვარვარ და ჩემთან თუ მოვა-მეთქი, სულ ამას ვეკითხები.

ერთი წლის თავზე მიპასუხა ღმერთმა; გუბაზოულის ხიდზე ცისანა ჩამეხუტა და მიყვარხარო მითხრა.

15 სექტემბერი
2010



ალექსანდრე ელერდაშვილი

გიორგი ბუნდოვანი

ჰოი...

მიყვარს იმდენად, რამდენადაც მიყვარდეს მძალმიძს...
მტკივა იმდენად, რამდენადაც უნდა მტკიოდეს...
ღმერთო, წმინდაო, შემეწიე და მეტად დამიც,
რათა რწმენაში ვერა განვძღე, მუდამ მშიოდეს!

გარნა ეს ჯვარი მსუბუქია, ან გარნა მძიმე?
მე ჩემსას ვზიდავ, რასაც მარგებ, ანუ მარგუნებ...
ფიქრების ურცხვის ჭაობია, გონების მღვიმე,
მაგრამ ვერაგნო, ამოდ იღწვით, ვეღარ მაცდუნებთ!

ტორტმან–ტორტმანით, ფორთხვა–როკვით ავივლი აღმართს...
სად თვალთა შენთა კოსმიური სიმხურვალეა;
ხელ მომიშვირე, შემეხიდე მრუშსა და წარმართს,
უფალო ჩემო, მოწყალება შენი მძლავრია!

ამ ნაგოგმანებ მარგალიტთა მირონი–სვეტი,
ამ ცის ალმასთა, ამ ლოცვათა ცრემლად კურთხევა...
იესუ ტკბილო, არღა მინდა არარა მეტი,
მხოლოდ შემინდე, მაპატიე ჩემი სულთნთხევა..!

როს წარვიწყმინდე, წარვიხოცე სულისა ბჭენი,
გავაქვესკნელე დასაბამით, რაც გიბოძია...
და ესე ჩემნი, უბადრუკნი, თახსირი დღენი,
როგორც ბუზები, უმიზეზოდ დამიხოცია!..

ჩემო მოძღვარო, ღმერთო, მწყემსო, სამებავ ერთო!
ამდენი ხანი სად გეძებდი თვალებდათხრილი?..
ბრმას აღმიდგინე მკვდარი ჩინი, ანთე სახმილი,
რომ სულიწმინდით დაოსილი ქაოსი ვკვეთო!...

სონეტი 061

კურთხეულ იყოს მარად ის დღე, ის თვე და წელი,
ის დრო და ჟამი, ის საათი და წამი ერთი,
ის კურთხეული მიწა-წყალი, ჩვენ ერთმანეთი
სადაც ვიხილეთ და შევიცან ტრფიალი მწველი.

კურთხეულ იყოს ის პირველი შეგრძნება წრფელი,
ის განცდა ტრფობის, ის ტკივილი ცხადი და მკვეთრი,
როგორც მახვილი ალესილი, ყველაფრის მკვეთი,
გულს რომ ეძგერა და რომ შეძრა არსება მთელი.

კურთხეულ იყოს ჩემს ლექსებში მიმობნეული
შენი სახელი - ერთადერთო ჩემო ღვთაება -
და ყველა ცრემლი ამ ლექსებზე გადმოფრქვეული...

კურთხეულ იყოს დღე, რომელმაც მოსპო ვაება,
აწ დიდებისკენ სავალ გზაზე ვდგავარ ეული
და ფიქრის ბადე თან მდევს, რაიც შენთვის გაება.

ფრანჩესკო პეტრარკა



გია მურღულია

უსახელო ადგილი

შენ მყავდი გვერდით, დროს პეშვით ვფშვნიდი,
ფიქრებს ვამტვრევდი ძველსა და ახლებს
და სოფლის გოგო, ცასავით მშვიდი,
ასეირნებდა უბრალოდ ძაღლებს.

სადაც ქვის სიტყვა სხვა ხმებზე მაღლობს,
შორს მოვიტოვეთ ხმაც გზატკეცილის,
ხე იდგა ერთი მინდორთან ახლოს,
სოფლის ბედივით თმაგაწეწილი.

მე და შენ ვგრძნობდით დუმილის მელოსს,
ცა იყო მხოლოდ კარგის მზრახველი
და ადგილს, ჩვენთვის მთლად უსახელოს
ერქვა ყველაზე დიდი სახელი.

ელეგრაფი ELEGRAPH

თეონა გოგნიაშვილი

პირველი ჟონცერტში აღებული შოკოლადები და ხიყვარული ვერონაში

„პერსონაში“ დღეს მსოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი თამარ ივერია. ნიჭიერი ხელოვანი, ბედნიერი ქალი და უბრალოდ, კარგი ადამიანი. თამარ ივერი, – ჯავახიშვილი მსოფლიოს სახელგანთქმული საოპერო თეატრების სცენაზე ხშირად გამოდის, მაგრამ როგორია მისი სცენის მიღმური ცხოვრება, ამას ახლავე შეიტყობთ

-ქალბატონო თამარ, თქვენი თანდაყოლილი ნიჭის გამო თავიდანვე წარმატებული ცხოვრების იმედი თუ გქონდათ?

-საერთოდ, ცხოვრებაში არასდროს 100 პროცენტით დარწმუნება არ მჩვევია. არც გარანტიები არსებობს იმისა, რომ კარიერა და შემოქმედებითი გზა წარმატებით ჩაივლის. შემოქმედებით გარანტიებზე რა მოგახსენოთ და,- ადამიანი სახლიდან რომ გადის, უკან ცოცხლად დაბრუნების გარანტიაც არა აქვს. ჩემს შემთხვევაში, პროგნოზები უფრო ბუნდოვანი იყო. რა თქმა უნდა, ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვიყავი, ის

➲ გაგრძელება ოცდაშვიდე გვერდზე

ნუცა დეჯანოზიშვილი

ყველაფერზე

როგორ უნდა ხდებოდეს, რომ
გავდიოდეთ ერთ დღეს და აღარ
მოვდიოდეთ.
თვალს ვარიდებდეთ ჩავლილ
სიყვარულს -
როგორც ნაჩვევ სისუსტეს,
ნაჩვევ ხილვებში.
როგორ უნდა ხდებოდეს,რომ
არ განაღვლებდეს გაზაფხულის
არც ერთი კვირტი -
გითვალთვალებდეს ტალახიანი
თებერვალი -
ნოემბრის მოყირჭებული ძაძებით.
როგორ უნდა ხდებოდეს,რომ
გავდიოდე და გარეთ ვეძებდე ჩემს
გულს,
გავდიოდე და გარეთ ვეძებდე
თვალებს,
გავდიოდე და გარეთ გეძებდე.
როგორ უნდა ხდებოდეს,რომ
მემატებოდე და მეკლდე,
მყავდე და არ იყო,
ვიყოთ და არ ვიყოთ,
და იყოს - იყო და არა
იყო რა - ყოფნასა და არყოფნას
შორის
ჩვენი ლანდები,
გაზაფხულის უტიფარი ჭორფლები
ცაზე და
იყვირე! იყვირე! იყვირე!
მაინც ვერავინ ვერაფერს გაიგებს -
ერთი მერცხალიც არ მოსულა -
ფრუსტრირებული გაზაფხულია,
და ჩემს სიმღერას გიყვები:
როგორ უნდა ხდებოდეს,რომ
გული მწყდებოდეს,რეჩხი მიყოს,
გული მტკიოდეს,
ყელში მწვდებოდეს მოფართხალე
სიცოცხლის გვამი.
მაქანავებდეს გაზაფხულის ნედლი
სიო და
მთლიანი მიწა, შეჩვეული,
მიღირდეს რამედ,
ხელს მიშვებდე და არ მტკიოდეს და
ვიდგე მაინც აქ,
ხელს გჭიდებდე და მეყრდნობოდე
და მთები იძვროდნენ,
მანადგურებდეს ღამის ხილვა, რომ
ბავშვი წაიქცა,
დღისით - ახდენა,- ხელს გიშვებდე
და სადღაც მივრბოდე,
მოხდა მაისი. ვწერ არსაიდან - გაყ-
იდულ ლექსებს,
მოხდა მაისი - ვარდის შაბათი -
თითქოს მე ვმღერი.
თითქოს შენ ისევ დგახარ და ჩქარ-
ობ. გიყურებ , მესმის.
ვდგავარ და ვტირი. ვდგავარ და
ვგლოვობ - გაყიდულ ლექსებს.
როგორ უნდა ხდებოდეს,რომ
დარდი მჭამდეს- დაბადების,
სისხლი მკბენდეს- შხამიანი,
და სამშობლო - გადამდები,
დარდით მჭამდეს ცა და მდელო,
და მიყვარდე - მახრჩობელა,
ჩემო მკვლელო- საქართველო!
როგორ უნდა ხდებოდეს ,რომ
ბავშვები ჯგუფებს უკვდებოდეთ,
ბავშვები ხროვებს უკვდებოდეთ,
მაგრამ
ბავშვი სამშობლოს არ უკვდე-
ბოდეს!
როგორ უნდა ხდებოდეს,რომ
დავდიოდე და ვეძებდე საშველს,
დავდიოდე და არ იყოს არსად,
დავდიოდე და აღარ მტკიოდეს
დაღლილი რასა.
გავდიოდეთ და სახლებს გმანავდ-
ნენ,
ვბრუნდებოდეთ და ფანჯრებს
ქოლავდნენ,
მუხლზე ვიდგეთ და აღარ გვის-
მენდნენ,
დავეძებდეთ და ჩუმად მალავდნენ -
მალავენ რასაც...
როგორ უნდა ხდებოდეს,რომ
იყოს გაზაფხული,
შენ ჩემს გვერდით იდგე და
მე ამ ლექსს ვწერდე...

პირველი კონცერტში აღებული...

თეონა გოგნიაშვილი

➲ *ოცდამეცხრე გვერდიდან*

იყო, რომ ლამაზი და ხარისხიანი ხმა მქონდა. თუმცა, ისიც ვიცოდი, რომ გქონდეს ასეთი ხმა იმას ნიშნავს, რომ სახლში "შთ!ჭ & შშ" ძვირფასი როიალი გედგას. ასეთ "როიალზე" რომ „დამეკრა", ამისათვის ბევრი ვიშრომე. თუნდაც ის რად ღირს, რომ ორ ურთულეს – ვერდისა და მოცარტის კონკურსებზე გავიმარჯვე. ჩემს მონაცემებს ყოველთვის ობიექტურად ვაფასებდი და ყოველთვის ვიცოდი, რაც მსურდა. თუმცა, გულახდილად გეტყვით, დღემდე მოულოდნელობებით ვცხოვრობ.

- როგორც ვიცი, ბავშვობა გაგრაში გაატარეთ, იმ შორეული წლებიდან რას გაიხსენებდით?

- ვერ ვიტყვი, რომ უზრუნველი ბავშვობა მქონდა, მაგრამ ძალიან კარგად მახსენდება. ჩვენი ოჯახი ყოველთვის ხელფასზე ცხოვრობდა. მახსოვს, მარწყვი და „დათუნია" შოკოლადი საკმაოდ ძვირი ღირდა და ასეთი ტკბილეულით პირის ჩატკბარუნება ჩემთვის იშვიათი ამბავი იყო. ბავშვობას, ძირითადად, ჩემს ოჯახთან ერთად გაგრაში ვატარებდი და ამიტომ იყო, აფხაზეთის დაკარგვას საოცრად განვიცდი. დაუოკებელი სურვილი მაქვს, იქ ჩავიდე. ოღონდ, ნამდვილად არ მინდა, რომ გაგრაში "საცოდავად მოკუნტული", ან ქურდულად ჩავიდე და საკუთარი ჩრდილისაც მეშინოდეს. მინდა, ჩემს ქალაქში ამაყად დავბრუნდე, როგორც ქართველს შეეფერება და იქ დარჩენილი მეგობრები მოვინახულო. ბავშვობა ასევე კიკეთში, ჩემს ბიძაშვილებთანაც გავატარე. მახსოვს, კიკეთში და თბილისში, ბებიასთან, იტალიურ ეზოში ბავშვებთან ერთად კონცერტებს ვმართავდით. ვითომ სცენის ფარდად დიდი გადასაფარებელი გვქონდა და მას ეზო-ეზო დავატარებდით. დაახლოებით ისე, როგორც ეს „იმერული ესკიზებია". ამ კონცერტებზე ხან მართლა ვმღეროდით, ხან კი იტალიური ესტრადის მომღერლების ფირფიტებს ვუკრავდით და ჩვენ მარტო პირს ვაღებდით ზოგჯერ ფირფიტა გაფუჭებული იყო და ერთსა და იმავეს იმეორებდა. ამისათვის "ხმის ოპერატორად" მეზობლის ქურთის ბიჭი გვყავდა, რომელსაც ფირსაკრავის ნემსის მოწესრიგება ევალებოდა. ჩვენი კონცერტის „ჰონორარი" მეზობლების მოტანილი ვაშლები, მანდარინები და შოკოლადები იყო. ასეთი გახლდათ ჩემი პირველი "ბიზნესი" და მოხეტიალე "მუსიკოსთა" ჯგუფი.

- ქალბატონო თამარ, მსმენია, რომ მამის გარდაცვალებას ძალიან განიცდით. ის თქვენი საუკეთესო მეგობარი იყო

- მართალი ხართ მამა ჩემი ბავშვობის საუკეთესო მოგონებაა, არის და ალბათ იქნება. ის, რამაც დაღი დაასვა ჩემს ცხოვრებას,- მამის გარდაცვალება იყო. მისი სიყვარული და მასთან გატარებული წლები სიცოცხლის ბოლომდე თან გამყვება. მამა ოპერის მომღერალი და ჩემი პირველი პედაგოგი იყო, განუყრელად ერთად ვიყავით, უერთმანეთოდ ცხოვრება არ შევგეძლო. სამწუხაროდ, ვერაგმა წუთისოფელმა იგი 19 წლის ასაკში გამომაცალა. დღესაც ვერ ვწერ მასზე ცრემლებისა და აღელვების გარეშე.

-ფიქრობთ, რომ ფატალისტი ხართ თუ საკუთარ ბედს თავად განაგებთ?

-კარგა ხანი არ მჯეროდა და მიმაჩნდა, რომ ადამიანი თავად არის საკუთარი ბედიღბლის მჭედელი. სადღაც ასეცაა, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ისეთი მომენტებიც იყო, როდესაც საბედისწერო ნაბიჯი გადამიდგამს და ამა თუ იმ ქალაქში მოულოდნელად აღმოვჩენილვარ. თავად ჩემი მეუღლის გაცნობაც ბედისწერის ამბავი იყო. თუმცა, ბედისწერა მხოლოდ კარგ მოულოდნელობას არ ნიშნავს, ბედმა შეიძლება, ძალიან ცუდი "სიურპრიზიც" მოგიმზადოს. ასე რომ, ცხოვრებაში არ მიყვარს არანაირი საბედისწერო მომენტები, კარგი ან ცუდი "სიურპრიზები". წყნარად ცხოვრებას არაფერი სჯობს. დაცდილი მაქვს, რაღაც ძალიან კარგი სიურპრიზის შემდეგ იმ სიურპრიზს "ხურდაში" რაღაც საწყენი უნდა მოყვეს. ასე რომ, ო თჰანკს

- ბანალური შეკითხვა უნდა დაგისვათ: რომელ როლში გრძნობთ თავს კარგად?

- ყველა ჩემი როლი ძალიან მიყვარს და ყოველმა მათგანმა ჩემზე კვალი დატოვა. ჩემი სამსახიობო შესაძლებლობები ყველა როლმა სხვადასხვა კუთხით დამანახა. მაინც გამოვყოფდი პუჩინის "სუორ ანჯელიკას," "ბოჰემას","ჩილეას," "ადრიანა ლეკუვრერს," ვერდის "ოტელოს"(დეზდემონა), „დონ კარლოსს" (ელისაბედი), ჩაიკოვსკის "ევგენი ონეგინს" (ტატიანა) საერთოდ, ჩემს საშემსრულებლო ტექნიკაზე მუშაობას დღესაც ვაგრძელებ, რადგან ოპერის მომღერლისთვის ეს ძალიან

➲ *გაგრძელება ოცდამეთერთმეტე გვერდზე*

პირველი ჟონცერტში აღებული შოუოლადები და ხიყვარული ვერონაში

თამარ ივერი (ჯავახიშვილი)

➲ *ოცდაშვიდე გვერდიდან*

მნიშვნელოვანია. ისევე როგორც მანქანას სჭირდება ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერება ამ დაძაბულ პროფესიაში, ასევე ჩვენც "მანქანებად" ვართ ქცეულნი. ჩვენი ყელიც იღლება, ცვდება და, როგორც ჩვენი კაცები იტყვიან, „ტექდათვალიერებას" საჭიროებს

- ქალბატონო თამარ, გაიხსენეთ ადამიანები, რომელთა წყალობითაც მომღერალ თამარ ივერს მსოფლიო იცნობს?

- ეს ჩემი პედაგოგების დამსახურებაა პირველ პედაგოგად და დიდ მრჩევლად დღემდე მამა რჩება.მან აღმზარდა მომღერლად, სცენაზე დგომა და თავის მართვაც მამამ მასწავლა. საქართველოში გოჩა ბეჟუაშვილის ვოკალურ კლასში ვსწავლობდი,- ალბათ ძნელად თუ მოიძებნება დღევანდელ თბილისში ოპერასა და ვოკალზე უფრო შეყვარებული კაცი. კამერულ მუსიკას ასევე ძალიან ერუდირებული ქალბატონი ივეტა გერსამია მასწავლიდა. მერე ევროპაში მეცადინეობა ცნობილ პრიმადონა ილეანა კოტრუბასთან განვაგრძე, რომელიც თავის დროზე, მოცარტის კონკურსის ჟიურიში იყო და ჩემით აღფრთოვანდა. მასთან დღემდე ვმეგობრობ.

- როგორია თქვენი ცხოვრება სცენის მიღმა და ბედნიერი ქალის როლს თუ ირგებთ?

- პირადი ცხოვრება ოპერის მომღერლის ერთ-ერთი თანამდევი ფაქტორია. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების დაძაბული და მომთაბარე ცხოვრების გამო პირად ცხოვრებაში ბედნიერ მომღერალ ქალებს სულ უფრო იშვიათად ვხედავ. მამაკაცებისთვის უფრო ადვილია, რადგან ქალი ბავშვებს ზრდის და სახლში ოჯახის მოსავლელად დარჩენა შეუძლია. აი, მომღერალ ქალებს კი ამ მხრივ ძალიან უჭირთ, რადგან ასეთი ხელშემწყობი მამაკაცის პოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ მხრივ მე ბედისწერამ ისეთ ჰუმანურ და ჩემი პროფესიის გამგებ ადამიანთან შეხვედრა მარგუნა, როგორიც ჩემი მეუღლეა ასე რომ, წარმატებული მომღერალი ბედნიერი ქალიც არის ხოლმე.

- ერთმანეთი თურმე სიყვარულის ქალაქში გაიცანით

- რაული რომეო და ჯულიეტას სიყვარულის ქალაქში, ვერონაში, პუჩინის ოპერა „ტურანდოტში" ლიუს პარტიის სიმღერის დროს გავიცანი. მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობთ, ხშირად ვიყოთ ერთად, იგი გაგებით ეკიდება იმ ამბავს, რომ 1 ან 2 თვე შეიძლება სამუშაოდ მისგან შორს ყოფნა მომიწიოს. საბედნიეროდ,დღეს ისე განვითარდა კომუნიკაცია, რომ ინტერნეტის მეშვეობით ერთმანეთთან მაინც ყოველდღიურ კონტაქტში ვართ და კილომეტრებიან სიშორეს ვერ ვგრძნობთ. მეც, რა თქმა უნდა, აბსოლუტური გაგებით ვეკიდები იმას, რომ მეუღლესაც მისი სამსახურებრივი საქმეები აქვს.

- ამბობენ, საოცარი ქორწილი გქონიათ საქორწილო სუფრასთან ძველებური პატარა გემით მიცურდით..

- დიახ, ქორწილი მართლაც ლამაზი გამოგვივიდა, საოცარი სანახაობა იყო და დღემდე ახსოვთ. თუკი ვინმე საყვარელი მეგობარ-ახლობელი მყავდა თბილისში, ჩემთვის ამ ბედნიერ დღეს ყველა მინდოდა ჩემს გვერდით მენახა. ვფიქრობ, ჩანაფიქრი ჩინებულადაც გამომივიდა. შემეძლო, სადმე ევროპაში, ისევე როგორც მოდაშია, ჯვარი სადმე ზღვის ნაპირზე, რომანტიკულად დაგვეწერა. მერე კი სურათები სოციალური ქსელებში დამედო, მაგრამ ვფიქრობ, სადაც ფეხი აიდგი, სადაც შენი საახლობლო წრეა,- ეს დღეც იქ და მათთან უნდა გადაიხადო. ამიტომ ქორწილი კლასიკურად და ქართულად გადავიხადეთ. შესანიშნავი მუსიკოსების, მოცეკვავეების, ჩემი ძვირფასი კოლეგების და მეგობრების ფანტასტიკური კონცერტის თანხლებით. იმ დღეებში იმდენი ვიქაქანე ტელეფონებზე და მეგობრებთან სტუმრად მისულმა, რომ ქორწილზე სასიმღერო ხმაც არ მქონდა. ეს ამბავი დღემდე ხინჯად მაქვს გულში

- სინანული თუ გჩვევიათ და რას ნანობთ ხოლმე?

- ვნანობ იმას, რომ გულით ყველაზე საყვარელი ადამიანები, მხედველობაში მამა და უსაყვარლესი ბებია მყავს, ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ სცენაზე ჩემი სერიოზული ნამღერი ვერ იხილეს. გულზე მაწევს ის, რომ ამა თუ იმ სპექტაკლში მამა ჩემს წარმატებასა თუ აპლოდისმენტებს ვერ ხედავს. იმასაც ვნანობ,რომ დედაჩემი უკვე ასაკშია და ზოგჯერ თვეები გადის ისე, რომ ვერ ვნახულობ. მე დედისერთა ვარ და იგი ისეთი მეტისმეტად მზრუნველი ადამიანია, რომ სიბერეში ასე პერმანენტულად მარტო ყოფნას არ იმსახურებს, სამწუხაროდ, ვერაფერს ვცვლი. ის მამშვიდებს, რომ რაული, ბიძაჩემი და ჩემი ახლობლები მას მარტო დარჩენის საშუალებას არ აძლევენ. თუმცა, ვიცი, რომ მისი თამრიკოს გვერდით ყოფნა ყველაფერს ურჩევნია. რას ვიზამთ, დღეს, საოპერო მომღერალს ამ სამყაროს მკაცრ და დაუნდობელ "საბაზრო"პირობებში ისედაც მოკლე კარიერა აქვს. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მოვლენების ეპიცენტრში ვიყოთ. დღეს აღარავინ იწუხებს თავს შორეული ქვეყნებიდან მომღერლის მიწვევაზე. ამ საქმეში სულ "ადგილზე", ანუ ევროპაში უნდა იყო.

- გაიხსენეთ შემთხვევა, რისი გახსენებაც გაღიმებთ

- რა ვიცი, უცნაურ და სახალისო ამბებს რა დალევს?იმდენია, რომ როგორც წესი, უცებ არ მახსენდება ხოლმე. თუმცა, ბოლოს მაინც ერთი ამბავი დამამახსოვრდა: ერთხელ, ამერიკაში ჩავედი და აეროპორტში ქართველი მძღოლი დამახვედრეს. ძალიან კარგი ადამიანი და კარგი მოსაუბრე იყო, მთელი გზა მელაპარაკებოდა,თან სულ იმეორებდა: რა ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით,- ჩემს შვილს ძალიან უყვარხართო. მოკლედ, მთელი გზა მაქებდა და მადიდებდა. ბოლოს, სახლთან რომ მიმიყვანა, მეუბნება: აბა, ქალბატონო თამარ, დიდ წარმატებებს გისურვებთო. დიდი მადლობა მეთქი,- ვუთხარი. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე შემოტრიალდა და მეუბნება: ისე, დამავიწყდა მეკითხა: რა დარგში მოღვაწეობთო ამ ნათქვამით თითქოს, ცივი წყალი გადამესხა. ვეკითხები: კი მაგრამ,მთელი გზა მელაპარაკებით, რომ ჩემთან შეხვედრით ბედნიერი ხართ და გამოდის, რომ არც მიცნობთ მეთქი?. ამაზე დაიბნა და ასე მიპასუხა: "რა ვიცი, გენაცვალე, ჩემს 5 წლის გოგოს უყვარხართ, თქვენთან რომ მოვდიოდი, ასე მითხრა: ეს გოგო ვიცი, ამას წინათ, „ვანოს შოუში" იყო და ძალიან ბევრი მაცინაო. მეც იქიდან გიცნობთო". ალბათ მიმიხვდებით, რა რეაქციაც მექნებოდა

- ამგვარ ქათინაურს ალბათ მიჩვეული ხართ: ყოველთვის საუკეთესო ფორმაში ხართ..

- ყოველთვის ვერ ვარ ფორმაში. წონის „უპ ანდ დოწნ"-ის პრობლემები მაქვს. გინდ თეთრი შური დაარქვით, გინდ შავი, მაგრამ მშურს, რომ ზოგ ადამიანს შეუძლია ყველაფერი ჭამოს და მაინც არ გასუქდეს. მე კი ჭამა კი არა, საკმარისია, საკვებს დავყნოსო, რომ უკვე "ჯანში მიმდის". სულ ვებრძვი ჭარბ წონას. ჩემი ცხოვრების რიტმს უნდა ვუმადლოდე, რომ ასე თუ ისე, მკვეთრად არ ვიმატებ. მომღერლებს ძალიან ცუდი დღის რეჟიმი გვაქვს, რეპეტიციებს შორის ზოგჯერ ნახევარი, ან ერთი საათი გვაქვს, და თუ თეატრში ბუფეტი არ არის, ისე შუადღეს ჯანმრთელი საკვებით კვებას ვერ ვასწრებთ, ამიტომ სენდვიჩებზე იოლად გადავდივართ, რაც ძალიან ცუდია ჯანმრთელობისათვის. ასევე ბევრს ვერ ვჭამთ სპექტაკლამდე, რათა სცენაზე კუჭი არ დაგვიმძიმდეს. სამაგიეროდ, რომ განახათ, სპექტაკლის მერე, ღამის 11 საათიდან ეს ოთხმოქმედებანამღერი ხალხი,- დამშეული მგლების "ჯგუფი" ახლომახლო რესტორნებს როგორ შევესევით ხოლმე.. კიდევ კარგი, ბოლო დროს ჩემს საყვარელ "ჯგუფს" გამოვეყავი და სპექტაკლის მერე ვდიეტობ. შიმშილი იოგურტით გადამაქვს, კოლეგები მებუზღუნებიან: ჩვენთან ერთად წამოდი, მაგიდა შეკვეთილიაო, მაგრამ მე თავს ვიკავებ.სამაგიეროდ, ჯანმრთელობის მხრივ შედეგი უკეთესია.

- როგორი დისახლისია თამარ ივერი?

- გეტყვით, რომ კარგი დიასახლისი არ ვარ. სახლიდან სულ გასული რომ ვარ, საჭმელსაც გარეთ ვჭამ. საერთოდ კი მსუბუქი საჭმელების კეთება ვიცი. თუკი რამე გამიკეთებია, ჩემს მეუღლეს ძალიან მოსწონებია. ვაღიარებ, რაული ჩემზე კარგი მზარეულია. მას 10-12-კაციანი სუფრაც გამოუკვეთია ხოლმე. ფანტასტიკურად იცის სტეიკების და ხორცპროდუქტების კეთება. მე კი უფრო გამზადებულის ცმუცნვა მეხერხება მთავარი ცხოვრებაში არის სიკეთე, ოჯახი და სიყვარული. ეს ორი რამ ადამიანის სულს ამშვიდებს და ბედნიერს ხდის.

- ფრაზა რომელსაც ხშირად იმეორებთ რომელია?

- ძირითადად, დღის განმავლობაში, რასაც ხშირად ვიმეორებ არის "ბა"(ასე ვეძახი რაულის) და "სისი-ცუუც" (ჩემი პატარა ცუგა სულ თან დამყავს, ქუჩაში, ხან რას ეტანება, ხან რას, და ეს ფრაზა "სისი ეს არ შეიძლება" -ს ნიშნავს.ეს მარტო მე და სისიმ ვიცით..

– ახლობლები გახასიათებენ, როგორც უანგაროდ კეთილ ადამიანს და მტრები თუ გყავთ?

როდესაც შენთვის ძვირფას ადამიანებს სიკეთეს უკეთებ და ეს თავად შენც გსიამოვნებს, როდესაც გარშემომყოფებისგან დიდ და უანგარო სიყვარულს გრძნობ,- ეს შენც გაძლიერებს. ამის მერე უკვე საერთოდ აღარ განაღვლებს ის ფაქტი, რომ სახლის გარეთ ვიღაც შენი მტერია, ვერ გიტანს,შენი შურს, არ უყვარხარ და ა.შ. ვერ მაჩვენებთ თუნდაც ერთ, თავის საქმეში წარმატებულ და მოსიყვარულე ოჯახში მყოფ ადამიანს, ვინც ვინმეს მიმართ ბალღამს აფრქვევდეს.ეს საქმე უფრო გაბოროტებული და ხელმოცარული ადამიანების თვისებაა

-ქალბატონო თამარ, ხელოვნებაში მთავარია ნიჭი, შრომა

- ხელოვნებაში მთავარი არის ტალანტი. შემდგომ კი მასზედ აგებული შრომა, ინტელექტის, არტისტიზმის და შემოქმედებითი ფანტაზიის განვითარება. ეს ისევეა, როგორც ალმასს ამუშავებენ, რათა მისგან ბრილიანტი მიიღონ. თუმცა ტალანტიც იმას ნიშნავს, რომ ალმასი ხარ და შენგან ბრილიანტად გადაქცევის "პერსპექტივა" არსებობს. ტალანტის გარეშე კი, არაფერი გამოვა: ცირკონი ამუშავე რამდენიც გინდა,- მისგან ბრილიანტს მაინც ვერ მიიღებ.

ᩩᲔᲛᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ

ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐᲡᲐᲕᲘᲗᲐᲐ:
მივდივარ,
ვბრუნდები,
მივდივარ
და ისევ:
ვბრუნდები...
თითქოს აღარაა სხვა გზა,
ათიათასჯერ გავლილი გზის
გარდა...
და ეს დადგენილი წესი
უკვე ტრადიციად მექცა...
და სულ მგონია, რომ:
თუკი ერთხელაც არ დავბრუნდი,
თუკი ერთხელაც
გადავუხვიე ათიათასჯერ
გათელილ ბილიკს
სამაგიეროს გადამიხდიან
ისინი –
გზები,
თუ ბილიკები,
სამაგიეროს გადამიხდიან,
არ მიმიღებენ,
ვარდებს ბარდებად გადამიქცევენ,
ასფალტებს –
ორმოდ,
ქვებად მიქცევენ ტრასას,
ლოდებად –
არ მიმიღებენ;
არასოდეს მაპატიებენ:
გადავიწყებას,
ღალატს,
ტყუილსაც...
ამიტომ ისევ იმავე გზებით,
იმ ბილიკებით,
რომელიც ერთხელ
ტრადიციად გადავიქციე,
მივდივარ,
ისევ ვბრუნდები უკან,
ისევ მივდივარ
და კვლავ ვბრუნდები...
ბედისწერაა ეს ახლა უკვე...
ბედისწერაა

* * *

დაბრუნება უკან ბილიკით,
ათიათასჯერ რომ გავთელე
კარგა ხანია...

ᲜᲘᲜᲘᲯᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲫᲔ

ᲥᲔᲗᲘ ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲘ

„მეოთხე წელია, რაც აქტიურად ვკითხულობ გზაში და თითქმის ამდენივე ხანია, მინდოდა მქონოდა ბლოგი, სადაც გზაში წაკითხულ წიგნებზე დავწერდი. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ წლების შემდეგ საინტერესო იქნება ასეთი ჩანაწერების არქივის გადახედვა და საკუთარი აზრის გახსენება ამა თუ იმ წიგნის შესახებ. ბლოგის შექმნისთვის ხელს მხოლოდ სიზარმაცე მიშლიდა – ვთვლიდი, რომ რეცენზიები ვრცლად უნდა დამეწერა, ეს კი ჩემი საქმე არ არის, დრო არ მაქვს და არც მსურს. მართლაც, რატომ უნდა ვწერო ასე? არსებობს არაერთი ქართული ბლოგი, სადაც წიგნებზე ვრცლად საუბრობენ, ამიტომ მე ცოტა განსხვავებული ვიქნები და დავწერ: რა წიგნი წავიკითხე, რა დამიტოვა და როგორ შევაფასებდი 5 ბალიან შკალაზე. ვიქნები ლაკონური. ბევრს დავწერ იმ შემთხვევაში, თუ სიტყვები თავზე ჩამომეფანტება, ანუ ძალიან მომინდება ბევრი ლაპარაკი და თავს ვერ შევიკავებ...

იმედი მაქვს, ბლოგის მკითხველები ჩაერთვებიან ყოველი პოსტის ქვეშ დართულ გამოკითხვაში და, თუკი წაკითხული აქვთ პოსტში ნახსენები წიგნი, შეაფასებენ მას; კომენტარებში კი თავის შთაბეჭდილებასაც გამიზიარებენ. ძალიან გამიხარდება, თუ ჩემს მკითხველებს რომელიმე კონკრეტული წიგნით დავაინტერესებ, ან შესაძლოა, მათგან მივიღო რჩევები საინტერესო წიგნების შესახებ“ – ვწერდი თითქმის ერთი წლის წინ, როდესაც ბლოგი შევქმენი.

დღესდღეობით არა მხოლოდ ბლოგი, ამავე სახელწოდების რადიოგადაცემაც არსებობს – ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტ–რადიომ მომცა საშუალება, მქონდეს საავტორო გადაცემა “გზაში წაკითხული წიგნები”, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი.

* * *

ჩეხ მწერალს, მილან კუნდერას, ქართველ მკითხველთან წარდგენა ალბათ არ სჭირდება თუნდაც იმ ერთი, სავიზიტო ბარათის მსგავსი რომანის გამო, რომელსაც "ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე" ჰქვია. 1975 წლიდან საფრანგეთში ემიგრირებული მწერლის წიგნებში ავტორის პირადი ცხოვრების ტკივილი თითქმის არასდროს იმალება. ასეთი ტკივილისა და სათქმელის წიგნია "შეუცნობელიც", რომელიც კუნდერას ერთ–ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება. რომანში კუნდერა ემიგრაციისა და პოლიტიკურ თემებს ეხება. წიგნი 2000 წელს გამოქვეყნდა, ქართულ ენაზე კი გამომცემლობა "დიოგენემ" დაბეჭდა.

"შეუცნობელის" მთავარი გმირები 1968 წელს, საბჭოთა ჯარის მიერ ჩეხოსლოვაკიის ექსპანსიის გამო სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანები – ირენა და იოზეფი არიან. კუნდერა გმირების დახასიათებისას, ჩვეულებისამებრ, მენტალურ პროცესებს მიჰყვება, მათ გრძნობებსა და ქმედებებს ფსიქოლოგის თვალით აკვირდება და ხსნის. ეს არის წიგნი ჰომეროსის ოდისევსისეულ (რომელსაც ავტორი არაერთხელ ახსენებს წიგნში) "დიდ დაბრუნებაზე", ანუ სიცოცხლის დასასრულთან შერიგებაზე. სურთ კი კუნდერას გმირებს ეს შერიგება? იქნებ ემიგრანტული თავგადასავლის უსასრულობა ურჩევნიათ?

წიგნი იწყება ჩეხი ემიგრანტის, ირენასა და მისი ფრანგი მეგობრის, სილვის, დიალოგით. მას შემდეგ, რაც ემიგრანტის სამშობლო ოცწლიანი ტირანიისგან გათავისუფლდა, მიმღები ქვეყანა უხერხულად იშმუშნება შეფარებულის მოსაცილებლად. მიმღები ქვეყნის სახეა სილვი, რომელიც ირენას წინ ბილბორდად იქცევა და მას "დიდი დაბრუნების" აუცილებლობას აუწყებს. გაცილებით რბილი ფორმა აქვს ირენას საყვარლის, გუსტავის, მოთხოვნას დაბრუნების შესახებ. გუსტავს მიაჩნია, რომ საყვარელ ქალს სამშობლოში დასაბრუნებლად დახმარება სჭირდება და ცდილობს, გზის გამკვალავი თვითონ იყოს. არავინ სვამს კითხვას, რა ურჩევნია ირენას. უარყოფით პასუხს აქ არ განიხილავენ. ორივე მხარე, მშობლიურიცა და მფარველიც, არ სცნობს ემიგრანტის ცხოვრების ოც წელს. ისინი მოითხოვენ ამ წლების წაშლასა და წარსულის მომავალთან მიკერებას "ისე, თითქოს მკლავს კვეთენ და მტევანს პირდაპირ იდაყვზე ამაგრებენ; ისე, თითქოს წვივს კვეთენ და ტერფს პირდაპირ მუხლზე უბამენ".

იოზეფი სამშობლოში დაქვრივების შემდეგ, დანიიდან ბრუნდება. მისი გრძნობები ძალიან ჰგავს ირენას გრძნობებს. მათ ემიგრანტობის ერთნაირი გზა გაიარეს – მსგავსი სიზმრები, შიშები თუ იმედები ჰქონდათ. ეს ორი პერსონაჟი ერთმანეთს ავსებს, როგორც ვაშლის ორი ნაწილი.

წიგნში რამდენიმე ძალიან შთამბეჭდავი სცენაა, მათ შორის – ირენასა და იოზეფის შეხვედრები ახლობლებთან. სცენები დამოუკიდებლად ვითარდება, მაგრამ ბევრი საერთო აქვთ. ირენას შესახვედრად რესტორანში შეკრებილი მეგობრები მხოლოდ ოცი წლის წინანდელ ირენას ხედავენ, იმდროინდელს, როცა სუფრაზე ჩადგმული ფრანგული ღვინო მათ შორის საზღვარს არ ავლებდა. ამიტომაც არაფერს ეკითხებიან ემიგრაციაში გატარებულ წლებზე. ირენას ტანჯვა ითაკეში დაბრუნებული ოდისევსის ტანჯვას ჰგავს, რომელიც ამაოდ ელოდა თხოვნას: "მოგვიყევი!.."

ირენას მსგავსად, ძმასთან მისულ იოზეფსაც არაფერს ეკითხებიან განვლილი წლების შესახებ. კითხვები მხოლოდ სამშობლოში გატარებულ წარსულსა და გასატარებელ მომავალს ეხება. ძმის ოჯახს ეშინია, რომ იოზეფი ბინის კუთვნილ წილს ან რაიმე ნივთს მოითხოვს, რაც აუტანლად ცივს ხდის შეხვედრას. იოზეფი ახლაც ისეთივე შორეული და არასასურველია უახლოესი ნათესავებისთვის, როგორც წასვლის წინ.

ეს წიგნი, პირველ რიგში, ალბათ იმ ემიგრანტებისთვისაა, რომლებსაც სამშობლოსთან დაკავშირებით ირენასა და იოზეფის მსგავსი იმედები აქვთ. გზავნილი, რომელსაც ავტორი ტოვებს, იმედგაცრუებისგან დაიცავს შინდაბრუნებულებს: "ვისაც უგულოდ ემშვიდობებიან, დაბრუნებისას ბევრს არაფერს უნდა ელოდეს". შინ დარჩენილებს კი იქნებ ემიგრანტებისთვის ნანატრი კითხვა დაასმევინოს: "მოგვიყევი!"

5 ქულა.

ნათლობაში

(რითმული პროზა)

— ნათლობას ვიყავ ერთხელ დიდ ტაძარში, მცირედ გვალოდინეს თუ დიდხანს,დროის გასაყვანად ეზოში გავედი, ტაძარს გარს უვლიდი დინჯად. ვტკბებოდი ქვათა ჩუქურთმებით,ხელით ვეხებოდი ქვასაც,ზედ საფლავებზე ისე ვალაჯებდი გუმანში არა მქონდა არცა ჩირად. იქვე ნანგრევებთან მოხუცი დამჯდარიყო ყავარჯენს დაყრდნობილი ხელით. ყველა იქა მყოფთ აკვირდებოდა ზვერვით.ალბად დავიღალე ,დაჯდომა მომინდა,ალაგიც არსად სჩანდა საფერი და მეც მიუჯექი გვერდში იმ ბერიკაცს და "გამარჯობა" –თქო უთხარი. არ მოუხედავს ,პასუხი წამოსცდა, "გაგიმარჯოსო" ძლივს გასაგონად ხურდად მომიგდო მგონი.კრინტი არ დამიძრავს მუხლებს ვასვენებდი,ალბად დავიღალე ძლიერ,"ცოტა ხანს დავრჩები და მერე კი წავალ" ფიქრმა გამიელვა უცებ.

-ვინა ხართ ბატონო,აქ რამ მოგიყვანა?მლოცველი არა ხარო მგონიმკადრა მოხუცმა.

-არა ბატონო,მლოცველი არა ვარ,ნათლობას მოვედი თქო მხოლოდ.

—თვალმოსეირე ჰყოფილხარ – დასძინა მძიმედ და დუნედ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით ჩემო ბატონო? –კითხვა დაუბრუნე უმად.

— ლოთი ვარ ,აბა ვინ ვიქნები? არაყში ვეძებო შველას.

— მერე თუ გშველით?

—არა,მე ვშველი,დარდთან ერთად მეც ვიძირებიო შიგ.მხოლოდ ვერ გეტყვი დარდს მე ვიქარვებ თუ დარდი მიქარვებს,პასუხს ვერ გეტყვი მაინც.

— პოეტიც ჰყოფილხართ,ლამაზად გამოგდით სიტყვა კაზმული ენით.

—არა ბატონო , სიმარლეს ვამბობ სვე გამწარებული ბედით.

— ასეთი რა მოხდა არაყში რომ ახრჩობთ დარდებს?

— ვერ ვახრჩობ,მე თვითონ ვიხრჩობი,მძიმეა ეს სული ჩემთვის,დარდი კი თევზივით ბანაობს,თევზი არ იღრჩობა წყალში.

— "წასვლის დრო მოვიდა მშვიდობით ბრძანდებოდე - ვთქვი

— ნათლავი ვაჟია თუ ასული – დუნედ დამეკითხა მოხუცი

—ვაჟია ბატონო,პატარა ვაჟკაცი

— რას ანათლავთ მაგ თქვენს პატარას?

— ერის კაცობას,კარგ ქართველობას,პატიოსნებას ,რიხს. . . .

—პატიოსნების მსჯავრისთვის ნუ გაწირავთო ჩვილს , ერის კაცობა და ქართველობა მძიმე ჯვარია ღვთის.

— აბა რას ამბობთ? მე თქვენგან მიკვირს,პატიოსნება ძირს?

— ხო ჩემო ძმაო, და ეს ასეა ,ნუ გაიფიქრებ ძვირს. პატიოსანი კაცი თავს არ არგია და იარღია სხვის.დიდი ყანწებით კაცობას უქებენ და ჯიბე გახვრეტილი ზის.

— რას ბრძანებთ ბატონო? თვით სიყვარული და პატიოსნება ნიჭია ბოძებული ღვთის.

—კამათი თუ გნებავთ,სიამოვნებით.ერთს გეტყვით ბატონო მხოლოდ, ადღეგრძელებენ პატიოსანს და შეუქებენ კაცობას,მოიხმარენ ფეხის ტილოდ,გათელავენ უნდობლად,როცა აღარ დასჭირდებათ მოისვრიან იოლად. "პატიოსნების" სინდრომისგან ბევრი დადის მშიერი. "მდღეგრძელებელს" ეს სინდრომი სჭირია,რათა მართოს კაცთა მოდგმა სინდისის ქიმერის ბორკილით.რას იზამ ძმაო აწ ნათქვამია "ო რა ბევრია ადამის მოდგმა და რა ცოტაა ადამიანი"

მშვიდობა უსურვე,გვაშორდი უეცრად ამ მოხუცს ლოთსა და ნანგრევებს.ნათლობა დაწყებულზე შევედი ტაძარში, პატარა ღნაოდა საწყლად.შემდეგ კი ჯიპებით,ლიმუზინებით რესტორანს მივაშურეთ ყველამ.თამადამ დალოცა პატარა ქრისტიანი, მამის სადარი "პატიოსნება" უსურვა ყველამ. "პატიოსან "მეინახეთა" ნადიმი ყალყზე დგებოდა ,ღორს რომ დააბავ იმსისქე ოქროს ჯაჭვს ანდეს ნათლობის ჯვარი.მირონის წვეთები ჯერ არ შემშრალიყო,ცრემლივით სდიოდა ჯვარს.

— "დიდ კაცს და ერისშვილს ასე ვიცნობთო ნათლიას,შეხედეთ საჩუქარს,ნათლიას დიდება,დიდება მის "პატიოსან"ოჯახს"

ღვინო მომეკიდა,გამიწყრა ბუნება და თვალი გადავავლე დარბაზს,ის ლოთი შევნიშნე მეზობელ სუფრაზე თავისთვის მიირთმევდა კალმახს. გვერდით მიუჯექი ,თავი შევახსენე ჯიქურ,იქვე გვერდით მჯდომმა რიდით მომახსენა"ნათესავიაო იჯახის,თანაც მსახიობი დიდი სახელით" გაოცებული დავაშტერდი მის შავ თვალებს და მშვიდ სახეს ღიად.

"ღმერთო შემეშალა,ეს ღვინის ბრალია,მომიტევეთ ბატონო'"

"არაფერია, და არც შეგშლიათ ,მე ვარ ის ლოთი ტაძრიდან,ერთ დროს მსახიობი დიდი ტიტულებით და აწ უკვე ვალებითო ბატონო"

" თქვენ ჩემო ბატონო მაესტროც ჰყოფილხართ ,თანაც ხელოვანი დიდი,ჩემი გამასხრება რისთვისღა დაგჭირდათ,არ დაგადგებოდათ ამით ჯაფა დიდი"

"არ მიმასხრია და არც ხუმრობით მომიცია პასუხი თქვენთვის.მრავალი ნიღაბი მოვირგე სახეზე,მეფის ჯალათის თუ ვისი,ცხოვრებას ვერცერთი ნიღაბი ვერ მოვარგე,მომერგო ნიღაბი ვირის. ვირივით ვიშრომე,ვითმინე ვირივით,პატიოსნებაც არ მაკლდა ვირის,ერთი მუჭა პური,ერთი პეშვი წყალი მყოფნიდა ,სხვისი ტვირთი ვზიდე, სხვისი სახრე ვიზღე და არ ამაცდინეს არც ერთი.ალალად ვემსახურე წმინდა ხელოვნებას,ტაშსაც უხვად მიძღვნიდნენ სცენაზე,მერე . . . მერე დავძაბუნდი,მასხარად ვიქეცი ,ერთი მუჭა პური ერთი პეშვი



გიორგი აღნიაშვილი

წყალი ყველას დაენანა სამადლოდ ჩემთვის.ჩემი ხელოვნებით სხვამ ფული იშოვნა და მე მშიერი მერგო დიდება და ისიც იფერფლება."დიდების" ქუხილი ჩემში ისევ ცოცხლობს და თუ ვინმეს ვახცოვარ , მე ჩემ თავს ვახსოვარ,უმალ მიმივიწყა ყველამ. პატიოსნებამ შინაარსის გარდა ფორმაც დაკარგა ჩემთვის. ხო, მე ლოთი ვარ,ასე ამბობენ,ზიზღით მიყურებენ ხანდახან.ეს ბოლო როლია ჩემი შესრულებით "პატიოსნება" ჰქვია პიესას.აბა კარგად იყავ ჩემო მეგობარო, კარგ დროსტარებას გისურვებ. ბევრი არ დალიო,თორემ სიმთვრალეში ფარისეველის ნიღაბს აიკრავ.ფხიზელი თვალი გქონდეს და ფხიზელი გონება.იცოდე დარდი და ნაღველი არ იღრჩობა, ის თევზზე უკეთ ცურავს წყალში.

საღომე ფონაძე

აბდაუბდა

ფიქრად შემოგისესხე, რომ შენი სიშორე ვაქციო დავიწყების გაფრენილ ჩიტად...
შენ ჩემთან ხარ! იმიტომ, რომ მე ასე მინდა!
დათრგუნულ ხეებს ჩემს თმასავით ეცვლება ფერი...
მე კი კვლავ ვზივარ ეზოში, მწვანე ბალახის ღერით ვაწვალებ ისევ საკუთარ მუხლებს
და დედაჩემის თვალების შვილებს -- ჩემს თვალებს ამ მთელ სამყაროს ვუხელ...
მთებმა დღეს უკვე მეცხრეჯერ უთხრეს ერთმანეთს დობა...
ჭა ვარ უძირო - დედამიწის ცრემლების ჯამი
და საკუთარი თავის მიმართ აღარ მაქვს ნდობა...
ფიქრის მიღმა კი ისევ დგას თეთრი ოცნების ჯარი, რომ აბდაუბდა გამოიბას აბლაბუდებად
(მერე სარკეში საკუთარ თავს კვლავ რომ დავცინო)...
ზეცას ღრუბლების გადაკარგვა რომ მოუნდება,
შემოგისესხებ, რომ ფიქრებში დავიწყების გაფრენილ ჩიტად გადაგაქციო...

„ეროვნული" არქივი

დიდი პოეტი ისაა, ვინც ენას ფლობს...

ზაზა შათირიშვილი

2007 წელს ბოლოს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა კრებული «საუბრები ლიტერატურაზე», რომელმაც ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტ-ფოზე» გამართულ არაერთ საინტერესო საუბარს მოუყარა თავი.

კრებული "«ებლიტფოზე»" განხორციელებულპროექტის — «"რამდენიმე კითხვა» — საფუძველზე მომზადდა." საზოგადოებისთვის უკვე ცნობილ მწერლებს მხოლოდ რამდენიმე კითხვით მივმართეთ. დავინტერესდით როგორც რესპონდენტთა შემოქმედებით, ასევე ზოგადად, ლიტერატურის მნიშვნელოვანი საკითხებით, პრობლემებითა და პერსპექტივებით. საინტერესო.

"საუბრები" ბატონ გივი ალხაზიშვილთან როგორც უფროსი თაობის წარმომადგენელთან, დავიწყეთ და ახალგაზრდა მწერალ სოფო დათუაშვილთან დავასრულეთ. სოფო ყველაზე უმცროსია რესპონდენტთა შორის, ამ უდავოდ ნიჭიერი ადამიანის საუბრიდან კარგად ჩანს როგორც მისი პიროვნული პორტრეტი, ასევე ის გზა, რომელსაც გადიან ახალგაზრდა ავტორები საკუთარი შემოქმედების მკითხველამდე მისატანად. ხშირ შემთხვევაში ამ სვლას იმედგაცრუება აჩერებს.

იზა ორჯონიკიძე, თეონა დოლენჯაშვილი, ეკა ღაღანიძე, ნინო ჩხიკვიშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, მარიამ წიკლაური, ვასილ გულეური, დარეჯან სუმბაძე, ნინო სადღობელაშვილი, თამარ ბოლქვაძე, მიხო მო-

გაგრძელება ოცდაშეოთხმეტე გვერდზე

დია ციქოჯელი

ქოეზია

* * *

გააჩინე შვილი, მითხრა დედაჩემმა, გააჩინე.
აბა როგორ, ვუთხარი, აბა როგორ.
ბოლო ზაფხული გავაცილე,
ჩემი ბებერი მხრები
ფოთლების თოვლისთვის დაიხარნენ.
ბებერი დაიბადება, დედი,
როგორც მე დავიბადე შენზე ათასი წლით ბებერი.
ჩემი ღამეები შეჭამენ, დედი, ჩემი აყმუვლებული მგლები.
მდინარეში ჩამივარდება, დედი,
დამეხრჩობა,
მდინარეები გადმომდის თვალებიდან.
უსუსური ბარტყივით გაძიძგნიან ჩემი კოშმარების ღვარცოფები.
შიმშილით მომიკვდება, დედი, სისხლს ხომ არ მოვაწოვებ,
ჩემი ღარიბი მკერდი კაბის უბესაც ვერ ავსებს.
სიცივით მომიკვდება, დედი, ყინულის სიტყვებს ვისვრი
და სიკვდილისწინა წვიმას ვცრი.
ქვა და ქვიშაა ჩემი სხეული, ახალ ხორცად რაღა გადაზელს.
სად მოვიკიდო დედების დარდი,
სად არის ადგილი დაგრეხილ ხერხემალზე.
დამავიწყდება, ვეუბნები,
დედა დავიძინებ, დედინაცვალი გავიღვიძებ.
სადმე დამრჩება, ვეუბნები, ჩემი თავივით სადმე დამრჩება.
ვინმეს ერთ ყლუპ ძილში გავუცვლი,
ერთ ნამცეც სიზმარში გადავუცვლი.
სად მოვაგროვო მისთვის სამყოფი სიყვარული,
იმდენიც აღარ დამრჩა, ზამთარში ბეღურებს დავუყარო.
ჩემი თვალები რომ გამოყვეს, ხომ შემომხედავს და მომკლავს.
ისედაც კვდები, მეუბნება,
აკვანი დაარწიე,
ზიხარ და საფლავებს არწევ.
წინ ზამთარია, მეუბნება, ხანდახან ვინმემ ხომ უნდა გაგათბოს.
ზამთარი სულ არის, დედი. არავინ არავის ათბობს.
ზამთარი სულ არის, ნახე,
რამდენი თოვლია ყვავილებში.

თუ გავაჩენ, დედი, თუ გავაჩენ,
თავი ას ნაწილად გამისკდება.
ერთზე ნაკლები უნდა გავაჩინო,
ერთი ადამიანი ბევრია მეტისმეტად.
ალბათ რამდენჯერმე უნდა გავაჩინო,
ერთხელ დაბადებული არავინ გადარჩება.
ცოცხალი არ უნდა გავაჩინო,
ცოცხლად გაჩენილი ყველა კვდება.
აბა რაღას მოვასწრებ, დედი, აბა ახლა რაღას მოვასწრებ,
ჩემი ბოლო შემოდგომაა,
უკანასკნელი მერცხლები გაფრინდნენ.
შემოდგომაა შენი დარდი,
ზამთრისწინა გაბმული წვიმა.
შემოდგომაა ეს ლაპარაკი, დამჭკნარი სიტყვების ფოთოლცვენა.
ხის ტოტზე ვზივარ, ველოდები, ქარი ამოვარდეს,
ხელი დაგიქნიო, ავდგე, გავფრინდე.

ავდგე, გავფრინდე
ჩემი ბოლო შემოდგომიდან.

დიდი პოეტი ისაა, ვინც ენას ფლობს...

ოცდაშვიდმეტე გვერდიდან

სულიშვილი, დიანა ანფიმიადი, თეა თოფურია, მარიანა ნანობაშვილი, დავით ქართველიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი, ლელა კოდალაშვილი, დავით ტაკიძე-შემოქმედელი, დავით ჩიხლაძე, დავით-დეფი გოგიბედაშვილი, ბესო ხვედელიძე, რეზო გეთიაშვილი, ლელა სამნიაშვილი, ნიკა ჯორჯანელი, შოთა იათაშვილი, თამრი ფხაკაძე — ეს ის მწერლები არიან, რომელთა ნაწარმოებებს, მათ მიერ გამოთქმულ აზრებს მკითხველი ყოველთვის დიდი სიამოვნებით ეცნობოდა. ვიმედოვნებთ, რომ კრებულს მომავალშიც არ მოაკლდება საზოგადოების ინტერესი.

გვსურს, კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა რესპონდენტს პროექტის მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

ვიმედოვნებთ, საუბრებისთვის ჩვენთვის დათმობილი დრო სასიამოვნო მოგონებად დარჩება მათ და კრებულის ყველა მკითხველს."

ამჯერად "ლიტერატურული ფორუმი" ბატონ ზაზა შათირიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ.

ებლიტფო: როგორ აფასებ იმ დისკუსიას, რაც შენმა სტატიამ (არტისტული ყვავილებიდან არტყვავილებამდე) გამოიწვია?

ზაზა შათირიშვილი: სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი წავიკითხე. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ, ძირითადად, ვიცი ოპონენტთა არგუმენტაცია, რადგანაც თითქმის ყველას პირადად ვიცნობ და ზოგიერთი მათგანი მესაუბრა კიდეც.

რაღაც პერიოდის შემდეგ ვაპირებ, რომ უფრო დეტალურად გავეცნო მათ ნამუშევრებს და ყველას ვუპასუხო. ამ ეტაპზე შემიძლია ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, არგუმენტაციის დიდი ნაწილი უკიდურესად „ფსიქოლოგიურია". ოპონენტთა უმრავლესობა იმდენად ჩემს ტექსტს არ კითხულობს, რამდენად იმის ამოკითხვას ცდილობს, თუ როგორია ჩემი გემოვნება, რა განაზრახი მქონდა, როცა სტატიას ვწერდი და ა.შ. ბევრი მათგანი ცდილობს დამაბრალოს, რომ მე ვერლიბრზე უფრო ე.წ. „ტრადიციული ლექსი" მომწონს; რომ გალაკტიონისა და სიმბოლიზმის მოყვარული ვარ და ა.შ. ეს ყველაფერი კვალიფიციური კრიტიკისა და თეორიის არარსებობაზე მიუთითებს. მაგრამ თუ ოპონენტებს ჩემი პირადი ლიტერატურული გემოვნება აინტერესებთ, ესეც არაა პრობლემა.

მე შემიძლია მათ გულწრფელად ვუპასუხო და „დავხურო" ეს საკითხი...

ებლიტფო: რას გულისხმობ?

ზაზა: ვგულისხმობ იმას, რომ სავსებით გულახდილად შემიძლია ვისაუბრო ჩემს ლიტერატურულ გემოვნებაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ნაკლებად საინტერესოა. უფრო მნიშვნელოვანი თეორიული კამათია...

ებლიტფო: არა, არა, ძალიან საინტერსოა შენი სიმპათიები თუ ანტიპათიები, მით უმეტეს, როცა შენ თვითონ ამბობ, რომ გულწრფელად შეგიძლია ისაუბრო...

ზაზა: კარგი, ბატონო. მაშინ დავიწყებ იქიდან, რომ გალაკტიონი სულაც არაა ჩემი საყვარელი პოეტი. რა თქმა უნდა, მე დღემდე მიყვარს მისი რამდენიმე ლექსი, მაგრამ არც სიმბოლიზმი მიყვარს (სიმბოლიზმი — ე.ი. ვერლენი, რემბო მალარმე, ბლოკი, ბელი და ა.შ.) და არც გალაკტიონი (ისე, გალაკტიონი თავისი პოეტიკით სიმბოლისტი არაა). აქვე მინდა განვმარტო, რომ გალაკტიონი დიდი პოეტია (ობიექტურად) და ჩემი სიყვარული თუ მოწონება მას ვერაფერს ვერც შესძენს და ვერც დააკლებს.

სიყვარულს რაც შეეხება, ძალიან მიყვარს ელიოტი, პასტერნაკი, მანდელშტამი (რომლებიც სიმბოლისტები ნამდვილად არ არიან!), კავაფისი, უოლეს სტივენსი, მიხაილ კუზმინი, ცვეტაევა, ბროდსკი, მეგელ დე უნამუნო, რუბენ დარიო, ხიმენესი, გოტფრიდ ბენი, ეუჯენიო მონტალე, უფრო ძველებიდან — ჟერარ დე ნერვალი, ბორატინსკი, პუშკინი, ფეტი, კიტსი, შექსპირი, ხოლო ქართველებიდან — რუსთველი, ბესიკი, ვაჟა და გურამიშვილი. ჩემთვის საყვარელი პოეტი არის ის, ვინც მახსენდება და ვისი გადაკითხვის სურვილიც მიჩნდება, რომელთა ლექსებიც ზეპირად მამახსოვრდება და ა.შ. ისე, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მე მიყვარს ესა თუ ის ლექსი, არა — ესა თუ ის პოეტი... ასეთ შემთხვევაში ვიტყოდი, რომ ძალიან მიყვარს „ბარბაროსთა მომლოდინენი" (კავაფისი), „ჭასტე ანდ" (ელიოტი), მისივე „მკვლელობა საკათედრო ტაძარში", „ნიუ ჰეივენის ჩვეულებრივი საღამო„ (სტივენსი), „განთიადი"(აკაკი), „ღამე მთაში"... როგორც ხედავთ, ჩემი საყვარელი ლექსების დიდი ნაწილი ვერლიბრია... დაბოლოს, სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ვეფხისტყაოსნისადმი — წელიწადში ორ-სამჯერ თავიდან ბოლომდე ვკითხულობ. ცხადია, არა პატრიოტიზმის გამო, არამედ იმის გამო, რომ მისი ავტორი (ვინც არ უნდა იყოს) სწორედ ისეთი პოეტია, რომელიც იდეალურად შეესაბამება ჩემს წარმოდგენას პოეზიაზე...

ებლიტფო: აბა, რატომ დაწერე წიგნი გალაკტიონზე?

ზაზა: იმიტომ, რომ მეცნიერი ვარ, ვარ ფილოლოგი. გალაკტიონი არნახულად საინტერესო მასალაა...

ებლიტფო: შეიძლება ფილოლოგმა წიგნი უსიყვარულოდ დაწეროს?

ზაზა: ფილოლოგი სიტყვის მოყვარულს ნიშნავს...

მაგრამ ფილოლოგია მეცნიერებაა. უნდა უყვარდეს თუ არა ფიზიკოსს ჯუჯა ვარსკვლავი, რომელსაც ის შეისწავლის? მე მგონი, ასე საკითხის დასმა არამართებულია. ერთია — მკითხველი, ხოლო მეორე — ფილოლოგი, რომელიც ცდილობს, რომ ტექსტი გაიაზროს, რაღაც კლასიფიკაციები მოძებნოს და ა.შ. ის, რომ ჩვენში ეს არ ესმით, ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების სისუსტეზე მიუთითებს.

ფილოლოგი უნდა სწავლობდეს ყველანაირ ტექსტს. XX საუკუნის ცნობილმა კლასიკოსმა ფილოლოგმა და დიდმა ინგლისელმა პოეტმა ალფრედ ჰაუსმანმა ერთხელ აღნიშნა, რომ ფილოლოგი, რომელიც ამბობს, რომ მას ესქილე უფრო უყვარს, ვიდრე მანილიოსი, ფილოლოგი არ არისო და მართალიც იყო.

ებლიტფო: კარგი, რეზო გეთიაშვილი თუ არის შენი საყვარელი პოეტი?

ზაზა: რა თქმა უნდა, არა... მე პრინციპულად არ მიყვარს ასეთი პოეზია, პოეზია, რომელიც იდიომების დაშლაზე მუშაობს მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

ებლიტფო: ანუ, შენ ამბობ, რომ არსებობს ობიექტური კრიტერიუმები, რის გამოც ვიღაც დიდი პოეტია და ვიღაც — არა?

ზაზა: რა თქმა უნდა, ღმერთო ჩემო! ამ კრიტერიუმებით, გოეთე, რომელიც საერთოდ, არ მიყვარს, გენიოსია, ხოლო ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი ბესიკი, ან ბენედიქტ ლივშიცი (ასევე ძალიან მიყვარს) — არა...

ებლიტფო: ესე იგი, შენ რითმიანი ლექსები უფრო გიყვარს (ვხუმრობ)?!

ზაზა: რა მნიშვნელობა აქვს რითმიან ან ურითმო ლექსს — მთავარია ლექსი კარგი იყოს... ელიოტი ან სტივენსი ავანგარდია, ანუ „ურითმო" ლექსებს წერდნენ — მერე რა? სხვათა შორის, ასევე ძალიან მიყვარს კონცეპტუალისტი პრიგოვი, უსასრულოდ შემიძლია მისი ლექსების კითხვა...

ებლიტფო: კი, მაგრამ როგორ შეიძლება პოეზიაში არსებობდეს ობიექტური კრიტერიუმები?

ზაზა: კითხვას შეგიბრუნებ, რატომ არის გენიალური ექსილე და არა — მანილიოსი?

ებლიტფო: მანილიოსი არ წამიკითხავს...

ზაზა: კარგი... რატომ არის გენიალური რუსთაველი და არა — არჩილი, რომელიც, აქვე შევნიშნავ, ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პოეტია ქართველ პოეტთა შორის? იმიტომ, რომ რუსთაველი ფანტასტიკურად ფლობს შაირს, არის გენიალური მთხრობელი და ა.შ.

ებლიტფო: და მხოლო ეს არის პოეზია?

ზაზა: ესეც პოეზიაა. ის, რომ ჩვენ პოეზია გვესმის მხოლოდ როგორც თვითგამოხატვა, რაღაც ფსიქოლოგიური განწყობის გადმოცემა — XIX საუკუნის ცრურწმენაა...

დიდი პოეტი ისაა, ვინც ენას ფლობს... ძველები (და ზოგიერთი ახალი) იტყოდნენ, — „პოეტი ისაა, ვისაც ფლობს ენა (მუზა, არწივი და ა.შ.)!" — ამას ფსიქოლოგიასთან არანაირი კავშირი არა აქვს...

ებლიტფო: რას ნიშნავს ენა?

ზაზა: აქ ჰაიდეგერს გავიხსენებ — „ენა ყოფნის სახლია"... როგორც მამარდაშვილი იტყოდა, ეს ლამაზი ფრაზაა, რომელიც ხელს გვიშლის, ჩავწვდეთ მის აზრს. სხვანაირად ვიტყვი, ენა არის ის, სადაც და როცა სულიწმიდა უბერავს... კარგი, საერო ტერმინოლოგია გამოვიყენოთ, მე ვლაპარაკობ იმაზე, რასაც მამარდაშვილი ცნობიერებას უწოდებდა, მე ამას, უბრალოდ სულს ვუწოდებ...

გაგრძელება ოცდამეთხუთმეტე გვერდზე

ქეთი გზირიშვილი

ჩვენ, ორი

ჩვენ, ორი ველოსიპედი,
ორი, დიდი ხნის წინ გამოგონილი ველოსიპედი,
ჩამოქერცლილ, თეთრ კედელთან მიყუდებულები,
ველოდებით მათ.

შენი ველო მწვანეა და სამთო,
უამრავ დაბრკოლებაგადალახულს, თავი ყოჩაღად უჭირავს.
შენ, ყოველ დილით,
(ან იქნებ არც კი, ყოველ დილით)
ჰაერით ავსებ მის ბორბლებს
და სიგნალს საჩვენებელს წამოკრავ –
გასვლის წინ, გასაღიმებლად
მწვანე მეგობარზე ამხედრებული
კისერს უკან იტრიალებ, –
კეთილ ღიმილს, ჩამოქნეულ ხელისგულში რომ ხედავ,
საკუთარს აგებებ.
დამშვიდობება შედგა –
დროებითი
და ეშვები სივრცეზე და სივრცეში

ჩემი ველო ცისფერია და მომცრო –
ეზოში გასატარებლად თუ გამოდგება,
ჰა – მიმდებარე ქუჩებში
მე, ყოველ დილით,
(ან არც კი, ყოველ დილით)
ვამჩნევ მის მოშვებულ ბორბალს და იმ იმედით,
რომ ახლოს მივდივარ,
ხელჩაქნეული, მაინც ვსკუპდები ზედ
და კედელ–კედელ ნასწავლი პირველი გაკვეთილი მახსენდება
ჩემი ველოს სიგნალი ისეთი უნიათოა,
საჩვენებელ თითსაც კი ვერ განაწყობს წამოსაკრავად,
ჰოდა, დუმს;
მხოლოდ ხანდახან, შესამჩნევ და მაინც უყურადღებოდ
გამორჩენილ
ორმოში ჩახეთქებისას კვნესის,
ოდნავ.

დღეს შენი სივრცე ჩემს მიმდებარე ქუჩას მოიცავს.
დღეს შენი მწვანე ჩემს ცისფერს ეზავება.
დღეს შენი კვალი ჩემი საგზაო ნიშანია.
დღეს ვერ შევამჩნევ ვერცერთ ორმოს და მაინც,
არ გავიგებ ხმას –
სუნთქვას ჩუმად ამოყოლილს

ჩვენ, ორ ველოსიპედს,
ორ, დიდი ხნის წინ გამოგონილ ველოსიპედს,
ჩამოქერცლილ, თეთრ კედელთან მიყუდებულებს,
გვიყვარს ერთმანეთი.

ქეთი ფაიღოძე

ტალღა

პატარა ბიჭი, მოთხუპნული სახე,
მტვრიანი ტროტუარი, ფოთლების ბადე.
ბადეში გაბმული მზის სხივი... ცელქი,
ბიჭუნას სახეზე თამაშობს...ეკვრის.
იქვე დიდი გროვა...გროვა თვალების,
უაზრო, ცარელა, შუშის თვალების
და ამ თვალების მფლობელთა ხაზი,
ლოდინის ხაზი...დაღლილი მალების...
ხანდახან ბიჭი გრძნობდა სახეზე
ზიზღნარევ შეხებას ამ სერი მასის.
ყოველ შეხებას ის უხვედრებდა
დამცინავ ღიმილს, თავხედი სახით.
ადამიანთა სული უძირო
მის გულში მხოლოდ ღიმილს იწვევდა.
კარგად უწყოდა მათი, უპირო
და უნაპირო ზიზღს ირიდებდა.
ლამაზი ტალღა აზრის შეეხო.
გაოცდა ბიჭი..მას ხომ შეეძლო
აზრის ტალღებთან თამაში. ეს ხომ
დაბადებიდან მისია...ენდოს?
თვალები ტალღას წინ დაუხვედრა,
პატარა გოგონას ღიმილი შერჩა.
ლამაზ კაბაში, სუფთა, კოპნია,
იდგა და ეშმაკურ ღიმილს ირგებდა.
ბიჭმა გოგონას ხელი შენიშნა,
დედის ხელს მედგრად როგორ ებრძოდა.
და გაიმარჯვა, განთავისუფლდა,
ბიჭისკენ მიმართულ თვალებს თან გაყვა.
და ისევ ტალღა...მრისხანე ტალღა...
ამჯერად დედის, დამანგრეველი.
ბიჭი წამოხტა...ნაბიჯი ერთი...
და მრისხანება მკერდით დაშალა.
შემდეგ გოგონას თვალებში ჩახედა.
არ შეუშინდე, გაშალე აზრი.
მე კი ყოველთვის შენთან ვიქნები,
ლამაზი სულის ერთგული ფარი.
მე გავიზრდები, ხელში აგიყვან,
შენს უნაზეს ტალღებს მთელ სამყაროს
გარს შემოვავლებ და ეს დაგვიცავს.
ზიზღი? დავშლი სულ პატარა ნაწილაკებად
და ქარს გავატან... შენ?
შენ კი ჩემთან წაგიყვან.

ბერიტა ჯაჯაბაძე

* * *

დეკემბრის თვეა, რიცხვი ჩვიდმეტი!
თუმცა არ ცივა, დილიდან მზეა!
ტაძარი ივსება მრევლით, გალობენ!
წმინდა ბარბარეს ხსენების დღეა.!
ბავშვთა შემწეა, მათი მფარველი!
დედები მუდამ მას თხოვენ შველას!
მრავალ ბარბარობას დაგასწროთ ღმერთმა!

დიდი პოეტი ისაა...

ოცდაშეცამეოექვსმეტე გვერდიდან

სული არის ის, რასაც საზრისი შემოაქვს. საკმარია სული წავიდეს, რომ რაღაც მთავრდება...

ასე მოუვიდა, მაგალითად, რაინდობას. ერთ მშვენიერ დღეს სულმა დატოვა რაინდობა — სწორედ ამაზე დაიწერა დონ კიხოტი. ამიტომაც არის ის უკვდავი ნაწარმოები.

ებლიტფო: და პოეზია?

ზაზა: XX საუკუნეში სულმა დატოვა არა მხოლოდ პოეზია, არამედ მთლიანად ხელოვნება — როცა უოლეს სტივენსმა დაწერა „ნიუ ჰეივენის ჩვეულებრივი საღამო“, სწორედ ეს გამოხატა — როგორ დატოვა სულმა პოეზია, როგორ ცარიელია ყველაფერი... ელიოტმაც სწორედ ეს დაგვანახა „ჭასტე ანდ“-ში. ფაქტობრივად, მთელი XX საუკუნის დიდი პოეზია (და არა მხოლოდ პოეზია) ესაა — თუ როგორ ტოვებს სული პოეზიას... იგივე გააკეთა იოზეფ ბოისმა, როცა როიალი შეფუთა — მან აჩვენა, რომ ხელოვნება საზრისმა დატოვა...

ებლიტფო: დღეს რა ხდება?

ზაზა: როცა სული ტოვებს რაღაც სფეროს, რჩება მხოლოდ ფრაგმენტები...

ებლიტფო: და გეთიაშვილი?

ზაზა: გეთიაშვილმა არნახული სპონტანურობით სწორედ ეს გამოხატა — აბა, სხვა რაა იდიომების — იდიომები არის ენის „კარკასი“ — დაშლა. თუ სხვა თანამედროვე ქართველ პოეტებთან იყო შიშველი მიმესისი — უცხოელ პოეტთა შიშველი მიბაძვა, გეთიაშვილმა მართლაც აჩვენა, თუ როგორ ქრება საზრისი პოეზიიდან, როგორ ტოვებს სული პოეზიას. ეს იყო ენობრივად მოტივირებული დემონტაჟი — და არა — ვისაც როგორ მოეპრიანება... აი ახლა უკვე ყველას შეუძლია წერა, როგორც გაუხარდება...

ებლიტფო: რატომ?

ზაზა: იმიტომ, რომ საზრისი აქ (პოეზიაში) უკვე აღარ არის.

ებლიტფო: მაშ, სად არის საზრისი და რა არის საზრისი?

ზაზა: საზრისი არის მეხსიერება — ხსოვნა, ესაა პოეზიის, ხელოვნების, რაინდობის, უნივერსიტეტის და ა.შ. საზრისი... როცა საზრისი მიდის, ჩვენ იმას ვაკეთებთ რაც გვსურს — როგორც დოსტოევსკი იტყოდა, „ყველაფერი მოსულა...“ დღეს საზრისი არის კათოლიკე ეკლესიაში, მეცნიერებაში...

დღეს საზრისი მიდის უნივერსიტეტიდან...

ებლიტფო: მაშინ რა აზრი აქვს ლიტერატურულ დისკუსიას პოეზიის შესახებ?

ზაზა: დისკუსიას ის აზრი აქვს, რომ დავინახოთ, რა იყო პოეზია და რა მოუვიდა მას. ესეც ხსოვნის ერთ-ერთი ფორმაა.

ებლიტფო: ესე იგი, შენ პესიმისტი ხარ?!

ზაზა: პირიქით... უფრო ზუსტად, — „დავანებოთ მკვდრებს, დამარხონ თავიანთი მკვდრები“... ამიტომაც, ხელი არ უნდა შევუშალოთ ჩიხლაძეს, იათაშვილს და ა.შ.

ებლიტფო: გივი ალხაზიშვილზე რას იტყვი?

ზაზა: გივიმ დაწერა, ალბათ, ერთადერთი გააზრებული კრებული (პირველ ქორონიკონს ვგულისხმობ) ბოლო 40 წლის განმავლობაში... გივიმაც აჩვენა, თუ როგორ ტოვებს საზრისი პოეზიას...

ებლიტფო: ეს ყველაფერი ძალიან ბანალურია! აგერ 50 წელია საუბრობენ, რომ რომანი მოკვდა, ლექსი მოკვდა და ა.შ.

ზაზა: ეს ყველაფერი მეტაფორებია, რადგანაც სიკვდილს საზრისი აქვს. მე სულ სხვა რამეს ვამბობ, რა თქმა უნდა, ესეც ბანალურია — მე ვამბობ, პოეზია დატოვა სულმა, ისევე როგორც დატოვა — ხელოვნება, ფილოსოფია და ა.შ. ...

ებლიტფო: ფილოლოგია?

ზაზა: ფილოლოგია მეცნიერებაა. დღეს მეცნიერებაში ჯერ კიდევ არის საზრისი...

ებლიტფო: რატომ?

ზაზა: იმიტომ, რომ მეცნიერება არაა „მეხსიერების ხელოვნება“, ესაა — ახსნის, განმარტების, კონსტრუირების ხელობა... მეცნიერებაში შეიძლება არ იყოს რეფლექსია, მაგრამ ის ყოველთვის იძლევა მასალას რეფლექსიისთვის, რასაც ვერ ვიტყვით ხელოვნებაზე... იქ სადაც საზრისი არაა, აზროვნებისთვისაც არაფერი რჩება — ხელოვნების საზრისი მეხსიერება და ხსოვნაა...

ებლიტფო: მაშ, რა გვრჩება, ჩვენ — მკითხველებსა და პოეტებს?

ზაზა: პოეტის წინაშე სამი ალტერნატივაა (ამაზე უკვე დავწერე — პოეტი და პოეზიის იდეა ევროპულ კულტურაში :ჰტტპ://წწწ.ლიბ.გე/ბოდყ—ტეხტ.პჰპ?4649: ა)წეროს რეპი, ბ) გააგრძელოს ფრაგმენტებით თამაში, გ) მედიტაცია — ლოცვა...

ებლიტფო: უფრო რომ დააზუსტო?

ზაზა: არ მინდა განვმეორდე — იხ.

ჩემი სტატია. ამაზე მეტი სათქმელი მე დღეს არ მაქვს...

2007 წელი.

მაია მარუაშვილი

ენტავრები

წუხელ აქ ,ჩემთან,კენტავრები დავლურს უვლიდნენ...
ყეფდნენ წუთები მოლოდინში დაურვებულნი;
წუხელ აქ ,ჩემთან სიყვარული ასაჭურისეს,
ცხვირწინ დამიგდეს კალმახივით გამოშიგნული.
შუაღამისას მივესვენე სიბნელეს ფერხთით
და მკვდარცოცხალი ერთფეროვან წლებზე მოვთქვამდი;
მგონი სიქველე კალამს შერჩა
და დაუწერელ აზრებს მიფრთხობს მწირი მოძღვარი...
თქვენი ხელები სიკეთეს აფრქვევს
და მეც მამშვიდებს სითბო უჩვევი,
ახირებულად გადმოგილაგათ,
თავნება ქალმა თვისი ფურცლები.
თქვენ მშვიდად ისმენთ სხვისი ბედის უცხო არაკებს
და ახურდავებთ საკუთარი ბედის საზომით...
თქვენი მანერა არის დინჯი, რიდით აღსავსე,
კულისებს იქით შიშიც დაფრთხის ბეღურას ტოლი;
თქვენ გსურთ გაიგოთ?!
მე ვარ კენტავრი-
ნაამბორევი ჯადოსნური ღამის აჩრდილის,
გაბნეული ვარ ცისფერ ნამად გიჟმაჟ ალიონს,
ვარ დამთხვეული გულის წადილი;
ჭუჭრუტანაში თაგვმა შიშით შემოყო ცხვირი,
ჰაერს იყნოსავს ,მე კი ახლა სულთან ვჯახირობ,
ალბათ ამ თაგვსაც აერია დღე-ღამის ციკლი,
მე თქვენ მოგიხმობთ:
უსასრულო გზისკენ გავწიოთ...
წუხელ აქ, ჩემთან,კენტავრები დავლურს უვლიდნენ,
ყეფდნენ წუთები მოლოდინში დაურვებულნი;
წუხელ აქ, ჩემთან,სიყვარული ასაჭურისეს,
ცხვირწინ დამიგდეს კალმახივით გამოშიგნული,
ცეცხლის თასებით შარბათს ვსვამდი კენტავრი ქალი,
გრძნობა გამცვდარი ერთფეროვან წლებზე მოვთქვამდი,
ჰო, წუხელ, ჩემთან,კენტავრები დავლურს უვლიდნენ
და მეც, დიდ კენტავრს ძალზედ მოვგავდი.

1. რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ
2. კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით

ნესტან კვინიკაძე: საინტერესო კითხვებია. არ ვიცი, რამდენად ლოგიკურია ჩემებური პასუხების ლოგიკა, მაგრამ უცებ ერთ წამში რაც მომდის თავში, ეს არის... შესაბამისად ნაღდია.

ციცინო ბუჯია

***

გიშვებ
გიშვებ...
გავუძლებ სიჩუმის ხარხარს,
გარეთ ქარია და ჩვეულებრივ,
როგორც სჩვევია,
შლეიფი დასთრევს
და ნასახლართა ქვის სხეულები,
ბინდში მოჰგვანან ჩაძირულ გემებს,
აქვთ ჩვეულება იდგნენ და სწამდეთ,
რომ ვიღაც ერთხელ მათთანაც მივა,
ქვის გულებიდან ობიან დარდებს ჩამოაცილებს...
მე გიშვებ, რადგან
გიძნელდები და გზაც გირთულდება,
მტკივა ეგ მზერა, შენი დუმილი,
შენი სიმშვიდე და ერთგულება...
არ მემეტები...
და გიშვებ მაინც...
და უფსკრულების ნესტიან ფსკერზე,
იღვიძებს ღამე
და ობოლ მთვარეს
ავგაროზივით იკიდებს ყელზე!

მარსიანი: ალბათ ორი ათეული წელი მაინც იქნება, „ამირანი“ მინდა დავწერო: სულ ამას ვეკითხები ჩემს თავს — როგორ დავწერო? რამდენიმე ვარიანტი მიტრიალებს თავში:

1. ეპიკური პოემა, ანუ თავიდან ბოლომდე თხრობითი, კლასიკურ სტილში გალექსილი ნაწარმოები;
2. რომანი, ანუ მოსე ხონელისებურად, მაგრამ აუცილებლად უფრო მაღალმხატვრულ და მაღალიდეურ დონეზე: ისე რა აზრი აქვს;
3. ლექსშერეული პროზა, ანუ როგორც ხალხურ ვერსიებშია, ოღონდ, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ვრცელი და მონუმენტური;
4. პროზასა და ლექსთან შერეული ფსევდომეცნიერული განსჯები რეფლექსია ამირანის მითის შესახებ, ირონიულ-პაროდიული, ანუ რაც იგივეა — პოსტმოდერნისტული ვარიანტი;
5. ლირიკული, ან ლირიკულ-ეპიკური პოემა...

სულ ვეკითხები ჩემს თავს: რომელი ვარიანტი ვარჩიო, რომელი უფრო დროგამძლე იქნება? არ ვიცი, ჯერჯერობით ამაზე პასუხი არ მაქვს.

დავწერ „ამირანს“ უსათუოდ, ღვთის შეწევნით!

გურამ მეგრელიშვილი, ქეთი თუთბერიძე: ვინაიდან და რადგანაც ჩვენი ოჯახი ახლა ერთსულ და ერთხორც არის, ასეთივე პასუხს გაგცემთ ანუ ერთობლივს — არაფერს ვეკითხებით საკუთარ თავს ლიტერატურულ ასპექტში, სხვა მხრივ კი მგონი, არასაინტერესოა კითხვებიც და პასუხებიც.

ლეილა ზამბახიძე: რას ვეკითხები ხშირად ჩემს თავს? ლიტერატურაზე მართლაც ხშირად ვფიქრობ, მაგრამ ასეთ საჭოჭმანო საკითხზე კითხვა არასოდეს დამისვამს. გალაკტიონი ძალიან მიყვარს და თითქმის მისი ყველა ლექსი წაკითხული მაქვს, მიყვარს მურმან ლებანიძე და შოთანიშნიანიძეც, ასევე ის კახელი, რეზო გეთიაშვილი მომწონს, — გადასარევია.

მე ვთვლი, რომ როგორც დიდ მხატვრად, მუსიკოსად, ასევე პოეტადაც უნდა დაიბადო. ეს თანდაყოლილი ნიჭი მგონია მე. სწავლა არ შეიძლება ლექსის წერის, მუსიკის წერისა და მსახიობობის. როლის სწავლა შეიძლება — მსახიობობის — არა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს არის თანდაყოლილი ნიჭი. ბავშვობაში სხვათა შორის მეც ვწერდი ლექსებს. თამაზ ჩხენკელსაც კი მოეწონა ერთი ლექსი — „ფერმიხდილი მთვარე“ მქონდა ნახსენები. ჩემმა მეუღლემ დამიფხრიწა ის

„ორი კითხვა რიტორიკულ-მოყვარულ“

ყველაზე ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, თუ რატომ არ შეუძლია ადამიანს ბოროტების მხილება, და დღემდე არ მაქვს პასუხი.

ის კი ზუსტად ვიცი, თუ რომელი ლიტერატურული ნაწარმოების ფაბულას ჰგავს ყველაზე მეტად ადამიანთა მდგომარეობა — „ჰამლეტისას“.

თამთა დოლიძე: ყველაზე მეტად ერთი კითხვა მაწუხებს: ვარ თუ არა იქ, სადაც ჩემი ადგილია? — ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

კითხვები ჩემი ლექსების მთავარი ხაზია. ყველა ლექსში კითხვას ვსვამ

და ვცდილობ, პასუხი მოვუძებნო.

მაია კილაძე: ყველაზე ხშირად საკუთარ თავს ვეკითხები: სწორ გზაზე ვდგავარ? და რა იქნება გზის ბოლოს? — პასუხი არ ვიცი.

და კითხვა, რომლის პასუხიც ზუსტად ვიცი: რა უნდა გავაკეთო?

პასუხი: უნდა ვიკითხო, რაც შეიძლება მეტი და ახლავე, რადგან დრო ძალიან ცოტა დარჩა.

სევერიონ ნადირაძე: ჩემს თავს ვეკითხები ხშირად — ხომ არ დაბერდი, სევერიონ-თქო. ჯერ არაო, მპასუხობს „მე“ და ზუსტად ვიცი, რომ ჯერ არ დავბერებულვარ!

რვეული. ახლა გული მწყდება, ძალიან ვწუხვარ. წარსულისკენ გახედვა არ მიყვარს, — ნათქვამია,

ძველი ლექსები და წერილები არ უნდა წაიკითხოო, შენი შექმნილი, რა თქმა უნდა. ძალიან ბევრ რაღაცას შეიცავს თავის თავში, ძალიან ძვირფას მოგონებებს, სინანულსა და სიხარულს — ეტყობა, ამაფორიაქებელია და იმიტომ. როცა მიადგები კარიბჭეს სამოთხისა თუ ჯოჯოხეთისას, აღარ გინდა, რომ გაიყოლო.

ბესო სოლომანაშვილი: რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ?

ნეტავ, თუა შესაძლებელი სამმილიონიანი ერის ლოკალურმა ენამ და დამწერლობამ გაარღვიოს ლიტერატურული საზღვრები? ეს უნიკალური

ენა ძალიან დიდი ტვირთი ხომ არ არის ამ სამ მილიონიანი ნაციისთვის?

კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ალბათ, რამდენი შედევრი არ დაწერილა სხვადასხვა სუბიექტური ან ობიექტური მიზეზის გამო?

დასაწერი აუცილებლად დაიწერება, რომელიმე ტვინში აუცილებლად გაიკვლევს გზას, მაგრამ რაც იწერება, ყველაფერი შედევრი ვერ იქნება.

ბანალურია, მაგრამ დრო სჭირდება ღვინოსავით.

ლილი და ლატე

ნინო თარხნიშვილი

ეძღვნება მაკდონალდსის ერთ ძალიან რიგით თანამშრომელს

ლილი გამხდარი, საშუალო სიმაღლის, ჭორფლიანი გოგოა. ჟღალი თმა, მომწვანო თვალები და თხელი, მაგრამ წითელი ტუჩები აქვს. ლავიწის ცალ ღრმულში, თითქმის ყოველთვის, ვერცხლის ძეწკვის ნაწილი აქვს მოთავსებული, აშკარად შემთხვევით. აცვია იშვიათი სიზუსტით გაუთოებული კუბოკრული პერანგი და ნაცრისფერი შარვალი – ეს მისი უნიფორმაა. შარვალი დიდი აქვს. იმდენად დიდი, რომ დაკვირვებული თვალიც კი ვერ შეამჩნევს, როგორი ფორმები შეიძლება იმალებოდეს მის ქვეშ. პერანგის მოკლე სახელოებიც ზედმეტად განიერია: "სალარო თავისუფალია" – ხელს ზევით წევს და განიერი სახელოდან სუფთად გაპარსული იღლია მოუჩანს. გულის ჯიბეზე სახელი აწერია – ლილი. მეც აქედან ვიცი მისი სახელი. მის შესახებ სხვა არც არაფერი ვიცი. უფრო სწორედ როგორ არა, ვიცი, რომ ოქტომბერში თვის საუკეთესო თანამშრომელი გახდა. ალბათ მენეჯერი დამატებით გასამრჯელოსაც მისცემდა.

ლილის ამ რესტორნის სხვა თანამშრომლებისაგან განსხვავებით, არასდროს ავიწყდება, რომ ჩემი ჩიზბურგერი აუცილებლად მჟავე კიტრის გარეშე უნდა დამზადდეს. არც ის ავიწყდება, რომ ჩემ ლატეს, ორი შაქრის ნაცვლად სამი შაქარი უნდა გამოაყოლოს. იცის, რომ არასდროს ვჭამ შოკოლადის მაფინს.

ერთხელ ლილის სველ იატაკზე ფეხი დაუცდა, წაიქცა და თხლად დაჭრილი, ოქროსფერი კარტოფილი ზედ დაეყარა. წამოდგა, ღიმილის ნიშნად ტუჩის კუთხეები ოდნავ განზე გასწია, თუმცა ისიც დავინახე როგორ აუმღვრია მომწვანო თვალები ცრემლებმა.

ლლის საშინლად არ უხდება კეპი, რომელშიც გრძელ სწორ და ჟღალ თმას მალავს. არც კუბოკრული პერანგი და ნაცრისფერი შარვალი უხდება ლილის. თუმცა, ხანდახან მგონია, რომ ამაზე დიდად არც დარდობს. მთავარია სწრაფად და ზუსტად დაიხსომოს შეკვეთა და შემდეგ ასევე სწრაფად და ზუსტად განათავსოს ეს შეკვეთა კლიენტის პლასტმასის ფოდნოსზე. ლილის შენიშვნას თითქმის არასდროს აძლევენ. ამის რამდენიმე მიზეზი შეიძლება არსებობდეს: ერთი ის, რომ ძალიან მოწესრიგებულია და მეორე ის, რომ ისეთი გამხდარი და შავ-თეთრია ამ კუბოკრულ პერანგში, ნაცრისფერ შარვალსა და კეპში გახვეული, რომ მისი შემჩნევა აშკარად ძნელია.

"სალარო თავისუფალიაააა", - ხმამაღლა იძახის ლილი და მორიგ კლიენტს უღიმის. ვერაფრით გამოიცნობ ნაძალადევად უღიმის თუ გულითადად. ნამდვილად კარგად არის მენეჯმენტის მხრიდან გაწვრთნილი. ასეთივე მოთმინებით ისმენს მერყევი კლიენტების შეკვეთას, რომლებმაც ვერაფრით გადაწყვიტეს დიდი კოკა-კოლა ჩამოასხმევინონ თუ საშუალო და რატომღაც პირდაპირ დახლის წინ იწყებენ კამათს იმაზე, მავნეა თუ არა კოკა-კოლა მათი ჯანმრთელობისათვის და ბოლოს წყალს უკეთავენ.

ლილი იშვიათად, მაგრამ მაინც იღლება ხოლმე. დაღლას ვერც თვალებზე შეამჩნევ, ვერც სიარულზე. დაღლა ხელებზე ეტყობა. უფრო სწორად მტევნებზე. თეთრი კანის ქვეშ ღია იასამნისფერი ვენები ებერება და აწუხებს. შეკვეთებს შორის ხელებს ისრესს და თუ კარგად დააკვირდები, სულსაც უბერავს.

ლილი ხანდახან საპირფარეშოსაც ალაგებს. ერთხელ ზუსტად მაშინ შემოვიდა საპირფარეშოში მე რომ საქმე მოთავებული მქონდა და ხელებს ვიბანდი. ლილის ისეთი თეთრი კანი, მწვანე თვალები და წითელი ტუჩები ჰქონდა, რომ არაფრით არ შეიძლებოდა, მას უნიტაზები ეხეხა. ისე გამიღიმა, თითქოს ხელში ქლორიანი ხსნარის ნაცვლად მინდვრის ფერადი ყვავილები ეჭირა. ვიფიქრე, იქნებ ლილი უბრალოდ რობოტია და მისთვის სულ ერთია უნიტაზებს გახეხავს თუ კოკა-კოლას ჩამოასხავს-მეთქი. არ მინდოდა მენახა როგორ ხეხავდა ლილი ჩემ ნახმარ უნიტაზს, ხელები არც გამიმშრალებია, ისე გამოვედი საპირფარეშოდან. ჩიზბურგერს მივუჯექი.

ლილი გამხდარი, საშუალო სიმაღლის, ჭორფლიანი გოგოა. ჟღალი თმა, მომწვანო თვალები და თხელი, მაგრამ წითელი ტუჩები აქვს. ჯინსები და იასამნისფერი ქურთუკი აცვია. მხარზე ჭრელი ჩანთა ჰკიდია. შუბლი ავტობუსის ცივ შუშაზე აქვს მიდებული და მანქანების განათებულ ფარებს თვალს აყოლებს. მე მის უკან ვდგავარ, მის ჩამოსხმულ უკვე გრილ ლატეს ვწრუპავ და ვცდილობ ავტობუსის დამუხრუჭებისას ყავა ქურთუკზე არ გადამესხას.

ფეხსაცმელი

რუსა ამირეჯიბი

ფეხსაცმელების ბუტიკში ვმუშაობ და როგორც ვაკვირდები, ჩემი განწყობა გაყიდული ფეხსაცმლის რაოდენობაზეა დამოკიდებული, ანდაც იმაზე, თუ როგორ ფეხსაცმელს ჩავიცვამ დილით. ზუსტად აღარც მახსოვს, როდის შემიყვარდა ფეხსაცმელების გაყიდვა, სანამ აქ მუშაობას დავიწყებდი, თუ როცა დავიწყე. მერე რაა, რომ ვყიდი და თანაც ფეხსაცმელს, აუცილებელია რომ პოეტი ვიყო, ანდაც მოცურავე?

დღეს ხუთი წყვილი გავყიდე, ეს ცოტაა და მეც შესაბამის ხასიათზე ვარ, ამიტომ დილით ჩაცმული ფეხსაცმელი ახლა უკვე მაღიზიანებს. ლამის ჩანთით ვატარო სხვა. ლამის კი არა, მართლა. ხშირად მგონია, რომ არცერთი არ მაქვს ისეთი, როგორიც მინდა. ჰოდა, ამ ყველაფერს დაემატა მისი ზარიც და ჩემი განწყობაც ნამცხვარივით გამოცხვა, თუ გადაცხვა? ერთს კი მივხვდი, იმიტომ მიყვარს, რომ ასე მინდა, იმიტომ არა, რომ სხვანაირად არ შემიძლია".

„მარშუტკაში" ავედი, ჩანთა მუხლებზე დავიდე, დეკოლტე გავისწორე, რათა ნახევრად შიშველი მკერდი დამემალა. რაღას ვისწორებ, ბარემ ისეთი ჩავიცვა რომელშიც არ მიჩანს, ხომ?

მოკლედ, გვერდში თურმე მონაზონი მიზის. შავებში ჩაცმული, მანდილმოხვეული, კოჭამდე კაბით. უცებ გამახსენდა, რომ გულზე ჯვარი მაქვს დაკიდებული. ეს ჯვარი ომის დროს შევიძინე და მღვდელს ჩემს სახელზე ვაკურთხებინე. ძალიან მიყვარს, რაღაცნაირად მისი იმედი მაქვს და მომწონს კიდეც. ცისფერი ქვებითაა, შავ ზონარზე, ვერცხლში ჩამჯდარი და არც ისე დიდი. გავიფიქრე, რომ მონაზონიც დაინახავდა.

ფანჯარაში ცქერა დავიწყე. როგორც კი სხვა სკამი გათავისუფლდა სასწარაფოდ გადავჯექი და უკვე ვიცოდი, რატომაც ვგრძნობდი თავს უხერხულად: არა მხოლოდ შიშველი მკერდის და ზედ აქსესუარად დაკიდებული ჯვრის გამო, არამედ მარწყვ-ვარდის სურნელიანი საკუთარი სუნამოსიც შემრცხვა.

„ნამდვილად ვიცი, რომ სასიამოვნო სუნი აქვს. მონაზონიც ხომ იგრძნობდა და მოეწონებოდა? მასაც რომ მოუნდეს ასეთი სუნამო?! გამოდის მცდუნებელი ვარ?!"

ჩემი ფეხსაცმლის გამოც შემრცხვა, „ვინ იცის ესეც მოეწონოს?"

მონაზონს ამის გადამოწმების მიზნით თვალებში ჩავხედე და ვერაფერი დავუნახე, ნამდვილად არაფერზე წუხდა, არაფერი უნდოდა, არც დევიზად ედო თვალებში: „არ მსურს რამე მინდოდეს!"

„აუუ, რამხელა თავისუფლებაა, როცა მთელი არსებით გწამს რაღაცის და თავს მთლიანად მას უძღვნი."

უცებ პირველად ვიგრძენი თავი ჩიად და ვულგარულად.

„მე კი სხვათა გემოვნებებსა და სურვილებს ვეკუთვნი, რაც ფეხსაცმელს უკავშირდება."

დავფიქრდი რისი მჯეროდა ასე. მე ღმერთის არსებობის ნამდვილად მწამს, მაგრამ არა ისე, როგორც მონაზონს. ძალიან მომინდა მისნაირი რწმენა მქონოდა. თავი ისევ პატარა ადამიანად ვიგრძენი, მერე გავაპროტესტე და გავიხსენე ყველაფერი, რისი კეთებაც მომწონს, ის კონკრეტული გზაც, რომელზეც ვდგავარ, მაგრამ თავი უკეთესად მაინც ვერ ვიგრძენი. დავრწმუნდი, რომ მართლაც ნამცეცივით ვარ.

„სულ ამ გადაპრანჭული ფეხსაცმლის ბრალია!" - სულისგან დამოუკიდებლად ტყუოდა გონება. გაიხსენა ყველა და ყველაფერი რაც უყვარს და მოსწონს, მაგრამ უკეთესობა მაინც არ იყო. იმ უზარმაზარის მფარველობას ვერ ვგრძნობდი, ვისი იმედიც მონაზონს ჰქონდა და ვის გამოც ასეთი არაფრისმდომი თავლები ამშვენებდა; რომ შემომხედა, მის თვალებში სიბრალულიც კი ვერ დავინახე, არათუ სიბრაზე და ზიზღი. მომინდა, რომ თუნდაც იმის ღრმა რწმენა მეგრძნო, რომ ღმერთი არ არსებობს, ოღონდ მონაზვნის რწმენისხელა რწმენა მქონოდა. ჩემი მიზნები ისეთი უმნიშვნელო მომეჩვენა: მეტი ფეხსაცმლის გაყიდვა, საკუთარი ბუტიკის გახსნა, ფულის დაგროვება, ბარსელონაში წასვლა ათი დღით...

„სასწრაფოდ უნდა ჩავიდე აქედან!!! ნახევარი გზა ფეხით გავიარე.

„რაიმეს მაინც ვქმნიდე, შემოქმედი მაინც ვიყო. რა ჯანდაბაა! ესაა ცხოვრება? სხვის შექმნილს ტაშს უკრავდე და მხოლოდ ამით იყო კმაყოფილი."

სახლში არ შევედი, შევვარდი და საქმიანად დავიწყე ბოლთა, იმის იმედით, რომ მონაზვნის ხატებას გავექცეოდი. გამომივიდა კიდევაც, რადგან სახლის ლაგებას მივყევი, თან ტელევიზორზეც გადავერთე.

„ვითომ ის ყველაფერი მართალი იყოს, რასაც ტვინში გვიტენიან!"

გამახსენდა ახლობელი, რომელთანაც სტუმრად ვიყავი და ჩემ თვალწინ ასე დაიჭირეს: კარზე დააკაკუნეს და კითხვაზე ვინ ხარო, უპასუხეს - გაზიდანო. მერე შემოცვივდნენ, ერთი კარგად მიჟეჟეს, ამასობაში მათგან ორი სააბაზანოში გავიდა და 20 კაკალი სუბოტექსი დააგდო. ხუთივეს ხარისხიანი, მოდური ფეხსაცმელი ეცვა.

„მადაც კარგი ჰქონიათ და მოდასაც აყოლილან, მაგრამ ორ მათგანს სათავისო სტილი ვერ აურჩევია"- გამეფიქრა თავისით. რა გაჩხრეკის ორდერი, რის ტაქტი... წაათრიეს, უამრავ ფულს სთხოვენ, ერთ წელიწადში გაგიშვებთო. საიდან მიუტანენ ამდენ ფულს... შენ, დადიხარ აქა, ბიზნესი გაქვს, მანქანა და ბლატაობო. იმიტომ კი არ დაიჭირეს, რომ ჩვენი კანონების მიხედვით ნარკოტიკების მოხმარება აკრძალულია, იმიტომ, რომ თავის საქმე ჰქონდა და კარგად იყო. დააბრალეს ბარიგა ხარო და ჩასვეს. ესაა სამართალი? ნარკომანს,

➲ გაგრძელება ოცდამეთვრამეტედმეტ გვერდზე

ფეხსაცმელი

➲ ოცდაშვიდმეტე გვერდიდან

სხვაგან, როგორც ავადმყოფს ისე უყურებენ. მეც ასევე. არ ვენდობი და მათთან ურთიერთობას ვერიდები. თუმცა ეს ბავშვობისდროინდელი მეგობარი მაინც შემომრჩა. რად უნდოდა ამ კაცს ბარიგობა, თავის ნიჭით შოულობდა ფულს, სამ ოჯახს და საყვარელს არჩენდა და თუ კაიფობდა პარალელურად, ამით თავის თავს ვნებდა, სხვას ხომ არა? მაშინ დაეჭირათ და როგორც მომხმარებელი ისე დაესაჯათ. იცით რა�ა? მე არც ქმარი მყავს, არც მამა ¬- გარდამეცვალა, - და არც ძმა. მე მინდა კანონის, საკუთარი ქვეყნის იმედი მქონდეს, რომ დამიცავს. მინდა კანონის რიდი მქონდეს და ამის გამო ყველაზე ნაღდ და იოლ გზად პატიოსნად ცხოვრებას მივიჩნევდე; მაგრამ თვითონ კანონი არღვევს კანონებს. გამოდის, ქვეყნისთვის სულერთია მე როგორი ვიქნები, პატიოსანი თუ უნამუსო ბარიგა. ვინ დამიცავს? ვინ?

ლაგება მივატოვე და გაცეცხლებული დავეცი ტახტზე. თვალები დავხუჭე და დასამშვიდებლად ზღვა გავიხსენე. ამან კი ერთი მომენტი ამოაგდო. მაინც გამიხარდა, რადგან მონაზონს და დემაგოგიას თავი დავაღწიე და სასწრაფოდ ზუსტად გავიხსენე:

„ თოლიამ გადაიხარხარა ჩემს პროტესტით გამოტენილ თავზე. თავისუფალი ადამიანის თვითნებური მონობა! დღეს თუ დამონება ხდება, მხოლოდ იმის მიერ, რასაც ფიზიკური სხეული არ გააჩნია. ამას მონობად არ ვთვლით, რადგან დამპყრობელს მაინცდამაინც ადამიანთან ვაიგივებთ. ყველაზე სასტიკი დამპყრობელი კი სიყვარული, სიგარეტი და ნარკოტიკია.”

მაშინ ამ სამიდან ორის მონა ვიყავი ცალ-ცალკე, დღეს კი მხოლოდ ერთს ვმონობ საკუთარი ნებით, ოღონდ ორიდან შემდგარს და სწორედ ეს მომიღებს ბოლოს. როგორ გადავეჩვიო ამ ოხერი სიგარეტის სიყვარულს?!

ისევ იმის მესიჯი და ეს ფიქრი სხვა ფიქრის უნაგირზე სიამოვნებით გადავსვი:

„ხანდახან მინდა თავი მოვიტყუო და ვფიქრობ ხოლმე, რომ ცხოვრება უსამართლოა. ახლა ამ ხასიათზე არ ვარ. ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივი მგონია. თუ ქუსლიანი ფეხსაცმელი გაცვია და პატარა კენჭის გამო მოიტეხე კისერი, ცხოვრებამ კი არა, შენმა ქუსლებმა გამოიწვია. თუ ბოტასი გაცვია და წვიმაში ფეხები დაგისველდა, ეგეც შენი ბრალია - ბოტების ჩაცმა ჯობდა.

მე ახლა გაბრაზებული ვარ მასზე. მთავარი ისაა, რომ ისიც მართალია და მეც. ის ისე იქცევა როგორიცაა, და მე პასუხი მაინც მოვთხოვო? ისე რატომ არ მოიქეცი, როგორც მე მოვიქცეოდი- მეთქი? რა სისულელეა, ხომ? რომ დაუფიქრდე სისულელეა, მაგრამ როცა რაიმე მიუღებელი ხდება ჩვენს თავს, ისე გვიტაცებს სუბიექტურობა და ეგოიზმი, რომ ამაზე აღარ ვფიქრობთ, ვართ ნაწყენები და ვკარგავთ ადამიანებს იმიტომ, რომ ჩვენნაირები არ არიან. ეს იგივეა, რომ მომცრო ტანის მამაკაცის გვერდით მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა და მასზე განაწყენდე, რატომ არის დაბალიო.

ახლა კი პრინციპის გამო არ ვპატიობ. აგრესია+სარკაზმი, გინდ იმსახურებდეს კიდევაც, სისუსტეს ნიშნავს. ამ დროს თვითკმაყოფილება მატყუებს ხოლმე და თავი ძლიერი მგონია. იქვე კი დოინჯით დგას სინანული, რომელიც ყურით სირცხვილს დაათრევს. ეს კი ისე მტკივა და მიჭერს ხოლმე, როგორც ახალი ფეხსაცმელი. რას ვაკეთებ იმისთვის რომ არ ვიკოჭლო? ქუსლზე პლასტირს ვიკრავ და დასკვნაც ჩემ სასარგებლოდ გამომაქვს: მირჩევნია ახალი ფეხსაცმელი არ ვიყიდო და ძველით ვიარო (და მაინც ყოველთვის ვყიდულობ ახალს. როცა შეიძლება ასე ვიფიქრო: ვიყიდი და პლასტირს მანამდე დავიკრავ სანამ ქუსლს გადამიტყავებს. ახალი ფეხსაცმელი ხომ საჭიროა ბოლოს და ბოლოს?

ვყოფილიყავი ფრთხილად, ხომ ვიცოდი მისი ცუდი ჩვევის შესახებ? ძალიან გაბრაზებული ვარ, მაგრამ უფრო მეტად - ვისზე? შემთხვევები უხილავი ჯაჭვითაა გადაბმული, ცხოვრება კი სპონტანური და სიტუაციური მომენტებისგან ხდება მკვეთრი.

კიდევ დიდხანს ვიფილოსოფოსებდი, მაგრამ უეცრად, ვიღაცის ბღავილმა ჰაერი სკალპელივით გასერა. ფანჯარას მივვარდი და გადავიხედე. ერთ ახალგაზრდა ბიჭს ხელში დანა ეჭირა, მეორე კი იდგა და გაშტერებული თვალებით დაჰყურებდა საკუთარ სისხლიან მუცელს.

„ ტყავის იმიტაციის ფეხსაცმელი აცვია.

ალბათ ამან დაიბღავლა. ”.

დამჭრელმა მოკურცხლა. მის კრემისერ პადოშებს მოვკარი თვალი.

„ამას კი ნამდვილი ტყავის.”

ტელეფონს ვეცი და სასწრაფო დახმარებას გამოვუძახე. უნებურად დავეშვი კიბეზე, ეზოში გავვარდი და დაჭრილ ბიჭს ვეცი. ის უკვე იჯდა, გაფითრებული მძიმედ სუნთქვდა და შუბლზე ოფლის წვეთები მუწუკებივით ეყარა. შემომხედა და თვალები დახუჭა. სისხლის დანახვაზე თავბრუ დამეხვა, ფეხიც გამისრიალდა და მის გვერდით სისხლში ჩავჯექი.

გონს რომ მოვედი პალატაში ვიწექი, მიმოვიხედე. ის ბიჭი დავინახე. დიდი თვალებით მიყურებდა.

„რა უცნაურია, როდის იყო ქალები და კაცები ერთ პალატაში იწვნენ?”

აქ რა მინდა-მეთქი ვკითხე. არ ვიცი, ეტყობა სისხლიანი რომ გნახეს, შენც დაჭრილი ეგონე, მეც აქ მოვეგე გონს და რომ დაგინახე გამიკვირდა, დიდი მადლობა ყურადღებისთვისო. უფრო დაკვირვებით მივიხედ-მოვიხედე. ტანსაცმელს ვეძებდი. მხოლოდ ჩემი ფეხსაცმელი ელაგა.

„ეს ფეხსაცმელი ნამეტანი გადაპრანჭული ყოფილა, ეგ ბაფთა სრუალიად არაა საჭირო, მე სხვანაირს დავაკრავდი და ქუსლებიც უფრო ღია ფერის მოუხდებოდა.”

უცბად გამახსენდა:

დედაჩემთან დაქალები ისხდნენ. ერთს ახალი ფეხსაცმელი ეჭირა.

მეორემ თქვა: „ვერ ვიტან ქუსლი რომ არ კაკუნობს, ასე მგონია, საყრდენი გამომაცალეს.”

დედაჩემმა: „მე კი, თითქოს სამყარსოთან კონტაქტს ვკარგავ”.

„დამასედკამ”: „მე მუდამ უხმაუროს ვარჩევ”.

პირველმა: „კაკუნა და უშნო ქალს შეხედავენ , მე კი – არა! არ მინდა ეს ფეხსაცმელი!”

აი, ოთხი ბიოგრაფია.

და ჩემი?..

საბნის ქვეშ ჩავიხედე. რაღაც ზოლიანი, გახუნებული პიჟამა მეცვა.

„საგიჟეთში ვარ თუ რა არის? ახლა ფულს დამაწერენ, ალბათ მინიმუმ 50 ლარს, იმიტომ, რომ სისხლიანი ტანსაცმელი გამხადეს. უნდა დავტყდე.”

ავდექი, პიჟამიანმა ჩემი ქუსლიანი მწვანე ფეხსაცმელი ჩავიცვი და პალატიდან გამოვედი. იმ ბიჭს გაოგნებული სახე რომ ჰქონდა ზურგმა მითხრა. ყველაფერი ფეხებზე მეკიდა, უცნაურად ვგრძნობდი თავს, გარეთ ღამე კი იყო, მაგრამ განათებული. გამახსენდა, რომ ტაქსის ფული არ მქონდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე გამეჩერებინა, სახლამდე მივალ და ჩამოვუტან-მეთქი. ტაქსი არ მიჩერებდა. ბოლოს ერთმა ღვთისნიერმა დაამუხრუჭა. ჩავხტი და მისამართი ვუთხარი. იმან კიდევ მკითხა, რამდენი გინდაო. ჯერ ვერ მივხვდი, მაგრამ მერე სწრაფად გავიაზრე, ჯერ გავოცდი, მერე გავბრაზდი და ბოლოს გამეცინა, სად გინახავთ პიჟამიანი მეძავი-მეთქი? ფეხსაცმელმა გაგყიდა, რომ გიჟი კი არა, მეძავი ხარ საკუთარი სტილითო. გადავირიე. არ ვარ, რაღაც შემემთხვა და სახლამდე მიმიყვან თუ გადავიდე-მეთქი? მძღოლი კარგად დამაკვირდა, მერე ჩაიბურტყუნა, მიგიყვანო და სახლთან მიმაგრიალა. დამელოდე, ფულს ჩამოგიტან-მეთქი. არ მინდაო და გავარდა. ისევ გამიკვირდა. ავედი. შევედი. სიგარეტს ვეცი, თან აბაზანას ვიმზადებდი. ჩავწექი და თითქოს მეორედ დავიბადე, იმიტომ არა, რომ ჭუჭყი მოვიცილე, რაღაც სხვა ხდებოდა... გაბრაზებულიც აღარ ვიყავი, არც დემაგოგიაზე და აღარც იმაზე, ვინც დამირეკა. თურმე ავტომატურად ვაპატიე. აღარც მონაზვნის მრცხვენოდა. მშვიდი და თითქოს რაღაცაში დარწმუნებული ვიყავი. გამიელვა, რომ ფეხსაცმელების გაყიდვა აღარ მინდოდა.

ლოგინში რომ შევსრიალდი, მივხვდი, რომ ის უნდა შევქმნა, რაც ასე ძალიან მიყვარს და იმიტომ კი არა, რომ ასე მსურს, იმიტომ, რომ თურმე სხვანაირად არ შემიძლია.

მე ვიპოვე ჩემი თავი. თქვენ?

2010 წ.

ია მშვიდობაძე

ვაჟო სადა ხარ?

ვაჟო სადა ხარ, გულისავ,
რატომ არ გამამაისებ?
შენ ოღონდ სადმე გამოჩნდი,
ალად აგინთებ აისებს...
გულის ჭრილობა გამეხსნა,
მალამო უნდა ნაისრევს...
რომელ ყვავილთან მღალატობ?
ეჭვები ხრავენ ნაფიქრევს...
ხან სულ გივიწყებ დამზრალი,
ხან ვნება შენსკენ მამიქნევს...
იასამნებმაც იფეთქეს...
კვირტებად დასკდა ატმის ხე...
მოდი და ფრთხილად შემეხე,
ჩუმად შემიხსენ საკინძე...
ჯერ მკერდს მიბნიე, მერე კი
ატმის ფურცლებად ამკინძე...

„ორი კითხვა რიგრესტურიმოყვარულ

1. რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ
2. კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით

თამაზ ექვთიმიშვილი: კითხვა, რომელზეც პასუხი არ მაქვს და არც მექნება ალბათ არასოდეს: რას ავირჩევდი, თუკი არჩევანი მექნებოდა — ნობელის, სერვანტესის პრემიებს, ანუ ლიტერატურულ მწვერვალებს, თუ „რიგითი“ წმინდანის სახელს და საფლავის ქვას რომელიმე ეკლესიეზოში?

როდესაც პირველად დამებადა ეს კითხვა, ჩემი მილეწილმოლეწილი ტვინის ხუმრობად ჩავთვალე. მაგრამ მას შემდეგ ხან უცაბედად მომდის თავში, ხანაც სულ სხვა რამეზე ფიქრის დროს ლოგიკურად მივადგები ხოლმე მას.

კითხვა, რომელიც ასევე ხშირად მიჩნდება, მაგრამ პასუხი ყოველთვის მაქვს: ხელოვნების რომელ სფეროში ვერ მივაღწევდი იმ დონეს, რომელზეც იტერატურული თამასა მაქვს გაჭიმული?

პასუხი ასეთი მაქვს: ყველაფერში, რის ანა-ბანაც მეცოდინებოდა (წერის გარდა ყველაფერი ისწავლება), ოღონდ არა მუსიკაში. სმენა არ მაქვს. ვერანაირ მუსიკალურ ნაწარმოებს ვერ შევასრულებ და პროფესიონალის დაუხმარებლად ვერც შევქმნი. არადა სიმფონიაც კი, რომელიც ასე თუ ისე ნაცნობია, — მისი ორი სხვადასხვა ორკესტრის მიერ შესრულება შემიძლია ერთმანეთისგან განვასხვავო.

სოფო დათუაშვილი: მე მგონი, მე ლიტერატურული კითხვები საერთოდ აღარ მომდის თავში. იმდენად ვარ დახამებული ელემენტარულ თავისუფლებას (ზარმაცი ისედაც ვიყავი, მაგრამ ახლა უფრო ბავშვების გადამკიდე), როცა კი დროს გამოვნახავ, საერთოდ უაზროდ ვხარჯავ არაფერში (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). არადა, სანამ ისევ არ დავიწყებ კითხვას, ინტენსიურ კითხვას, მანამ მკვდარი ვიქნები ლიტერატურულად. როცა ვერ ვკითხულობ, ვერც ვწერ (ეს დავასკვენი ამ ორ წელიწადში).

ვწუხვარ, რომ ჩემი პასუხი ასეთი მწირია. სამაგიეროდ, სიმართლე

მაინცაა...

მაიკო მიქაია

ბაიდა ნაფისა

არავინ იცის, საქართველოს რომელ კუთხეს ან გვარს ეკუთვნოდა „თეთრ განძად“ წოდებული ქართველი ქალი, რომლის გამჭრიახობამაც გადაარჩინა კაირო. ეგვიპტელები მას იცნობენ სამი სახელით, როგორც ნაფისა ხანუმს, ბაიდა ნაფისას და მამლუქთა დედას.

წამწამებზე ეგვიპტური მზე გესვენა,
წამწამებქვეშ — ლივლივებდა მირაჟი.
წარსული რომ ცის თაღივით განიხვნება,
ირეკლება ვარსკვლავთცვენა სილაში.
რას გერჩოდნენ, ნეტავ, ვისი რა ემართა
ათასობით ლამაზ ქალს და ქვრივ-ობოლს?!.
და ბავშვური შენი ცრემლიც დაემატა
ბევრი ცოდვის მნახველ კონსტანტინოპოლს.
ტკივილს ვიღას შესჩივლებდი, იქ შენს მსგავსად
ბევრი იყო, არ იყავი პირველი...
თუკი გაჩნდა ქვეყნად სადმე სილამაზე —
გამყიდველიც გამოჩნდება, მყიდველიც.
გასაცემი საქართველოს ვიღამ მისცა
ან შვილები, ან ნაფლეთი მიწის, თუმც
თქვენ გყიდიდნენ ისე, როგორც ქართულ მიწას,
ქართულ მიწას, მერეც ბევრჯერ გაყიდულს.
დიდოუ ნანა, დედაშენი მებრალება,
მიწა წყევლა დიხაშხო* — რომ გიშვილა,
ვერ იხილა შენი გაზრდა-დაქალება,
ვეღარც შენი დედოფლობა იხილა.
თავს გიხრიდა მოწიწებით კაირო და
მზრუნველობდი ღარიბთა და მდიდართა...
რა შორს იყო მშობლიური შენი ოდა
და შორიდან უფრო ძლიერ გიყვარდა.
როცა მტერთა სიმრავლისგან ცა გამუქდა,
როცა ძრწოდა შიშით სპა და მსტოვარი,
წინ აღუდგა ლაშქარს დედა მამელუქთა,
მომხიბვლელი და დიდბუნებოვანი.
ჯიქის მზერით დამპყრობელი დაიპყარი
და სიდინჯით დედოფლობა იფერე.
იმპერატორს ეცლებოდა მიწა-მყარი,
როცა თვალებს აწყდებოდა ზღვისფერებს.
ფეხთ გიგებდნენ საუცხოო დიბა-ატლასს
დღეს თეთრ განძად ქცეულ, ყოფილ მონა-ქალს
და ევროპის სახელოვან მთავარსარდალს
თვალს ამაყად უსწორებდი ბონაპარტს...
სილამაზე და სიმდიდრე საარაკო
ოქროს ქვიშის კრიალოსნად ასხმულა.
სანამ ვცოცხლობთ, ჩვენ წარსულზე ვლაპარაკობთ,
მივდივართ და — ჩვენც ვიქცევით წარსულად.

წამწამებზე ეგვიპტური მზე გესვენა,
წამწამებქვეშ ლივლივებდა მირაჟი...

---
* დიხაშხო — უნაყოფო, მწირი მიწა.

მარიამ წიკლაური

მდინარე

მდინარედ ვიშვი,
მთის მდინარედ,
ისე სწრაფად მივედინები,
ისე ხმაურით,
არსებობასაც ვერ ვასწრებ ჩემში.

ვის შეუძლია ჩემი მოყოლა,
ვერვინ მიტყვის,
ვერვინ გამომთქვამს.

შემსვამენ და წყალი ვგონივარ.
ჩადგებიან ფეხებით და
თვალებში რომ მაშტერდებიან,
კალმახები უვარდებათ ბადეებში,
მე კი გავრბივარ,
ჩქერებზე რომ ლიფსიტები მეკიდებიან,
იმათთვისაც არა მცალია.

ჩემს კალთებზე ფრენენ მერცხლებიც,
მათ თეთრ გულებზე
ჩემი წვეთები ყვავილობენ და ცაში ააქვთ
ლოდების გემო.

რა ცივი ვარ,
სუნთქვა ეკვრით ჩემს მკლავებში
ჩაწოლილ ხვატს და
მზის ანგელოზებს.

მივდივარ იქით, საიდანაც ვერ დავბრუნდები,
მაგრამ ეს გზა — სათავიდან შესართავამდე,
უწყვეტობის დასტური და სიდიადეა.

ვის შეუძლია,
მდინარის გარდა ასეთი იყოს —
დაბადებიდან სიკვდილამდე
მთლიანი და უბერებელი...

ირმა შიოლაშვილი

რევაზ ელიზბარაშვილი

- სადაცაა ჭერს თავზე ჩამომაქცევდნენ. ბავშვობიდან ვერ ვიტანდ დებოშიორებს. საქმეს გული ვერ დავუდე... გადავწყვიტე ამ უზნეობისთვის წერტილი დამესვა. ბინა დავტოვე და ,,ცხელთავიანებს“ ავადექი კარი ადვილად გავაღე (ზარს მაინც ვერ გავაგონებდი). ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, ნესტოებში ,,ბალახის“ სუნი მეცა... კორიდორიდან ხუთიოდე სული დავლანდე. ნახევრად ბნელში მუსიკის რიტმებზე ჭინკებივით დახტოდნენ ოთახში შევედი და შუქი ავანთე. - შეწყვიტეთ ეს ბედლამი! - დავუღრიალე. მუსიკა გამორთეს და იდიოტური სახეებით მომაჩერდნენ. მოზარდები იყვნენ, ასე თხუთმეტ-თექსვმეტი წლისანი... - ეი, შენ, აქ საიდან გაჩნდი? ვინ ხარ? - შემცბარები ჩანდნენ... - მე?!.. მე ამ სახლის ახალი ზედამხედველი ვარ!.. - გესმის ჯეი, რა მოვხიე?!.. - რას ერჩით პატიოსან მეზობლებს? ლამისაა ჭერი დაენგრეთ თავზე!.. - მაინც არ არიან სახლში... - ამოილუღლუღა გრძელთმიანმა. - არ არიან?!.. სამაგიეროდ, მე ვარ იქ! მე ! - დავჭექე. - ... და მაცადეთ მუშაობა! - ვეღარ შევიკავე თავი... - ჰა-ჰა-ჰა... შენ მათი სიფათები უნდა გენახა, ჯეი... ერთი აყლაყუდა ბარბაცით მომიახლოვდა: - ეწევი, უფროსო?.. - ჰა-ჰაა... აზრობ, ჯეი, რა მკითხა?!.. მოკლედ ის საქმე ჩავაგდე. ბინაში მიბრუნებაზე არც მიფიქრია. არადა, სუფთა სამუშაო იყო... გესმის, ხომ?.. ჯეი, მიპასუხე... კარგი, რა გაეწყობა... ძილი ნებისა.

პატიმარმა ზეწარი მხრებამდე აიჩოჩა და კედლისკენ შეტრიალდა.

სადღაც შორს ჭოტი გაჰკიოდა.

სიტყვების თოკით

სიტყვების თოკით თუ გამნასკვავ სახრჩობელაზე-
სკამს ფეხს თუ აჰკრავ და ჰაერში თმასავით შემჭრი
სიცოცხლისფრად გადაღებილ ბოლო სურვილებს
წამწამით ალბათ შენს საყელოს დავეკიდები...
და ჩემს გრძელ სევდას შემოგახვევ ყელის გარშემო....

.....

როცა დუმილი ოქროდ ფასობს - ხიდებს ვაშენებ
როცა ვხმაურობ - იმსხვრევიან ჩემი ხიდები
ვეღარ ვპოულობ საგანძურში ბგერას საშენოს
და ვცდილობ ხელზე მზის აკიდოს ჩამოკიდებით
განიშნო როგორ დავიღალე... როგორ გავდივარ
იმ წვიმის წრიდან - შენ რომ ერთ დროს თეთრ ზღვას ადრიდი
როცა გვერდიგვერდ ვთევზაობდით და ერთდროულად
ხელში ვიყვანდით ოქროს თევზებს ნისლის ბადიდან
და ისევ ზღვაში ვაბრუნებდით... და მერე ბადეს
ისევ ვისროდით ოქროს თევზის ამოსაყვანად...
ახლა მაჯაზე მზის აკიდო ბოქლომად მადევს
მკლავებზე რწმენის ნამსხვრევებმა გამომაყარა

და მეშინია, არ დავმთავრდეთ,არშეეწიროს
ჩვენი წარსული გრძელი თოკის შავ-თეთრ განაჩენს
დაღრუბლებს გიწყობ ბრმა თვალებში, რომ შენი სულის
თითქმის გამომშრალ ნაპრალებში წვიმად გადავრჩე.

ხახვის ყვავილობა

ლია ყიფშიძე

– . . . ვიღაც ტყეებში დადის თურმე და ხეებზე ჯვრებს ტვიფრავს. . .

– როგორ?

– რა, ვიცი, როგორ! ალბათ დანით, ან წაწვეტებული ქვით. . .

– მერე?– კითხა შეშინებულმა ცოლმა ქმარს და თავის თორმეტიოდე წლის ბიჭს გადახედა, რომელსაც მშვიდად ეძინა. . .

– რაა, მერე?არ იცი, რო დაიჭირონ, რა მოელის?დაწვა, გატყავება, ჩამოხრჩობა. . . გავაგრძელო?

– გაჩერდი, გაჩერდი, ღმერთმა გვაცილოს. . .

– ღმერთმაო?აი, სწორედ მაგის ბრალია ყველაფერი! ღმერთმაო! რა იქნება, რომ თქვა, ალაჰმა. . . ალაჰმა. . .

– ვერ ვიტყვი, ვერა, ისევე, როგორც შენ ვერ დაგიძახებ იუდას. . .

– დამიძახე, ოღონდ ესენი მყავდნენ ცოცხლები, ოღონდ ესენი მყავდნენ კარგად! – ახლა ქმარმა გადახედა ბიჭს და მის გვერდზე მწოლიარე და–ძმებს, სულ ხუთი ყავდათ– სამი ბიჭი და ორი გოგო, ყველაზე პატარა– ორი წლის. . .

– ეძებენ?– იკითხა ქალმა. . .

– ეძებენ. . . ეძებენ და იპოვნიან კიდეც, მისიანს შეუჩენენ, ნათესავს, მეგობარს. . .

– ხოდა, რადგან ეჭვი მირიანზე გაქვს, ხვალ მელაპარაკე ამაზე, რო გაიღვიძებს. . .

– ეჰ! მომმადლე ძალა. . . – თქვა კაცმა და აღარ გააგრძელა. . .

– . . . მომმადლე ძალა, უფალო, ამ ყველაფერს რომ გავუძლო, დამიფარე და გამაძლიერე. . . შენ იქენ ჩვენი შემწე! – ჩუმად დაამთავრა ლოცვა ცოლმა, პირჯვარი სამჯერ გადაისახა და დაწვა. . .

არ დასძინებია, რა დააძინებდა, გახურებულ თონეში იყო თავჩაყუდებული, იცოდა, იცოდა რომ ეს მირიანის ხელწერა იყო, ხელში ფიჩხი აიღო თუ არა, ხატვა დაიწყო. . . მიწაზე, ნაცარზე. . . მერე, ქვა გახეხა, გააწვრილწვეტა და იმით ჩხაპნიდა, რასაც მიწვდებოდა. . . რომ მოიზარდა და ნახა, როგორ ძალით ამუსულმანებდნენ ქრისტიანებს, როგორ აწამებდნენ და ავიწროვებდნენ, უფრო აენთო გულში რწმენა, პაწაწინა ჯვრებს თლიდა, მეგობრებს კანაფის თოკით კისერზე კიდებდა. ყველგან ჯვრებს ხატავდა, ტვიფრავდა. . . მერე მამამ აუკრძალა, კიდევ კარგი, როცა ხოჯამ კისერი შეუმოწმა, აღარ ეკიდა ჯვარი, თორემ იმ პატარა თავს დააგდებინებდა. . .

სწორედ მაშინ ჩაეძინა ქალს, როცა ცურრძეჩამდგარმა ღრუბლებმა სარკმელში შემოიხედეს, ცოტა წათვლიმა და გაიღვიძა. ქმარიც ადგა. ბავშვებმაც გაიღვიძეს. . .

– ქალო! გაიგე, ხომ, იმის მოკვლით რომ იმუქრებიან თათრები, ჯვრებს ვინც ახატავს ხეებს. თურმე ჯილდო გამოუციათ, ვინც გვეტყვის ვინაა, იმას მივცემთო!

– ნენა, ნენა, ეგ ხომ დანაშაულად არ ითვლება?– იკითხა ბიჭმა. . .

– ითვლება, აბა, არ ითვლება?

– აკი, ვინც თათარს შეაფურთხებს, ვინც იმის საფლავს წაბილწავს, ვინც ცუდს იტყვის, ვინც. . .

– გაჩუმდი! – შეაწყვეტინა მამამ შვილს, იმ წესებსაც თვითონ წერენ და ვერ დაამატებენ, ვინც ჯვრებს ხატავსო?– თქვა მამამ. . .

– ეჰ! რა დამატება უნდა კაცო, მაგას ეგენი მაჰმადიანობის წაბილწვად თვლიან. დაიჭერენ ვინცაა და თავს გააგდებინებენ. . .

– ეგ ისედაც მოგველის სუყველას, თუ მალე რჯული არ შევიცვალეთ. . .

– არ შევიცვლი, არა! მე ქრისტე მესიზმრება სულ! – თქვა ბიჭმა, ცრემლები მოადგა და ეზოში გავიდა. დედა გაჰყვა. . .

– შვილო, ქრისტე გულში დაიტოვე, იქ გყავდეს სულ, ოღონდ თათრებს ნუ ეტყვი ამას. . . ნურც ჯვრებს დახატავ სადმე, ჯვარიც გულში ამოიტვიფრე. . . წავა, წავა ამათი დრო, გაყრიან აქედან ურჯულოებს და მარტო გურჯები ვიცხოვრებთ ისევ ჩვენს მიწაზე. . . გჯეროდეს, გწამდეს, ოღონდ გულში. . . შენს პაწაწინა დაიკოსაც მოკლავენ, ასე რომ გიყვარს, დანარჩენებსაც მიგვაყოლებენ. ამათზე იფიქრე, შვილო! მერე, დიდი და ძლიერი ბიჭი რომ გაიზრდები, მერე მიხვდები, როგორ იბრძოლო!

– ნენა, მანამდე ჩვენი რწმენა ყველას დაავიწყდება, ესენი ხუთჯერ გვაჩოქებენ მუხლებზე დღეში და ხუთჯერ თავიანთ ლოცვას გვათქმევინებენ. . . ჩვენი ლოცვები კი გვავიწყდება, დედა! ჩვენი სალოცავების ლამაზი გუმბათები ჩამოაქციეს და ნანგრევებზეც გვიშლიან მისვლას. . . გახსოვს, ნენა, რა ლამაზი იყო, ტაძრის გუმბათიდან შუქი რომ იღვრებოდა ჩვენი ჩანჩქერივით?

– ეგ ქრისტეს მადლი იყო. . . გახსოვდეს, შვილო! მაგრამ, ბავშვებთან ასე ნუ ილაპარაკებ, ისინი ვერ გაიგებენ ამას, გაგთქვავენ, მიყვარხარ! ძალიან მიყვარხართ, ხუთივე. . . ნახე, ხუთი თითი მაქვს ხელზე, რომ მითხრა, რომელს მოიჭრიო, ვერცერთს გავიმეტებ, ერთნაირად მეტკინება. . . დამიჯერე, ნენა, დამიჯერე!

– კარგი, დედა! – უთხრა ბიჭმა და თითმოჭრილი დედა რომ წარმოდგინა, თვალები ცრემლით აევსო. . .

უთხრა და იმის მერე აღარავის უნახავს ხეებზე ჯვრები. . . მხოლოდ უფალმა იცოდა, რომ ყოველდღე ბიჭი ერთ ჯვარს მაინც ტვიფრავდა. ავიდოდა ხის სიმაღლეზე და სანამ ტოტი ძალიან გაწვრილდებოდა, იქ ამჩნევდა ჯვარს! ძირს ჩამოსული კი ნაფოტებს იღებდა, ჯიბეში იყრიდა და მდინარეზე ჩუმად ცლიდა. . . ხეები კი უფრო და უფრო იზრდებოდა, ბიჭიც თამამობდა. . .

დედ– მამა მშვიდად იქნებოდა, რომ არა ერთ დღეს, ტყეში კენკრის საკრეფად წასულებს, პატარა დაიკოს კენწეროზე შარვალი არ შეემჩნია:

– მილის შავალი. . . მილის შავალი. . . – დედა მიხვდა და ზემოთ აიხედა, მერე ძირს ნაფოტებსაც მოკრა თვალი. . .

იმ საღამოს ისევ დაარიგეს შვილი მშობლებმა, მამა დაემუქრა კიდეც. . .

დრომ ფერადყვავილებ– კენკრიან– ფოთლებიანი წინსაფარი მოიხსნა, ქარმა შემოდგომის ჟღალების წარეკა და ალაპლაპებულთვალება ზამთარი დადგა. . .

საშეშდ წამოქცეულ ხეებს შორის თათრებმა ჯვრიანი ხეც ნახეს. ისევ დაიწყეს მხატვარის ძებნა. კვლავ გააახლეს ჯილდო. . .

ბიჭი კი მაინც არ იშლიდა თავისას, ახლა მარადმწვანე ხეებზე ადიოდა, რომ არ შეემჩნიათ. ხეები კი უფრო და უფრო იზრდებოდა. . .

ერთ დღეს სახლს თათრები მოადგნენ, სახლი გაჩხრიკეს, სათავსოებიც მოიარეს და ვერსად რომ ვერ ნახეს, მშობლებს უთხრეს:

– დანამდვილებით ვიცით თქვენი ბავშვი რომაა და დროზე გამოგვიჩინეთ, თორემ, დედა– ბუდიანად გადაგწვავთ. . . დილით მოვალთ. . .

იმ საღამოს ბიჭი უზარმაზარ ნაძვზე აძვრა, დიდხანს მოუნდა ასვლას. ჯვარი რომ ამოტვიფრა და ჩამოძვრომა დააპირა, უკვე ბნელდებოდა. ფეხი დაუცურდა და კი არ გადმოვარდა, გადმოფრინდა ხიდან. . . ღიად დარჩენილ ცისფერ თვალებში ზეცა ჩარჩა თითქოს. . .

გვიან მიაგნეს მშობლებმა. . .

ვერ იკივლა დედამ. . .

ვერ ამოიღმუვლა მამამ. . . მხოლოდ ხელებზე გადიწვინა და უჩუმრად სახლში მიიტანა ცხედარი. . .

იმ ადგილზე, სადაც ბოსტანი ქონდა, თოვლი გვერდზე გადაიტანა და იქ გათხარა საფლავი. . . მერე ბიჭს ტანსაცმელი გახადეს, სუფთა ქსოვილში გაახვიეს, დამარხეს და ისევ თოვლი მიაყარეს. . .

გამართლებას გავდა იმ ღამის თოვა, სამარხი ეზოს გაუსწორა. . .

მანამ კი მამამ მდინარეში ჩაყარა ბავშვის ტანსაცმელი. . .

დილით, როცა თათრები მოვიდნენ, დედამ უთხრა საძებნელადაა წასული. . . თათრებიც მამის კვალს გაყვნენ, კაცს მიადგნენ. კაცმა ტყეებში ვერ ვნახე და მდინარის პირს იქნებ იყოსო, მერე, მათთან ერთად, ჯერ ბავშვის გარიყული ბლუზა "იპოვნა! ", მერე შარვალი. . .

იღრიალა, მაგრამ რა იღრიალა! გვამს დაუწყო გაყინულ წყალში შესულმა, , ძებნა". . . რომ, , ვერ ნახა"მდინარიდან ამოსულმა ზედამხედველებს უთხრა:

– წამიყვანეთ, მე მომკალით!

წაიყვანეს. . . დედაც. . .

არ მოუკლავთ, ორივე მაგრად გაროზგეს და დედას ყოველი დარტყმისას კი არეწვოდა, თითქოს სიამოვნებდა ტკივილი. . . მამა მალევე გაითიშა. . .

მალე ოჯახმა მუსულმანობა მიიღო, წესის თანახმად, ყოველი დანაშაული გამაჰმადიანების შემდეგ მიტევებული იყო. . .

დედა წელიწადის იმ დროს იღიმოდა მხოლოდ , როცა ხახვის ბოსტანი ყვავილობდა, თითქოს მირიანიც ულიმოდა. . . მარანში კი ერთი სამალავი ქონდა, სადაც ბიჭის მიერ გამოთლილი ჯვარი ქონდა გადამალული და ყოველ ცისმარე, ჯერ შვილის სულს ავედრებდა ღმერთს, მერე კი, საქმეს იწყებდა. . .

წელიწადის დანარჩენ დროს კი ხახვი მუდამ თვალებს უწვავდა და ტირილსაც მას აბრალებდა. დარჩენილმა შვილებმა კი იცოდნენ, რომ ძმა დაიხრჩო და ჩუმად წყალში ყრიდნენ ყვავილებს, რომ მდინარეს მასთან მიეტანა. . .

ასე გადაარჩინეს მშობლებმა ცხედარი, რომელსაც, პოვნის შემთხვევაში რა გზით ელოდა განადგურება, არავინ იცოდა. . .

ამიტომაა ხახვი ასე მწარე და მიტომ წვავს თვალებს. . .

არც ის ნაფოტებია, მსუბუქი, წყალს რომ ჩამოაქვს და. . .

გვამებსაც მიტომ ასაფლავებენ საკარმიდამოში ზემო აჭარლები, რომ, მუდამ იმის შიშში იყვნენ, ცხედარი თათრებს არ მოეპარათ და არ შეუერაცჰყათ, მას მერეც კი, რაც იძულებით, მაჰმადიანობას მიიღებდნენ. . .

ქართული მოდერნიზმი

ჩვენ უნდა გადავლახოთ ქართული კულტურის ეთნოგრაფიული მიჯნები.

კონსტანტინე გამსახურდია

ჯონსტანტინე ბრეგაძე

საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, ლიტერატურული მოდერნიზმის დამკვიდრება, და ზოგადად, მოდერნისტულ მსოფლმხედველობასა და მოდერნისტულ ესთეტიკაზე ორიენტირება, ეს არ იყო სტიქიური და გაუცნობიერებელი მოვლენა, ერთგვარი, მოდას აყოლა. ქართველი მოდერნისტი ავტორებისათვის მოდერნისტული ესთეტიკა, მოდერნისტული თემებით, პრობლემატიკითა და პოეტოლოგიური პრინციპებით ოპერირება არც დროებითი და სასხვათაშორისო ინტერესის საგანი იყო („ყმაწვილური სენი", „გულუბრყვილო გატაცება"), და არც კოკეტობის საგანი („უცხო სენით დაავადება"), არამედ მოდერნისტულ ესთეტიკასა და მოდერნისტულ მსოფლმხედველობას ქართველი მოდერნისტი ავტორები იმთავითვე უკავშირებდნენ ქართული კულტურის, ქართული მწერლობის დასავლეთევროპული „რადიუსით გამართვის", მისი რუსული აზიატური კულტურის ტირანიისაგან გამოყვანისა და ქართული კულტურისა და მწერლობის დასავლურ კულტურასთან კვლავ ინტეგრირების ამოცანებს.* შესაბამისად, ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ჩასახვასა და განვითარებას ჰქონდა თავისი ფუნდამენტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული წანამძღვრები, ესთეტიკურ-კონცეპტუალური და ფილოსოფიურ-თეორიული ბაზისი (აქ ხაზი უნდა გავუსვა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ქართული რომანტიზმისაგან განსხვავებით, რომელსაც გაშუალებული კონტაქტი ჰქონდა ევროპულ რომანტიზმთან, და რომელიც საბოლოო ჯამში მაინც სტიქიურ და ფრაგმენტულ მოვლენად დარჩა ქართულ სინამდვილეში, ქართული მოდერნიზმი უკვე უშუალო კონტაქტს ამყარებს ევროპულ მოდერნიზმთან. ეს აიხსნება თუნდაც იმით, რომ ქართველ მოდერნისტთა უმეტესობას (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ე. ტატიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, პ. იაშვილი, და სხვ.) განათლება სწორედ ევროპაში ჰქონდა მიღებული და ისინი უშუალოდ ევროპულ კულტურულ სივრცეში ეცნობოდნენ ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და ტენდენციებს, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ მოძღვრებებს (ნიცშე, შოპენჰაუერი, კირკეგაარდი [კირკეგორი], ვაგნერი, ფროიდი, შპენგლერი, ბერგსონი), ლიტერატურულ თუ კულტურულ ცხოვრებას).

რაც შეეხება ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციოკულტურულ წანამძღვრებს, აქ იკვეთება ორი უმთავრესი ასპექტი:

1. მოდერნიზმს, როგორც მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურულ დისკურსს, ქართველი მოდერნისტები, ერთი მხრივ, უკავშირებდნენ ქართული კულტურის განახლების საკითხებს, რაც გულისხმობდა დასავლეთ ევროპის კულტურასთან ქართული კულტურის კვლავ დაახლოებასა და მის დასავლური კულტურის განუყოფელ ნაწილად ქცევას, მეორე მხრივ, უკავშირებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დასავლური ორიენტაციის აღების საკითხებს (შდრ. ცისფერყანწელთა მანიფესტი, ან ტ. ტაბიძის სტატია „ცისფერი ყანწებით", ანდა გრ. რობაქიძის, გ. ქიქოძისა და კ. გამსახურდიას წერილები და ესსეები აღნიშნულ პრობლემატიკაზე, მაგ., თუნდაც გრ. რობაქიძის ცნობილი სტატია „ქართული რენესანსი"). შესაბამისად, კულტურული ორინტაციის ცენტრად ცხადდება პარიზი (ცისფერყანწელები) და ბერლინი (კ. გამსახურდია).

2. ქართულ სინამდვილეში მოდერნისტული ესთეტიკისა და მსოფლმხედველობის ინტენსიური რეცეფცია და დანერგვა ასევე უკავშირდება 20-იან წლებში საქართველოში გამძაფრებულ პოლიტიკურ ცხოვრებას – 1921 წლის კატასტროფა, 20-იანი წლების ბოლშევიკური პოლიტიკური ტერორი და რეპრესიები, 1924 წლის აჯანყების ჩახშობა, ბოლშევიკური ანტირელიგიური ტერორი და პროპაგანდა; ასევე, უკავშირდება 20-იან წლებშივე გაინტენსივებულ იდეოლოგიზირებულ ტექნიკურ-მანქანურ პროგრესს, რასაც ბოლშევიკები ახორციელებდნენ მესიანისტური პათოსით. აღნიშნული პროცესების ფონზე კი საქართველოშიც საბოლოოდ განხორციელდა „მეტაფიზიკური რყევა" (ნიცშე) — ღმერთი მოკვდა, ღირებულებები გადაფასდა და ქართული სულიერი კულტურა ჩაახშო ბოლშევიკების მიერ დაფუძნებულმა მატერიალისტურმა ცნობიერებამ და მანქანურ-ტექნიკურმა ცივილიზაციამ. ამან კი გამოიწვია ქართული ყოფის დესაკრალიზაცია, დეჰუმანიზაცია, სუბიექტის მითო-საკრალური პირველსაწყისებისადმი გაუცხოება, შესაბამისად, სუბიექტურობის დაშლა-რღვევა, ეგზისტენციალური შიში და თვითიდენტობის მოპოვების შეუძლებლობა. აღნიშნული პრობლემატიკა კი ქართული მოდერნისტული მწერლობის უმთავრესი თემა და ინტენსიური განსჯის საგანი იყო (შდრ. კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი", „მთვარის მოტაცება" და მისი 10-იან-20-იანი წლების ექსპრესიონისტული ნოველები, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები", ან გრ. რობაქიძის „ჩაკლული სული" და სხვ.).

ის, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი არ იყო სპონტანური, დროებითი მოვლენა და მოდას აყოლა, ამაზე ასევე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი მხატვრული ტექსტების ქმნასთან ერთად ამავდროულად თავის თავსაც იაზრებდა, იგი თვითრეფლექტირებადი ფენომენი იყო, რომელიც მიზნად ესთეტიკურ-კულტურულოგიური განახლების ამოცანებს ისახავდა და თავის თავს მოიაზრებდა ევროპული კულტურის და ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის თვითმყოფად და განუყოფელ ნაწილად. ყოველივე ამის დასტურია, ერთი მხრივ, ის, რომ ქართველი მოდერნისტი ავტორები ინტენსიურად აქვეყნებდნენ ესსეებსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ ტექსტებს მიმდინარე ევროპული სოციოკულტურული, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, ასევე მოდერნიზმისა და ზოგადად ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე (კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, ე. ტატიშვილის, ვ. კოტეტიშვილის, გ. ქიქოძის, გ. ლეონიძის, ცისფერყანწელების და სხვ. ლიტერატურული ესსეები და წერილები); ასევე აქვეყნებდნენ საპროგრამო ლიტერატურულ მანიფესტებს, სადაც საჯაროდ აცხადებდნენ კონკრეტული მოდერნისტული მიმდინარეობის დაფუძნებას (მაგ. „ცისფერყანწელთა" მანიფესტი, ან კ. გამსახურდიას ექსპრესიონიზმის მანიფესტი „ეცლარატია პრო მეა"). მეორე მხრივ, ქართველი მოდერნისტები აწყობდნენ საჯარო ლექციებსა (მაგ. გრ. რობაქიძის ცნობილი ლექციების ციკლი, როდესაც მან ქართულ სინამდვილეში პირველმა იქადაგა ლიტერატურული მოდერნიზმის ესთეტიკა და ქართული ლიტერატურის მოდერნიზმის იდეოლოგიისა და ესთეტიკის საფუძველზე განახლების აუცილებლობა) და ლიტერატურულ შეკრებებს (მაგ. „აკადემიური მწერლობის ასოციაციის" მიერ ორგანიზებული ლიტერატურული საღამოები, რომელთაგან ერთ-ერთი მთლიანად ფრ. ნიცშეს მიეძღვნა), აფუძნებდნენ ლიტერატურულ დაჯგუფებებსა („აკადემიური მწერლობის ასოციაცია", ქართველ სიმბოლისტთა („ცისფერყანწელები") და ქართველ ფუტურისტთა ლიტერატურული დაჯგუფებანი) და საკუთარ ლიტერატურულ ორგანოებს („ცისფერი ყანწები", „მეოცნებე ნიამორები", „ბახტრიონი", „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი", „ლომისი", „ილიონი", „საქართველოს სამრეკლო" „ბარრიკადი", „რუბიკონი", „ქართული სიტყვა", „კავკასიონი", „2შ4"). ანუ, ქართული მოდერნისტული ლიტერატურული პროცესის პარადიგმა და სტრუქტურა ზუსტად თანხვდებოდა ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის პროცესის მოდელს.*

ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმს, როგორც ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის ორგანულ ნაწილს, ბუნებრივია, რომ სწორედ ის საერთო ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი საფუძვლები ჰქონდა, რაც ზოგადად ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმისათვის იყო დამახასიათებელი: კერძოდ, ა. შოპენჰაუერის ნების ფილოსოფია, ს. კირკეგაარდის** ეგზისტენციფილოსოფია (ხისტენზპჰილოსოპჰიე), ფრ. ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფია და აპოლონურისა და დიონისურის კონცეპტი, ასევე ზ. ფროიდის ფსიქოანალიზი, კ. გ. იუნგის სიღრმის ფსიქოლოგია, ა. ბერგსონის ინტუიტივიზმი, ო. შპენგლერის კულტურფილოსოფია და სხვ. შესაბამისად, ქართულ მოდერნიზმსაც საფუძვლად დაედო ეს ფილოსოფიური მოძღვრებანი, სადაც მოხდა მათი ორიგინალური შემოქმედებითი რეცეფცია მხატვრულ სახისმეტყველებით პარადიგმებში.

გარდა ამისა, ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმს ევროპულ მოდერნიზმთან საერთო აქვს ესთეტიკურ-პოეტოლოგიური პრინციპები და მსოფლმხედველობრივი განწყობილებანი: მისთვისაც არ არის უცხო

ესთეტიცზმი, დეკადენტობა, დენდიზმი, სიკვდილის ესთეტიკა, მხატვრული რიტორიკის სტილიზაცია, ნარატიული მრავალფეროვნებანი, სუგესტიური პოეტური მეტყველება და სახისმეტყველება, ნეოლოგიზმებისადმი ტენდირება და ენობრივი ექსპერიმენტები.

ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი ჟანრობრივი თვალსაზრისითაც ანახლებს ქართულ ლიტერატურას, რაც პირველ რიგში გამოიხატა (მოდერნისტული) რომანის ჟანრის საბოლოო დაფუძნებაში. ასევე ვითარდება ახალი ლირიკული ფორმები, მაგ. სონეტი, ვერლიბრი. განახლებას ექვემდებარება სხვა ლიტერატურული ჟანრებიც — იქმნება მოდერნისტული ნოველა, მოდ-

გაგრძელება ორმოცდამეორე გვერდზე

გამოხმაურება ურიტიუუი წერილზე ალმანახი „თაობები" და ბოლო წლების ლიტერატურული ყლიმატი საქართველოში



მარხიანი

წავიკითხე ლელა კოდალაშვილის კრიტიკული წერილი ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმის (ებლიტფო) მასალებით შედგენილი ალმანახ „თაობების„ ორი ნომრის შესახებ და წავიკითხე აგრეთვე გიორგი კილაძის (ხსენებული ფორუმის ადმინისტრატორისა და ალმანახის გამოცემის იდეის ავტორის) პასუხი ამ სტატიაზე. ლ. კოდალაშვილის წერილის პათოსი დღევანდელ ლიტერატურულ პერიოდიკასა და ინტერნეტსივრცეში ფსევდოლიტერატურის მოძალებითაა განპირობებული: ამგვარ ლიტერატურას საკმაოდ ფართო მომხმარებელი ჰყავს, მაშინ, როცა ჭეშმარიტი ლიტერატურა პრაქტიკულად მკითხველის გარეშეა დარჩენილი. ლ. კოდალაშვილი აღნიშნავს, რომ სხვა პერიოდული გამოცემების მსგავსად, ვერც "თაობები" ასცდა ლიტერატურულ ღირებულებას მოკლებული ნაწარმოებების წარმოჩენას თავის ფურცლებზე, უფრო მეტიც, ერთობ დიდი ადგილი დაუთმო ამგვარ ტექსტებს. გ. კილაძე თავის პასუხში აზუსტებს, რომ ალმანახი "კი ვერ ასცდა, არამედ არ ასცდა" ამას, რადგან პროექტის მიზანი იყო ლიტერატურულ (განსაკუთრებით ვირტუალურ ლიტერატურულ) სფეროში შექმნილი სურათის რეალურად ასახვა.

რეალური სურათი კი მაინცდამაინც სახარბიელო ვერ არის, რადგან, როგორც ლ. კოდალაშვილი მიუთითებს, დაბალი გემოვნების მქონე მომხმარებელმა განაპირობა ფსევდომწერლების მოძალება და მათი უხარისხო პროდუქციით ლიტერატურული სივრცის (განსაკუთრებით ინტერნეტსივრცის) გადატვირთვა. ეს სერიოზული პრობლემაა და ალბათ ლიტერატურის ყველა გულშემატკივარი ფიქრობს ამაზე. მაგრამ რა უნდა იღონონ სხვადასხვა ლიტერატურული ფორუმების მესვეურებმა ან პერიოდული გამოცემების რედაქტორებმა, რომ უგემოვნობისა და უნიჭობის პარპაშს ზღვარი დაედოს? უშველის კი საქმეს ის, რომ ვთქვათ, "თაობების" მომდევნო ნომრებს რამდენიმე კაციანი სარედაქციო შემადგენლობა ეყოლება, რომელიც უფრო მკაცრად შეარჩევს მასალებს? იქნება კი წარმოდგენილი ავტორთა მიერ ჭეშმარიტად ღირებული ნაწარმოებები, რათა შესარჩევი იყოს რაიმე?

ლ. კოდალაშვილი წერს: "ალმანახის როგორც პირველ, ასევე მეორე ნომერში ერთმანეთის გვერდით დაიბეჭდა საშუალოდ ნიჭიერი მწერლიდან დაწყებული, ლიტერატურაში, როგორც გაუგებრობაში მოხვედრილი ავტორებით დამთავრებული. "საშუალოდ ნიჭიერი" იმიტომ ვთქვი, რომ გენიალური მწერლები სამწუხაროდ ამ თაობას არ გამოუჩენია ჯერჯერობით და ღმერთმა ქნას, რომ აღნიშნულთა შორის არა ერთი და ორი გაიზარდოს აქამდე".

გ. კილაძე ამ ნათქვამის ბოლო პუნქტს არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ "ლელას მიერ ნაგულისხმევ თაობაში რამდენიმე მართლაც გაიზარდა მათ შორის გაიზარდა ისინიც, ზოგიერთებს "გრაფომანი" რომ ეგონათ"

კარგად ვერ გავიგე, "ამ თაობაში" ვინ იგულისხმება, რადგან ალმანახში ყველა თაობის მწერლებია წარმოდგენილი: ალბათ ახალგაზრდები იგულისხმებიან, რაკი "გაზრდაზეა" ლაპარაკი; ოღონდ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ — ალმანახში ავტორები თითო ნაწარმოებით არიან წარმოდგენილი და ამდენად, მათი ნიჭიერების განსაზღვრა ალბათ არცთუ შეუმცდარი იქნება; მეტი სიზუსტისათვის, აჯობებდა თქმულიყო, რომ აქ დაბეჭდილი ნაწარმოებებია ხარისხობრივად საშუალო ან საშუალოზე დაბალი დონის.

მე აქ მინდა გავიხსენო ზოგი ჩემეული მოსაზრება თუ წინადადება, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ შეკრებებზე ზეპირად გამომოთქვამს ან "ებლიტფოს" მიერ გამოცემულ "საუბრებში" წერილობით დამიფიქსირებია: მაგალითად, დავით ჩიხლაძის პოეზიის საღამოზე, სადაც პოეტმა არცერთი ლექსი არ წაიკითხა, განაცხადა, რომ ლექსებს კარგახანია აღარ წერს და ვარაუდობს, რომ ჩვენში საერთოდაც დამთავრდა პოეზიის საქმე, ამ სიტყვების გამო ატეხილ კამათში მეც მივიღე მონაწილეობა და ვთქვი, რომ ჩვენ ლიტერატურისგან შეუძლებელი არ უნდა მოვითხოვოთ და გამუდმებით შედევრების ცვენას არ უნდა ველოდეთ. ჩემი ეს განაცხადი გაზეთ „ახალ 7 დღეშიც. ("ჩვენ, რატომღაც, ყველა ეპოქისგან, ათწლეულისგან და ათასწლეულისგანაც კი ვითხოვთ რაღაც ჭეშმარიტ ღირებულებებს ხელოვნებაში. არადა, ისტორიას არ ახსოვს, ამა თუ იმ ქვეყანაში, ყველა ეპოქა თანაბრად ნაყოფიერი

ყოფილიყოს ამ მხრივ. განა რენესანსამდე იტალიას დიდი მხატვრობა ჰქონდა? ან ინგლისს მეოცე საუკუნის კლასიკური როკის გარდა რომელიმე საუკუნეში ჰქონია დიდი მუსიკა? საქართველოში რუსთაველის შემდეგ 6 საუკუნე გავიდა, სანამ ახალი დიდი პოეტი გურამიშვილი გამოჩნდებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში დიდ პოეტთან მთელი პლეადა გამოჩნდა; მეოცეში კიდევ უფრო რიცხვმრავალი იყო დიდ ქართველ პოეტთა ამქარი. ზოგი მათგანი დღეს ცოცხალ კლასიკოსად ითვლება. მე პირადად რომ მკითხოთ, საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობი ათამდე დიდი პოეტი კიდევ მეგულება. ცოტაა ეს ყველაფერი? დღეს თუ შედევრები არ იწერება, ეს სულაც არ არის ტრაგედია (თუმცა, შეიძლება იწერება კიდეც და, უბრალოდ, საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის). პოეტთა მეფედ აღიარებულ ლეგენდარულ გალაკტიონზე თქვა ვახტანგ ჯავახაძემ, მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულანო. ჰოდა, ჯერ გალაკტიონის კარგად წაკითხვა შევძლოთ, გრანელის, სამადაშვილის, კორნაპელის (ეს უკანასკნელი, ალბათ, ბევრს არც გაუგონია, არადა მსოფლიო რანგის ლირიკოსია). დიახ, რაც დაიწერა, იმის წაკითხვა და გაგება შევძლოთ და ნებისმიერი მოკალმისგან პოეტურ სასწაულებს ნუ მოვითხოვთ.") დაიბეჭდა. შემდეგ ამგვარი რამეც დავწერე — საზოგადოებისათვის უცნობი ათზე მეტი დიდი პოეტი მეგულება-მეთქი დღევანდელ საქართველოში. გავამჟღავნე ჩემი დიდი ხნის ოცნება, რომ მინდა გამოვცე

➲ გაგრძელება ორმოცდამეხუთე გვერდზე

ქართული მოდერნიზმი

➲ ორმოცდამეერთე გვერდიდან

ერნისტული დრამა.

და რაც მთავარია, ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმში თითქმის სრულადაა წარმოდგენილი ევროპულ ლიტერატურულ მოდერნიზმში არსებული ლიტერატურული მიმდინარეობანი: იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, ავანგარდიზმი.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი უნიკალური მოვლენაა ევროპულ ლიტერატურაში და იგი არ წარმოადგენს ევროპული მოდერნიზმის უბრალო ეპიგონალურ დანამატს ან პერიფერიულ სფეროს. პირიქით, ქართული მოდერნიზმი ქმნის ევროპული მოდერნიზმის სრულიად ორიგინალურ ინვარიანტს, იგი ერთგვარად აფართოებს და განავრცობს ევროპულ მოდერნიზმს: ქართული მოდერნიზმი ახერხებს ორიგინალური სახისმეტყველებითი პარადიგმების, მითოსური ნარატივისა და მითოსური სახისმეტყველების, წმინდად ნაციონალური თემებისა და ნაციონალური პრობლემატიკის გაუნივერსალურების, ქართული სინამდვილის მითო-სახისმეტყველებითი მხატვრული გააზრების, ახალი კულტურული და ლანდშაფტური სივრცეებისა და თემების შემოტანის საფუძველზე ახალი და უნიკალური მხატვრულ-ლიტერატურული ღირებულების შექმნას და ამით ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის გამრავალფეროვნებას, გამდიდრებასა და მის განუყოფელ და ორგანულ ნაწილად ქცევას. აღსანიშნავია, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ეს თავისებურება და ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმისათვის მისი მნიშვნელობა ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში პირველმა შტეფან ცვაიგმა შენიშნა და დააფიქსირა გრ. რობაქიძის „გველის პერანგის" პირველი გერმანულენოვანი გამოცემის წინასიტყვაობაში (1928).

მიმაჩნია, რომ ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის ორიგინალური და უნიკალური ფენომენია, რამდენადაც იგი ახერხებს ანთროპოლოგიური, ეგზისტენციალური და ონტოლოგიური პრობლემატიკის ძირეულ გააზრებას საკუთარი ორიგინალური მხატვრული რიტორიკისა და ორიგინალური მხატვრულ-სახისმეტყველებითი პარადიგმების მოხმობით (შდრ. თუნდაც გრ. რობაქიძის „გველის პერანგი", კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი" და „მთვარის მოტაცება", ან სულაც „არტისტულ ყვავილებში" კულმინირებული გალაკტიონის მოდერნისტული ლირიკა). ყოველივე ამის საფუძველზე კი ქართული მოდერნიზმი და მისი ესთეტიკა წარმოჩნდება როგორც უნივერსალური (დრო-სივრცეზე აღმატებული) და მუდმივად აქტუალური ფენომენი, რომლის კვლევაც მუდამ აქტუალური იქნება როგორც ლიტმცოდნეობითი, ისე კულტუროლოგიური თვალსაზრისით.



ანდრია თორელი, მეუღლესთან,
მარი ჩიკვილაძესთან ერთად

6 ივნისი

ჩვენი სიცოცხლე ჩაიღვარა სამშობლოს გულში,
რომ ჩვენი სისხლით ქვეყნის მაჯა ძალუმად ცემდეს.....
დღეიდან უკვე გვახსენებენ ალბათ წარსულში -
და მერე იქნებ არც გავახსენდეთ. -
როგორც ჩვენამდე დახარჯული ბევრი კაი ყმა,
ვის კვალზედაც ნაბიჯით მგლურით
ჩვენი სიცოცხლის მცირე თესლი ჩავთესეთ ხნულში
საქვეყნო სამკლის, - რომ ბუმბერაზ ნერგად იხაროს.
ჩვენი სახელი, წოდება და გვარი - ორი მშრალი სტრიქონი,
მაგრამ წინდი საუკუნო ჩვენი ნაგრამის -
რათა ამაყად გაიარონ მშობელ მიწაზე, -
რომელიც ჩვენი წმინ მოვრწყეთ!

ქრონიკა

P.S. 2013 წლის 5 ივნისს, ავღანეთში, ქართული ოცეულის წინწაწეულ ბაზას თალიბებმა დაარტყეს. დაიღუპა 6 ჩემი თანამებრძოლი....

ანდრია თორელი

ქრონიკა

გამოხმაურება ჟრიტიუე წერილზე ალმანახი „თაობები" და ბოლო წლების ლიტერატურული ყლიმატი საქართველოში

ოორმოცდამეორე გვერდიდან

კრებული, სათაურით „პარალელური სამყარო", რომელშიც მხოლოდ ჩემი გემოვნებით შერჩეულ ნაწარმოებებს შევიტანდი ყველასათვის უცნობი ავტორებისას და ლიტერატურული საზოგადოების წინაშე არა ერთ ჭეშმარიტ ტალანტს წარმოვაჩენდი. ოღონდ ამ საქმეს სპონსორი სჭირდება, რომელიც მე ჯერჯერობით არა მყავს და არც დიდად მეიმედება, რომ მომავალში მაინც მეყოლება.
როგორც მოსალოდნელი იყო, არავინ გამომეხმაურა ამაზე, რადგან, ვფიქრობ, არავისა აქვს სურვილი, ვიღაც "უცნობი ტალანტების" წარმოსაჩენად თავი შეიწუხოს, არც არავის სჯერა (როგორც ჩანს) მათი არსებობა;
ჰოდა ახლა ამგვარი წინადადება მინდა შემოვიტანო: იქნებ "თაობების" ახალ ნომერში გამოიძებნოს ადგილი ჩემს მიერ "ხელდასხმული" ავტორების თითო-ოროლა ნაწარმოებისათვის მაინც? რასაკვირველია, ამ გზით მათი შემოქმედების დამაკმაყოფილებლად წარმოჩენა ვერ მოხერხდება, მაგრამ იქნებ ჩემს მიერ მიწოდებულმა მასალამ ინტერესი აღძრას და სამომავლოდ ამ უცნობი ავტორების უფრო ფართოდ წარმოჩენის სურვილიც გაჩნდეს?
აქვე ჭაშნიკად შემოგთავაზებთ რამდენიმე ნიმუშს ამ მასალიდან, ოღონდ ავტორებს ჯერჯერობით ინკოგნიტოდ დავტოვებ:

სონეტი სიკვდილის შემდგომ აღიარებაზე

კარგახანია აღარ გტკივა კაცის ნაკბენი,
აღარც ის გახსოვს, იგივ კაცი როგორ გყიდიდა,
შენ აღარა ხარ. აწ იდიდა შენი საქმენი,
იდიდა შენი საქმენი და ღმერთიც იდიდა.

სიკვდილ-სიცოცხლის მისტერია. აპოთეოზი.
მისვლა იმქვეყნად, ანუ შესვლა სხვა დიდებაში.
სულ სხვა სიცოცხლე — ნათელი და დაუზრუნველი,
შესვლა ნათელში, ნათლის ყველა განტოტებაში.

აპოთეოზი. თვით მოშურნეც არის მორჩილი
და სასწაულად შენს საქმეებს აქნევს თვალდათვალ
(რომ ეზიაროს ამ დიდებას) თვალდაბრმობილი

უფალო, აჰა მოიხილე შენი ბორკილი,
რა ნეტარებად გადამექცა იგი თანდათან
უფალო, აჰა მოიხილე შენი ბორკილი

მონღოლი

ეპიკანტუსის გისოსიდან მიმზერს მონღოლი
და მე ვაგებებ თაფლით სავსე ნუშის ნაჭუჭებს,
ახლაც მოგწონვარ, ისე როგორც მაშინ მოგწონდი,
ჰოი, მონღოლო!
მაგრამ შემინდე, ღამეს მაინც თუ ვერ გაჩუქებ

ახლა ამ ცაზე ხრიკებს აწყობს მხოლოდ ელია,
მაშინ ამ ცაზე მონღოლური ფეთქდა ნალები,
შენს მოკლე ფეხებს უზანგები აღარ ელიან
და სულ სხვა ჯურის მიმოჰქრიან აქ ამალები

ჩვენ ისევ ვხვდებით. ისტორიის მტვრიან კულისებს
გახედავ სევდით ერთ დროს ყოვლის ნაცრად მქცეველი,
მეც საკუთარი მოღლილობა გამაგულისებს,
ჰოი, მონღოლო!
ნუშის ნაჭუჭი ამევსება მღვრიე ცრემლებით!

მო, თავს დამესხი, უნაგირზე გადამაკარი,
ხეს მიმალურსმე ნაწნავების რუდიმენტებით,
გადამატარე მუხრანი და გუდამაყარი,
მო, გამიმეტე მონღოლური ხმლის გამეტებით!

მაგრამ ამ ცაზე ხრიკებს აწყობს მხოლოდ ელია,
მაშინ ამ ცაზე მონღოლური ფეთქდა ნალები,
შენს მოკლე ფეხებს უზანგები აღარ ელიან
და სულ სხვა ჯურის მიმოჰქრიან აქ ამალები!

* * *

მთვარე მოჰყვებოდა რიყეს,
გზას ზომავდა არშინ-არშინ,
მკათათვეში მოსულიყავ,
გაგეჯიბრებოდი მკაში.
პეშვით მოგიტანდი წყალს და
მზეს გადავდენიდი შორით,
ჩვენზე უსამართლოდ გამწყრალს
სოფლად გაგონილი ჭორით.
შემოგირიგებდი მდუმარს
ცრემლთა დადენილი ღვარით,
და გამთელდებოდა უმალ
სულში გაწყვეტილი ლარი.
მუხლად გავტოპავდით ნისლებს,
ცხენით გავაპობდით არაგვს,
კრძალვით მიამბობდი ისევ
ცის და დედამიწის არაკს.
დაფერილი როგორც გორდა
ღამე იქნებოდა მტკნარი,
მოგვეგებებოდა ოდა
სოფლის განაპირას მდგარი.
მთვარე მოჰყვებოდა რიყეს,
გზას ზომავდა არშინ-არშინ,
მკათათვეში მოსულიყავ,
გაგეჯიბრებოდი მკაში.

ხეფრთხობელა

ელვნება ნუგ ზარ შატაიძეს

ირაკლი ლომოური

უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა. არქეოლოგიურ ექსპედიციაში ვმუშაობდი ლაბორანტად. უფრო კი, მძღოლად. მანქანას ბავშვობიდან ვატარებ, ჰოდა, ხელმძღვანელმა საექსპედიციო "გაზიკი" ჩამაბარა — ნდობა აღმომიჩინა! ხან რაიცენტრში მაგზავნიდა პროდუქტებზე და ხანაც "ნევტებაზაზე" — საწვავისთვის. ერთხელაც, შემოდგომაზე –საველე სეზონი უკვე იხურებოდა — "სალიარკის" ჩამოსატანად გამიშვა. კაი შორი გზა მქონდა გასავლელი. ბაზიდან გვიან გავედი, უეცრად კოკისპირულად დაუშვა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე. უკანა გზაზე ხის ძველ ხიდს მივადექი და კინაღამ მდინარეში ვდურთე თავი — ჩანგრეული დამხვდა, მოდიდებულ წყალს ბურჯი წაეღო. კუნაპეტი ღამეა. რა უნდა მექნა, გავბრუნდი უკან. გავიარე ასი მეტრი და რასა ვხედავ: გზაზე პატარა გორაკი არ ჩამოშვავებულა? "წინ წყალი, უკან მეწყერი" — ჩავიცინე მწარედ და ღამის გასათევ ადილს დავუწყე ძებნა. ბედად, შუქი დავლანდე იქვე შირიახლოს. მივადექი ჭიშკარს და შევძახე: "მაინძელო!". წუთიც არ გასულა, ვიღაც გამომეგება ფარნით ხელში, ეზოში შემიძღვა, მერე კი სახლში ამიყვანა.

"მაინძელი" აღმოჩნდა ჭაღარაშერეული, წვერმოშვებული, ასე 45-50 წლის კაცი. ნათელი სახე ჰქონდა, ღიმილიანი, წაბლისფერი თვალები. კოჭლობდა. სახლში ფიჭის საამური სურნელი იდგა. ძველი სახლი იყო, წაბლის ფიცრებისგან შეკრული. მოკლედ, დავრჩი ამ კაცთან — მეფუტკრე ყოფილა. გამიშალა სუფრა – თან მომიბოდიშა, მარტო ვცხოვრობ, შემწვარ-მოხრაკულები არა მომეძევებაო. სუფრაზე ძველებური ლიტრიანი შემოდგა — თაფლის არყით სავსე. დავლიე თუ არა, გავცოცხლდი კაცი, ჰოდა, ვეღარ შევიკავე თავი, ჩანთიდან ამოვიღე ჟურნალი "ნობათი", სადაც ჩემი მოთხრობები და ფოტო იყო დაბეჭდილი. წავიტრაბახე, რაღა! მეფუტკრემ ინტერესით გადაავლო თვალი, ულვაშებზე ხელი ჩამოისვა, ჩაიღიმა და თავმომწონედ გამოაცხადა (რატომღაც თავიდანვე შენობით მომმართავდა, ალბათ, ასაკში დიდი სხვაობის გამო):

— იცი, მე ვინა ვარ სინამდვილეში?.. ხეფრთხობელა!

— ეგ რაღაა? — ვერ გავიგე.

— ეხლავე გაიგებ!.. გვარში მოგვსდგამს, მამაც ხეფრთხობელა მყავდა, პაპაც და პაპის პაპაცა. მეც ხეფრთხობელა ვარ. ბოლო ხეფრთხობელა. უკანასკნელი...

— ხეფრთხობელა რას ნიშნავს? — ვეღარ მოვითმინე, სიტყვა გავაწყვეტინე.

— რასა და, აი, ხე როცა გაიზრდება, ნაყოფს კი არ მოიხსამს, უნდა დააფრთხო! არიან ეგეთი მცონარა ხეები, თუ არ შააშინე, ნაყოფს არაფრისდიდებით არ გამოიღებს.

— ხე როგორ უნდა შეაშინო? — არ დავიჯერე.

— როგორ და, მარტივად! უნდა მიადგე ნაჯახით ხელში, მოუქნიო, წკიპზე გააჩერო და გაუჯავრდე: მომავალ წელსაც თუ არ გამოისხამ, ძირში მოგჩეხავო!

— მერე შველის? — დაუფარავი ეჭვით ვკითხე. ვიფიქრე, მაშაყირებს-მეთქი.

— შველის, რომელია!.. ოღონდ ყველა კი ვერ აფრთხობს. საქმეც ეგაა. ხეს უნდა გრძნობდე კაცი და ისიც გიგრძნობს მაშინ, შეეშინდება!ფუტკარიც ეგრეა, უნდა იგრძნო. ოღონდ ფუტკარს არ ვაშინებ, ვეფერები... ჩვენმა გვარმა მაგით გაითქვა სახელი, საიდან აღარ მოდიოდნენ ჩვენსას, ხეფრთხობელიანთას — ასე შეგვარქვა სოფელმა

— ერთი, შენი ჭირიმე, თქვენებურად შაგვიშენე ეს ჩვენი გალენჩებული ვაშლატამმსხალქლიავიო!..

— ხუმრობთ თუ,..

— ვხუმრობ კი არადა! — ისეთი გულისწყრომით აიქნია ხელი ხეფრთხობელამ, ლამისაა უმალ დავიჯერე, რაცა თქვა, — ჩემი შეშინებული ხე იმ სიმსხო ნაყოფს ისხამდა, ერთხელ მოსკოვშიც კი გააგზავნეს იმაზე, რა ჰქვია, კაცო,.. სახალხო რამერუმეების გამოფენაზე...

— სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე?

— ჰო, აი, ზუსტად მანდა! — არყით სავსე ჭიქა ასწია, — მოდი, იმ საქმეს გაუმარჯოს, რასაც ღმერთი ჯიგრით გაგვაკეთებინებს! აი, შენა ფოჟილობ...

— ვფოჯილობ?

— ჰო, სწერამ, რაღა, — და თავი გადაშლილი ჟურნალისკენ გაიქნია, ჩემს გვერდით რომ იდო ტახტზე, — მე კიდევა, ხეს ვაღვიძებ,..

— აღვიძებთ თუ აშინებთ?

არ მიპასუხა, მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა:

— გაგვიმარჯოი! — და გადაჰკრა.

მეც გადავკარი. თვალები ჩვილივით მიმებლიტა. ტახტზე მივწექი. მიმეძინა

დილაუთია გამეღვიძა — სასტიკად მწყუროდა. წამოვიწიე და რას ვხედავ ჩემი მასპინძელი კერიასთან ზის და ჩემს მოთხრობებს არ კითხულობს?

— პირი გექნება გამშრალი, — მეუბნება, — აი, მჟავე წყალი ამოგიტანე,

გეამება, — და ტახტთან იატაკზე მდგომ მომცრო დოქზე მიმითითა. დავწვდი, მოვიყუდე – უუჰ! მეამა!

— აბა შენა ყოფილხარ და, — უცებ ღიმილით მეუბნება, — ფოჟილმაისტერი!

— რა, არ მოგეწონათ?

— არ მომეწონა კი არადა, ძმად უნდა გაგეფიცო!

ისევ ვიფიქრე, მაშაყირებს-მეთქი. მაგრამ თურმე არ ხუმრობს. სუფრა გააწყო სახელდახელოდ, და როცა დილის მადლისა დავილოცენით, დანა გააძრო, თითი გადაისერა და მომაწოდა — არა, რა დანა, ყამა უფრო ეთქმოდა, იმხელა იყო!

ნერწყვი რის ვაივაგლახით გადავყლაპე, ყამა უდრეკი ხელით ჩამოვართვი, რატომღაც ცალი თვალი მოვჭუტე და საჩვენებელზე დავისვი. წვეთო ისე ამოიბურცა, მწიფე ალუბალი გეგონებოდა.

გავიფიცენით.

ისდღეც ხეფრთხობელასთან გავატარე. რომც მდომებოდა, ვერსად წავიდოდი.

წვიმდა. როცა შევთვერი და გავთამამდი, ვკითხე:

— რატომ თქვი, ბოლო ხეფრთხობელა ვარ, უკანასკნელიო?

— აბა, შვილი მე არა მყავს და ძირი, და ვინ გააგრძელებს ჩემს გვარსა?

— და რატომ არა გყავს?

არ მიპასუხა. ხელი ჩაიქნია.

— ცოლი რომ არ გყავს, კი ვხედავ, მაგრამ არცა გყოლია? — ისევ ვკითხე.

— არა.

— და რატომ არ მოგყავს?

შეიშმუშნა.

— ხეფრთხობელას ვინ გაყვება? — თქვა ბოლოს.

— მამაშენს თუ გაყვა და პაპაშენს, შენ რაღა ბედენა ხარ?

— აი, ეგეთი ბედენა ვარ, — და ფეხზე დაიხედა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გადავწყვიტე, ჩემი ძმადნაფიცსთვის, ასე ვთქვათ, ბედი გამეჩარხა. ლაპარაკში წამოცდა, არისო ერთი ქალი, სოფლის მასწავლებელი, გაუთხოვარი, ახალგაზრდა, რომელსაც შორიდან უყურებს მალულად, მაგრამ ახლოს მისვლას ვერა ბედავს...

მესამე დღეს წვიმამ გადაიღო. სამწუხაროდ. გზაც გაწმინდეს. წრე დავარტყი, შორიდან მოვუარე და, ბოლოსდაბოლოს, საექსპედიციო ბაზაზე ჩავაღწიე.

ამის მერე ხეფრთხობელას ლამისაა ყოველ დღე ვსტუმრობდი – რაიცენტრში მივდიოდი თუ "ნეფტებაზიდან" ვბრუნდებოდი, ერთი საათით მაინც შევუვლიდი ხოლმე. სულის მოსათქმლად....

ერთ კვირის თავზე მეტად დაბნეული თუ შემცბარი მეჩვენა. ღამით მასთან დავრჩი — ისევ თაფლის არყით ჩავიკოკლოზინეთ პირი. ბოლოს მეუბნება:

— უცნაური სიზმარი ვნახე, ძმაო, გუშინ... საოცარი!.. თითქოს ჩემი შეშინებული ხე მომადგა, მემუქრებოდა, თუ მომავალ წელს ნაყოფს არ გამოიღებ, მოგთხრიო!

კინაღამ გამეცინა, ძლივს შევიკავე თავი.

— ამხელა კაცი ხემ როგორ შეგაშინა?

— შემაშინა, ხო შემაშინა! — გაწყრა უცებ ხეფრთხობელა, — შუაღამე იქნებოდა, რაღაც ხმა მომესმა, თვალი გავახილე და მთვარის შუქზედა ვხედავ, აივანზე ხეები ამოდიან! რხევა-რხევით! დგანდგარ-ბაჯბაჯით! ფესვებს მოათრევენ, დაკოჟრილ ტოტებს იქნევენ,..გავშრი კაცი,.. დამადგა ერთი თავზე და საზარელი ხმით ჩამძახა:

— ჩვენ რო გვაფრთხობდი, ვეჟო, ეხლა შენ თვითონ დაფრთხები, შე მართლა საფხრთხობელაო!

— ეს რა სასაცილო რამე მოგლანდებია, ძმაო, — თავშეკავებული ღიმილით ვეუბნები.

— სასაცილო კი არა და! — შესძახა ხეფრთხობელამ, მერე ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულით მითხრა, — იცი, რა ვნახე დილით აივანზე, რო გავიღვიძე? და ოთახშიც? იატაკზე?

— რა?

— გორახები!

— რა გორახები?

წამოდგა, განჯინის კარი გასწია და ძველ გაზეთში გახვეული რაღაც გამოიღო. გაშალა. მიწის მომცრო ბელტები აღმოჩნდა.

— ფესვებიდან ჩამოსცვივდა,— ჩურჩულით მეუბნება.

შუბლი შევიჭმუხნე. ჩავილაპარაკე:

— ჰოო, შექსპირსა აქვს «მაკბეტში», ტყე რო გაცოცხლდებ,..

ისე შემომხედა, სიტყვა ვეღარ დავასრულე. ერთი-ორი წუთი ხმა არ ამოუღია. მორჩილად ვიცდიდი. ბოლოს ამოღერღა:

— წამომყე, ხელი უნდა ვთხოვო მასწავლებელსა...

...ზუსტად ერთი წლის თავზე დამირეკა ქალაქში:

— ბიჭი შემეძინა, ბიჭი! ჩამოდი, ძმაო, დაილოცე ერთი შენებურადა!

— ჩამოვალ, მა რას ვიზამ! — ვეუბნები და თან ვფიქრობ, რა ვაჩუქო პატარას, იქნებ ჩემი ხელით მუყაოსგან გაკეთებული, თავზე ჩამოსაცმელი, დაკოჟრილტოტებიანი ხე, ფესვებში შიგადაშიგ შემორჩენილი მიწის გორახებით, საკუჭნაოში რო მიგდია უკვე ერთი წელია?

2012



გივი ჩიღვინაძე

თოვლიანი სონეტი

მშობელი მთები მიგზავნიან თოვლის ბარათებს,
გული ივსება მონატრებით, როგორც ამ დილით
ივსება ზეცა ფიფქებით და თეთრი მანდილით
ფარავს შორეულ მწვერვალებს და შეშლილ ქალაქებს.

გადავივიწყებ გრძელ ღამეებს თეთრად განათევს,
სიზმართა ლანდებს მოიცილებს ყოფა ნამდვილი,
მერე ლამაზად მოვირთვები, ვით ავთანდილი
და შენს ფიქრებში ელვასავით შემოვანათებ.

როდესაც თვალებს მოფარფატე ფიფქებს მივანდობ,
მაშინ ბავშვობა მაგონდება - ნეტავ იმა დროს! -
და ჩემს სარკმელთან დაფიფქული მთები მოვლიან.

გაიკვალება მომავლისკენ ახალი გზები,
ისევ ოცნება მიბრუნდება, გავხალისდები
და იმედებით გავუყვები დღეებს თოვლიანს.

ტირისკონიდან ტირისდენამდე

ეობა ქუმბურიძე

შემოგველია ეს შემოდგომაც. მოდის ზამთარი და მოტაატობს, ეზო-კარს ჭირხლად შემოადგება, წაფერდილ ღობეს ცერად წაათოვს.

გაიტაცებს და ფიფქად დაპენტავს საკვამურებზე დაკრეფილ ბოლებს, მერე ბუერად ჩამოიქროლებს და ისევ მიწას მიმოაფანტავს.

დაყუჟულ ოდებს, ქუდურს და ბექობს დაეღირება, როგორც მენაბდე და რჩელა ნაბადს შემოათექავს ტირისკონიდან ტირისდენამდე.

გაწრიალებს და გაფორიაქებს პირველშობილი თოვლის სინაზე, კარი კრუალებს, ქარბორია კი უკრავს კრამიტის ოკარინაზე.

რას აზიკზიკებს ინი მინაზე?

ბჟუტია სარკმლებს და არდაბაგებს ლიშაბახურით, დაკავკაულით, თავნახარათი მოაფარდაგებს.

მოიტანტალებს ჭალებს, შანდაკებს, სახლებს შეაბამს ბროლის მატალებს, ტოტებს ფანტელებს დააქანდაკებს, მარმარა ციდან ჩამონატანებს.

და სანამ ლექსის თუხთუხი მოვა, ბუხარს შეუნთე, კარი დარაზე, გარეთ დატოვე ქარი და თოვა, ალთო ლუხუმის თანითანაზე.

ჩახჩახებს არე, თუმც თანგავს თოში სულებს, მიმზრალებს და მიზაფრულებს...

თოშია ახლა ჩემს სამშობლოში,

მაგრამ სულ მალე გაიზაფხულებს.

ლექსიკონი

ტირისკონი - ნოემბერი
ტირისდენი - დეკემბერი
ბუერი - ნისლიანი თოვა
ქუდური - მოვაკული გორა
ბექობი - გორა
რჩელა - თეთრი (მეგრ)
ინი - ყინვა (ლაზ)
არდაბაგი - სარკმელი კარის თავზე
ლიშაბახური, დაკავკაული, თავნახარა - ორნამენტის სახეებია
შანდაკი - მოსწორებული ადგილი
მატალა - ლოლუა
მარმარა - ქათქათა
ალთო - შეყინული წყალი
ლუხუმი - პატარა მდინარე, რომელმაც გაზაფხულზე ძლიერ მოდიდება იცის
თანითანაზე - გაყოლებაზე

მუნჯი კინო

ან იმის ბედს ვინ მომცემდა,
მუნჯი კინო ვყოფილიყავი...
უსიტყვოდ, უხმოდ დამეხარჯა სათქმელიც, თავიც.
მთელი ცხოვრება ერთ საათში ჩამეტია,
ერთ გამოხედვას გამოჰყოლოდა
სიყვარული— თეთრი თიკანი —
მიწაზე ფეხის შეუხებლად მოკუნტრუშე,
გულის ძგერის უფსკრულებში გადასაჩეხად.
სადა მქონდა იმის ბედი,
სიკვდილისათვის მატარებელს ჩავვარდნოდი,
კადრის მიღმა კი ვინმეს კაბის ნაოჭები ესწორებინა
გადაყვლეფილ მუხლისთავებზე...
მე ხომ ყველაზე მეტი უნდა მელაპარაკა... მეხმაურა...
გულიც ისე გამხეთქოდა,
რომ სინამდვილეს შერცხვენოდა საკუთარი ნამდვილობისა...
ვინ მომცემდა ან იმის ბედს,
ფერმკრთალ ლოყაზე,შენთვის ნათევ ოცნებების ხეივნებზე
თავჩამოდებულს,
ქარს დაეფინა კომშისყვავილის ფურცლლობისფერი —
ღაწვზე კი ხალი მიეხატა,
ან ტუჩისთავზე —
მარტოობის ღამის შავი ნაფეხურები...
ვინ ჩამხედავდა ისე თვალებში,
რომ თავისი სიყვარული დაენახა
შავ ლუსკუმების სიღრმეებში მწვანედ ჩაწნული.
ყველაფერი იქნებოდა ისე მარტივი,
თავი უკვე სამოთხეში მეგონებოდა,
მუნჯი კინო რომ ვყოფილიყავი —
ერთი სიტყვაც არასდროს მეთქვა,
რომ ჩემი ხმიდან ამოზრდილ ზროს გაშლილ ტოტებზე
არ დაეკიდა სახრჩობელები, ჰამაკები, დროშები და
ბუდეები არ გამოესხა,
ჩავეფალი ნეტა სადმე, შვების ორმოში,
სიმშვიდის ჭაში...
გადავემალე, როგორც კეთილი, მუნჯი კინო,
როგორც წარსული, უმომავლო...
სადა მქონდა მე ეგ ბედი... ხმაურის შვილს,
ალუფხული ცხად-სიზმარის მოაგარაკეს...
ყველაფერი ზაფხულივით
ლურჯ სუფრებად გავუშალე მათ, ვ
ინც არასდროს მესტუმრებიან...
ეს ზამთარს ააქვს ცამდე სიჩუმე,
რომ გვენატრება,მუნჯი კინოს შავ-თეთრი კადრი,
თვალის ერთი დახამხამება – სიყვარული ახსნილია
ბორკილებივით...

მარიამ წიკლაური

გიორგი საჯაია

ეპობა

სინამდვილეში, სულ ეს არის. ხოლო რაც არის,
სულში ფურთხია, სისხლში - შხამი, ლექსში - ტერცინა,
ღვიძლში - ციროზი, გულში - ხინჯი, თვალში - ნაცარი.

მე მოვდიოდი შენს ხელებთან, როცა გეძინა
და, ჩემო სულო, შენს თითებში სახეს ვმალავდი,
რომ მტკიოდა და... რომ სიმწრისგან არ გამეცინა.

და მივდიოდი - "მაღლა იდგა გემი დალანდი", -
შენ, სისხლო ჩემო, არც კი იცი საერთოდ, ვინძლო,
რომ სწორედ შენგან ვისახსოვრე წასვლის ტალანტი.

ღვიძლო, შენ, ჩემო სულით ღვიძლო და სისხლით ღვიძლო,
არაფერია. სიტყვებია. როგორ დაბერდი...
მძიმეა. გზაა. შიმშილია. წლებია. მიძლებ.

გულო, მე მახსოვს ყველა წყალი, სადაც ჩავარდა
ყინვა და ყველა სიყვარულის დიდი ხანძარი
მახსოვს და მხრები და ტუჩები და თმის ხავერდი.

და თქვენ, თვალებო - სულ ეს არის. ხოლო რაც არის,
სულში ფურთხია, სისხლში - შხამი, ლექსში - ტერცინა,
ღვიძლში - ციროზი, გულში - ხინჯი, თვალში - ნაცარი.

ნინო საძაგლიშვილი

როცა პატარა ვიყავი, მახსოვს,
ღამემ იცოდა გამოცოცხლება
მთვარე დედაბრის ნიკაპი იყო,
ხოლო ალვები ჩანდნენ ცოცხებად!

ვარსკვლავებიდან მანანოები
(ვერ გეტყვით, ვინ და რანი მეგონენ)
შუაღამისას, ძილის გუდებით,
შემოჰყვებოდნენ ღრუბელ-მეფორნეს.

იავნანების მანანოები
ეგებ, სიზმრების იყო ყმაწვილთა,
და მე, ლურჯ კრთომას ნელა შევსვამდი,
ჩამომწუხრების ფითრი ყანწიდან!

ახლაც ცოცხლდება ხანდახან ღამე,
ფხიზლობს, ფაჩუნობს, კალთას მაფარებს...
მე კი ვლოცულობ: „კეთილო ძალავ,
დილის სამანზე გადამაფარე!"

მზია თვალაბეიშვილი

მთვარის სონეტი

(სონეტი ° 1)

მთვარე დაჟეჟილ ვერცხლის მონეტას საოცრად ჰგავდა,
რამ გამახსენა ეს შედარება, არ ვიცი, მაგრამ
მითვალთვალებდა დაჟინებით, თვალებით მჭამდა.
ან რად ვუნდოდი, მაოცებდა, მიკვირდა მაგრად.

ვერ დავაღწიე თავი, ვცადე, ასეა მართლა,
გაბატონება უნდოდა ჩემზე და ჩემი მართვა.
ოდნავ ავხედე და მოასწრო მან თვალის ჩაკვრა.
მომაჯადოვა, თავს ვერ ვაღწევ ! რაღა ვქნა ახლა?

სხვების ცხოვრებით ითამაშა , მონუსხვაც სცადა,
ალბათ ამიტომ დაუჟეჟეს ცხვირ–პირი კარგად.
მისმა თვალთვალმა უსიამო მომგვარა განცდა.
თითქოს ქანაობს, არ ჰკიდია ცის ქიმზე მყარად.

ნუ ეხუმრებით სავსე მთვარეს, დაფიქრდით თავად,
მთვარეულები ასრულებენ მის ნებას მარად.

ნოდარ შოშიტაშვილი

ბათის - წითური ლეჟვის მოშინაურების ამბავი

ისტორიული ნახევარზღაპარი

ეს ამბავი ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. მე რომ ახლა ციფრს დაგისახელებთ, თქვენ შეიძლება იქამდე თვლაც არ იცოდეთ ჯერ... 30 ათასი წლის წინანდელ ამბავს გიყვებით. არქეოლოგები ამ დროს პალეოლითს, ანუ ძველი ქვის ხანას უწოდებენ.

რომ არ დაიბნეთ, მოკლედ გეტყვით, რომ მაშინდელი ადამიანები გვარებად ცხოვრობდნენ — ერთ დიდ გამოქვაბულში ან უზარმაზარ მიწურში, ან სულაც ხის ტოტებითა და ისლით გადახურულ წნულ „სახლებში". ერთ ასეთ გვარში 15-20 კაცი ბინადრობდა ან უფრო მეტი. მამაკაცები ერთად დადიოდნენ სანადიროდ ქვის იარაღებით, ქალები და ბავშვები კი საცხოვრებლის ახლომახლო ეძებდნენ ხილსა და ძირხვენებს...

ზემო იმერეთში ერთი ძალიან ლამაზი ადგილია, სადაც მთის პატარა კალმახებით სავსე მდინარე ჩხერიმელა მიედინება და აქაურობასაც ხჩერიმელას ხეობას ეძახიან. სწორედ ამ ხეობაშია დევის ხვრელის გამოქვაბული. მოშორებით, ზღვისკენ, საკაჟიას და საგვარჯილეს გამოქვაბულებია.

ჩვენი გმირებიც დევის ხვრელის გამოქვაბულში ცხოვრობდნენ თავიანთ დიდ გვართან ერთად. და-ძმას სახელებიც უცნაური ერქვათ — ბიჭს გი, გოგოს კი თა. ყველას ასე მოკლე-მოკლე სახელები ერქვათ. ეტყობა, მაშინ ასე იყო „მოდაში". მერე, როგორც ჩანს, გი გიორგად იქცა, თა — თამარად!

გი რვა წლის იყო, თა — შვიდისა, მაგრამ უკვე იმდენი რამე იცოდნენ, მათ ახლანდელ თანატოლებს რომ ზღაპარშიც არ წაუკითხავთ... იცოდნენ, როგორ დაენთოთ ცეცხლი კაჟის ნატეხებით, რომელსაც თვითონვე აგროვებდნენ გამოქვაბულის სიახლოვეს. პატარა მშვილდ-ისრით ხოცავდნენ კურდღლებს და მერე ხის შამფურზე წამოცმულს წვავდნენ, ტყავი კი დედებთან მიჰქონდათ და ისინიც ძვლის უხეში ნემსებით ტანსაცმელს უკერავდნენ...

ერთ დილაადრიან გვარის მამაკაცები (შვიდნი იყვნენ) მშვილდ-ისრებით, შუბებით, ქვის ცულებით, ხელკეტებით და დანებით შეიარაღებულნი სანადიროდ წასასვლელად გაემზადნენ. გი და თა უფროსებს წინ გადაუდგნენ, ჩვენც წაგვიყვანეთო. წინამძღოლმა, რომელიც გის ბაბუა იყო და მასაც გი ერქვა, განრისხებულმა უბრძანა პატარებს, გამოქვაბულში დარჩებით და ქალებს მიეხმარებითო...

ბევრი იძახა გიმ, მე უკვე დიდი ვარო, თანაც კაცი და მე მაინც წამიყვანეთო, მაგრამ ვინ დაუჯერა!

➲ გაგრძელება ორმოცდამეექვსე გვერდზე

ნოდარ შოშიტაშვილი

კაცები ხმაურით გაიშალნენ უღრანი ტყისკენ. განაწყენებული და-ძმა გამოქვაბულის კართან იდგა და სევდიანად გაჰყურებდა მიმავალთ.

— გი, მოდი, ჩვენც წავიდედ სანადიროდ! — წამოიძახა თამ.

— გაგიჟდი, თა, მგლები რომ გადაგვეყაროს? — გაოცებული იყო ბიჭი გოგონას მამაცობით.

— ბევრი კაჟი წავიღოთ და თუ გამოგვეკიდნენ, ცეცხლი დავანთოთ. შენ კურდღლებზე ინადირე, მე სოკოს და მაყვალს მოვკრეფ. დედა ზამთრისთვის ქურქებსაც შეგვიკერავს და სოკოსაც გაახმობს. უფროსებს უნდა ვაჯობოთ და მერე ვნახოთ, თუ არ წაგვიყვანენ სანადიროდ!..

გის ჭკუაში დაუჯდა დის ნათქვამი. ორი მშვილდი გადაიკიდა, კაჟისა და ძვლისპირიანი ისრები მოაგროვა, შეკრა და ტყავის პატარა აბგაში ჩადო. თამ ორი კვერი აიღო, წუხანდელი ვახშმიდან რომ დარჩენოდათ, ორი ცალიც ველური სტაფილო. გამოქვაბულის დიდი დიასახლისის, ლას მიერ საგანგებოდ მისთვის მოწნულ კალათში ჩაალაგა და პატარებმა შეუმჩნევლად დატოვეს გამოქვაბული. ქალებს და ბავშვებს ჯერ ისევ ღრმა ძილით ეძინათ.

— გი, ჩვენ ახლა მარტონი ვართ და ფრთხილად ვიყოთ. ჩვენების ნაკვალევს უნდა მივყვეთ. თანაც, ახლო მანძილზე, თორემ მგელს ჩვენი ცეცხლის რომ არ შეეშინდეს?

— მაშინ ისარს ვაძგერებ გულში!

— როგორ არა! მგლის ტყავი შენ კურდღლისა ხომ არ გგონია!

— აუ, ეგ არ მიფიქრია, მგელს რომ მაგარი ტყავი აქვს. კარგი, მაშინ ჩქარა გავიქცეთ, ჩვენების კვალი არ დავკარგოთ!..

პატარები მართლაც ჩაუდგნენ კვალში უფროსებს. დროდადრო მათი ყიჟინაც ესმოდათ, ერთი-ორჯერ თვალიც მოჰკრეს კიდეც, მაგრამ ახლოს არ მიდიოდნენ...

ამასობაში გიმ ორი ნაცრისფერი კურდღელი მოინადირა და ერთი პატარა მელიაც. სიხარულით აღარ იყო თა — მელიის ტყავით დედა ლამაზ ქუდს შეუკერავდა, ფუმფულა კუდსაც ყელზე მოიხვევდა და მთელი ზამთარი უდარდელად ირბენდა თოვლში, არ ეტყოდნენ, შეგცივდებაო...

ერთი უზარმაზარი მუხის ძირას იმდენი ქამა სოკო იპოვა თამ, რომ კალათა უცბად აავსო. თანაც უკვე მოშივებოდათ და გემრიელად მიირთვეს კვერი და უმი სოკო. მაშინ ხორცს კი წვავდნენ, მაგრამ სოკოს უმად მიირთმევდნენ. კვერებს რაც შეეხება, უფროსები ველურ ხორბალს იწევდნენ, ქვის დიდ როდინებში ყრიდდნენ, ჩეჩქვავდნენ და მისგან აცხობდნენ უგემრიელეს კვერებს.

...თა მაყვლის დახუნძლულ ბუჩქს წასდგომოდა, კენკრა ძალიან უყვარდა და ისე სულმოუთქმელად მიირთმევდა, გის გაუკვირდა, რამ გადაგრია, ახლა არ ვჭამეთ კვერი და სოკოო?

— გი, გეხვეწები, არ შემიჭამო, რა, ჩემთვის მინდა ეგ მაყვალი!.. თუ შემიჭამ, იცოდე, მგელი რომ გამოჩნდება, კაჟის ნატეხებს არ მოგცემ!.. — ჯერ სთხოვა, მერე კი ბრძანებაზე გადავიდა თა.

გის სიცილად არ ეყო თას სიტყვები. ასეც გიქნია, კისერიც გიტეხია, ამ ტყეში მაყვლის მეტი რა არის, თანაც მე სულაც არ მიყვარს ეგ შენი მაყვალი, მაგას ძირს ჩამოყრილი მაჟალო მირჩევნია. თანაც ეგ შენი ტკბილი მაყვალი რა კაცის საქმეაო...

როგორც იქნა, თამ მაყვლით გული იჯერა. ხელებიც დაიკაწრა, ტუჩები და ლოყებიც მოითხუპნა, მაგრამ ამას სულაც არ ნაღვლობდა...

გიმ იქვე წყაროსთან მიიყვანა თხუპნია დაიკო და უთხრა, დაიბანე, თორემ, რომ გიყურებ, ყვავის ბახალა მგონიხარო.

თამ დაუჯერა. დიდხანს იბანდა მაყვლით მოთხუპნილ ცხვირპირს, წყაროს ყინულივით ცივი და გემრიელი წყლითაც გაიგრილა გული და მერე ორივენი უფროსების ნაკვალევს გაჰყვნენ. მოულოდნელად, უჩვეულო ხმა მოესმათ. ასეთი ხმა მანამდე არც გაეგონათ. ვიღაც თუ რაღაც საშველად უხმობდათ. მიჰყვნენ ძახილს და პატარა, ქვიშიან მინდორზე, ზედ მზის გულზე ერთი ბეწო არსება შენიშნეს. წითური, ერთიანად მრგვალი, გრძელკუდა და ყურპანტურა ლეკვი.

— პატარა მგელი! — წამოიყვირა თამ. — ნახე, რა ლამაზია! ეს ჩემი მგელი იქნება, მე ვიშვილებ, გავზრდი და...

— მერე გემრიელად შეგახრამუნებს!.. — დასცინა გიმ.

— შენ იცინე, იცინე და ახლა რომ გვერდით ჩვენი მგელი გვყავდეს, სულაც არ შეგვეშინდებოდა!..

გის ჭკუაში დაუჯდა დის სიტყვები, წეღანდელი განზრახვა გადაიფიქრა, ლეკვის მოკვლას აპირებდა, მისი ტყავით დედა ფეხსამოსს შემიკერავსო. თანაც ძალიან მოეწონა პატარა ლეკვი, რომელიც თას კალთაში ჩასკუპებოდა და ხელებს ულოკავდა...

— მშიერია, საცოდავი, შენი ეშინია და კანკალებს. მოდი, შენც მოეფერე...

გისაც შეეცოდა დამფრთხალი ლეკვი, დას გამოართვა და გულზე მიიხუტა. ახლა გის დაუწყო ლეკვმა მოფერება.

გი სიხარულით აღარ იყო. სულ დაავიწყდათ, რომ უფროსებს არ უნდა ჩამორჩენოდნენ. სასწრაფოდ მოინდომეს შინ დაბრუნება. თა გახარებული ტიტინებდა, დედას ვთხოვ და ლეკვს ძუძუს მოაწოვებსო. მერე უცბად ჩაფიქრდა, დედამისმა რომ ძებნა დაუწყოს და ჩვენ გვიპოვოს, რა ვქნათო.

— მაგის ნუ გეშინია, — დაამშვიდა გიმ და ბაბუას ნასწავლი კვალის დაფარვის მეთოდი გაიხსენა.

ბავშვები პატარა ნაკადულთან მივიდნენ. ლეკვი ჯერ ნაპირთან დასვეს, მერე ხელში აიყვანეს. წყალში შეაბიჯეს, კარგა მანძილზე ჩაჰყვნენ ნაკადულს და შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ თავიანთი გამოქვაბულისკენ. ნაკადულმა მათი კვალი გაიყოლა და დედა მგელი ახლა ვეღარ მიაგნებდა...

გზად შეშინებული ქალები შემოხვდნენ და-ძმას. მათ საძებრად წამოსულიყვნენ.

— დედა, დედა, გეხვეწები, მოაწოვე ძუძუ პატარა მგელს, იცი, რა საყვარელია!.. დედა მოუკლეს და სულ მარტოა, თანაც მე და გი ისე ვუყვარვართ!.. — პატარა მეგობრის დასაცავად ტყუილიც მოიგონა თამ. დედამ დაუჯერა და ლეკვი მკერდზე მიიხუტა.

ნეტა გენახათ, როგორი კრუტუნით წოვდა ძუძუს წითური ლეკვი... ამასობაში გის და თას პატარა ძამიკოც აჩხავლდა, ეტყობა, მიხვდა „მოწილე“ რომ გაუჩნდა. დედამ მეორე ძუძუ თავის პატარას ჩაუდო პირში და ისიც გაიტრუნა. მერე თვალი შეავლო ლეკვს და სათამაშოდ წაეტანა... დედამ ორივენი დათვის ტყავზე დასვა და პატარებმა კოტრიალი დაიწყეს. ლეკვი გახარებული წკმუტუნებდა, ბიჭუნა კი გაუთავებლად კისკისებდა.

ამასობაში უფროსებიც მოვიდნენ. ასეთი უხვი ნანადირევი კარგა ხანია არ მოუტანიათ. ერთი ხარი მოეკლათ, ერთიც ცოცხლად წამოეყვანათ. კიდევ ერთი ძროხა და ერთიც მგლის ლეკვივით წითური ხბო (ხარი, ძროხა და ხბოც, რა თქმა უნდა, გარეული იყო)...

ბავშვების სიხარულის საზღვარი არ ჰქონდა. ხან მგლის ლეკვს ეფერებოდნენ, ხან გარეულ ხბოს...

უფროსებმა სასწრაფოდ შემოღობეს პირუტყვის სადგომი. ხარი და ძროხა შერეკეს, ხბო კი ბავშვებს დაუტოვეს სათამაშოდ.

ცოტა ხანში თას დედამ ლეკვი ძროხასთან მიიყვანა და ახლა მისი რძე გაასინჯა... ასე გახდა ლეკვი ძროხის შვილობილიც. მერე, ცოტა რომ მოიზარდა, ხორცის და კვერის ჭამაც დაიწყო. პატარები სიამოვნებით უყოფდნენ ლუკმას საყვარელ ლეკვს.

მგლის ლეკვს თამ შეურჩია სახელი — ბათ დაარქვა. ვინ იცის, იქნება აქედან მოდის — ბათურა, ქართული ნაგაზის პოპულარული სახელი. ბათ მარტო გის და თას კი არა, მთელ გვარს შეუყვარდა. პატარები სათამაშოდ რომ მიდიოდნენ, ბათ მათ გვერდით იყო ყოველთვის. ერთხელ აბეზარ ტურას კუდით ქვა ასროლინა, ჯერ ყეფით ცდილობდა დაეფრთხო, მაგრამ ტურა რომ პატარებს აღარ ეშვებოდა, მაშინ კი გაიგიჟა თავი ბათმა, ყელში სწვდა ბოროტ ტურას და მიახრჩო კიდეც...

— არა, ბათ ჩვენი ნამდვილი და ერთგული მეგობარია, უამისოდ ძალიან გაგვიჭირდებოდა ცხოვრება! — დაასკვნა გიმ.

...ერთ ადრიან გაზაფხულზე ბათ სადღაც გადაიკარგა. დიდხანს ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. გიმ და თამ ტირილით დაისივეს თვალები. იღვიძებდნენ და იმ ადგილისკენ აპარებდნენ თვალს, სადაც ბათ იწვა. მაგრამ ბათ არსად ჩანდა. ახლა სანადიროდ მიმავალ უფროსებს ეხვეწებოდნენ, იქნებ მგლის ლეკვი თქვენც იპოვოთ და მოგვიყვანოთო...

პატარებს ზუსტად არც ახსოვდათ, რამდენი დრო გავიდა, მაგრამ რატომღაც სჯეროდათ, რომ ბათ აუცილებლად დაუბრუნდებოდათ.

ერთ მშვენიერ ადრიან დილას გი და თა უცნაურმა ხმაურმა გააღვიძა. სასწრაფოდ გამოვარდნენ გამოქვაბულიდან... მათმა მხიარულმა ყიჟინამ მძინარენიც ფეხზე წამოჰყარა და გარეთ გამოფინა. დიდი ოჯახი სიხარულს ვერ ფარავდა. ეზოში ბედნიერი ბათ იდგა და დამნაშავესავით წკმუტტუნებდა. მის გარშემო ხუთი პატარა ბათ დასუნსულებდა, სწორედ ისეთები იყვნენ, როგორიც მათი დედა მაშინ, როცა გიმ და თამ იპოვეს...

აი, ასე მოიშინაურეს ველური ძაღლი (თუ მგელი) ჩვენმა წინაპრებმა... მას აქეთ ძაღლი ყოველი ოჯახის მეგობრად და დამცველად იქცა...

ვასილ გულეური

სახლი

ჩიტს ბუდე აქვს,
დათვს – ბუნაგი,
ციყვს – ფუღურო,
თაგვს კი სორო.
ყველა თავის
ბინას აგებს,
ყველა თავის
სახლში ცხოვრობს.

ლოკოკინას
აქვს ნიჟარა,
კუს – ბაკანი,
როგორც რკინა.
ზურგით დააქვთ
შარა-შარა
სახლი კუს და
ლოკოკინას.

ყველას თავის
სახლი უყვარს.
რა სჯობია,
როცა დაღლილს,
გელოდება
შენი კერა,
გელოდება
შენი სახლი.

ვასილ გულეური ვაჟიშვილთან ერთად



ელენე საღარიძე

უშგულელი თოვლის ბაბუ

ჭრელ ხურჯინში უამრავი
საჩუქრები ჩაუწყვია,
უშგულელი თოვლის ბაბუ
რა კეთილი, რა უხვია.

თეთრ ცხენს ისე მოაგელვებს,
ამირანი გეგონება,
მოიჩქარის თბილისისკენ,
იცის, ყველა ელოდება.

თბილისში კი, სვანურ კოშკში
ჩააბრძანეს საკარცხულში, –
გვერდით უდგას ანდრო ბიჭი,
თეთრი ჩოხა-ახალუხით,

ხურჯინიდან საჩუქრები
ამოაქვს და ბაბუს აწვდის,
პატარები ჟრიამულით
მოელიან თავ-თავის წილს.

უშგულელმა თოვლის ბაბუმ
ბავშვებს ნატვრა აუხდინა,
საჩუქრებით რომ აავსო,
მათთან ერთად მოულხინა.

ყველა დამილოცნიხართო,
ვალი გადევთ დიდზე დიდი,
საქართველო გიყვარდეთო,
მის ერთობას გაუფრთხილდით.

მარიამ წიკელაური

აბლი-ბაბლი-ბაბალე

აბლი-ბაბლი-ბაბალეს,
დევ-ბიჭების ბაბოს,
შვიდი კაბა აცვია
და ცალ-ცალი საბო.
ვერვინ დათვლის,
იმდენ ლექსს და ზღაპარს ამბობს.
თან წინდებს ქსოვს,
მარტო დევ-ბიჭების სარგოს.
აბლი-ბაბლი-ბაბალე
თაფლსაც ხარშავს მალ-მალე.
შიგ ყრის ნიგოზს,
თხილს და ნუშს,
განა ცოტას, ათ-ათ მუჭს.
გააკეებს გოზინაყს,
ვეება ხის კოვზი აქვს.
ურევს, ურევს ბაბალე
ნელ-ნელა და მალ-მალე.
ხალავს, ხალავს, ხალავს,
გააგრძელებს ხვალაც.
გაილია ზამთარი,
გოზინაყიც მზად არის.
იმოდენა ურია,
უკვე გაზაფხულია!

იტალიური ხაბავშვო პოეზია



* * *

დაიწყება მალე თოვა,
თეთრი ფანტელები მოვა...
როგორც აურაცხელ ფიქრებს,
ცა დაგვაყრის ზღაპრულ ფიფქებს,
და ჩვენც ციურ ვარდის კონებს
მათი ხილვა მოგვაგონებს...
მდუმარედ და ნება-ნება
თოვლი მიწას ეფარება,
რომ აღავსოს ყველას გული
სიმშვიდით და სიყვარულით.

* * *

დაბალი ხმით ვისაუბროთ,
ბავშვებს ლექსი ვუამბოთ:
ნეტავ ღამით ვინ სად დადის -
აზრით ანდა უაზროდ?
იქნებ ვინმე პრინცია და
ღამის ორომტრიალი
არ ასვენებს, რადგან ესმის
მას ფოთოლთა შრიალი?!
იქნებ ვინმე ჯუჯაა და
თავისნაირ ძმაბიჭებს
ლოტოს კოჭებს ურიგებს და
ფეხებს ფრთხილად აბიჯებს?!
იქნებ ვინმე ბატონია,
კბილი სტკივა საბრალოს
და არ იცის ეს ტკივილი
სხვას ვის გადააბრალოს?!
იქნებ ვინმე დარაჯია,
ან სამხედრო გუშაგი,
ბნელი ღამით სულ რომ ფხიზლობს
ვით ერთგული მუშაკი?!
ქალაქიდან გაქცეულა დღეს
ქურდი და ხიზანი...
დაიძინეთ პატარებო,
ნახეთ ტკბილი სიზმარი!

ქალბატონი ირმა ოჯახთან ერთად

ირმა მაღაციძე

ძალა ერთობაშია!

მოდის ბეჰემოთი ბეჰე,
ყვირის: - გზა მომეცით, ჰე-ჰე!
ვერ ხედავთ, რომ მოვდივარ
ბეჰემოთი - ჰოვდილა!

გამეცალოთ, არ გიჯობთ?
უცებ არ დაგაბიჯოთ.
მუხლუხოვ და ჭიანჭველავ,
ფრთხილად, თორემ გაგსრესთ ყველას.

შეიკრიბა უცებ ხელად
საჭიეთის მკვიდრი ყველა -
ჭიაღუა, ჭია, მატლი:
- ვუპასუხოთ თავხედს დარტყმით!

როგორ ფიქრობს, მისი აზრით
ვერ დაჯაბნის ჩვენი რაზმი?
შეესივნენ ბეჰე-ბეჰეს
უზარმაზარ, მსუქან ფეხებს.

- ვაი, ბეჰე ვეღარ მიდის,
ღუტუნისგან გული მისდის
ახტუნავდა კვიცივით
ბე-ჰე-ჰე-ჰე! - იცინის!

ძალმიხდილი ბეჰე-ბეჰე
ზის და ოხრავს - ეჰე-ეჰე!
თათებს იცემს თავშია:
- ძალა ერთობაშია!

მზია თვალაბეიშვილი

* * *

მურა დათვი ავად გახდა,
ჩაწვა, თაფლი მოინატრა.
ჭორ–კაჭკაჭმა ეს ამბავი
მთელ ქვეყანას მიუტანა.

შეიკრიბნენ ცხოველები დიდ მდელოზე
შუაგულ ტყეში.
დათვთან წასვლის მოხალისე ვერ ინახა
ამდენ მხეცში.
იქოთქოთეს, იჭიკჭიკეს, ვერ შეთანხმდნენ,
კენჭი ყარეს.
ითვალთმაქცეს, იცულლუტეს,
კენჭის ყრითაც ვერ გათვალეს.
კამათელი გააგორეს, მელაკუდამ დასვა შაში,
უფრო ზუსტად კი – დუ შაში.
ჩაიღიმა მწარედ მელამ,
შეიკურთხა ჩუმად გულში.
რას იზამდა ? ვეღარაფერს,
გაეხვია მგონი შარში.

მელა ჩუმად, მიცუნცულდა,
დათვის ბუნაგს მიუცუცქდა.
დატკბილული ხმით მოთაფლა,
შევიდა და მოკალათდა.

დათვი სიხარულით შეხვდა.
გაიკითხა ტყის ამბები,
იქითური–აქეთური
სოფლური თუ ქალაქური.

ბოლოს დათვმა გაამჟღავნა
სურვილი და დიდი ნატვრა:
– თაფლი მნებავს,
ის მომარჩენს,
ის განკურნავს ამ ჩემ ვნებას.

– მიმეგზავნე ტყის ფუტკრებთან,
დაპირებით, არა ფუჭად,
არასოდეს უკითხავად
არ ავიღებ მათგან ფიჭას.
გაუღიმა მელაკუდამ,
გულში ისევ შეიკურხა.
რას იზამდა ? ვეღარაფერს,
ნატვრას შესრულება უნდა.

მიცუქცუქდა ფუტკრებთან და
გაუმჟღავნა დათვის ნატვრა,
დათვის პირობაც გადასცა,
და ფიცილიც დაამატა.

წამოიღო ფუტკრებისგან
ბლომად თაფლი სამკურნალოდ.
დათვმა დააგემოვნა და
შეინახა სამომავლოდ.

ასე მორჩა ჩვენი დათვი,
და სენისგან განიკურნა.
მელაკუდამ დათვის თვალში
სამუდამო ჰპოვა ნდობა.

ტყეში ჩაცხრა ჟრიამული,
„ კრება დარჩა მხიარული.“

ია მშვიდობაძე

ქაფი-ქუფი

ქაფი-ქუფი,
ქაფი-ქუფი,
მიყვარს რეცხვა,
საპნის ბუშტი.
სულ ერთ ჯამში მოვათავსე:
კატის კნუტი,
ბატის ჭუკი,
პერანგი და ფეხსაცმელი,
ჯამ-ჭურჭელი ერთი ფუთი.
ბევრი ფხვნილი მოვაყარე,
ჭყაპა-ჭყუპი,
ჭყაპა-ჭყუპი.
მინდა ბებომ სისუფთავე
დამიფასოს ბატი-ბუტით.
ბოლოს მაინც დავისაჯე,
კუთხეში ვარ ათი წუთი,
ტაკუნაზე მამჩნევია
ბებოს ხელი - თითი ხუთი.
განა ჩემი ბრალი არის,
მის ნივთებსაც "ვუვლი"თუკი?
რომ წურვისას მის სათვალეს
გაუვიდა წკაპა-წკუპი?!

ზეიმი

შაქარ-შაქარ დაყრილი,
ზღაპარ-ზღაპარ ნალოცი,
შემოვიდა აპრილი,
დღე მოვიდა გამოცდის -
ნინუცას და ნანუკას
შეკერილი სამოსის:
წინსაფარს ვინ მოირგებს?
ან ბაფთას ვინ გამოსკვნის?
პაწაწინა მკერავებს
პოდიუმზე ზვერავენ
ორი შავი კნუტი და
თაგვიც ერთნახევარი.
წიწილები წინსაფრებს
რიგრიგობით წიწკნიან,
ჟირაფები ჟილეტებს
კისრიდანვე იხდიან,
არც ჩოჩორი იჩერებს
ჩუსტებს კოპლებიანებს,
ლომს ლაბადა არ მოსწონს -
ფაფარს ვერ აფრიალებს.
დათუნების თათებზე
თათმანების წამოცმა
ქარში ქუდის დევნას ჰგავსო,
ბებიასაც წამოსცდა.
ყვავებს კაბის ყვავილი
ცოტა ეზედმეტებათ,
კუს და კურდღელს ქუდები
სათვალეზე ედებათ,
ციყვი ცეკვას ცდილობს და
ცხვირზე ცეცხლი ედება,
თუ ცოტა არ დადინჯდა
ამას რა მოერგება ?
პაწაწინა მკერავებს
ყანჩა ეიმედებათ-
გაუნძრევლად დგომაში
მას ვერავინ ედრება...
მაკრატელი კრიჭინებს,
ქინძისთავი თავს იქცევს,
ნემსი კუთხეს ირჩევს და
უნდა იქით გაიქცეს,
ვერც ყაისნაღს შეატყობთ
სიდინჯეს და თადარიგს,
სათითეც კი თითებზე
რიგრიგობით გადარბის...
სააპრილო მზადებას
მელამ დიდხანს უყურა,
მერე სახლში შევიდა,
შვილებს თვალი უყო რა,
გარეთ გამოამწკრივა,
კუდებაპრეხილები,
ჯერ ოქროსფერ ქათიბზე
დაუბნია მძივები,
მერე თითო ატლასი
ყელზე შემოარხვია,
შეურჩია ბაფთა და
იმ ბაფთაზე არშია,
ნინუცას და ნანუკას
თვალწინ გამოატარა,
ფეხი არც ერთს შეშლია,
არც დიდს და არც პატარას.
უცებ ყველა გაჩუმდა,
სოროდანაც გამოძვრა,
ზოგი სკამზე ავიდა,
ზოგიც სკამზე ჩამოჯდა,
მერე ფრთხილად მივიდა
ყველა თავის სამოსთან
დატრიალდნენ სარკესთან,
შეეცადნენ გამოცვლას.
ზეიმი რომ დაიწყო,
დიდ-პატარა გაოცდა:
ეს რა ფერებიაო,
ეს რა შეხამებაო,
ნახეთ, როგორ უხდებათ,
ტანზეც როგორ დგებაო?
იყოს ტაშის დაკვრა და
ხმამაღალი მსჯელობა,
ნუნიცას და ნანიკოს
მოუწონეს ხელობა.
თუმცა მერე საღამოს
როცა ჩაის აწყობდა,
დიდმა ნანა ბებიამ,
ვითონ ისე წამოსცდა:
ამ ჩვენს მელაკუდებსო,
დღეს არავინ ამბობს და
არ ვაჩუქოთ მძივები?
არ დავარქვათ გმირები?
არ დავუწნათ გვირგვინი?
არ ვუმღეროთ საწოლთან?

ბელა ჩეჯურიშვილი

თოვლი

თეთრმა თოვლმა, ქუნქულამ
არემარე დაფარა.
— გიხარია?
— ძალიან!
— ვიგუნდავოთ?
— აბა რა!

— ეს ვინ მოდის?
— გიგა.
— თან რა მოაქვს?
— ციგა.
“ციგა სხვებსაც ათხოვე”, —
დედამ დაარიგა.

ჩვენ არ ვიცით დაღლა!
რა ვაკეთოთ ახლა?
— თოვლის პაპა დავდგათ
იმ გორაზე, მაღლა!

ეერთი გუნდა,
ოორი გუნდა,
ახლა თავის დადგმაც უნდა!
ორი თვალი, ცხვირი, პირი, —
პაპა დადგა გასაკვირი!
ხელში — ჯოხი.
თავზე — ვედრო.
— რა აკლია?
— თოვლის ბებო!

უჰ, რამდენი ვიხალისე?!
დამიწითლდა ლოყები.
ახლა სახლში გავიქცევი
და ამ ამბებს მოვყვები!

ფიფქი მოდის, არ ილევა.
ისევ თოვს და თოვს და თოვს...
ბაბუ ამბობს: ამისთანა
დიდი თოვლი არ მახსოვს...

ბებო ამბობს: ცხელი ჩაი
ხომ უხდება ასეთ ამინდს?
ჰოდა, ჩაიც მიირთვით და
ეს ცხელ-ცხელი ლობიანიც!

თამრი ფხაკაძე

ლიდერები – ასტრონომები

მარი ჩიკვილაძე ქალიშვილთან, სიდონიასთან ერთად

მარი ჩიკვილაძე

საფიქრალი გამომიჩნდა

პატარა ვარ მაგრამ მაინც,
სახლში ბევრი საქმე მელის,
დღეს თოჯინას ვაცმევ კაბას,
ფერებიანს ცისარტყელის.

ხვალ პატარა იხვის ჭუკებს,
ჩავსვამ წყალში, ვაბანავებ,
და ძილის წინ მოვუყვები,
ჩვენს ფისოზე ახალ ამბებს.

- დღეს ცოტათი მოვიწყინე...
(ჩუმად მისმენს ჩემი მურა),
სიყვარულის სუნი გაქვსო, -
დედამ ყურში ჩამჩურჩულა.

არც ბაჭიამ, არც დათუნამ,
არც იმ მურამ, ძირს რომ იჯდა,
რა სუნია არ იციან,
საფიქრალი გამომიჩნდა.

გივი ჩილვინაძე

ხეთილი მეზობელი

მთებს ათოვს და ხევებს ათოვს,
ტყისპირს უკვე თოვლი ადევს.
ეუბნება შაშვს ბეღურა:
- დაგვიზამთრდა ძალზე ადრე.
რას აკეთებ, მეზობელო,
თუ მოძებნე ბინა სადმე?
- აქვე კარგი ბინა ვნახე, -
გადუშალა შაშვმა გული, -
რცხილის ხეზე, ხმელ ფოთლებში
თბილადა ვარ შეყუჟული.
შენ რა ჰქენი, რას აპირებ,
ხომ არ გერჩის ვინმე მტერი?
თუ წამოხვალ, ჩემს ბინაში
შენც მშვენივრად დაეტევი,
საკვებიც მაქვს იქვე ახლო -
ზღმარტლი, კუნელი და შქერი...
- მანდ ხომ წუწკი მელა ცხოვრობს,
რომ მოგვაგნოს, ვინ გვიშველის?
- აღარ ცხოვრობს, ჩემი ნატვრა,
როგორც იქნა უკვე ახდა,
მელამ სორო მიატოვა,
ხევის პირას გადასახლდა.
- მაშ, ცოტა ხანს შემიფარე,
სადღა წავალ, აბა, ახლა?
- წამობრძანდი, კარგად მახსოვს
მეგობრობა შენთან ძველი,
ჩემს ბუდეში დავეტევით
სტუმარიც და მასპინძელიც.



გივი ჩილვინაძე

ნია მამასახლისი, 6 წლის

ასტრონომები – ასტრონომები

ნია მამასახლისი

* * *

აი მინდორზე გაშლილა ია
ლამაზ თვალება სხვა ყვავილებთან
ლამაზად მდგომი კოპწია ია
ლურჯ კაბას ნაზად აფარფატებდა